# კვირის პალიტრა

32 გვ

## ყოველკვირეული გაზეთი

№ 31 (328) ◆ 30 ივლისი – 5 აგვისტო, 2001 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## ეს არ იყო უბრალოდ, მკვლელობა!



ეს არც უბრალოდ შეკვეთილი მკვლელობა იყო... გვ.5-10

გიორგის მოკვლით სცადეს, მოეკლათ ზომიერება, გონიერება, გამბედაობა... ანუ ის, რაც ყველა პროფესიონალ ჟურნალისტს უნდა გააჩნდეს და რაც გიორგი სანაიას უხვად ჰქონდა...

### საქართველოს ჟურნალისტების განცხადება

ყველას, ვინც შეძრათ გიორგი სანაიას საზარელმა მკვლელობამ!

2001 წლის 31 ივლისს, დღის 15 საათზე, სადაც არ უნდა იმყოფებოდეთ, შეჩერდით და წუთიერი დუმილით ან ავტომანქანის საყვირით გამოხატეთ თქვენი აღშფოთება და პროტესტი ჩვენს ქვეყანაში გამეფებული ძალადობის წინააღმდეგ!

## ძალიან ძნელია, დღეს რაიმე კონკრეტულის თქმა გაბედოს ადამიანმა...



– არ იყო გიორგი იმ ტიპის ჟურნალისტი, არ ქმნიდა იმ იმიჯს, რომ ვიღაცას მისი დასჯა ან მონდომებოდა, ან მისი დასჯა ქცეულიყო ურჩი ჟურნალისტისთვის გამოტანილ განაჩენად. გიორგი ახერხებდა სიმართლის ისე თქმას, რომ არავისთვის მისი სიტყვა მტკივნეული არ ყოფილიყო; გვ.3

– მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი რამ არ მომწონს ამ ქვეყანაში, მაინც ბრალდება იმისა, რომ ეს შეიძლება იყოს ხელისუფლების აქცია, ვფიქრობ, ითხოვს უფრო დამაჯერებელ არგუმენტებს.

## კახეთის სისხლიანი შეტაკების დეტალები

„ხუთი წელიწადი ომში გავატარე, ბერლინამდე მტერს ვდიე და ავტომატის კაკანი აბა, როგორ გამიკვირდებოდა, მაგრამ ეგეთი რამე ფრონტზეც არ მინახავს...“ გვ.8

## ქართველების საყვარელი მომღერლები: გვ.31

ლუჩანო პავაროტი, ჰამლეტ გონაშვილი, ნანი ბრეგვაძე

## პარტიზანები სკოლების გადაწვით იმუქრებიან



გვ.8

– პირველ სექტემბერს ველოდებით... და მერე გადავწვავთ იმ სკოლებს, სადაც ქართველების არაქართველებად გაზრდას განიზრახავენ...

## გადავრჩებით, მა, არ გადავრჩებით!

მთავარია, ომი არ იყოს და ბოლმამ და შურმა არ დაგვახრჩოს... გვ.8

ცოტა ხელი გააქნიეთ სუყველამ, ხელი. ლაქლაქსა და ჭორაობას თავი დაანებეთ.

ქეიფი და დროს ტარება განა მე მეშლება, მაგრამ ჯერ უნდა მაიყვანო პურ-ღვინო და მერმე მაილხინო. თუ შნო არა გაქ, სტუმრად მაინც უნდა ივარგო, კეთილი იყო. 2 აგვისტოს მოსავლის ზეიმი გვაქ. ვისაც მეგესვლებათ, მოდით, რამდენიც გინდა, იმდენი ჩამოდით...

## „მოქალაქეობა“ – მისამართი, „ეროვნება“ – ვინაობა

### (იადონი და სახედარი ერთ გუნდში ვერ იმღერებენ)

– ხალხის დახარისხება ჩვენ კი არ გვინდა, ღმერთმა დაახარისხა...

– მიამიტებს სჯერათ, თითქოს ამერიკაში იდეოლოგია არ არის...

– სად არის მუხრან მაჭავარიანი?! იგი არასოდეს ყოფილა მოქალაქეობრივად პასიური... გვ.15

## პრემიერ-მინისტრი იქნება „საქალანდო ღორი“

ქორიძე თუ არ მოიშლის ლაქლაქს, კიდევ გაილახება... გვ.6

... პრიმიტიული ჭორიკანა ყოფილა, ენის ტლიკინის გამო, ერთხელ 50 კაცის წინაშე გრაფინი შევალეწე სახეში...

... თვითონ კახელებმა მთხოვეს რალაც, თორემ არ წამოვიდოდი პანკისიდან...

*ირაკლი წერეთელი*

## სავარაუდოდ, იმ ღამეს გიორგისთან სახლში ორი პიროვნება მივიდა

გვ.10

გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო, როცა სარწმუნო წყარომ შსს-დან ამ საზარელი მკვლელობის ახალი ვერსია შემოგვთავაზა:

...გიორგი სანაიას შინ დაბრუნების შემდეგ, გამთენიისას, ერთ-ერთი მოწმის თქმით, მისი ბინიდან ხმამაღალი ლაპარაკის ხმა ისმოდა, სავარაუდოდ, სამი მამაკაცისა...

მოსულები, უფრო ნაცნობები იყვნენ... რაღაცაზე ცხარედ კამათობდნენ... რამდენიმე წუთის შემდეგ გაისმა არაბუნებრივი ბრახუნის ხმა... დაბოლოს – კარის ფრთხილი დაკეტვისა და ორი ადამიანის ფრთხილი ნაბიჯების ხმაც...

კიდევ ერთი: გიორგის მანქანაში, მძღოლის გვერდით, სკამქვეშ მიკვლეულია უცნაური ფორმის გველისგამოსახულებიანი ჩიბუხი, რომელიც გიორგის მეუღლემ ვერ ამოიცნო.

ვიმედოვნებთ, რომ ქართველი სამართალდამცავები და მათი ამერიკელი კოლეგები კიდევ მრავალ სამხილს აღმოაჩენენ და უახლოეს მომავალში გახსნიან საქმეს.

## სახედრო თემაზე: გვ.9

## კიდევ ერთხელ პანკისის ხეობაზე...

თუ დროთა განმავლობაში არ „ჩაცხრა“ ეს ხეობა, მას ნელ-ნელა სხვა რაიონებიც შეუერთდება და მთლიანად უგულებელყოფილი იქნება ქვეყნის სახელმწიფო ინტერესები...

## სპორტი: გვ.28

## ყელში ამომივიდა ამდენი ტყუილი!..

სიდნეის ოლიმპიადაზე პირველი ქართული მედლის მფლობელმა, გიორგი ვაზაგაშვილმა ალალად თქვა თავისი სათქმელი.

## ულამაზესი საქართველოს უმდიდრესი მოსახლეობა... გვ.6



## თქვენთვის, ქალბატონებო!

სოსო და თამრიკო თანაკლასელები იყვნენ... მათ დღესაც უყვართ ერთმანეთი... ოღონდ ახლა თამრიკო სტამბოლში 68 წლის აღა მანსურის ცოლია... გვ.19


Computron

IBM - Compaq - HP - Dell - Unisys-Toshiba

Desktop NoteBook

99 $ -დან კომპლექტი

კომპიუტერები

მის: ქ. თბილისი, ფიროსმანის ქ. №23

☎94-28-33


Focus · Неделя · Коммандос · Частная жизнь · Телохранитель · За рубежом · Московские новости · Newsweek · Общая газета · Der Spiegel · Комсомольская правда · МК Бульвар · Stern · Новые известия · Известия · Эхо планеты · Труд · Совершенно секретно · Аргументы и факты · Иностранец · Le Figaro Magazine · Match · ТВ парк · Лица · Огонёк · Итоги · Le Nouvel Observateur · Daily

## ვითხოვთ, უმსხვერპლო მართალ სიტყვას!

## იმ დღეს მთელი საქართველო გაოგნდა

26 ივლისს, გამთენიისას, სანზონაში საკუთარ ბინაში მოკლეს ტელეკომპანია „რუსთავი-2"-ის პროგრამა „ღამის კურიერის" წამყვანი და პოპულარული ჟურნალისტი გიორგი სანაია. გამოძიება უამრავ ვერსიას ამუშავებს, რომელთა შორის განსაკუთრებით ფიგურირებს მკვლელობის პოლიტიკური მოტივი. ვერსია არც პრეზიდენტმა შევარდნაძემ გამორიცხა... ჟურნალისტთა კორპუსი და საზოგადოება კი ერთხმად აცხადებს, რომ მკვლელობა ქვეყანაში მძვინვარე განუკითხაობის შედეგია.

პრეზიდენტ შევარდნაძესთან შეხვედრისას საქართველოში აშშ-ის ელჩის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გამოძიებაში ჩაერთვებიან აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს კრიმინალისტ-ექსპერტები, რომლებიც უკვე ჩამოვიდნენ თბილისში... (ვრცლად იხ. გვ. 5-9).

## ჟვანია განრისხდა...

გასული კვირა „ღირსშესანიშნავი" გამოდგა იმით, რომ პარლამენტის თავმჯდომარე აშკარად დაუპირისპირდა პრეზიდენტ შევარდნაძეს. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ჟვანიას და უმრავლესობის გვერდის ავლით აღმასრულებელი ხელისუფლების რეგიონალური პოლიტიკისა და მართვის სამსახურის უფროსმა ბადრი ხატიძემ ოპოზიციასთან შეხვედრისას მიიღო შეთანხმება ქალაქებისა და რაიონების საკრებულოების შემადგენლობის გაზრდისა და გამგებლების დანიშვნის შესახებ, რასაც დაეთანხმა პრეზიდენტიც. ამით აღშფოთებულმა ჟვანიამ განაცხადა, რომ იგი უმრავლესობის მხარდაჭერით მოითხოვს მერების და გამგებლების პირდაპირი წესით არჩევას. ჟვანიას თქმით, უმრავლესობა მიმართავს პრეზიდენტს თხოვნით, რომ ბადრი ხატიძის (პრეზიდენტის) დაკავებული და მანდატით მიღწეული შეთანხმებები ოპოზიციასთან შეთანხმებად არ ჩაითვალოს. ჟვანიას თქმით, უმრავლესობა მომავალში პრეზიდენტის ბადრი ხატიძის (პრეზიდენტის) მიერ ოპოზიციასთან მიღწეული შეთანხმების შესრულებას არ დაუჭერს მხარს და ოპოზიციის მიერ მოთხოვნილი შეთანხმებებს შეცვლის, მაშინ, ჟვანიას თქმით, პრეზიდენტმა გაბედულად უნდა შეიცვალოს პარლამენტთან ურთიერთობა, რაც გულისხმობს მერების და გამგებლების დანიშვნას და შემდეგ ჩვენც, უმრავლესობამ „საგულდაგულო პარამენებისა და სისხარულის" შევძლებთ ჩვენი პატარა ნაწილი ამ კანონპროექტის მიღებაში...

ჟვანიამ ხატიძის შეთანხმება ოპოზიციასთან შეაფასა, როგორც უმრავლესობისთვის ხრული პასუხისმგებლობის დაკისრების მცდელობა...

## დაველოდოთ აბაშიძის ჩამოსვლას...

ამასობაში კი პეკინიდან პრეზიდენტს დაუკავშირდა ჩინეთში ვიზიტით მყოფი ასლან აბაშიძე და სთხოვა რიგგარეშე სესიის 1-ელ აგვისტომდე გადადება. აბაშიძის თქმით, საქართველოში ჩამოსვლისთანავე ის უშუალო კონსულტაციებს გამართავს პრეზიდენტსა და სხვა შესაბამის სტრუქტურებთან. პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ კი ისინი, თავის მხრივ, პარლამენტის თავმჯდომარეს შეხვდებიან. უფრო კონკრეტულად კი ხატიძემ მოითხოვა, რომ კონსულტაციები ამ ეტაპზე ჩატარდეს მხოლოდ პრეზიდენტსა და ოპოზიციას შორის და ამის შემდეგ დაიწყოს სესია. პრეზიდენტმა გაითვალისწინა და 26 ივლისისთვის დაგეგმილი სხდომა ოფიციალურად აღარ დანიშნა.

იმავდროულად ცნობილი შეიქნა ერთი ფაქტიც, რაც ჟვანიას ზემოხსენებული რისხვის მიზეზი გამხდარა: პრეზიდენტი ოფიციალურად დაეთანხმა ხატიძეს და ოპოზიციას შორის მიღწეულ შეთანხმებას საკრებულოებისათვის მერების და გამგებლების დანიშვნის შესახებ, რამაც დაადასტურა, რომ ხატიძე იმოქმედა თუ არა შევარდნაძის მანდატით და მითითებით მოქმედებდა ოპოზიციასთან მოლაპარაკებისას.

## ფალსიფიკატორებმა ვენახები გაანადგურეს(!)

კახეთის სამხარეო პროკურატურამ დაიწყო იმ პირთა საქმეების გამოძიება, რომლებიც რეგიონში ფალსიფიცირებული შხამქიმიკატებით შეიტანეს, რის შედეგადაც 1500 ჰექტარზე მეტი ფართობის ვენახი პირწმინდად განადგურდა. შხამქიმიკატების უვარგისობის შესახებ დასკვნა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალურ კომისიამ სიღნაღის რაიონში აღებული ნიმუშების გამოკვლევის საფუძველზე გამოიტანა. მოვლით, რომ ფალსიფიკატორებს სერიოზულ პასუხისმგებლობას დააკისრებენ.

კახეთში კი უკვე მოითხოვენ, რომ რეგიონის რაიონებში ოფიციალურად გაიხსნას შხამქიმიკატების სპეციალური მაღაზიები, სადაც სტანდარტული და ვარგისი შხამქიმიკატების გაიყიდება ხელმისაწვდომ ფასებში და გლეხები გადაურჩებიან იმ უბედურებას, რაც ფალსიფიცირებული შხამქიმიკატების გამოყენების შედეგად დაატყდათ თავს, როცა ყურძნის მოსავლის ნაცვლად, ვენახები კი გაუპარტახდათ...

## ალიანსი საპნის ბუშტივით გასკდა

საპარლამენტო არჩევნების წინ დიდი რიხით და რეკლამებით შექმნილი ეროვნულ-დემოკრატიული და რესპუბლიკელთა ალიანსი (ე.წ. „მესამე გზა") საპნის ბუშტივით გასკდა. ფეთვი ბერძენიშვილის და ილიაშვი ხაინდრავას განცხადებით, ამის მიზეზი გახდა ედპ-ის ლიდერის, ირინა სარიშვილი-ჭანტურიას ამასწინანდელი ვიზიტი ბათუმში, სადაც იგი ასლან აბაშიძეს შეხვდა და დაამატებით დღეს მოუღლეს. რესპუბლიკელებმა პარტნიორ პოლიტიკურ ლიდერს ეს ნაბიჯი მიუღებლად ჩაუთვალეს და მასმედიის საშუალებით ქვეყანას ამცნეს ალიანსის დაშლის შესახებ. ედპ-ში დაგმეს რესპუბლიკელთა ქმედება, რომლებმაც ედპ-ს ფაქტობრივად, მასმედიის საშუალებით გააგებინეს თავიანთი განზრახვის შესახებ და იმის ღირსადაც არ ჩათვალეს პოლიტიკური პარტნიორები, რომ წინასწარ შეხვედროდნენ სასაუბროდ ან შეეტყობინებინათ მაინც.

თავის მხრივ, რესპუბლიკელები აცხადებენ, რომ ედპ-ის ლიდერს სწორედ „აღორძინების" მხარდაჭერის იმედის მოპოვება სურდა ასლან აბაშიძესთან დაახლოებითო, რასაც უარყოფენ ედპ-ში.

## დაპირისპირება განახლდა

ახალი ძალით განახლდა დაპირისპირება ამჯერად საოლქო სასამართლოში „მხედრიონის" ლიდერსა და იუსტიციის სამინისტროს შორის. როგორც ცნობილია, მიშა სააკაშვილის უწყებამ „მხედრიონს", როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის რეგისტრაციაზე უარი განუცხადა. სააკაშვილის უარის მთავარი არგუმენტი „მხედრიონისა" და მისი ლიდერების წარსულია. ჯაბა იოსელიანი კი კვლავ კატეგორიულად მოითხოვს იუსტიციის მინისტრის ბრძანებულების გაუქმებას და ათ დღეში „მხედრიონის" რეგისტრაციაში გატარებას.

სასამართლოს სხდომაზე იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელმა დამატებით მტკიცებულებებად წარმოადგინა „მხედრიონის" ლიდერების მიმართ უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენები. პროცესი 26 სექტემბრამდე გადაიდო.

## „აირზენას" მოუგეს

„საქართველოს ავიახაზებმა" კონკურენტ ავიაკომპანია „აირზენას" სასამართლო პროცესი მოუგო, სადაც აღნიშნული ავიაკომპანიების ხელმძღვანელები ერთმანეთს უჩიოდნენ და ცილისწამებასა და შეურაცხყოფაში სდებდნენ ერთმანეთს ბრალს. საოლქო სასამართლომ „აირზენას" 500 ათასი ლარის გადახდა დააკისრა „საქართველოს ავიახაზების" სასარგებლოდ და მორალური ზიანის საკომპენსაციოდ. „აირზენა" დაიმუქრა, რომ „ავიახაზებს" კაპიკსაც არ გადაუხდის და განაჩენს უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრებს. საქმე ის არის, რომ ორ კონკურენტ ავიაკომპანიას შორის ურთიერთობა განსაკუთრებით მას შემდეგ დაიძაბა, რაც „ავიახაზების" ადვოკატთა მტკიცებით, ქართულ მასმედიაში „აირზენას" ხელმძღვანელობამ „საქართველოს ავიახაზების" საქმიანი რეპუტაციისა და სახელის შებღალვას მიჰყო ხელი. მეტიც, ადვოკატთა თქმით, „აირზენამ" მსგავსი ინფორმაცია ინტერნეტითაც გაავრცელა...

საინტერესოა, რომ „აირზენამ" „ავიახაზების" წინააღმდეგ შესაგებებელი სარჩელი წარადგინა პროცესზე, სადაც უკვე „საქართველოს ავიახაზებს" ადანაშაულებდა ცილისწამებასა და შეურაცხყოფაში და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 1 მლნ ლარს მოითხოვდა, მაგრამ სასამართლომ სარჩელი წარმოებაში არ მიიღო მასში არსებული ხარვეზების გამო, თუმცა „აირზენას" უფლება მიეცა რამდენიმე დღეში კვლავ შეიტანოს აღნიშნული სარჩელი სასამართლოში.

## „შეიძლება ცოტა მეტიც იყოს..."

მთავრობის სხდომაზე სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების მოშველიებით, მინისტრებმა პრეზიდენტს წარუდგინეს „შთამბეჭდავი" პატაკი, სადაც კვლავ ერთმნიშვნელოვნად დააფიქსირეს ქართული ეკონომიკის აღმავლობის აშკარა ნიშნები(!). კერძოდ, მინისტრთა მტკიცებით, 2001 წლის პირველ ნახევარში საქართველოს ეკონომიკის 14%-იანი ზრდაა დაფიქსირებული(!). სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი 30-40%-ს შეადგენს, რაშიც თვით პრეზიდენტსაც შეეპარა ეჭვი და ბრძანა — „შეიძლება ცოტა მეტიც არისო..." ხოლო ეს რომ მართლაც ასეა, ამას მოწმობს კვლავაც აულაგმავი კონტრაბანდა, არალეგალური შემოსავლები, რისი პირდაპირი შედეგიცაა გარღვეული ბიუჯეტის მაჩვენებლები და გაუცემელი ხელფასები თუ პენსიები...

სავალუტო ფონდის მისიამ კი კვირის ბოლოს ოფიციალურად განაცხადა, რომ 2001 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ოთხი თვის საბიუჯეტო გარღვევის ოდენობით უნდა შემცირდეს, მაგრამ ეს შემცირება არ უნდა შეეხოს დაცულ მუხლებს — ხელფასებს, დევნილების დახმარებებს, პენსიებს.

## „სამიზნეები" მინისტრები და ხელმძღვანელები არიან

ანტიკორუფციული „თორმეტკაცას" ხელმძღვანელი მირიან გოგიაშვილი ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრი გახდა. იმავდროულად, პრეზიდენტმა შევარდნაძემ ხელი მოაწერა ბრძანებულებას „მეორე რიგის ანტიკორუფციული ღონისძიებების განხორციელების დაწყების შესახებ". ამ ბრძანებულების მთავარი „სამიზნეები" ძალოვანი მინისტრები და ეკონომიკური გუნდის ხელმძღვანელი პირები და მათი უწყებები არიან! ბრძანებულების შესრულების გაკონტროლება ანტიკორუფციულ საბჭოს დაევალა, რომელმაც 2001 წლის 15 დეკემბრამდე პრეზიდენტს მაგიდაზე უნდა დაუდოს იმ თანამდებობის პირთა სია, რომლებმაც მათზე დაკისრებული მოვალეობა კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით არ შეასრულეს.

## მკალავიშვილი 20.000 ლარს ითხოვს

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლოში გაიმართა მოსამზადებელი სხდომა, სადაც ბასილ მკალავიშვილი გაზეთ „რეზონანსს" ანტიმართლმადიდებლური სტატიებისა და შეურაცხყოფისთვის უჩივის და მორალური კომპენსაციის სახით 20 ათასი ლარის გადახდასა და მობოდიშებას ითხოვს გაზეთისგან. მკალავიშვილი იმუქრება, რომ თუ სასამართლო სარჩელს არ დააკმაყოფილებს, იგი და მისი მრევლი თვითონვე დახურავენ გაზეთს(!).

„რეზონანსის" ხელმძღვანელობა კი საპირისპიროს ამტკიცებს და აცხადებს, რომ თავად მკალავიშვილი აყენებდა გაზეთს შეურაცხყოფას, ანტიქრისტეებსა და სატანებს უწოდებდა გაზეთის თანამშრომლებს და ბოლოს მთელი კოლექტივი გადასცა ანათემას.

## მოტყუებულმა მძღოლმა ფეხები დაიჭედა

ქალაქის ტრანსპორტზე ხელშეკრულებით მომუშავე მძღოლებმა, რომლებისთვისაც სახელმწიფოს ბინები უნდა მიეცა, განაახლეს საპროტესტო აქციები და ისეთ უკიდურეს ზომებსაც მიმართეს, როგორიცაა... პირის ამოკერვა. ერთ-ერთმა მათგანმა, უფულოდ და უბინაოდ დარჩენილმა მძღოლმა იური ნანავამ თბილტრანსის შენობის წინ ფიცარზე ლურსმნებით... ფეხებიც კი დაიჭედა(!). იგი მოითხოვს, რომ თუ სახელმწიფო არ დააკმაყოფილებს ხელშეკრულებით ნაკისრი ოთხოთახიანი ბინით, მაშინ ამ ბინის საფასური თანხა მაინც გადაუხადოს მოტყუებულ მძღოლს. დანარჩენი მძღოლებიც აცხადებენ, რომ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, ისინი პარლამენტისა და კანცელარიის წინ გამართავენ მსგავს აქციებს და თავებსაც დაიწვავენ...

## კოდექსში ცვლილებები შეიტანეს

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებები შევიდა, რომლის საფუძველზეც გამოძიება ვალდებულია პირველივე დაკითხვის შემდეგ ეჭვმიტანილს გააცნოს მის წინააღმდეგ მოპოვებული მამხილებელი მასალა. ამასთან, ეჭვმიტანილს უფლება მიეცა ნებისმიერ დროს მოითხოვოს ექსპერტიზა. არ შეიძლება მოწმის დაკითხვა ადვოკატის გარეშეც. ამ ცვლილებების უმთავრესი მიზეზი ადვოკატთა თქმით, გახდა ის, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფ პირთა 99% კანონის დარღვევითაა დაკავებული და რომ გამოძიება უმეტესწილად განზრახ უშვებს ამ „შეცდომებს" ეჭვმიტანილისათვის ფულის გამოძალვის მიზნით.

## „თბილგაზის" შექმნა ორ დიდ კომპანიას სურს

„თბილგაზის" გაჭიანურებულ ტენდერში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს გაზის დისტრიბუციაში უაღრესად გამოცდილმა ისრაელისა და აშშ-ის ფირმებმა, რომლის ხელმძღვანელებიც საგანგებო ვიზიტით ეწვივნენ საქართველოს, შეხვდნენ პრეზიდენტ შევარდნაძეს და განუცხადეს, რომ „თბილგაზის" შესაძენად ეს ორი კომპანია ერთობლივ ფირმას შექმნის! გაირკვა ისიც, რომ „თბილგაზის" პრივატიზებისთვის ტენდერი აგვისტოში გაიმართება. ტენდერში მონაწილე კომპანიები უნდა აკმაყოფილებდნენ სამ უმთავრეს პირობას: გაზის სექტორის რეაბილიტაცია თბილისში; აღრიცხვიანობის მოწესრიგება; გაზის სტაბილურად მიწოდების უზრუნველყოფა. პრეზიდენტთან შეხვედრისას ითქვა, რომ ქართული მხარე ყველაფერს გააკეთებს „თბილგაზის" რაც შეიძლება სწრაფად პრივატიზებისთვის, რათა თბილისი ზამთარს უპრობლემოდ შეხვდეს.

## დეიკალო საპასუხო დარტყმისთვის მოემზადა

საქგაზის გენერალურმა დირექტორმა დეიკალომ, ავისმომასწავებლად გვაუწყა, რომ თუ „თბილგაზი" 1-ელ აგვისტომდე არ გადაუხდის საქგაზს 715 ათას ლარს, თბილისს გაზის მიწოდება შეუწყდება. ამასთან, დეიკალომ ისიც თქვა, რომ მიუხედავად დაპირებისა, ფინანსთა სამინისტროს დღემდე არ დაუფარავს დუშეთისა და ყაზბეგისთვის საქგაზის მიერ მიწოდებული გაზის სამმილიონიანი დავალიანება და თუ ასე გაგრძელდა, ეს რაიონები ზამთარში გაზის გარეშე დარჩებიან.

## „საუკუნის პროექტზე" ხელის მოწერა გადაიდო

27 ივლისს ბაქოში ჰეიდარ ალიევსა და ედუარდ შევარდნაძეს ხელი უნდა მოეწერათ მორიგი „საუკუნის პროექტის" ბაქო-თბილისი-არზრუმის გაზსადენის მშენებლობის დოკუმენტზე. პროექტის თანახმად, შაჰ-დენიზის გაზის საბადოდან 30 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი ბაქოდან ევროპისკენ დინებას 2004 წლიდან დაიწყებს. საქართველო კი ტრანზიტის საფასურად ქვეყნისთვის საჭირო რაოდენობის ბუნებრივ აირს და 3 მილიარდ 900 მილიონ დოლარს მიიღებს... პრეზიდენტმა შევარდნაძემ გიორგი სანაიას მკვლელობასთან დაკავშირებით გადადო ბაქოში ჩასვლა და სავარაუდოდ, აღნიშნულ დოკუმენტზე აზერბაიჯანისა და საქართველოს პრეზიდენტები მიმდინარე კვირის ბოლოს მოაწერენ ხელს.

## სად მიდიოდა გამდიდრებული ურანი?!

აჭარის უშიშროების სამსახურმა ბათუმში დააკავა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოფიცერი შოთა მგელაძე, რომელიც ქვეყნის ფარგლებს გარეთ... ურანის გატანას ცდილობდა. ბათუმელ ვინმე ჯაიანთან ერთად ოფიცერს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა მიუსაჯეს. ურანი კი საქართველოს ფიზიკის ინსტიტუტში გადაიტანეს გამოსაკვლევად. ფიზიკოსთა დასკვნით, ამოღებული ურანი ატომური ელექტროსადგურისთვის არის განკუთვნილი. ამოღებული ურანი წონით ერთი კილოგრამი და 800 გრამია. ეს არის მესამე შემთხვევა, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე გამდიდრებული ურანი დააკავეს და ეს მაშინ, როცა ჩვენს ქვეყანაში გამდიდრებული ურანის წარმოება და გამოყენება არ ხდება. ურანის კონტრაბანდისტები, ძირითადად, სამხედროები არიან. გამოძიება ახლა ადგენს, თუ სად, რა მიზნით და ვისგან შეიძინეს ურანი მგელაძემ და ჯაიანმა, რომელ ქვეყანაში აპირებდნენ მის გატანას!

## დასავლურ სამყაროსთან კავშირის დასტური

ანყურში უძველეს სამარხში მიმდინარე არქეოლოგიური გათხრებისას აღმოაჩინეს ოქროს პატარა დისკო, რომელიც 3700 წლის წინანდელი პერიოდით თარიღდება და არქეოლოგთა მტკიცებით, ადასტურებს დასავლურ სამყაროსთან საქართველოს უძველესი კავშირების არსებობას. არქეოლოგ ვახტანგ ლიჩელის თქმით, მსგავსი დისკოები უჩვეულოა კავკასიისთვის და ის უფრო დასავლური სამყაროსთვისაა დამახასიათებელი. ამიტომ მისი აღმოჩენა საქართველოში უმნიშვნელოვანესი ფაქტია დასავლურ სამყაროსთან ჩვენი ქვეყნის ისტორიული ურთიერთობის თვალსაზრისით.

## ირანში პრეზიდენტის ინაუგურაცია ჩატარდება




2 აგვისტოს, თეირანში მეორე ოთხწლიანი ვადით არჩეული პრეზიდენტის — მოჰამედ ხათემის ინაუგურაცია გაიმართება, რომელსაც ქვეყნის უზენაესი სულიერი ლიდერი აიათოლა ალი ჰამენეი გაუძღვება. სამი დღის შემდეგ პრეზიდენტი ხათემი ირანის მეჯლისში (პარლამენტში) დადებს ფიცს და ორი კვირა მიეცემა ახალი მთავრობის ჩამოსაყალიბებლად, რომელშიც მოელიან, რომ ძირითად პოსტებს ხათემის მომხრე რეფორმატორები დაიკავებენ. შეგახსენებთ, რომ ხათემიმ არჩევნებში ხმათა 77% მიიღო!

## კვიცი გვარზე ხტის...

მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება ჩრდილოეთ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერი კიმ ჩენ ირი, რომელმაც მოსკოვში ჩასვლამდე მთელი რუსეთის ტერიტორია გაიარა... მატარებლით. საქმე ის არის, რომ კიმ ჩენ ირს პანიკურად ეშინია თვითმფრინავით მგზავრობისა (არასოდეს მჯდარა თვითმფრინავში) და ამიტომ ვლადივოსტოკიდან მოსკოვისკენ საგანგებო დაჯავშნული ვაგონით გაემართა. გზადაგზა ბელადს პომპეზურ შეხვედრებს უწყობდნენ, იმართებოდა სახელდახელო მინი-შეხვედრა-მიტინგები... რაც შეეხება ვიზიტის ოფიციალურ მხარეს, პუტინი და კიმ ჩენ ირი 4-5 აგვისტოს ხელს მოაწერენ ერთობლივ დეკლარაციას და იმსჯელებენ სტრატეგიული სტაბილურობის პრობლემებზეც... ვიზიტის დასრულების შემდეგ კიმ ჩენ ირს კვლავ მოუწევს მთელი რუსეთის მატარებლით გავლა სამშობლოში დასაბრუნებლად. პოლიტოლოგები ხუმრობენ, თავისი ხანგრძლივობით ეს ვიზიტი შეიძლება გინესის რეკორდების წიგნშიც მოხვდესო... სხვათა შორის, თავის დროზე კიმ ჩენ ირის მამა ასეთივე გზით ჩავიდა მოსკოვში.

## მსოფლიოში სტიქია მძვინვარებს

გასულ კვირას სტიქიურმა უბედურებებმა შეძრა ბევრი ქვეყანა და ქალაქი. ძლიერი მიწისძვრები მოხდა საბერძნეთსა და ჩინეთში; ხოლო ფილიპინებსა და სიცილიაში ვულკანებმა გაიღვიძეს. მოსკოვში ხუთი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა ამოვარდნილმა უძლიერესმა გრიგალმა და ქალაქსაც დიდი ზარალი მიაყენა. შემაშფოთებელი ცნობები მოდის პოლონეთიდანაც, სადაც ქალაქ კრაკოვის მოსახლეობა ჯებირებს ამაგრებს მდინარე ვისლის ადიდების შედეგად მსხვერპლისა და მატერიალური ზარალის გაზრდის თავიდან ასაცილებლად. წყალდიდობამ უკვე იმსხვერპლა 10 ადამიანის სიცოცხლე.

## ბასკი ტერორისტების მსხვერპლი

29 ივლისს მადრიდის საავადმყოფოში გარდაიცვალა ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს გენერალი ორეხა მედრასა, რომელიც 28 ივლისს ააფეთქეს ბასკმა სეპარატისტებმა.

# მკვლელი ამ შემთხვევაში მართლაც ყველანი ვართ...

## ბანანისა და ტყემლის რესპუბლიკის „რეგალიებს“ დაემატა „გიორგი სანაიას მკვლელი რესპუბლიკის“ სამარცხვინო სახელიც!

*„ბევრი, ვისაც არა ეკითხება რა და არც შეჰფერის, მართვა-გამგეობისთვის იწუხებს თავს. ქვემოდან ვხედავთ ახალგაზრდა ადამიანთა ცდუნებას, გავლენა მოახდინონ სახელმწიფოს უმაღლეს საქმეებზე, ხოლო ზემოდან ვამჩნევთ მიდრეკილებას, სისუსტისა და გადაჭარბებული ლიბერალობის გამო, უფრო მეტად დაუთმონ მათ, ვიდრე ეს მართებულია. ასე რომ, ბოლოს კაცმა აღარ იცის, ამ ლიტონ სურვილთაგან რომელი უნდა დაკმაყოფილდეს. მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გაძლებს. იძულებულნი გახდებიან ეს არეული და ზოგჯერ წყეული ქვეყანა წესრიგსა და მორჩილებაში იყოლიონ. აუცილებელია კანონის მთელი სიმკაცრით დაცვა. განა მეტისმეტ სილბოს არ იჩენენ დამნაშავეთა შერაცხადობის საკითხში, როდესაც ექიმთა დასკვნებით ხშირად ბოროტმოქმედს სასჯელს მოუხსნიან ხოლმე?! საჭიროა ხასიათის სიმტკიცის გამოჩენა... ეს ჯონი კი მოხიხინე ცხვრის თავია, ოფიციალური იქნება, თუ ოპოზიციური, მთავრობის მომხრე თუ მოწინააღმდეგე, მაგისთვის სულ ერთია — თანაც ფიქრობს, რომ მისი მოსულელო სულის გადატრიალება თითქოს რაღაც ამაღელვებელი მოვლენა იყოს...“*

*თომას მანი*

გიორგი სანაიას მკვლელობამ საბოლოოდ დამარწმუნა, რომ ეს მართლაც არეული ქვეყანა და მისი საზოგადოება, ასეთი ყოფით დიდხანს ველარ გაატანს და გაძლებს. ასეთი ფინალი მით უფრო გვემუქრება, სანამ ლაგამს და ალიკაპს არ ამოვდებთ ხელისუფლებასა და პარლამენტში ჩაკირულ „მოხიხინე ცხვრის თავებს“, რომელთა ნრეგადასული ამბიციებისა და სიხარბის გამოისობითაც მივედით აქამდე... ბანანის რესპუბლიკა, არშემდგარი სახელმწიფო, ტყემლის რესპუბლიკა, კორუფციაზე მდგარი ხელისუფლება და საზოგადოება, ულატაკესი ქვეყანა, ქურდებისა და მაფიოზური კლანების სათარეშო ტერიტორია... აი, მოკლე ჩამონათვალი იმ შეფასებებისა, რომელიც თავისუფალ მედიაში გამუდმებით მუსირებდა და რომელსაც ყურებში ატარებდა ამ სისტემის შემქმნელი ე.წ. პოლიტიკური ელიტა... სწორედ გულგრილობამ და დაუსჯელობის სინდრომმა მოიტანა ის, რომ ჩვენი ქვეყნის მისამართით გამოთქმულ ზემოთ ჩამოთვლილ „რეგალიებს“ დაემატა „გიორგი სანაიას მკვლელი რესპუბლიკის“ საშვილიშვილოდ სამარცხვინო სახელიც! ვესაუბრები ფსიქოლოგსა და პოლიტოლოგს **რამაზ საყვარელიძეს:**

— ალბათ, ძნელია რაიმე დაამატო პოზიციას, რომ მკვლელი ამ შემთხვევაში მართლაც ყველანი ვართ. იმ ინდიფერენტულობასა თუ მოუწესრიგებლობაში, რომელიც ჩვენ გარშემოა გამეფებული და რომელსაც ვაძლევთ უფლებას და საშუალებას ბოგინისთვის, ამ მხრივაც ყველანი მეტ-ნაკლებად დამნაშავენი ვართ. სახელმწიფოს, რომელსაც არ შეუძლია იმის უზრუნველყოფა, რომ ასეთი დიდი დანაშაულობების წინაშე უძლური არ იყოს მისი მოქალაქე, იმას სახელმწიფო, ჯერჯერობით, ვერ დაერქმევა. არ მსიამოვნებს, როცა ჯერ კიდევ გიორგის სული ტრიალებს და მაინც პოლიტიკური საკითხები ისმის, მაგრამ თუ რაიმეზე საფიქრალი და საზრუნავი გვაქვს, ალბათ იმაზე, რა არის გასაკეთებელი საიმისოდ, რომ მომავალი სანაიები, მომავალი ახალგაზრდები, მომავალი დღეები და ყველაფერი, რასაც საქართველოს მომავალი ჰქვია, დაცული იყოს იმ გლოვისაგან, რომელშიც დღეს აღმოვჩნდით... რაც შეეხება იმას, რამ მიგვიყვანა ამ გასროლამდე, უბრალოდ არ გავამარტივებდი სიტუაციას, რადგან აშკარაა, რომ არის ტენდენცია ვითარების გამარტივებისა, ანუ ხელისუფლებისკენ ხელის გაშვერა. თუ შექმნილ ვითარებაში მარტო კონკრეტულ ადამიანებს დავადანაშაულებთ, ეს იქნება მხოლოდ სანახევრო ბრალდება...

— **ამ კონკრეტულ ადამიანებში პოლიტიკოსებს გულისხმობთ?**

— დიახ, მაგრამ, ჩემი აზრით, ჩვენ უფრო რთული პრობლემების წინაშე ვდგავართ, კერძოდ, ჩვენ ყველანი მოუწყობელი სისტემის მსხვერპლნი ვართ და ამ სისტემის აშენება ისე, რომ ნორმალური გახდეს ამ ქვეყანაში ცხოვრება, უფრო ძნელია, ვიდრე კონკრეტული ადამიანების ქმედებაზე, მათს უვიცობასა თუ ცოდნაზე აქცენტის გადატანა. დიახ, უფრო რთული პრობლემების გადაჭრის წინაშე დგას სახელმწიფო, უფრო ბევრ სფეროში სჭირდება კომპეტენტურობა, ვიდრე ელემენტარული წესრიგის დაცვაა, რათა საზოგადოების კრიმინალიზაცია არ გასცდეს არსებულ ფარგლებს და იწყოს შემცირება მის აღმოფხვრამდე. სანამ მთელი ჩვენი ცხოვრების სტილი და წესი არ შეიცვლება, სანამ ეკონომიკა არ გაჯანსაღდება, რაიმე წინსვლასა და ვითარების გამოსწორებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

— **და აქ მთელ ქართულ საზოგადოებაში გამეფებული ნიჰილიზმის პრობლემა დგება, იმ გულგრილი საზოგადოებისა, რომელსაც, გიორგი სანაიას სიკვდილი დასჭირდა, რათა ხმა ამოეღო.**

— სწორედაც რომ ამ ნიჰილიზმის შედეგიცაა ეს ფაქტი, რადგან, როდესაც დამნაშავე დარწმუნებულია, რომ არა მარტო სამართალდამცავების, არამედ საზოგადოების მხრიდანაც დაუსჯელი დარჩება, ანუ არ მიეზღვება ჯეროვანი, ის ყოველთვის წავა ისეთ ამაზრზენ დანაშაულზეც და უფრო მეტზეც. ისტორიიდან გვახსოვს, საქართველოს სინამდვილეში სულაც არ იყო სამართალდამცავი სისტემა, მაგრამ საზოგადოებისა და მის მიერ შერისხვის ეშინოდა ადამიანს და იმიტომ იცავდა ზნეობრივ ნორმებს, ამიტომ დღეს ჩვენი პასუხისმგებლობაცაა იმაში, რაც ხდება. გარდა პასუხისმგებლობისა, დღევანდელი დღე მაინც კონკრეტული, კარგი ადამიანის ნასვლის დღეც არის. მართალი გითხრათ, ცოტა იმანაც შემაწუხა, რომ ეს ფაქტი ძალიან ხშირად გამოყენებულია მავანთა მიერ საკუთარი პოზიციის კვლავ გასაძლიერებლად და სასურველია, სწორედ ის იყოს ყურადღების ცენტრში, რაც დაიკარგა... დაიკარგა კი ჟურნალისტი, რომელსაც ყოველთვის შეეძლო ეპოვა ზღვარი პოლიტიკასა და ადამიანურობას შორის. ძალიან მწვავე პოლიტიკური დებატების დროსაც კი გიორგი ამ ადამიანურობას არ კარგავდა, რაც მისაბაძი თვისებაა ყველასთვის.

— **ბატონო რამაზ, უამრავი ვერსია გამოითქმება მკვლელობის მოტივის შესახებ პოლიტიკურის ჩათვლით და გვინდა თუ არ გვინდა, ამ თემაზე საუბარს მაინც ვერ გავექცევით. თქვენი აზრით, რასთან გვაქვს საქმე...**

— ძალიან ძნელია დღეს რაიმე კონკრეტულის თქმა გაბედოს ადამიანმა. რა თქმა უნდა, უამრავი საშინაო და საგარეო ინტერესის დასახელება და მოძებნაც შეიძლება, რომელსაც შეიძლება მივაწეროთ ეს მკვლელობა. უამრავი ფაქტი გვაქვს იმისა, რომ დაინტერესებულნი არიან საქართველოს იმიჯის შელახვით და იმაზე უფრო იოლი გზა ამ მიზნის მისაღწევად, როგორც პოპულარული ადამიანის, მით უმეტეს პოპულარული ჟურნალისტის მკვლელობაა, ვფიქრობ, ძნელია საიმისოდ სხვა ხერხის მოძებნა. რა თქმა უნდა, გამორიცხული არც ის არის, რომ ვიღაცას კარგად აქვს გათვლილი გიორგის მკვლელობის შემდგომი შესაძლო მოვლენების პერსპექტივა, მით უმეტეს, რომ საუბედუროდ ძალიან ხშირად სწორედ სხვათა გათვლების მიხედვით ვითარდება პროცესები. დღესაც, ალბათ გათვლაა, რომ გიორგის მკვლელობის გამო აგორებული აღშფოთების ტალღა სწორედ ხელისუფლების წინააღმდეგ აგორდებოდა. ეს ბუნებრივია, რადგან რომელ ქვეყანაშიც არ უნდა მოხდეს ასეთი მკვლელობა, პასუხისმგებლობა უწინარესად ხელისუფლებას ეკისრება. ამიტომ ამ პირობებში არ არის გამორიცხული, რომ შეიძლება აქ პოლიტიკური ინტერესიც იდოს. აქვე თავს ავარიდებდი ფართო მსჯელობას თემაზე, თითქოს ეს მკვლელობა თავისუფალი პრესის დაშინებისთვის განხორციელდა, რადგან არ იყო გიორგი იმ ტიპის ჟურნალისტი, არ ქმნიდა იმ იმიჯს, რომ ვიღაცას მისი დასჯა ან მონდომებოდა, ან მისი დასჯა ქცეულიყო ურჩი ჟურნალისტისთვის გამოტანილ განაჩენად. გიორგი ახერხებდა სიმართლის ისე თქმას, რომ არავისთვის მისი სიტყვა მტკივნეული არ ყოფილიყო. სიტყვაპასუხის თვალსაზრისით გაცილებით აგრესიული და მწვავე ჟურნალისტები საკმაოდ არიან ქართულ ჟურნალისტიკაში და თუ ვინმეს ჟურნალისტების დაშინება მოუნდებოდა, ღმერთმა დაგვიფაროს და დარწმუნებული ვარ, მათ წინააღმდეგ განხორციელებული ნებისმიერი ტერორი უფრო იქნებოდა თავისუფალი ჟურნალისტიკის დასჯის ილუსტრაცია, ვიდრე ისეთი მშვიდობიანი პიროვნების მოკვლა, რომელიც ჩიტს არააფრენდა. ამიტომ მეჩვენება, რომ არ ვიქნებით ახლოს ჭეშმარიტებასთან, თუ მაინცდამაინც ანგარიშსწორება დავინახეთ ამ ტერაქტში. კარგად გვახსოვს, რომ რუსეთმა ამ სამწუხარო პარამეტრში ბევრად გაგვასწრო, ჟურნალისტებისა და ჟურნალისტიკის წინააღმდეგ განხორციელებულ ტერორს ვგულისხმობ და ვიცით, რომ რუსული ტყვიის მსხვერპლი სწორედ ის ჟურნალისტები გახდნენ (ხოლოდოვი, ლისტევი...), ვისთანაც უშუალოდ იყო დაკავშირებული ესა თუ ის ფინანსური და პოლიტიკური პროცესები. გიორგი სანაიას ასეთი უშუალო შეხება პოლიტიკური ინტერესების მქონე თემებთან, არ ჰქონია იმ დონეზე, რომ იმავე ლოგიკით ვიმსჯელოთ მის სიკვდილზე, როგორი ლოგიკითაც ვლაპარაკობთ მოკლულ რუს ჟურნალისტებზე. მით უმეტეს, რომ გიორგის ფინანსურ ინტერესებთან საერთოდ არ ჰქონია საქმე... ამიტომ თუ დავაკვირდებით ამ ფაქტების სხვა დეტალებს და გავაანალიზებთ ვისკენ იყო მიმართული ტყვია, არ ჰგავს ეს მკვლელობა რუსულ შემთხვევებს. რუსეთში ტყვია მიმართული იყო იმათკენ, ვინც უშუალოდ მონაწილეობდა ამა თუ იმ პოლიტიკური პროცესის შემუშავებაში, აქ კი ასეთ მოვლენას ადგილი არა აქვს და მე ძალიან მიჭირს თავისუფლად მსჯელობა. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი რამ არ მომწონს ამ ქვეყანაში, მაინც ბრალდება იმისა, რომ ეს შეიძლება იყოს ხელისუფლების აქცია, ვფიქრობ, ითხოვს უფრო დამაჯერებელ არგუმენტებს. ამის გაკეთება ასე კონკრეტული ბრალდებით დაუშვებელია, რადგან შეიძლება ეს სწორედ ის ნაბიჯი გამოდგეს, რაზედაც არის კიდეც გათვლილი ეს დანაშაული მავანთა მიერ...



— **უბედურებაც ის არის, რომ არ არის ერთიანი ჩვენი საზოგადოება, არ არის ერთიანი ხელისუფლება, არეულ-დარეულია ქართული პოლიტიკური სპექტრი და ისტებლიშმენტი, უამრავი კლანის და დაჯგუფების ინტერესები უპირისპირდება ერთმანეთს. ამას ემატება გარედან მომდინარე საფრთხეები და ინტერესები და მართლაც ძნელია სავარაუდო, კონკრეტული ძალისკენ ხელის გაშვერა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ხელისუფლება ვერ გაექცევა პასუხისმგებლობას...**

— როგორც ჩანს, ასეთი საზარელი გაკვეთილების ხარჯზე უნდა ისწავლონ ადამიანებმა როგორ ქვეყანაში სურთ ცხოვრება და რა უნდა გააკეთონ საიმისოდ, რომ სახელმწიფოს ჰგავდე. მხოლოდ სამშობლოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, როგორც დავრწმუნდით, არ არის საკმარისი რომ ქვეყანა იყო. და კიდევ: გიორგი სანაიასთან, ისევე როგორც სხვა ჟურნალისტებთან, არაერთხელ მიმუშავია და აშკარად თვალში საცემი იყო შემდეგი: ავიღოთ ჩატარებული რამდენიმე არჩევნები, რომლის დროსაც, ეს ტელეკომპანია მიუხედავად სხვადასხვა კომერციული ინტერესებისა, ყოველთვის ახერხებდა, რომ არასოდეს არ დაეშვა სახელმწიფოს ინტერესების შელახვა და ლალატი. ასე რომ, სხვა ტელეარხებს ნამდვილად არ ვაყენებ ჩრდილს, მაგრამ არავისზე ნაკლები თავისი სახელმწიფოებრივი მიდგომებით საკითხებისა და თემებისადმი „რუსთავი-2“ არ ყოფილა.

ზნეობაც იდეოლოგიაა და როცა ზნეობა იკარგება, იქ, კარგი გაგებით მაღალი იდეოლოგიის კარგვასაც აქვს ადგილი და დღეს თუ რაიმეს დეფიციტი გვაქვს, გეთანხმებით, რომ უწინარესად ამ მაღალი ეროვნული იდეოლოგიის დეფიციტი გვაქვს, რითაც ადამიანი და ცხოველი განსხვავდება ერთმანეთისგან.

— **და აქ კვლავ მთელი სიმწვავით დგება ჩვენს საზოგადოებაში ნაციონალური იდეის არარსებობის პრობლემა, რომელიც თავიდათავია ჩვენს თავს დამტყდარი ყველა უბედურებისა ბოლო ათწლეულის მანძილზე და საუბედუროდ, არც რაიმე ნიშანია იმისა, რომ ეს იდეა კვლავ აღორძინდეს. ჰეგელის თქმისა არ იყოს, როგორც ჩანს, ჩვენთვის, ქართველებისთვისაც „მოკვდა ღმერთი, მოკვდა ჭეშმარიტება...“**

— „კვირის პალიტრის“ მკითხველს არ აკლია იმის გაცნობიერება და განცდა, რაოდენ საჭიროა ეროვნული იდეოლოგია. რა თქმა უნდა, ნაციონალური იდეის არარსებობის ერთ-ერთი სავალალო შედეგია ეს ტრაგიკული შემთხვევაც. ეს იმიტომ, რომ იდეოლოგია მხოლოდ ამა თუ იმ პოლიტიკის, ამა თუ იმ ხელისუფლების დაცვა ხომ არ არის? ზნეობაც იდეოლოგიაა და როცა ზნეობა იკარგება, იქ, კარგი გაგებით მაღალი იდეოლოგიის კარგვასაც აქვს ადგილი და დღეს თუ რაიმეს დეფიციტი გვაქვს, გეთანხმებით, რომ უწინარესად ამ მაღალი ეროვნული იდეოლოგიის დეფიციტი გვაქვს, რითაც ადამიანი და ცხოველი განსხვავდება ერთმანეთისგან. ამიტომ, ამიერიდან მაინც კარგად უნდა გავაკეთოთ თითოეულმა ჩვენგანმა ის, რაც ვიცით და ვხედავთ, რომ გასაკეთებელია. მისაბაძ მაგალითად კი გიორგი სანაიას ავირჩევდი, კაცს, რომელსაც შეეძლო ძალიან მწვავე, მაღალი პროფესიონალი ჟურნალისტიც ყოფილიყო და იმავდროულად, იმავე დიალოგში, იმავე ადამიანთან ურთიერთობებში იგრძნობოდა როგორ უყვარს მას თავისი მოსაუბრე, როგორც ადამიანი. მისი არაკონიუნქტურულობა, მისი ზნეობა და პროფესიონალიზმი არის მისაბაძი და შესაბამისად, გამოსავალიც. ჩვენ უბრალოდ შევეჩვიეთ ამ სიტყვებს და აღარ ვუგდებთ ხოლმე ყურს, არ ვაცნობიერებთ მათ მნიშვნელობას, მაგრამ ბევრი უბედურებაც სწორედ ამ თვისებების დეფიციტიდან მოგვდევს. შედეგად ხელისუფლებაც არის ისეთი, რაც საზოგადოებაა. ისევე როგორც თითოეული ჩვენგანი ადვილად ვტოვებთ ყურადღების გარეშე, თუ ვინმეს ჩვენ გვერდით რაღაცა დაემართა, ეს პასიურობა იძლევა შემდეგ პოლიტიკაში სავალალო შედეგს, რადგან ამ პასიურობიდან წასული ხალხი მიდის იქაც — ხელისუფლებაში! ასე რომ, ჩვენს ხელშია ეს ქვეყანა და თუ ამ სახელმწიფოში რაიმე არ მოგვწონს, ჩვენვე უნდა მოვუაროთ.

— **დაბოლოს, ფაქტია, რომ გიორგი სანაიას მკვლელობით კიდევ ერთი დიდი დარტყმა მიადგა პირადად პრეზიდენტ შევარდნაძის იმიჯს...**

— დღეს რა ეტაპზეც ვართ, ამის ადეკვატურ დანახვას დისტანცია უნდა ისტორიულ დროსა და სივრცეში. რა თქმა უნდა, შევარდნაძეს ებრძვიან, შევარდნაძის ფაქტორი არის მნიშვნელოვანი ბარიერი იმათთვის, ვისთვისაც მიუღებელია საქართველოს პროდასავლური ორიენტაცია. ცოტა გულუბრყვილო პოლიტიკოსებად მოჩანან ისინი, რომლებიც შევარდნაძეს რუსეთზე ორიენტაციას აბრალებენ. გერმანიის გაერთიანებიდან დაწყებული და შემდგომი მოვლენებიდან გამომდინარე, შევარდნაძეს რუსეთისკენ დასახევი გზა აღარ აქვს. შევარდნაძის მტრებისთვის მთავარია, რომ ის არ იყოს პოლიტიკაში. თითის დადება ძნელია კონკრეტულ მოქმედ პირებზე, მაგრამ ლოგიკური და სავარაუდოა, რომ შევარდნაძის პოლიტიკური რეიტინგის დაგდებაში ყველა ხერხს იყენებენ და უწინარესად იმას, რომ შევარდნაძემ ბევრი მიზეზისა და ფაქტორის გამო ვერ შეძლო თავისი ერთიანი გუნდის ჩამოყალიბება, რისი შედეგიცაა უამრავი მოუგვარებელი შინაპოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კრიმინოგენული პრობლემა.

— **„საქვეყნო ინტერესების თვალსაზრისით, გაუმართლებელია პოსტ-შევარდნაძისეული ეპოქის ხელოვნურად დაჩქარება...“ ეს სიტყვები ბატონ ნუგზარ საჯაიას ეკუთვნის და ის პროცესები, რისი მოწმენიც ბოლო დროს გავხდით, პირდაპირ მიანიშნებს, რომ როგორც ჩანს, იქ, „ზემოთ“ გადაწყვიტეს, რომ წერტილი დაუსვან პოსტშევარდნაძისეულ ეპოქაზე მიმდინარე გაუთავებელ დისკუსიებს, დაპირისპირებებს და ა.შ.**

— ვერ დავეთანხმები ბატონ ნუგზარს იმაში, რომ საქმე გვაქვს მხოლოდ პოსტშევარდნაძისეული ეპოქისთვის ბრძოლასთან. ეს სწორედ დღევანდელი შევარდნაძისეული ძალაუფლების შესუსტებისთვის ბრძოლაა. ეს რომ ყოფილიყო მხოლოდ პოლიტიკური ბრძოლა პოსტშევარდნაძისეული ეპოქისთვის, უნდა დაწყებულიყო საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთი წლით, წელიწად-ნახევრით ადრე. ჩვენთან კი ძალიან ადრე დაიწყო არა მმართველ პარტიაზე, არამედ პრეზიდენტზე შეტევა, რომელსაც თვითონ მმართველი პარტიის ნაწილიც უტევს, თუ კარგად დავაკვირდებით პროცესებს. მეჩვენება, რომ ამ ბრძოლის დაჩქარებაში გარკვეული წვლილი აქვს რუსეთის ინტერესს. შევარდნაძის ალტერნატივებს, ამ ბრძოლის დღეს დაწყების ინტერესი არ ჰქონდათ, ამ პერიოდისთვის დაპირისპირების გადმოტანას აზრი აქვს მხოლოდ რუსეთისთვის, რომლისთვისაც ძლიერი შევარდნაძის დახვედრა ბუშის ადმინისტრაციის პოლიტიკისათვის, საშიში და მიუღებელია. შევარდნაძის დასუსტება ხდება ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი რუსეთის პოლიტიკისა დსთ-ის სივრცეში ბუშის ადმინისტრაციის პოლიტიკისა და ინტერესებიდან გამომდინარე. სხვა მოტივით მე ლოგიკა ვერ ვუპოვე ამ ადრეულ ბრძოლის დაწყებას შევარდნაძის წინააღმდეგ. დავუკვირდეთ ერთ საინტერესო გარემოებას: როგორც კი შევარდნაძის რეიტინგი ეცემა, მაშინვე იზრდება საქართველოს მოსახლეობის პრორუსული განწყობილება და რუსეთზე ორიენტაცია. გამოკვლევებში უკვე ჩანს მოსახლეობის უფრო მეტი ორიენტაცია რუსეთზე, ვიდრე დღემდე იყო. ხოლო რუსეთზე ორიენტაციის მსურველთა მასშტაბის ზრდა უკვე ამზადებს მოსახლეობის ორიენტაციას იმ პოლიტიკურ პარტიებზე, რომლებსაც პრორუსული, მემარცხენე იდეები მოაქვთ. შედეგად, რუსეთი იღებს მისთვის ხელსაყრელ პოლიტიკურ ძალთა გადანაწილების პროცესს საქართველოში. საუბედუროდ, ჩვენ ამ ანკესს საკმაოდ ადვილად ვეგებით. ჩვენ არ გამოგვიტოვებია არც ერთი ანკესი, რომელიც გადმოგვიგდეს...

*ზურაბ მჭედლიშვილი*

# ილია და ილიაობა



ქრისტიანული ტრადიციის თანახმად, ადამიანი გამორჩეულად აღნიშნავდა თავისი მფარველი წმინდანის სახელობის დღეს. ასე იყო საქართველოშიც.

ჩვენში ოდითგან განსაკუთრებულ სიყვარულს მიაგებდნენ უდიდეს წმინდანს ელია წინასწარმეტყველს. დიდმა ილია ჭავჭავაძემ მისი სახელობის დღე, 2 აგვისტო, საერთოსახალხო დღესასწაულად აქცია და ამგვარად მიაგო პატივი მასავით არაერთხელ შეურაცხყოფილ, მაგრამ უდრეკ მფარველს.

ილიაობა, როგორც წესი, საგურამოში იმართებოდა და რამდენიმე დღე გრძელდებოდა. დღესასწაულის თაოსანი იყო დიდი მოღვაწის მეუღლე ოლღა გურამიშვილი. იმ დღეს ილიას მამულში თავს იყრიდნენ საქართველოს ყოველი კუთხიდან მოწვეული სტუმრები, ინტელიგენცია, ახალგაზრდობა, თავადაზნაურობა, გლეხობა.

მებაღეები სტუმრებს სთავაზობდნენ ილიას ბაღში დაკრეფილი ყვავილებით მორთულ ხილის კალათებს, ბებერი კაკლის ძირში გაშლილ უხვ სუფრას ამშვენებდა არაგვის კალმახი, ისმოდა დიდებული სიმღერა...

ილიაობა დღესაც აღინიშნება, მაგრამ შედარებით მოკრძალებულად. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ტრადიციას აგრძელებს და წმ. ელიასთან ერთად პატივს მიაგებს და მფარველობას სთხოვს წმ. ილია მართალს (ჭავჭავაძე).

საგურამოში კი ჯერჯერობით სიჩუმეა. დრომ და იდეოლოგიამ თავისი კვალი დაატყო საქართველოს „უგვირგვინო მეფის" სამყოფელს.



მუზეუმის დირექტორს ანდრო ბედუკაძეს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რათა როგორმე გადაერჩინა ერის ეს კულტურული ცენტრი.

— წლების მანძილზე ამაოდ ვცდილობდი, მუზეუმისთვის დახმარება გაეწია ვინმეს, — გვითხრა ბატონმა ანდრომ, — ბოლოს, გადავწყვიტე, სხვა გზას დავდგომოდი. 1998 წელს საგურამოში მოვიწვიე მინისტრები, პარლამენტარები, საზოგადო მოღვაწეები. თითქოს ყველა დიდად აღფრთოვანებული დაგვპირდა თანადგომას. დაპირება დაპირებად დარჩა. საქმე არ დაძრულა. რამდენიმე ხნის შემდეგ 14 ბანკირი მოვიწვიე. არც მათ სიტყვიერ თავგამოდებას მოჰყოლია საქმე. მხოლოდ გაერთიანებული ქართული ბანკის დირექტორმა თამაზ მაღლაკელიძემ გამოიღო ხელი დასახმარებლად.



კარიდან კარად დავდიოდი და ვითხოვდი, — გადავარჩინოთ მუზეუმი-მეთქი. მცდელობამ ნაყოფი გამოიღო — ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის რესტავრაციის ცენტრმა სამ თვეში მოამზადა რესტავრაციის პროექტი. საჭირო გახდა თანხების მოზიდვა სარესტავრაციო სამუშაოების დასაფინანსებლად.

დიდი გულისხმიერება გამოიჩინეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებმა — გამართეს ტელემარათონი მუზეუმის სასარგებლოდ. იმ დღეს მთელი საქართველოს ყურადღებას ვგრძნობდით. მიუხედავად გაჭირვებისა, უამრავმა ხალხმა შეძლებისამებრ შეიტანა წვლილი ამ მამულიშვილურ საქმეში.

შემოწირულობამ 22 ათასი ლარი შეადგინა. პრეზიდენტის ფონდიდან გადაირიცხა 100 ათასი ლარი. თუ ყველა დანაპირები შესრულდება, შესაძლოა სარესტავრაციო სამუშაოების სრულყოფილად დასრულება.

ბატონმა ანდრომ გვითხრა, რომ განზრახულია ილიას მიერ აშენებული სახლის პირველსახით აღდგენა.

მიუხედავად ყველაფრისა, ამ საშვილიშვილო საქმეს მოწინააღმდეგენიც გამოუჩნდნენ. ზოგიერთი ცდილობს, საზოგადოებაში დანერგოს ნიჰილიზმი, ყოველგვარი ქველმოქმედების მიმართ უნდობლობა, ერის საამაყო შვილების მიმართ უპატივცემულობა, თავს მოახვიოს ხალხს საკუთარი ამბიციები და სკეპტიკური დამოკიდებულება. მაგრამ საკმარისია მუზეუმში მოფუსფუსე ადამიანებს შეავლო თვალი, რომ დარწმუნდე, როგორ უყვარს ერს თავისი დიდი შვილი, როგორი მონდომებით ეპყრობა მისეულ კარ-მიდამოს. საგურამოელი ახალგაზრდები უანგაროდ, სიამოვნებით ეხმარებიან მშენებლებს. ამ ფუნდამენტური სამუშაოების დასრულების შემდეგ მუზეუმის შენობას ათეული წლების მანძილზე აღარ დასჭირდება ხელის ხლება.

რამდენიმე მეცენატის თაოსნობით, მუზეუმის ახლოს შენდება წმ. ილია მართლის სახელობის ეკლესია. საგულისხმოა, რომ ეს იქნება სოფელში ჯერჯერობით ერთადერთი ტაძარი. არქიტექტორია არჩილ მინდიაშვილი.

ბატონმა ანდრომ ისიც გვითხრა, რომ მუზეუმი მზად შეხვდება დიდი ილიას დაბადების 165 წლისთავს გაისად, ნოემბერში და აღდგება დიდი მამულიშვილისა და წმინდანის სახელობის დღის — 2 აგვისტოს საყოველთაოდ აღნიშვნის ტრადიციაც.

*ანა ჩხეიძე*

# იმის გამო, რომ ვიღაც-ვიღაცებმა ხელი მოითბონ...



საბჭოთა კავშირის დროს დედაქალაქს ასობით ავტობუსი, ტროლეიბუსი თუ ტრამვაი ემსახურებოდა. რაც შეეხება სამარშრუტო ტაქსებს, მხოლოდ 2-3 ხაზი თუ არსებობდა. საბჭოთა კავშირის დაშლას რატომღაც სატრანსპორტო სისტემის დაშლაც მოჰყვა. ალბათ თბილისელებს ახსომებათ 1992-94 წლები, როდესაც ერთადერთი სატრანსპორტო საშუალება — მეტრო იყო და უშუქობის გამო ისიც ხშირად წყვეტდა ხოლმე მუშაობას. მოგვიანებით, ასე თუ ისე, ცხოვრება მოწესრიგდა, მაგრამ სატრანსპორტო ბაკქანალიას ამით არაფერი ეშველა — ალბათ, მავანთათვის ამ პრობლემის თვითდინებაზე მიშვება უფრო სარფიანი იყო, ვიდრე მწყობრში ჩაყენება. ასე, თანდათან ავტობუსებისა და ტროლეიბუსების ადგილი სამარშრუტო ტაქსებმა დაიკავა. დედაქალაქში ათასობით (ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე) „მარშრუტკა" დაქრის. მათთვის არც დაწერილი კანონი არსებობს და, სხვათა შორის, არც დაუწერელი. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ — მანქანების ტექნიკური მდგომარეობა, მძღოლთა პროფესიული დონე თუ ადამიანური კულტურა, თუ ერთსა და იმავე მარშრუტზე გახსნილი სამი და ოთხი ხაზი... გასაგებია, რომ სამარშრუტო ტაქსიზე მუშაობა არცთუ სახალისოა, მის მძღოლს ყოველდღიურად ხომ ათას ჭკვიანთან თუ გადარეულთან უწევს კონტაქტი, გზაზე მომრავლებულ, შემთხვევით მძღოლებზე რომ აღარაფერი ვთქვათ... მაგრამ ასე გაგრძელება რომ აღარ შეიძლება, ესეც ფაქტია — ამას წინათ, ჩემს მოთხოვნაზე, შემიჩერეთ-მეთქი, მძღოლმა გაგონებისთანავე, შუა ნაკადში დაამუხრუჭა და მგზავრებს სულ ერთმანეთზე გვარტყმევინა თავები. ინტრიგანი არ ვარ, მაგრამ იმ ადგილიდან გზის ნაპირამდე მისვლა კასკადიორსაც კი გაუჭირდებოდა და მძღოლს ვუთხარი, — გზის პირზე მიაყენე, აქ არ ჩამოვალ-მეთქი. ერთი ამას დამიხედეთ, ზედმეტად ფეხის გადადგმაც კი ეზარებაო...

იმის გამო, რომ ვიღაც-ვიღაცებმა ხელი მოითბონ, ერთსა და იმავე მარშრუტზე რამდენიმე ხაზი ემთხვევა და მძღოლებმა ერთმანეთს მგზავრები რომ წაართვან, ნამდვილ ავტორალის აწყობენ. ტევადობის გასაზრდელად სალონში პატარა სკამებს ამონტაჟებენ, თანაც ისე, რომ კაცი ფეხს ვერ გამართავს და თუ გამართა, ველარ მოხრის... სკამების ნორმალური დაშორება მხოლოდ კომფორტისთვის არ არის საჭირო — ავტოკატასტროფის შემთხვევაში მგზავრები სალონში გაიჭედებიან და მათი ევაკუაცია შეუძლებელი იქნება.

„მარშრუტკების" უმეტესობა გაზით არის გამართული, ხოლო გაზის ბალონები უშუალოდ სალონშია დამონტაჟებული. სხვათა შორის, ამ ბალონების ორი სახეობა არსებობს — ერთი ამ უკანასკნელ ხანს გამოჩნდა საქართველოში და შედარებით უსაფრთხოა, რადგან პლასტიკატის ნაერთით არის დამზადებული და აფეთქების შემთხვევაში ნამსხვრევები არ იფანტება. მაგრამ ჩვენში უფრო გავრცელებული ლითონის ბალონებია, თანაც საკმაოდ დიდი ხნის წინ დამზადებული. აფეთქებით გამოწვეულ ხანძარს ჭურვისებრი ნამსხვრევებიც დაემატება და შედეგისგან ღმერთმა დაგვიფაროს, ამასწინანდელი ავტობუსის დაწვის ტრაგედია მოგონილი იქნება...

კიდევ ერთი დეტალი — როგორც ირკვევა, ზოგიერთი სამარშრუტო ხაზის მძღოლს მგზავრობის საფასურის გაიაფება უნდა, მაგრამ მავანნი ამის უფლებას არ აძლევენ, რადგან ასეთ შემთხვევაში ხაზებს შორის კონკურენცია მათ შემცირებას გამოიწვევს, ახლის გახსნასაც აზრი დაეკარგება... ამიტომაც, სხვადასხვა ხაზის მძღოლებს ერთმანეთს უბუნტებენ და ფასიც იგივე რჩება...

ვფიქრობთ, ამ პრობლემებს სერიოზულად უნდა მიეხედოს, რადგან, რაც დრო გადის, მით უფრო გართულდება და მერიის საყვარელი საქმე — კომისიის შექმნა — აზრს დაკარგავს...

*დაჩი გრძელიშვილი*

ჟურნალი თქვენთვის!




„კვირის პალიტრის" დამატება ჟურნალი „გზა" სამძიმარს უცხადებს გიორგი სანაიას ოჯახს, ახლობლებს, კოლეგებს და უერთდება საერთო პროტესტს...




ფირმა „ანცივკარი"



უცხოური და სამამულო ავეჯის ფართო არჩევანი

- ოფისისათვის
- ოჯახისათვის
- კაფე-რესტორნებისათვის

მაღალი ხარისხი. დაბალი ფასები

ბოჭორმის 23; ტელ: 77 16 65; 899 56 14 42

# იმ დღეს მთელი საქართველო გაოგნებული იყო...



ადამიანები ტიროდნენ. ისინიც კი, ვისაც გიორგი სანაია მხოლოდ ტელევიზორში ჰყავდა ნანახი.

– ეს არ ყოფილა უბრალოდ, მკვლელობა. ეს არც უბრალოდ, შეკვეთილი მკვლელობა იყო. გიორგის მოკვლით სცადეს, მოეკლათ ზომიერება, გონიერება, გამბედაობა... ანუ ის, რაც ყველა პროფესიონალ ჟურნალისტს უნდა გააჩნდეს და რაც გიორგი სანაიას უხვად ჰქონდა. მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ სცადეს. ერთი, ძალიან კარგი ჟურნალისტის მოკვლა შესაძლებელია. ჟურნალისტიკას კი ვერ მოკლავენ – გასულმა დღეებმა ამაში ყველა დაარწმუნა.

გიორგისთან ისეთი ახლო მეგობრობა არ მაკავშირებდა, რომ თავს უფლება მივცე, მის გამორჩეულ თვისებებზე ვილაპარაკო, მის ფიქრებსა და ოცნებებზე. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ბოლო წუთებში, როდესაც გიორგი სიკვდილს თვალებში უყურებდა, ერთადერთი და უმთავრესი სურვილი ექნებოდა – მის ერთადერთ, 5 წლის ბიჭუნას ასეთ საზოგადოებაში არ ეცხოვრა – საზოგადოებაში, რომელიც ფულის, სიკვდილისა და შიშის სუნად ყარს... საზოგადოებაში, სადაც მხოლოდ ბაქიები და ლაქიები ხარობენ. საზოგადოებაში, რომელსაც სიტყვა „საზოგადოებასთან“ მალე არანაირი კავშირი აღარ ექნება. წესით, ამ სურვილის ასრულება ცოცხლად დარჩენილი ყველა ჟურნალისტის ვალად უნდა იქცეს. ყველამ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ეს ქვეყანა თითოეულ ჩვენგანს ეკუთვნის და არა მხოლოდ უუნარო მთავრობას, რომელსაც ბევრი ჩვენგანი დღესაც ხელებში შესცქერის და საზარელი ტრაგედიის სასწრაფო გამოძიებას სთხოვს.

პარლამენტის წინ შეკრებილ ხალხს, აუდიტორიას და მსმენელს დანატრებული ზოგიერთი პოლიტიკოსი მოაწყდა. სამარცხვინოა, ასეთ დღეებში ქულებზე და სახელზე იფიქროს ვინმემ.

გიორგის მკვლელობა თითოეული ჩვენგანის სირცხვილია. დღეს ყველამ უნდა დავივიწყოთ ამბიციებიც და შეხედულებებიც. ყველა ჟურნალისტი ერთად უნდა დავდგეთ, რათა ეს საზარელი მკვლელობა იმ უდიდესი შემობრუნების საწყისად ვაქციოთ, რომელმაც საქართველო, ესე იგი თითოეული ჩვენგანი უნდა გადაარჩინოს...

*დაჩი გრძელიშვილი*

**„კვირის პალიტრა“, რედაქციისა და მკითხველის სახელით, უერთდება საერთო ტკივილს და თანაგრძნობას უცხადებს გიორგის ოჯახს, სამეგობროს და ზოგადად მსმენელს, ყველას, ვისაც დააკლდა იგი...**

# «ჩვენ ქვეყანა არა გვაქვს?!»

*პარლამენტსა და სახელმწიფო კანცელარიასთან შეკრებილი ადამიანები თავიანთ პოზიციას აფიქსირებდნენ, ვერ მალავდნენ აღშფოთებას ხელისუფლების უუნარობის გამო. თუმცა იმდენად შემზარავია მომხდარი, რომ ამ ტრაგედიის ფონზე, აზრი ეკარგება ყველაფერს.*

*გთავაზობთ რამდენიმე მოსაზრებას:*

**მარკ მალენ,** *ამერიკის საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის დირექტორი:*

— გაუგებარია, რა მიზნით შეიძლება მოეკლათ გიორგი სანაია. იგი ძალიან ცნობილი და ყველასათვის საყვარელი ჟურნალისტი იყო. ამდენად, ძნელი დასაჯერებელია, რაიმე პიროვნული მიზეზი არსებობდეს. იმედი მაქვს, რომ გამოძიება სწორად წარიმართება და იქნება გამჭვირვალე და ობიექტური.

— **პარალელის გავლება თუ შეიძლება სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებში მომხდარ ჟურნალისტთა მკვლელობებსა და გიორგის მკვლელობას შორის?**

— ამაზე კომენტარის გაკეთება ძალიან ძნელი იქნება. არავინ იცის, რაიმე კავშირი არსებობს თუ არა ამ მკვლელობებს შორის, მაგრამ ამჟერად ძალიან მნიშვნელოვანია ყოველივე გაირკვეს.

ჟურნალისტის მკვლელობა არის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული შემთხვევა, რაც შეიძლება მოხდეს ქვეყანაში, რომელსაც დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა განუზრახავს. ეს არის საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენა, რომელიც საყოველთაო ყურადღებას იმსახურებს.

**ლევან გაჩეჩილაძე,** *პარლამენტარი:*

— გიორგისთანა ადამიანები, პროფესიონალები, ჩვენ თითზე ჩამოსათვლელი გვყავს.

ეს უმძიმესი საკითხია და მისი ჩვეულებრივი მკვლელობის კვალიფიკაციით დატოვება არ შეიძლება, რადგან ეს არის პირდაპირი დარტყმა თავისუფალ სიტყვაზე, არა მხოლოდ ადამიანის, არამედ დემოკრატიის მკვლელობა. ეს არის უსერიოზულესი დანაშაული და იგი ჩვენს ქვეყანაში ხდება.

პოლიტიკური განცხადებებისაგან ამჟერად თავს შევიკავებ იმიტომ, რომ მეც ვმეგობრობდი ამ კაცთან, ძალიან მიყვარდა და პატივს ვცემდი. გიორგის დარჩა ოჯახი, სამეგობრო და მივცეთ მათ გლოვის საშუალება.



ერთს კი ვიტყვი — ჩვენ ქვეყანა არა გვაქვს და ეს ბაქქანალია უნდა დამთავრდეს ერთხელ და სამუდამოდ.

**გამუკა არეშიძე:**

— ბევრი რამის თქმა შეიძლება, მაგრამ ახლა ამას არა აქვს მნიშვნელობა, რომელ პოლიტიკურ ძალას აძლევდა ხელს ასეთი საზარელი მკვლელობა — საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ მოქმედ ძალას. ფაქტია, ვიღაცას სჭირდებოდა და შეიძლება რამდენიმე ჯგუფს ერთად...

— **რისთვის?**

— შედეგისთვის, თუნდაც იმისათვის, რომ ხალხი ქუჩაში გამოსულიყო, დესტაბილიზაცია ვიღაცას თავისი ინტერესებისთვის გამოეყენებინა.

— **ჟურნალისტთა მკვლელობებს რაიმე სერიოზული გავლენა თუ მოუხდენია ქვეყნის მმართველ რეჟიმზე?**

— გახსოვთ ალბათ, უკრაინაში ჟურნალისტის გიორგი ღონღაძის მკვლელობა. რასაც კუჩმას გადადგომა არ მოჰყოლია, მაგრამ ქვეყანაში სერიოზული მღელვარება დაიწყო. ამის გამო ძალიან მკაცრად შეაფასეს დასავლურმა ინსტიტუტებმა კუჩმას რეჟიმი.



არ არის გამორიცხული, რომ აქაც ასე მოხდეს. ისიც გვახსოვს, რომ ცნობილი ჟურნალისტის მკვლელობას მთავრობის შეცვლა მოჰყვა კოლუმბიაში. ასე რომ, პარალელები არის. „რუსთავი — 2“-ში მიმდინარე პროცესები მაფიქრებინებს, რომ ვიღაცას ამ ტელეკომპანიის საბოლოოდ დაშლა სურს და შესაძლოა, ეს მკვლელობაც ამას უკავშირდებოდეს.

ასეა თუ ისე, გიორგი სანაია ცოცხალი აღარ არის და ეს არის ძალიან სამწუხარო.

*ნელი ცქიტიშვილი*

# საქართველოს ჟურნალისტების განცხადება

თბილისში, ოცდაექვს ივლისს, გამთენიისას საკუთარ ბინაში მოკლეს ჟურნალისტი გიორგი სანაია. ამ საზარელმა მკვლელობამ მრავალი ადამიანი აღაშფოთა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ.

ჩვენ, ჟურნალისტები, თანადგომასა და თანაგრძნობას ვუცხადებთ დაღუპული კოლეგის ოჯახს. გიორგი სანაიას მკვლელობა იმ განუკითხაობის ლოგიკური შედეგია, რომელიც ქვეყანაში სუფევს. საქართველოში ჩვეულებრივ ამბად იქცა ჟურნალისტების ცემა, შეურაცხყოფა, მუქარა, შევიწროება მათი პროფესიული საქმიანობის გამო. სამწუხაროდ, არც ერთი დამნაშავე არ დასჯილა. მეტიც, სამართალდამცავები, როგორც წესი, ცინიკურად უგულებელყოფენ და ჩქმალავენ იმ დანაშაულობებს, რომელთა ავტორები ხშირად თვითონვე არიან.

დამოუკიდებლობის ათი წლის შემდეგ, საქართველო ნაბიჯ-ნაბიჯ კარგავს დემოკრატიის ფორმალურ ნიშნებსაც კიო, და პროვინციულ, ტოტალიტარულ სახელმწიფოდ ყალიბდება.

ეს მკვლელობა მძიმე დარტყმაა სიტყვის თავისუფლებაზე — ადამიანის ერთ-ერთ ძირითად თავისუფლებაზე.

ჩვენ ამ სისხლიან ანგარიშსწორებას ერთი მუჭა კლანების და მაფიოზების ხელისუფლების თავის გადარჩენის მცდელობად აღვიქვამთ. ჩვენ, ისევე როგორც საზოგადოების უდიდესი ნაწილი, მომხდარ მკვლელობას ჟურნალისტებისა და მთელი საზოგადოების დაშინების მცდელობად მივიჩნევთ. მკვლელებმა ესროლეს არა მხოლოდ გიორგი სანაიას, არა მხოლოდ ჟურნალისტებს, არამედ მთელ საზოგადოებას.

ქვეყანაში არსებულ განუკითხაობაზე პასუხისმგებლობა, უპირველეს ყოვლისა, ეკისრება საქართველოს ხელისუფლებას, რომლის მოქმედებაც გვაფიქრებინებს, რომ ის ან უუნაროა, მართოს სახელმწიფო, ან შეგნებულად მართავს ქვეყანას მისთვის ბუნებრივი კლანურ-მაფიოზური წესით.

ლოგიკურია, რომ ასეთი ხელისუფლება ხალხს არ სჭირდება. ის უნდა გადადგეს. პირველ რიგში, სათანადო დასკვნები უნდა გაკეთდეს სამართალდამცველი ორგანოების ხელმძღვანელთა მიმართ, რომლებიც პასუხს აგებენ ქვეყანაში არსებულ წესრიგზე.

ქვეყანაში შექმნილი ატმოსფერო გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს კარგად ორგანიზებულ პოლიტიკურ მკვლელობასთან, რომლის მიზანი ჟურნალისტების დაშინება და თავისუფალი მედიის დამორჩილებაა. ჩვენ მოვითხოვთ, რომ გამოძიებამ მომხდარი დანაშაული უმოკლეს ვადაში გახსნას.

და თუ ეს დანაშაული დროზე არ გაიხსნება, ხელისუფლება არ მიიღებს შესაბამის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს და მკვლელობის დამკვეთიცა და შემსრულებელიც არ დაისჯება, ქვეყანაში არსებული ღრმა კრიზისის ფონზე, მოვლენები შესაძლოა უმართავი გახდეს.

ჟურნალისტები, როგორც საქართველოს მოქალაქეები, ვგრძნობთ ჩვენს წილ პასუხისმგებლობას ქვეყნის წინაშე. სწორედ ამიტომ, მომხდარი ტრაგედია უფრო მიზანმიმართულსა და უკომპრომისოს გახდის ჩვენს მოქმედებას.

ხმამაღლა ვაცხადებთ, რომ არავის ვაპატიებთ გიორგი სანაიას სიკვდილს. ვერ შევეგუებით ქვეყნის ნგრევას, ადამიანების გატაცებებს, მკვლელობებს, ხალხის დამცირებას, სრულ განუკითხაობასა და ქვეყნის საბოლოო დამარცხებას.







**ყველას, ვინც შეგძრათ გიორგი სანაიას საზარელმა მკვლელობამ!**

**ყველას, ვინც წინააღმდეგი ხართ ყოველგვარი ძალადობის!**

**ყველას, ვისაც გაღელვებთ ქვეყნის მომავალი!**

2001 წლის 31 ივლისს, დღის 15 საათზე, სადაც არ უნდა იმყოფებოდეთ, შეჩერდით და წუთიერი დუმილით ან ავტომანქანის საყვირით გამოხატეთ თქვენი აღშფოთება და პროტესტი ჩვენს ქვეყანაში გამეფებული ძალადობის წინააღმდეგ!

ჟურნალისტ გიორგი სანაიას მკვლელობასთან დაკავშირებით, 30 ივლისს, 21 საათზე, რუსთაველის პროსპექტზე „იმელიდან“ კანცელარიამდე ეწყობა ცოცხალი ჯაჭვი. ყველა, ვინც შეაძრწუნა გიორგის მკვლელობამ, მობრძანდით. ერთად ავანთოთ სანთლები და ვილოცოთ. აქცია იქნება მდუმარე და გაგრძელდება ერთი საათის განმავლობაში.

# საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრის განცხადება

საქართველოს საპატრიარქო აღშფოთებას გამოხატავს „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტ გიორგი სანაიას მკვლელობის გამო და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ახლობლებს, მეგობრებსა და კოლეგებს.

შევთხოვთ უფალს, რომ შეიწყალოს მისი სული.

# «თემურ ქორიძე ენის ტლიკინის გამო გაილახება...»

## პრემიერ-მინისტრი იქნება „საკალანდო ღორი“



ეროვნული მოძრაობიდან მოსული ნელ-ნელა ტოვებენ პოლიტიკურ ავანსცენას. მიზეზი ნათელია... დროს და [illegible] ყველამ ვერ აუწყო ფეხი.

ეროვნულ დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერი **ირაკლი წერეთელი** კარგა ხანია აქტიური პოლიტიკის მიღმაა. მისი პარტია უკვე მეორე მოწვევის პარლამენტს მიღმა დარჩა, მაგრამ წერეთელი [illegible] — ეროვნული მოძრაობის [illegible] ქართული პოლიტიკის ნარსულსა და დღევანდელობაზე [illegible] ვესაუბრებით.

— **გამსახურდიას ხელისუფლების ერთ-ერთი წარმომადგენელი, თემურ ქორიძე ეროვნულ მოძრაობას, კონკრეტულად კი ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გახლეჩის ერთ-ერთ მიზეზად თქვენ და გიორგი ჭანტურიას ამბიციებს ასახელებს.**

— ილია ჭავჭავაძის საზოგადოებიდან ამბიციების გამო ნამდვილად არ წამოსულვარ. [illegible] 1987 წლის სექტემბერში (ახალი გამოსული ვიყავი ციხიდან). იქ, მაშინ 47 კაცი მაინც ვიყავით შეკრებილი. [illegible]

— **მაგრამ ბოლოს მაინც გამოვედით ჭავჭავაძის საზოგადოებიდან. თემურ ქორიძე ამბობს, მერაბ კოსტავა [illegible] — არ გაუშვა თურმე.**

— ტყუილია. ასეთი ფაქტი არ ყოფილა. [illegible]

ჭანტურიას იატაკქვეშეთში ჰყავდა. როცა ედპ შეიქმნა, მერე ამოყვინთა.

— **მამუკა გიორგაძის იატაკქვეშეთში ყოფნის აუცილებლობა რით იყო გამოწვეული?**

— გიას მიაჩნდა, რომ პარტიის წევრთა ნაწილი გასაიდუმლოებული უნდა ყოფილიყო. ამ „საიდუმლო ძალებში“ იყო მამუკა გიორგაძე. ერთი ხანობა მეც ედპ-ის გასაიდუმლოებულ ნაწილში ვიყავი, მაგრამ არ მოვისურვე იატაკქვეშეთში დარჩენა. ამის გამო, ჯერ კიდევ დაპატიმრებამდე, 1983 წელს, ჩემსა, გიასა და მამუკას შორის უსიამოვნება მოხდა — ერთმანეთზე გავინყრეთ.

— **ედპ-ზე და გია ჭანტურიაზე ხშირად ამბობდნენ — ძლიერი სპეცსამსახური ჰყავდათო. ალბათ ამ „საიდუმლო ძალებს“ გულისხმობდნენ.**

— ეს არანაირი სპეცსამსახური არ ყოფილა. უბრალოდ, გია ფიქრობდა, რომ საბჭოთა წყობილების პირობებში, სანამ მოვძლიერდებით, არალეგალურ მდგომარეობაში სჯობდა ყოფილიყო პარტია. როცა ორგანიზაცია გაიზრდებოდა და 2-3 ათასი კაცი გახდებოდა, გია ჭანტურია გია ლუდუშაურთან (იყო ასეთი კაცი) ერთად საზღვარგარეთ უნდა წასულიყო. მე და მამუკას კი აქ უნდა გვემოქმედა იატაკქვეშეთში. მაგრამ როცა „გარდაქმნა“ დაიწყო, საშიში აღარ იყო პოლიტიკასა და ოპოზიციაში ყოფნა და ჩვენც ამოვედით დღის სინათლეზე.

— **მაინც რა მიზეზის გამო დატოვეთ ილია ჭავჭავაძის საზოგადოება?**

88 წლის 26 მაისს აქცია ჩავატარეთ დამოუკიდებლობის მოთხოვნით. ამ აქციის გამო პოლიტიკური თვითნებობა დამაბრალეს და ამიტომ წამოვედი. კონფლიქტი გურამ მამულიასთან მომივიდა, არ ვიყავი მისი ფრთხილი პოლიტიკის მომხრე. ჭავჭავაძის საზოგადოება მაინც „საზოგადოებრივი“ ორგანიზაცია იყო, მე პარტია ჩამოვაყალიბე — „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება — ეროვნული ფრონტი“. მასში მე, ირაკლი ბათიაშვილი და თედო პაატაშვილი ერთად ვიყავით, მერე მერაბიც შემოგვიერთდა. ზვიადი ამ დროს გიასთან იყო „მეოთხე დასში“. ამის შემდეგ „ეროვნული ფრონტი“ და „მეოთხე დასი“ ზაბუაჩემის ბინაში შევიკრიბეთ და გავერთიანდით.

— **ამბობენ, სახელმწიფო სტრუქტურებიდან დანერგილმა აგენტურამაც საკმაოდ აამღვრია წყალი ეროვნულ მოძრაობაშიო.**

— თავდაპირველად, არ მგონია, ჩვენზე აგენტურას ემუშავა. ეს უფრო გვიან მოხდა, როცა ეროვნული მოძრაობა გაფართოვდა და ხელისუფლებას წაეპოტინა. აი, მაშინ მართლაც მუშაობდა აგენტურა.

— **შემდგომ ეროვნული მოძრაობა დაიქაქა, დაქუცმაცდა. იმ საყოველთაო გათიშვის მიზეზი რაღა იყო?**

— სანამ მერაბ კოსტავა ცოცხალი იყო, ყველა ერთად ვიყავით. მისი სიკვდილი გახდა დაშლის მიზეზი. ის ყველაზე ავტორიტეტული იყო ჩვენ შორის. მერაბზე არანაირი კომპრომატი არ ყოფილა, არც აუგი დასცდენია მასზე ვინმეს. არ მინდა, გარდაცვლილი ადამიანები ერთმანეთს შევადარო... სამივე დიდი პიროვნება იყო — მერაბიც, ზვიადიც და გიაც. მაგრამ მერაბის დარი რაინდული, კეთილშობილური სული არავის ჰქონია.

— **ამას წინათ ერთმა ჩემმა რესპონდენტმა, ყოფილმა დისიდენტმა განაცხადა, — გამსახურდია ერთადერთი დისიდენტი იყო, ვინც უშიშროებას მოემსახურაო.**

— ამ კითხვაზე პასუხისაგან თავს შევიკავებ. იმიტომ, რომ თუ ვიტყვი, ყველაფერი უნდა ვთქვა, ნახევარი სიმართლის თქმა არ შეიძლება. სრულ სიმართლეს კი საზოგადოება ვერ გაიგებს... მაგრამ არ შეიძლება გამსახურდიას დააბრალო — რუსეთი მართავდაო. მისი ღირსება, სწორედ მისი უმართავობა იყო. შესაძლოა, მას ჰქონდა შეცდომები... სჯობს, მოვასვენოთ საფლავში საქართველოს პირველი პრეზიდენტი და ეროვნული მოძრაობის გამოკვეთილი ლიდერი თავისი ჭრილობებით. ასე სჯობს. ისტორია მერე დაწერს, ვის რა შეეშალა. ისე შეცდომა ყველამ დავუშვით... ეს ბუნებრივიც იყო. ჩემს შეცდომებს არავის ვაბრალებ, ახალგაზრდა ვიყავი... ფსალმუნში წერია — ყოველი კაცი ცრუ არისო. ქრისტეს გარდა, შეუმცდარი არავინ არის.

— **გია ჭანტურია რატომ მოკლეს?**

— იმიტომ რომ უმართავი იყო, თანაც პატრიოტი, ნაციონალისტი კაცი. ის, უპირველეს ყოვლისა, შევარდნაძეს შეუქმნიდა პრობლემას. გიას შევარდნაძის გამოყენება უნდოდა, მაგრამ ვერ მოახერხა. შევარდნაძე მალე ჩამოშორდა გიას, — თავისი პარტია ჩამოაყალიბა და სავარაუდო იყო, რომ გია მას ძლიერად დაუპირისპირდებოდა. თანაც გიამ (სხვებზე) მეტი იცოდა შევარდნაძეზე (ისინი ხომ ერთ დროს ძალიან ახლობლობდნენ). გია ძალიან სერიოზულად ემზადებოდა ხელისუფლებისათვის. ის მოიცილეს, როგორც სერიოზული, პოტენციური ძალა. მისი სიკვდილი „აუცილებელი“ იყო, თუნდაც ედპ-ის დასაშლელად. ასეც მოხდა.

შევარდნაძის გაპრეზიდენტება ნიშნავდა, რომ ეროვნულმა მოძრაობამ საქართველოში ჩა-ი-სვარა!!! ეს ეხებათ „ზვიადისტებსაც“, მაგრამ როცა საქართველოში შევარდნაძე ჩამოვიდა, ქვეყანას ეროვნული მოძრაობა კი არა, კიტოვანი, სიგუა და იოსელიანი მართავდნენ. როცა ეროვნული მოძრაობა გაიხლიჩა, ხელისუფლებაში მარტო „მრგვალი მაგიდა“ მოვიდა, ანუ ეროვნული მოძრაობის ნაწილი. ამან იმოქმედა ზვიადის ბედზეც, თორემ ჩვენ რომ ერთად ვყოფილიყავით, კიტოვანი გამსახურდიას აჯანყებას კი არა, თვალებში შეხედვას ვერ გაუბედავდა. იმ საყოველთაო დაპირისპირების ფონზე გამოჩნდა კიტოვანი, თორემ ვინ იყო ის? და ამ ქიშპით ისარგებლა ეშმაკმა...

— **დღევანდელ ვითარებაზე რას იტყვით?**

— ძალიან ცუდი პოლიტიკური ვითარებაა. დღევანდელი პოლიტიკოსების უმეტესობას, რომ შეიძლებოდეს, უნდა გადაასხა ნავთი და დაწვა. ყველა მოთამაშე, ყველა სკამისტი და სავარძლისტია, რომელთაც ფეხებზე ჰკიდიათ საქართველო. ეს თუნდაც კახეთის ამბებში გამოჩნდა. ასეთი ამბებია პანკისში და არც ერთი პოლიტიკოსი, ჩემი და გოგი თოფაძის გარდა, არავინ ჩასულა (ოპოზიციიდან), თითო-ოროლა მოქალაქეთა კავშირიდან იყო ჩასული. აქ რომ ტლიკინებენ, არ უნდა ამოსდგომოდნენ მხარში კახელებს?

— **თქვენ თუ ჩახვედით, რა გააკეთეთ?**

— სანამ იქ წავიდოდი, ტელევიზიით გამოვედი და გავამხნევე კახელები, არ უნდოდათ ჰქონოდათ იარაღი, თორემ ამისთვისაც მზად ვიყავი. თუ ეს პრობლემა არ მოგვარდება, ეროვნული მოძრაობის ახალ ტალღას ამ კუთხიდან ავაგორებ. საქართველოს ხელისუფლებამ თავისი და ანტიეროვნული პოლიტიკით პანკისის ხეობაში დანაშაულებრივი ანკლავი შექმნა, რომელიც აღარ კონტროლდება. თორემ პანკისის ხეობაში ყოველთვის დავდიოდით, ქისტებთან გვიქეიფია და დროც გვიტარებია... ტყუილია, რომ გაიძახიან — ქისტები ქართველების მტრები არიანო. იქ არის 60-კაციანი ნაძირალების ბანდა, რომელიც ზოგ მამაძაღლ ქართველთან არის შეკრული და კახელებს და მთელ საქართველოს ნერვებს უშლის. იქ იმ კახელმა ბიჭებმა თავისი კუთხე კი არა, საქართველოს უსაფრთხოება და ღირსება დაიცვეს. ნამდვილი კაცი იქ უნდა იყოს დღეს.

— **თქვენ რატომ არ ხართ იქ?**

— თვითონ კახელებმა მთხოვეს რაღაც, თორემ არ მინდოდა წამოსვლა.

— **რაო, რა გთხოვეს კახელებმა?**

— მთხოვეს, რომ ხელისუფლებაზე მოვახდინო ზეწოლა, რომ პანკისში აღდგეს საქართველოს იურისდიქცია და განიარაღდეს ყველა ანტიქართული ძალა. არ ვართ საქართველოში ქისტების ყოფნის წინააღმდეგი, მაგრამ თუ ქისტებს არ ართმევენ იარაღს, არც ქართველს უნდა წაართვან. მითხრეს, მეზვრიშვილი და სონღულაშვილი ვაჟკაცურად მოიქცნენო. ხალხს დასდგომიან გვერდში... მაგრამ, რას შვრებოდა ამ დროს ცენტრალური ხელისუფლება? იმის ნაცვლად, რომ კახეთისთვის მიეხედათ, სამეგრელოში გამართეს სამარცხვინო, გულის ამრევი სპექტაკლები. ეს ხელისუფლება უნდა მოშორდეს, მაგრამ ამის განხორციელებაში ხელს დღევანდელი (საპარლამენტო) ოპოზიცია გვიშლის.

დღევანდელ ოპოზიციას ნებისმიერ დროს გამოიყენებს შევარდნაძე. ცოტა თოფაძეზე მომიბრუნდა გული, რომ მითხრეს, კახეთში იყოო. რა უნდა მოსთხოვო ამ საცოდავ პარლამენტს? რუსეთის ბაზების გაყვანაზე მიიღო გადაწყვეტილება და თავი მოსწონს. ეგეთი დადგენილებები ბოლო 15 წლის მანძილზე ბარე ათასი აქვს მიღებული ჩემს პარტიას. ეს გადაწყვეტილება ჯერ კიდევ გამსახურდიას დროს მიიღო უზენაესმა საბჭომ. 1993 წლის 1 ივნისს კი პარლამენტმა საქართველოში რუსეთის ბაზების ბოლო ვადა განსაზღვრა — 1994 წლის 31 ოქტომბერი. 7 წელი რუსეთის ბაზები უკანონოდ არიან საქართველოში. აქამდე უნდა აეტეხათ ხმაური...

შევარდნაძე მშვენივრად ათამაშებს საპარლამენტო ოპოზიციას. ახალი სავაჭრო-სატყუარა გადაუგდო მათ პრემიერ-მინისტრის პოსტის და მინისტრთა კაბინეტის სახით. თვითონ ყველანაირად მოგებული დარჩება. დღეს თუ ყველაფერი მას ბრალდება, ხვალ პრემიერ-მინისტრს შეახოცავენ ხელს, პრემიერ-მინისტრი იქნება „საკალანდო ღორი“.

*იზო რუკაძე*

# ულატაკესი ქვეყნის უმდიდრესი მოსახლეობა...



როგორც ჩანს, დგება დრო, როცა ქართულ სინამდვილეში გარკვეული ღირებულებების გადაფასება უნდა მოხდეს: წინა პლანზე იწევს მხოლოდ ყოფითი, პრაგმატული დამოკიდებულებები არსებულის მიმართ.

ჩვენს დროებაში ზედმეტად ქცეულ ფასეულობათა შორის ერთ-ერთი საკუთარი ღირსების შეგრძნებაა, რომლის განცდის უნარითაც ნამდვილად ველარ დაიკვეხნის ჩვენი სახელმწიფო...

მეტად ამაღლებული (შეიძლება ითქვას — საზეიმო) განწყობილება ჰქონდა საქართველოს პრეზიდენტს, როცა მსოფლიოს ულარიბეს ქვეყნებს შორის საქართველოს მოხვედრის პერსპექტივა ამცნო საზოგადოებას, რაც განვითარებადი ქვეყნის სტატუსის (რითაც, ჯერჯერობით, სარგებლობს საქართველო) ლატაკი ქვეყნის სტატუსით შეცვლას ნიშნავს. საზოგადოდ, როგორც წესი, როცა ლატაკი ხარ, სასიხარულო არაფერი გაქვს, მაგრამ საქართველო ხომ პარადოქსების ქვეყანაა. ამ პარადოქსის მიზეზად კი მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოთა ლიდერების მიერ გენუაში ხელმოწერილი კომუნიკე იქცა, სადაც მსოფლიოს ულარიბესი ქვეყნებისადმი მათი კეთილი ნების გამოხატვა აისახა. კეთილ ნებაში კი ულარიბესი ქვეყნებისთვის ვალების ჩამოწერა იგულისხმება. დიდი ბრიტანეთის ხელისუფლების ინიციატივით, მსოფლიოს ულატაკეს ქვეყანათა ჩამონათვალში საქართველოც მოექცა. სწორედ ვალების ჩამოწერის მოტივი შეიქნა საქართველოს პრეზიდენტის ამაღლებული განწყობილების მიზეზი — ვალებისა, რომლის სიმძიმე უსაშველოდ ზნექს წელში ჩვენს ნასეკვესტრალ ბიუჯეტს. კიდევ ერთი პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ სულ ცოტა ხნის წინ ერთი სასიხარულო ამბავიც გვამცნო ქვეყნის პირველმა პირმა: მავანთა და მავანთა „ჩხავილ-კნავილს“ ყურს ნუ უგდებთ, აქაოდა, ქვეყანა ინგრევა და შევარდნაძეს რაღაცები ეჩვენებაო. არაფერიც არ მეჩვენება, — ალმავლობა დაიწყო, ეს პროცესი არ შეჩერდება და საქართველო მალე აყვავდებაო.

შეესაბამება თუ არა საქართველო თავისი მონაცემებით ულარიბესი ქვეყნის სტატუსისთვის საჭირო პარამეტრებს? ამასთან, რამდენად შესაძლებელია, რეალურად, დიდი ბრიტანეთის ინიციატივის განხორციელება და რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს ულარიბესთა „კოჰორტაში“ მოხვედრას?!





ულარიბესი ქვეყნის სტატუსის მისანიჭებლად მთავარ კრიტერიუმად იღებენ ქვეყნის მთლიანი შიდაპროდუქტის მაჩვენებელს ერთ სულ მოსახლეზე. ამასთან, მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში განათლების დონესა და ამა თუ იმ სოციალურ მაჩვენებელს. ინტელექტუალური განვითარების ინდექსით, საქართველო ნამდვილად არ მიეკუთვნება ულატაკესი ქვეყნისთვის საჭირო მაჩვენებელს. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებითაც, საქართველო არ აკმაყოფილებს ლატაკი ქვეყნის პარამეტრებს, რადგან ლატაკი ქვეყნისთვის მთლიანი შიდაპროდუქტის ზღვარი ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში 600 დოლარის ტოლია, საქართველოში კი ეს მონაცემები 655 დოლარს შეადგენს. ამასთან, საინტერესოა ისიც, რომ იმავე სტატისტიკის დეპარტამენტის განცხადებით, ეს 655 დოლარი, ამერიკის სამომხმარებლო კალათის მიხედვით 2000-2500 დოლარს უტოლდება. აქ, რა თქმა უნდა, მთავარ როლს თამაშობს საქართველოს ბაზარზე არსებული პროდუქტის სიიაფე.

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ინიციატივაში ჩასართავად, რომელიც ულარიბესი ქვეყნების მიმართ გარკვეულ თანადგომას გულისხმობს, კიდევ რამდენიმე კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატი-ქვეყანა: ვალის ტვირთი უნდა იყოს გაუსაძლისი, მისი შემცირების შესაძლებლობა კი თითქმის უიმედო. ამასთან, ქვეყანამ უნდა გამოთქვას მზადყოფნა გააზრებული ეკონომიკური პოლიტიკის გასატარებლად. ასეთი ქვეყნების რიცხვში მოექცნენ: ანგოლა, ბენინი, ბოლივია, ბურკინა ფასო (ამ ქვეყნის სახელწოდება თარგმანში „ღირსეულ ადამიანთა ქვეყანას“ ნიშნავს), ბურუნდი, კამერუნი, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, ჩადი, კონგო, კოტ დ'ივუარი, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ჰონდურასი, კენია, ლაოსი, მიანმა, ნიკარაგუა, ნიგერი, ნიგერია, რუანდა, სან ტომი და პრინტიპი, სიერა ლეონე, სომალი, სუდანი, ტანზანია, ტოგა, უგანდა, ვიეტნამი, იემენი, ზამბია...

სხვა ქვეყნებს თავი დავანებოთ და თბილისში უკვე საკმაოდ მომრავლებულ ე.წ. „ასობნიაკებს“ მივაპყროთ თუნდაც იმავე ინგლისელების ყურადღება (რადგან ჩვენში ეს მაინც არავის აღელვებს). ბურკინა ფასოში, „ღირსეულ ადამიანთა ქვეყანაში“ არსებული ვილები არ გვინახავს და ვერაფერს ვამბობთ. ჩვენს ქვეყანაზე კი ვიტყვით — საქართველო კი არ არის ულატაკესი, არამედ მისი მოსახლეობის ერთი ნაწილია მხოლოდ ამ მდგომარეობაში და მეორე პირველის ხარჯზე (რა სამწუხაროც არ უნდა იყოს), ხშირ შემთხვევაში, უსამართლოდ და უზომოდ არის გამდიდრებული.

*მამუკა გიორგაძე*

## „კვირის პალიტრის" რედაქციას...

გაზეთ „კვირის პალიტრის" 18-24 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა ჟურნალისტ ზ. ჩაკვეტაძის წერილი შთამბეჭდავი სათაურით — „დოლარებზე გაყიდული საქართველოს ფაუნა", რომლითაც ავტორმა მწვავედ „ამხილა" გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. მეტი დამაჯერებლობისათვის სტატია სავსეა „ფაქტებითა" და „კომპეტენტურ" ინტერვიუერთა დასკვნებით.

სამინისტროს შეეძლო პასუხის დაუყოვნებლივ გაცემა, მაგრამ ვამჯობინეთ „კვირის პალიტრის" რედაქციისათვის მიგვეწოდებინა წერილში მოყვანილი ფაქტების შესახებ ყველა ოფიციალური დოკუმენტი.

მივყვეთ საგაზეთო პუბლიკაციის ტექსტს:

*„არასამთავრობო ორგანიზაციათა ხელმძღვანელთა განცხადებით, სამინისტროს და მის შემადგენლობაში შემავალი დეპარტამენტების პირველ პირთა ინდიფერენტულმა არაპროფესიონალურმა დამოკიდებულებამ დღეს უკვე ის შედეგი გამოიღო, რომ საქართველოს ტერიტორიაზე თითქმის სრულიად განადგურდა და ამოწყდა ენდემური ფაუნის მშვენება, ირემი, შველი, ჯიხვი... (ზ. ჩაკვეტაძე)."*

სტატიის ავტორის საპატიო რესპონდენტები — ჩვენი დროის ყველაზე გამოჩენილი ზოოლოგი, საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ეკოლოგიურ მეურნეობათა ასოციაციის" წევრ-კორესპონდენტი (არ შეგეშალოთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტში — ამ სტატუსის მისაღებად მინიმუმ მეცნიერებათა დოქტორი მაინც უნდა იყო და აკადემიის პრეზიდიუმმა თქვენი ცოდნის ექსტრაორდინარულად მაღალი დონე უნდა ცნოს), მეცნიერებათა კანდიდატი ბატონი ალექსი არაბული და არასამთავრობო ორგანიზაციის „სუფთა გარემოს" ერთ-ერთი ხელმძღვანელი ბატონი ბორის გოგია (ცნობისთვის) ცდილობენ საქართველოს ცხოველთა სამყაროს ნომერ პირველ მტრად გარემოს დაცვის სამინისტრო წარმოაჩინონ.

*„ერთ წელიწადში მეტ დანაშაულს ვერც ერთი სამინისტროს ხელმძღვანელობა ვერ ჩაიდენდა, ვიდრე ეს გარემოს დაცვის სამინისტრომ შეძლო. გარემოს სამინისტროს მიერ მგელი არც მეტი, არც ნაკლები, დაცულ ცხოველად იყო აღიარებული... (ა. არაბული)."*

როცა ზოოლოგი, მეცნიერებათა კანდიდატი და, რაც მთავარია, საზოგადოებრივი ორგანიზაციის „წევრ-კორესპონდენტი" მგელი სერიოზულობით წერს, რომ არსებობს „...სამინისტროს 20.7. 1998 წლის №10 ბრძანება, რომლითაც [illegible]", იგი [illegible] (ა. არაბული).

რაც შეეხება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 1998 წლის №10 ბრძანებას (რომელიც 13 თებერვლით დათარიღებული), იგი ეხება სამინისტროს ერთ-ერთი ბუღალტრის დანიშვნას. ბატონი ალექსი არაბულის „ინფორმაციას" კიდევ ერთხელ გადამოწმების შემდეგ [illegible] აღნიშნული ბრძანების [illegible] ქალბატონისა და [illegible] წითელ წიგნში შეტანილ ცხოველებს, არამედ საქართველოს [illegible].

როცა კაცს ბუღალტრის დანიშვნა და წითელ წიგნში შეტანილ ცხოველებზე [illegible] სადაა 400 ლარი — [illegible] მგელზე ჯილდოს შესახებ, [illegible] რომ საქართველოს ბრძანებაში (2000 წლის 15 დეკემბრის №68 ბრძანება), [illegible] სახეობათა სიაში [illegible] მგლის ფასი არის 400 ლარი — [illegible] 194-ე მუხლის თანახმად, [illegible] 25%-ით, ანუ მგლის ერთი ინდივიდის [illegible] 100 ლარს. თუმცა [illegible] (ხელფასის) [illegible] ნადირობის [illegible] 1 დეკემბერი 2000 წ., მუხლი 86-ე, საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 301). რაც შეეხება სამონადირეო [illegible] ალური სისტემის გაუქმებას, სამინისტრო თვლის, რომ ყოვლად დაუშვებელია ცხოველთა მკვლელობის წახალისება. წარმოგიდგენიათ, რა იქნებოდა დღეს საქართველოში, თითო მგლის მოკვლაზე 100 ლარი ჯილდო რომ დაგვეწესებინა?! გაუგებარია, რა არ მოგწონთ, ბატონო ალექსი; თუ თქვენ თვლით, რომ ვისაც როდის უნდა და რამდენიც მოეხასიათება ისე უნდა ინადიროს?! ცოტა უცნაური ხომ არ არის ამგვარი მიდგომა გარემოს მხურვალე დამცველისათვის?!

*„საქართველოში ჩლიქოსანთა სამონადირეო სავარგულებს ოთხი მილიონი ჰექტარი უჭირავს. ამ ტერიტორიის გონივრულად გამოყენების და ჩლიქოსანთა გამრავლების შემთხვევაში, აქ შეიძლება განვითარდეს სამონადირეო ტურიზმი, რომელიც საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა და იგი სოლიდურ თანხებს შესძენს ჩვენს გაფხეკილ ბიუჯეტს. (ა. არაბული)".*

სამინისტრომ სამონადირეო მეურნეობების ჩამოყალიბება დიდი ხანია დაიწყო (უკვე სამი მეურნეობაა შექმნილი). რაც შეეხება სამონადირეო ტურიზმიდან შესულ „სოლიდურ თანხებს", ჯერჯერობით, „გაფხეკილ ბიუჯეტს" მათი იმედი არ უნდა ჰქონდეს. მიზეზი ელემენტარულია — უკვე შექმნილ სამონადირეო მეურნეობებში ნადირობა არ შეიძლება მანამ, ვიდრე იქ მობინადრე სახეობათა პოპულაცია არ მიაღწევს გარკვეულ რაოდენობას; ჩლიქოსნების გამრავლება „შემთხვევაზე" კი არ უნდა იყოს დამოკიდებული, არამედ გონივრულ მართვაზე. სამონადირეო მეურნეობების ძირითადი [illegible] ულეტა კი არ, „არც მეტი, არც ნაკლები", დაცვა და გამრავლება.

რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაცია „სუფთა გარემოს" ერთ-ერთ ხელმძღვანელს ბატონ ბ. გოგიას... ბატონო ბორის, ერთი გაგვაგებინეთ, რანაირად ხართ არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი, თუ ასეთი ორგანიზაცია ფორმალურად არ არსებობს?

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა გვაცნობა, რომ ორგანიზაცია „სუფთა გარემო" საქართველოს საწარმოთა და ორგანიზაციათა ერთიან რეგისტრში არ არის ჩართული, ე.ი. ამ „ორგანიზაციის" სახელით სარგებლობა, მარტივად რომ ვთქვათ — არაკანონიერია! (სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის 11.07.01 წ. №15/2-06/9).

*ბორის გოგიამ მოგვითხრო — „5-6 წლის წინ ერთ-ერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ თხოვნით მიმართა სამინისტროს, რათა მას [illegible] შეტანა გადაშენების პირას მდგარი ალპური [illegible] კეთილშობილი [illegible] რომელიც ჩვენთვის [illegible] საქართველოში რეგ[illegible] ერთ-ერთი შპს-ის [illegible] უცხოეთიდან ალპური [illegible] ოჯახი ჩამოსახლდა. [illegible] მგელმა არაჩვეულებრივი [illegible] იწყო გამრავლება [illegible] ებული ტყეებს [illegible]".*

ბ. გოგიას სიტყვებიდან გამომდინარე, რომელიღაც ქვეყნიდან, რომელიც 5-6 წლებში (მარტივი არითმეტიკა: 2001-6=1995) ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის (IUCN) მიერ მსოფლიოს წითელ ნუსხაში შეყვანილი ალპური მგლის (CUON ALPINUS, იგივე „წითელი მგელი") ათეულობით ოჯახი ჩამოიყვანეს, რომლებმაც ისე კარგად იგრძნეს თავი საქართველოში, რომ არნახულად გავრცელდა და კანონიერი თუ ბრაკონიერი [illegible] ირემს და ჯიხვს [illegible].

საინტერესოა, 1995-96 წლებში საქართველოში ჩამოყვანილმა მგელმა როგორ მოახერხა 1989 წლის ჟურნალ „საქართველოს ბუნების" მე-5 ნომერში მოხვედრა? ამ ჟურნალში გვაქვს ა. არაბულის სტატია „წითელი მგელი საქართველოში", რომელსაც მეტი თვალსაჩინოებისათვის ახლავს „გაბედულების" [illegible] არაბულის მიერ [illegible] ალპურ, ანუ წითელ [illegible] ული არსების იმ[illegible] გადაღებული ერთადერთი [illegible] ასეთი რა ზებუნებრივი [illegible] ბატონ ალექსის, [illegible] ადაული სურათი [illegible] ტორიაზე გარემოს [illegible] ხელშეწყობით 1995 [illegible] ბარბაროსული [illegible]ს?

[illegible] საქართველოს ბუნების" [illegible] ოცება გამოიწვია [illegible] მსოფლიო კავშირის [illegible] რის, რაზეც არსებობს [illegible] დასკვნა, რომელიც რამ[illegible] საქართველოს მეცნიერებათა [illegible] ზოოლოგიის ინსტიტუტი[illegible]: „Интродукция красного волка в Грузию невозможна, так как этот вид занесен в Международную Красную Книгу и находится под пристальным вниманием международной природоохранной общественности и редко содержится в зоопарках мира". იმავე დასკვნაში ვკითხულობთ: „...На фотографии приводится один из волкособачьих гибридов, которые могут быть рыжей масти. Что касается видового признака – сильно согнутого скакательного сустава – его форма неестественна. Скорее всего эта форма придана суставу после смерти зверя." ბოლო ციტატა: „...Все сказанное выше заставляет усомниться в профессиональной компетентности, научной добросовестности и даже простой нормальности автора статьи. Подобные публикации подрывают заслуженно высокий авторитет грузинской науки и не могут оцениваться иначе, как лживый бред и явная дезинформация" (ხელს აწერს IUCN-ის ძაღლისნაირთა სპეციალისტთა ჯგუფის საერთაშორისო ექსპერტი ა. დ. პოიარკოვი; ჯგუფის თავმჯდომარე დევიდ მაკდონალდი).

## გამოხმაურება – საპასუხო წერილი

# იყო და არა იყო რა...



გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთვის დიდი ხანია ცნობილია IUCN-ის ზემოთ მოყვანილი დასკვნის შესახებ, მაგრამ რამდენადაც ვთვლიდით, რომ ზოოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობა შეძლებდა თავისივე „წამყვანი სპეციალისტის" ამბიციების მოთოკვას, მიზანშეწონილად არ მიგვაჩნდა დასკვნის ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა. ეტყობა, ვცდებოდით, რადგან თორმეტი წლის წინანდელი Лживый бред и явная дезинформация დღეს სინამდვილის პრეტენზიით გამოდის და პრობლემას უქმნის ქართული მეცნიერების მართლაც დამსახურებულ ავტორიტეტს.

რაც შეეხება მსოფლიოს წითელ ნუსხაში შეყვანილი სახეობის „ათეულობით ოჯახის" საქართველოში ჩამოსახლებას:

ბატონო ბორის! თუ ქაღალდს ყველაფრის ატანა შეუძლია, ადამიანები მაინც დაინდეთ და აბსოლუტურ სისულელეს აბსოლუტურ ჭეშმარიტებად მაინც ნუ წარმოსახავთ. თუ არსებობს იმის საშუალება, რომ რომელიმე სახეობის ათეულობით ოჯახი ერთი სახელმწიფოდან ჩამოასახლ-გადაასახლონ, მაშინ როგორ მოხვდა ეს სახეობა მსოფლიოს წითელ ნუსხაში? თქვენს საყურადღებოდ გაცნობებთ, რომ არსებობს „გადაშენების პირას მყოფი ფაუნისა და ფლორის ველური სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენცია (საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული იქნა 1996 წლის 13 სექტემბერს; წევრია მსოფლიოს 154 სახელმწიფო). მის მიხედვით მსოფლიოს წითელ ნუსხაში შეყვანილი სახეობის თუნდაც ერთი ინდივიდის სახელმწიფოებს შორის საზღვარზე გადაყვანა თითქმის შეუძლებელია, იმდენი საერთაშორისო ნებართვისა და დამოუკიდებელი საექსპერტო დასკვნის არსებობაა საჭირო. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ალბათ დაგვეთანხმებით, რომ ათეულობით მგლის აქეთ-იქით ტარება საყელურითა და თასმით ცოტა მოუხერხებელია და ამ აქციის განხორციელება საბაჟოს გავლის გარეშე შეუძლებელია. საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის ცნობით, 1995-96 წლებში საქართველოში ცოცხალი მგლების იმპორტი დაფიქსირებული არ არის (საბაჟო დეპარტამენტის №10-13/4814 27.06.2001 წ. წერილი).

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, იქნებ ზედმეტიც იყოს იმის გამეორება, რომ მგლების იმპორტზე არავითარი გრანტი არ არსებულა; ამდენად, მის „განაწილებასა და შეჭმაზე" საუბარიც რეალობის სფეროს აშკარად სცილდება. იმავე არარეალურ სამყაროშია მოსაძებნი ამ „გრანტის" ვითომდა მიმღები „ერთ-ერთი შპს"-ც.

*„უამრავჯერ მივმართე გარემოს დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას და მივაწოდე ცნობები, ფოტომასალა და სხვა დოკუმენტები ალპური მგლის საქართველოსათვის დამღუპველ ზემოქმედებაზე... მივმართე პარლამენტის გარემოს დაცვის კომისიასაც და ვესაუბრე კომისიის თითქმის ყველა წევრს (ბ. გოგია)...*

და იქვე: *„...პარტიას მოეპოვება ყველა დამამტკიცებელი საბუთი და დოკუმენტური მასალა იმის თაობაზე, რომ საქართველოში ამჟამად სოლიდურად მომრავლებულია ალპური მგელი (მწვანეთა პარტიის ლიდერი გ. გაჩეჩილაძე)."*

მთელი პასუხისმგებლობით გაცნობებთ, რომ ბატონ ბ. გოგიას არასოდეს მოუმართავს სამინისტროსათვის (გამოვტყდებით, რომ აღნიშნული პუბლიკაციის გამოქვეყნებამდე საერთოდ არ ვიცოდით მისი არსებობის შესახებ). რაც შეეხება „პარლამენტის გარემოს დაცვის კომისიას", სამწუხაროდ, ბატონი ბორისის ამ ინფორმაციის გადამოწმება არ მოხერხდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ასეთი „კომისია" ბუნებაში არ არსებობს და არც არსებულა.

ჩვენ ვთხოვეთ მწვანეთა პარტიის თავმჯდომარეს, ბატონ გია გაჩეჩილაძეს ალპური მგლის თაობაზე მის ხელთ არსებული მასალის მოწოდება. ბ-ნმა გიამ, თავის მხრივ, ჯერ სატელეფონო საუბარში და შემდგომ წერილობითაც დაგვიდასტურა, რომ მის ხელთ არსებული „დამამტკიცებელი საბუთი და დოკუმენტური მასალა" ამოღებულია 1998 წელს გამოცემული წიგნიდან „ნადირთა კვალდაკვალ", რომლის ავტორიცაა ბ-ნი ალ. არაბული (საქართველოს მწვანეთა პარტიის წერილი №02-073 25.06.01 წ.). მოკლედ, ყველა გზა რომში... — უკაცრავად, ბ-ნ ალექსი არაბულთან მიდის.

ისიც სათქმელია, რომ სტატიის ავტორმა ბ-ნმა ზვიად ჩაკვეტაძემ ჩვენი სამინისტროს ცხოველთა დაცვის განყოფილების უფროსთან, ბ-ნ ირაკლი მაჭარაშვილთან და საერთაშორისო ორგანიზაცია, „სახეობათა კონსერვაციის ცენტრის" გამგეობის თავმჯდომარესთან, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატთან, ბ-ნ ზურაბ გურიელიძესთან საუბრისას მიიღო გარკვეული ინფორმაცია. სამწუხაროდ, სტატიაში ეს ინფორმაცია არასრულფასოვნად არის ასახული.

დაბოლოს, გვინდა მკითხველს გავაცნოთ თავად სტატიის ავტორის, ბატონ ზვიად ჩაკვეტაძის დამოკიდებულება იმ საკითხის მიმართ, რაზედაც მას ასე „მხურვალედ" შესტკივა გული (ამონაწერი სტენოგრამიდან): *„ახლა მე მაგალითად წარმოშობით ვარ ლეჩხუმელი, რომ ჩვიდე ლეჩხუმში თოფი ავიღო და წავიდე სანადიროდ, აბა მოვიდეს ვინმე, იქ ყველა ჩემი ნათესავია, დაწყებული ტყის მცველიდან დამთავრებული საკრებულოს თავმჯდომარით, მოვიდეს და მითხრას აი იმას არ ესროლო აკრძალულია გადამფრენი ფრინველია, ცოდოა ანდა რაღაც, და მე მითხრას რომ ეს არ მოკლა, არ მეტყვის რა, უბრალოდ არ მეტყვის, პატივს მცემს თავის თავს არ აკადრებს, როგორ ეხლა კაცი ჩამოვიდა თბილისიდან გესმის 300 კმ გამოიარა თბილისიდან და ამას ახლა მე დათვის მოკვლა აუკრძალო? ზურა (მიმართავს ბ-ნ ზ. გურიელიძეს), რას გეუბნები იცი? აი იმ დამპლურ მიდგომაში, სადაც კორუფცია ყვავის და ა.შ. სამონადირეო მეურნეობები გაკეთებს რამეს?"* — (სტილი დაცულია).

აი, ასე... ჩვენ არ გვიკვირს, რომ ამგვარი მენტალიტეტი („აბა, მოვიდეს ვინმე და მითხრას..."), არსებობს და, სამწუხაროდ, ჩვენს თანამემამულეთა დიდი ნაწილის შეგნებაშიც მყარად აქვს ფესვები გადგმული; რაც მართლა გასაკვირია, ეს ის გახლავთ, რომ ამ მენტალიტეტის პიროვნება თავის თავს უფლებას აძლევს ყალბი ფაქტები „მოიპოვოს", მათზე დაყრდნობით მორალი წაგვიკითხოს და თანაც თითი უქნიოს „...გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ჩინოვნიკებს, რომლებიც გულგრილად შესცქეროდნენ, როგორ ნადგურდებოდა რესპუბლიკის მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ცხოველთა სამყარო..."

კომენტარი მკითხველისთვის მიგვინდვია. ჩვენ კი ისღა დაგვრჩა, ქართული ტრადიციის თანახმად მივაწეროთ — „ჭირი იქა, ლხინი აქა"...

**გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო**

რედაქციისაგან: [illegible]ლოს, ჩვენც გვინდა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და საკუთარ მკითხველს, რომელთანაც პირველ რიგში ვართ პასუხისმგებელნი, ვაცნობოთ, რომ თემაზე მუშაობის დროს, არც ერთი ჩვენი ჟურნალისტი არ იწყებს ძიებას მიკერძოებით (ეს ყოველთვის და ყველასთვის ამოსავალი პრინციპია). და თუ ავტორი თემის გაშლისას შეხვდება რესპონდენტს (და სხვათა შორის, არა ერთს), რომელიც აფიქსირებს თავის პოზიციას, სტატიის ავტორი ეყრდნობა მას და შეუძლია გააკეთოს დასკვნაც, რა თქმა უნდა, მეორე — საპირისპირო მოსაზრებისა და თვალთახედვის მოხმობითაც... ეს კი ჩვენი გაზეთის პუბლიკაციაში (18-24 ივლისის „კვირის პალიტრა") დარღვეული არ ყოფილა... რაც შეეხება ჩვენი კორესპონდენტის საუბრის აუდიოჩანაწერის ციტირებას, ალბათ გამგები გაიგებს, რომ მისი გულისტკივილი სწორედ ის არის, რომ ჩვენს თანამემამულეთა შეგნებაში განმტკიცებულ პოსტულატს — „აბა, მოვიდეს ვინმე და მითხრას...", სამწუხაროდ, მართლაც ვერ უშველიან მხოლოდ სამონადირეო მეურნეობები! მთავარი სათქმელი კი, რაც ჩვენც და ალბათ სხვასაც აქვს, არის ის, რომ გავუფრთხილდეთ არცთუ დალხენილ ჩვენს ფაუნას... იქნებ, აქეთ მიგვემართა ჩვენი მცდელობა... თორემ ჩვენი ფაუნა რომ მართლაც ნადგურდება, ამაზე რედაქციის ფოსტაში შემოსული აი, ეს წერილიც (იბეჭდება შემოკლებით) ადასტურებს.

## პარლამენტარებო, SOS!..

„კვირის პალიტრის" 18-24 ივნისის ნომერში ფრიად საყურადღებო, საგანგაშო წერილი წავიკითხე. ეს გახლავთ პუბლიკაცია სათაურით: „დოლარებზე გაყიდული საქართველოს ფაუნა", რომელიც კატასტროფის მაუწყებელი საერთაშორისო სასიგნალო ნიშნით — SOS გამოქვეყნდა. ჟურნალისტი არასამთავრობო ორგანიზაციებზე დაყრდნობით აცხადებს, რომ საქართველოს ერთ-ერთ უდიდეს ლაგოდეხის ნაკრძალში ირმების რაოდენობა ბოლო ათი წლის მანძილზე 1.400 სულიდან 80 სულამდე შემცირდა.

ჩემთვის უცნობია, ხელისუფლებისა და უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს — პარლამენტის რამდენი მაღალჩინოსანი გაეცნო აღნიშნულ პუბლიკაციას და როგორი იყო მათი რეაქცია. ჩემი, როგორც ჟურნალისტის, რეაქცია კი ის გახლავთ, რომ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის (ბორჯომის ყოფილი ნაკრძალი) დირექტორს, ზვიად გოცირიძეს ვეწვიე და ვთხოვე პასუხი გაეცა კითხვაზე:

— **რამდენი ირემია ამჟამად ბორჯომის ნაკრძალში და გჰყავთ თუ არა ალპური მგლები?**

— *2000 წლის მონაცემებით ნაკრძალში 44 ირემილაა შემორჩენილი. რაც შეეხება ალპურ მგელს, დაფიქსირებული არ არის. ათი წლის წინათ ნაკრძალში 1000 სული ირემი იყო. განუკითხაობის, უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა თარეშის წლებში, ირმები ორფეხა „მგლებმა" გაანადგურეს...*

მართალია, ბორჯომის ნაკრძალი ამჟამად კარგად არის დაცული, მაგრამ იმ ქვეყანაში, სადაც ჟურნალისტს კლავენ, პარლამენტარს იტაცებენ, ტყეში ირმის მოკვლასაც მოახერხებენ, ამასთან, ორივე შემთხვევაში, დაუსჯელნი რჩებიან...

კომენტარი, მარტო მკითხველისთვის არ მიგვინდვია.

*რობერტ ცუცქირიძე,*
*ბორჯომი*

# „გადავრჩებით, მა, არ გადავრჩებით!“



ქიზიყში ხვავიანი ალოობა დამთავრდა. თითოეულ ოჯახში ხუთი, ათი და ზოგან 50 ტონა ხორბალიც კი შევიდა. თითოეულ ჰექტარზე 30-40 ცენტნერი მარცვალი მოიწიეს. იყო ნაკვეთები, სადაც საჰექტრო მოსავლიანობა ლამის კანადის დონეს გაუსწორდა. 70-80 ცენტნერი ერთ ჰექტარზე! — ასეთი შედეგი თვით მრავლისმნახველ კომუნისტურ საზოგადოებაშიც კი საოცნებო იყო.

შარშანდელი გვალვის შემდეგ კახეთი, ფაქტობრივად, სათესლე ხორბლის გარეშე დარჩა. გაეროს სასურსათო პროგრამით გათვალისწინებული ამერიკული ხორბალი კი მიიღეს, მაგრამ ეს მხოლოდ სანახევროდ იყო საკმარისი. დანარჩენი ბიზნესმენებმა და ფერმერებმა თავიანთი ძალებით შემოიტანეს, ძირითადად, დსთ-ის ქვეყნებიდან. რომ იტყვიან, ზოგი ჭირი მარგებელიაო, თესლის განახლება ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი გახდა უხვი მოსავლის მიღებისა. და კიდევ, „იუსაიდის“ ეგიდით შექმნილმა საკრედიტო კავშირებმა, რომლებიც სხვა ბანკებისგან განსხვავებით გირაოში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას და სხვა უძრავ ქონებასაც იღებდნენ, ფერმერთა ნახევარზე მეტს საშუალება მისცეს სესხით ესარგებლათ. ესეც საქმე იყო.

„კვირის პალიტრის“ ვიზიტი შირაქში დაემთხვა „იუსაიდის“ წარმომადგენელთა სურვილს — თავიანთი თვალით ენახათ იმ დახმარების შედეგი, რაც მათ გაუწიეს დედოფლისწყაროს რაიონის მინდვრის მუშაკებს. იქვე შედგა ჩვენი ბლიცინტერვიუც „იუსაიდის“ ოფისის ხელმძღვანელთან კავკასიაში **კენტ ლარსონთან.**

— **ბატონო კენტ, შარშანდელი გვალვის შემდეგ ხომ არ გეშინოდათ კახეთში ფულის დაბანდების?**

— არც ისეთი ხნიერი ვარ, შემშინებოდა (იღიმება). გასულ წელს მე, ბატონ კირვალიძესთან ერთად, დავათვალიერე გვალვისგან დაზარალებული ეს რაიონი და მივხვდი, მოსახლეობას სწორედ ახლა სჭირდებოდა დახმარება. სტიქიისგან მიყენებული ზარალი, ცხადია, არც მათ უნდოდათ და არც ჩვენ, მაგრამ რას იზამ, ბუნების წინააღმდეგ ვერ წახვალ.

ჩვენი დახმარება ერთი პერიოდისთვის არ ყოფილა გამიზნული. ჩვენი მიზანია შეიქმნას ინსტიტუტები იმისთვის, რომ მომავალში ყველა ფერმერს ჰქონდეს საშუალება, დამოუკიდებლად გასწიოს ხარჯი მოსავლის მისაღებად. ჩვენი პროგრამის პირველი ეტაპი გარკვეულწილად განხორციელდა.

## ტოკლიკიშვილის „ლაბარატორია“

თვალუწვდენელი, ოქროსფრად მბზინავი ყანების თვალიერებით რომ გული ვიჯერეთ, ჩვენმა წინამძღოლმა, რაიონის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს უფროსმა ამირან იაკობაშვილმა ღიმილით გვითხრა, ახლა ტოკლიკიშვილის „ლაბარატორიას“ დაგათვალიერებინებთო და მანქანა მარცვლეულის ხვავით გავსებულ კალოსთან გააჩერა.

მასპინძელი, რაიონში ერთადერთი მემინდვრეობის კოოპერატივის თავმჯდომარე ნოდარ ტოკლიკიშვილი ქიზიყური უშუალობით შეგვეგება და სასაუზმოდ სათონეში მიგვიწვია, სადაც თავსაფრიანი დედაკაცი კახურ შოთებს თონიდან ხდიდა და ღიმილით გვთავაზობდა.

**ნოდარ ტოკლიკიშვილი:** ეს ოთხი წელიწადია, მოსავალი ფაქტობრივად არ მიგვიღია. წელს რაკი გაგვიმართლა, მინდა კოლექტივისთვის აქვე სახლი ავაშენო. აგერ თონე ჩავდგით, ყოველდღე პურს ვაცხობთ და ეს პური ყველასთვის უფასოა. ჭის ამოჭრა დავიწყე. შირაქში ჯერ ეგეთი „წვეტიანი“ აზრი არავის მოსვლია ჩემ გარდა. უკვე სამსართულიანი სახლის სიმაღლეზე ჩავედით და მგონი, გვიმართლებს — სისველე გამოჩნდა...

— **აბა „ლაბარატორია“ სადღაა? ერთი ეგეც მაჩვენე.**

— რაღა უნდა გაჩვენო, აქ არა დგეხარ?! ამ თონეში მთელი დღე პური ცხვება. ხოდა, ხორბლის კლიენტი რო მოვა, იმას არც „წებოგვარაზე“ სჭირდება მეცნიერული დასკვნა და არც „იდეკა“-ზე... თონეზე დგაა პური? — დგა. სუნი აქ მადლიანი? — აქ. გემოც გასინჯე და თუ მეგეწონება, წაიღებ, მა, რას იზამ?!

— **სხვა რა გაქვთ კოოპერატივში?**

— 330 ჰექტარზე გვეთესა ხორბალი და ქერი. ერთი ორასი ჰექტარი კიდე მზესუმზირა, შვრია და სხვა კულტურები გვაქ. ძროხა გვყავ, ცხვარი... ჩვენი წილი ქვაცა გვაქ და კაკალიც. კოლმეურნეობა რო დაიშალა, ყველამ თავ-თავისი წილი ტექნიკა გაიტანა. [illegible] ჩვენ კიდე მოვუყარეთ [illegible] ერთად.

— **სალამის რაღას აკეთებთ ხოლმე?**

— სალამოთი კიდე ცოტა ღვინოს გადავკრავთ ხოლმე.

— **შენ რა, კოლექტივიზაციის აღორძინებას აპირებ?**

— მე არავის არ ვაპირებ. როგორც ხალხი იტყვის, [illegible] შენ სადაც გინდა, იქ წადი, [illegible]

ისე, ვისაც უნდა, თავის ქონებას [illegible] და მიდის.

— **გაგეგ ქვეყანა რას უნდა ელოდოს თქვენი უხვი მოსავლისგან?**

— რას უნდა ელოდოს და სიკეთეი. მშიერი კაცისგან კარგს ნუ ელოდებით. მაძღარმა კაცმა უნდა ააშენოს ქვეყანა!

*ქიზიყში ისე არა წვიმს, როგორც თბილისში ქუხს.*



*აი, ასე ფიქრობს ერთი ჩვეულებრივი ქიზიყელი კაცი და მეგონა, დედოფლისწყაროელთა დაფასებული გარჯა მთელი საქართველოსთვის იმედისა და სიხარულის მიზეზი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ბევრი ისეთი რამ მიამბეს ქიზიყელებმა, დავრწმუნდი, ქვეყნის აღმავლობა ზოგ-ზოგიერთების კერძო, მერკანტილურ ინტერესებს თურმე არ ემთხვევა.*

**ზურაბ თეთვაძე (ფერმერი):** „მოდიან და მოდიან ათასი ჯურის შემმოწმებლები. ერთს არ უკითხავს, რა დათესეთ, სად დათესეთ, როგორ დათესეთო. ყველა თავისას ითხოვს, გეგონება, მოსავალი ჩვენ ოფლით კი არ მოგვეყვანოს, მიწიდან ვინმეს ჰუმანიტარულად გამოეგზავნოს. არადა, რაც ჩვენ ტანჯვა გამოვიარეთ შემოდგომიდან დღევანდლამდე — ენა ვერ მოჰყვება...

უკვე რამდენი წელია ჩვენს რაიონში თესლი არ შეცვლილა. [illegible]

— [illegible]



ნახე თუ უკეთეს მოსავალს არ მივიღებ და ძროხას, კამეჩს და დოვლათს არ გავამრავლებ?..

რო ვფიქრობდით, ჩვენი უხვი მოსავალი ხალხს იმედს ჩაუსახავს, გაუხარდებათ-თქო, მთლად ეგრე არა ყოფილა. მოშურნე და მოძალადე თვალით გამოგვხედა ბევრმა.

## ვისაც მოგესვლებათ, ჩამოდით

*უკვე თბილისის გზაზე დამდგარები, თივით დატვირთულ ცხენის ურემს წამოვეწიეთ და ოთხმოცს მიტანებულ გიორგი ყოჩიაშვილსაც გამოველაპარაკე.*

— **გადავრჩებით, გიორგი ძია?**

— გადავრჩებით, მა არ გადავრჩებით! მთავარია, ომი არ იყოს და ბოღმამ და შურმა არ დაგვახრჩოს...

ცოტა ხელი გააქნიეთ სუყველამ, ხელი. ლაქლაქსა და ჭორაობას თავი დაანებონ.

ქეიფი და დროს ტარება განა მე მეშლება, მაგრამ ჯერ უნდა მაიყვანო პურ-ღვინო და მერმე მაილხინო. თუ შნო არა გაქ, სტუმრად მაინც უნდა ივარგო, კეთილი იყო.

2 აგვისტოს მოსავლის ზეიმი გვაქ. ვისაც მეგესვლებათ, მოდით, რამდენიც გინდა, იმდენი ჩამოდით. ოღონდ ვისაც ერთმანეთის გამარჯვება არ უხარია, იქ წავიდნენ, საითაც თვალი და ყური აქვთ დაგეშილი.

*ფირუზ ფურცელაძე*

# კახეთში მომხდარი სისხლიანი შეტაკების დეტალები...

22 ივლისს, კახეთში, პოლიციელებთან შეიარაღებული შეტაკების დროს სამი ბოროტმოქმედი მძიმედ დაიჭრა, მათგან ერთ-ერთი საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

ყველაფერი კი ასე დაიწყო: სამი შეიარაღებული ცხენოსანი, რომლებსაც ექვსი მოპარული ცხენი, ცხვრის გადასარეკი ტრასით, ახმეტისკენ მიჰყავდათ, გურჯაანის რაიონის ტერიტორიაზე დააფიქსირეს. მიღებული ინფორმაცია ოპერატიულად დაამუშავეს ადგილობრივი პოლიციის განყოფილებაში და რეგიონალური სამმართველოს სპეცდანიშნულების რაზმთან ერთად სოფელ ყიტაანთან ჩაუსაფრდნენ. გარკვეული დროის შემდეგ ძალოვნებმა გეგმა შეცვალეს, რადგან „ჩლიქოსნებმა“ გათვალისწინებულზე მეტად დაიგვიანეს. საბოლოოდ, პოლიციელები ქურდებს გზაზე გადაეყარნენ და იარაღის დაყრა მოსთხოვეს. პასუხად დამნაშავეებმა ცეცხლი გახსნეს, რასაც სამართალდამცავების ადეკვატური მოქმედება მოჰყვა.

შეიარაღებულმა დაპირისპირებამ თითქმის ხუთ წუთს გასტანა. ცხენოსნები სროლით ჯიქურ მიიწევდნენ პოლიციელთა პოზიციებისკენ და მიუხედავად არაერთგზის შეძახილისა, დანებებას არც ფიქრობდნენ.

თვითმხილველის ნაამბობიდან: „ის-ის იყო, ვენახიდან გამოვედი და სახლს მივაშურე, რომ სადღაც ახლოს, მოულოდნელად სროლა ატყდა. ხუთი წელიწადი ომში გავატარე, ბერლინამდე ვდიე მტერსა და ავტომატის კაკანი, აბა, როგორ გამიკვირდებოდა, მაგრამ ეგეთი რამე მგონი ფრონტზეც არ მინახავს. სროლის ხმა იქაურობას აყრუებდა და არა წყდებოდა.

ის იყო, ხეს ამოვეფარე და მიწაზე წავწექი, რომ დამფრთხალმა ცხენებმა კინაღამ ფლოქვებით გადამთელეს.

კარგა ხანს აზრზე ვერ მოვედი, რა ხდებოდა. ვერც ადგომასა ვბედავდი, რადგან ტყვიებს ჩემს ახლომახლო გაჰქონდა წუწუნი. არადა, ცნობისწადილი მკლამდა, თვალით დამენახა, რა ხდებოდა. მაინც გავბედე და ჩუმ-ჩუმად იმ ადგილს მივუახლოვდი, საიდანაც სროლის ხმა ისმოდა. დავინახე სასიკვდილოდ დაჭრილი ცხენი როგორ წაიქცა და მხედარი ქვეშ მოიყოლა. ის კი მაინც არ ცხრებოდა და ბრძოლას განაგრძობდა. უცებ სროლა შეწყდა და მაშინღა ვიგრძენი, მუხლები ერთიანად მიკანკალებდა... ეტყობა, ასაკს მაინც თავისი მიაქვს.

შეიარაღებულმა კაცებმა დაჭრილები მანქანებში ჩაანვინეს და სასწრაფოდ გააქანეს. ნაწილი ადგილზე დარჩა. მერე სხვებიც მოვიდნენ. მე კარგა ხანს ბუჩქებში ვიჯექ და არ გამოვდიოდი, სანამ სუყველა არ წავიდა.

იქაურობა ნაფრონტალს დაემსგავსა: მკვდარი ცხენი, უნაგირები, ხურჯინები აქა-იქ ეყარა...

მეორე დღესა თქვეს, შმაგი მოკლეს პოლიციელებმაო. გაგებული მქონდა ეს სახელი. ბევრი კაცი ჰყავდა გამწარებული. ცოტა ხნის წინ, აქვე სოფელში უდანაშაულო, ნესიერი კაცი მოკლა.

„ბევრმა შეძახილმაო...“ ხო გაგიგია. იმდენი უკიჟინეს ბოლო დროს ამ სამართალდამცავებს რო, ეტყობა, პოლიციამ ბოლოს ხელი გამოიღო“.

**სოსო ბერიკაშვილი** (გურჯაანის რაიონის პოლიციის უფროსი): „შმაგი როსელიშვილი მატნელია. მან მიმდინარე წელს, 16 თებერვალს, ვაზისუბანში ცხენის მოპარვის დროს მოკლა კარლო ხვედელიძე, რომელიც ეცადა ხელი შეეშალა თავისი ცხენის ქურდობისთვის. მას მანამდეც ჰქონდა რამდენიმე მძიმე დანაშაული ჩადენილი, რომლისთვისაც სასჯელის მოხდაც მოასწრო გეგუთის ციხეში. როგორც ჩანს, სწორედ იქ დაუმეგობრდა დანარჩენ ორ თანამზრახველსაც, სოფელ ომალოში მცხოვრებ, ქისტ ბეჟან ფარეულიძეს და ჭიათურელ ვალერი ბალაშვილს. გვაქვს ინფორმაცია, რომ ეს ჯგუფი ბოლო დროს კახეთის სხვადასხვა რაიონში იპარავდა საქონელს და პანკისის ხეობისკენ მიერეკებოდა. ზუსტად სად მიჰყავდათ, ამას გამოძიება დაადგენს...

რამდენიმე თვის წინ, ლაგოდეხში, შმაგი როსელიშვილი სროლით დაუსხლტა პოლიციას თავის ერთ თანამზრახველთან ერთად და მიიმალნენ. ეს 22-23 წლის ბიჭები კარგად მომზადებულები აღმოჩნდნენ შეიარაღებული ბრძოლისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ბოლომდე, დამფრთხალ ცხენებზე ამხედრებულები ისროდნენ ჩვენი მიმართულებით, მსხვერპლს სასწაულებრივად გადავურჩით. ამაზე ერთ-ერთი პოლიციელის ტყვიით გახეთქილი ავტომატის კონდახიც მეტყველებს.

ბოროტმოქმედებს ხურჯინებში დიდი რაოდენობით საბრძოლო მასალებსა და ნილბებთან ერთად, ტექნიკური ზეთიც კი აღმოაჩნდათ, რომლის დანიშნულებაც ჩვენთვის მათი კარგად მოვლილი ავტომატების ნახვის შემდეგ შეიქნა ნათელი... შმაგი როსელიშვილის ალაგმვა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ კახეთში აღარ მოხდება საქონლის ქურდობა თუ სხვა დანაშაულებრივი ქმედებები, მაგრამ მინდა განვაცხადო, რომ მომხდარი ფაქტი არ დარჩება ერთადერთ და კამპანიურ ღონისძიებად, ანუ ჩვენ მანამდე გავაგრძელებთ ბრძოლას დამნაშავეთა წინააღმდეგ, სანამ ჩვენი რაიონისა და მთლიანად კახეთის მოსახლეობას საბოლოოდ არ მიეცემა მშვიდი ცხოვრებისა და შრომის საშუალება. დამერწმუნეთ, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მშრომელ კაცს არ ეშინოდეს ცხენით მინდორში წასვლისა თუ სალამოთი ქუჩაში გამოსვლისა“.

*ფირუზ ფურცელაძე*

# პარტიზანები გალში არაქართული სკოლების გადაწვით იმუქრებიან...

როგორც „კვირის პალიტრისათვის“ ცნობილი შეიქნა, გალის რაიონში 1-ლი სექტემბრიდან შესაძლოა ვითარება დაიძაბოს. აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი ქართველი პარტიზანები მოითხოვენ, რომ 1-ლი სექტემბრიდან გალის რაიონის ყველა მოქმედ სკოლაში სწავლება დაიწყოს იმ ენაზე, რომელზეც კონფლიქტის დაწყებამდე მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი — კერძოდ, ქართულ ენაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, პარტიზანები 10 სექტემბრიდან ყველა იმ სკოლის გადაწვით იმუქრებიან, რომლებშიც მათი მოთხოვნები არ იქნება გათვალისწინებული. ასეთი შინაარსის პროკლამაციები მთელ აფხაზეთში გავრცელდა. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, გალის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგის ევა აგუმაას განცხადებით, სავსებით საკმარისი ყოფილა გალის სკოლებში ქართული ენის, როგორც ერთ-ერთი რიგითი საგნის სწავლება. როგორც ქალბატონი აგუმაა ამბობს, საკმაოდ ბევრი და მნიშვნელოვანი მიზეზი არსებობს საიმისოდ, რომ ქართული ენა სრულიად იქნეს ამოგდებული სავალდებულო საგნების სიიდან. „მაგრამ ჩვენ არ მოვექცევით ქართულ მოსახლეობას ისე, როგორც ისინი მოგვექცნენ მრავალი წლის წინ (ალბათ აქ აგუმაა გულისხმობს საქართველოს ხელისუფლების მიერ სოხუმში აფხაზური ტელევიზიისა და თეატრის გახსნას — ე.ლ.). თუ ქართველებს აფხაზეთში ცხოვრება სურთ, შეეგუონ იმ ფაქტსაც, რომ ქართული ენა მხოლოდ ერთ-ერთი რიგითი საგანი იქნება. თუ ვინმეს აწუხებს ეს ფაქტი, შეუძლია ზუგდიდის აქეთ არც გამოიხედოს...“, — აი, ასეთი კატეგორიული ბრძანდება გალის რაიონის განათლების განყოფილების გამგე.

სეპარატისტი ქალბატონის განცხადებამ მეტისმეტად გაალიზიანა პარტიზანები. მოსალოდნელი სიტუაციის შესახებ კომენტარისთვის დავუკავშირდით მათ ერთ-ერთ მეთაურს ***დავით შენგელიას.***

— გავრცელებული ინფორმაცია სწორია. აფხაზების თვითმარქვია ხელისუფლებამდე უფრო სწრაფად მიაღწია ჩვენ მიერ გავრცელებულმა პროკლამაციებმა, ვიდრე საქართველოს ხელისუფლებამდე. თუმცა ასეც იყო საჭირო.

— **არის თუ არა ამჟამად გალში თუნდაც ერთი ქართული სკოლა?**

— თავის დროზე, გალში ერთი რუსული სკოლა იყო და ოთხი — ქართული. სოფლებშიც, აჩიგვარას გარდა, ყველგან ქართულად მიდიოდა სასწავლო პროცესი. სამწუხაროდ, დღეს სოფლებშიც იგივე სიტუაციაა, რაც გალში — იქ ქართული სკოლები აღარ არსებობს. ყველა სკოლა აფხაზურია.

— **შეიძლება თუ არა ევა აგუმაას გამაღიზიანებელი განაცხადი აფხაზთა ლიდერების საერთო აზრიც იყოს?**

— არ ვიცი, ჯერჯერობით, ამის თქმის საფუძველი არა გვაქვს. აფხაზების მხრიდან სიჩუმეა. თუმცა მათ კარგად იციან, რომ დანაპირებს აუცილებლად შევუსრულებთ. ჩვენ 1-ელ სექტემბერს ველოდებით. შესაძლოა ქიშმარიას დაველაპარაკო... იქნებ თავისიანებს შეაგნებინოს, რომ თავხედობასაც აქვს საზღვარი. როგორ შეიძლება ქართველს თავის მიწაზე ქართულად სწავლება აუკრძალონ და აფხაზური ასწავლონ? კი ბატონო, იყოს აფხაზური ენის სწავლებაც, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ, რომ ყველა საგანი აფხაზურ ენაზე ისწავლებოდეს. ასე ჩვენს ბავშვებს ქართულს დაავიწყებენ. უენო კაცი კი უეროა... ქართველების მიმართ აფხაზეთში ასეთი პოლიტიკის გატარებას არ დავუშვებთ.

— **ვის იურისდიქციას ექვემდებარება გალის სკოლები?**

— ალბათ აფხაზეთის, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამას... საქართველოს მთავრობისგან მოვითხოვთ, დროულად გაატარონ საჭირო ღონისძიებები ამ რაიონში, თორემ არაფერზე დავიხევთ უკან. დაუმორჩილებელი სკოლების პედაგოგები ვერ ისარგებლებენ საქართველოს ხელისუფლების მიერ დაწესებული შეღავათებით, მათთვის განკუთვნილი მატერიალური დახმარებით.

— **თუ სკოლებს გადაწვავთ, ამით ხომ ისევ ჩვენს შვილებსავნებთ, მათ სწავლის საშუალება აღარ ექნებათ.**

— გადავწვავთ იმ სკოლებს, სადაც ქართველების არაქართველებად გაზრდას განიზრახავენ. მტერს თავისი განზრახვის განხორციელების საშუალებას არ მივცემთ!

*ეკა ლომიძე*

# პანკისის ხეობასთან შინაგანი ჯარი მოქმედების ტაქტიკას ცვლის, მაგრამ უშველის ეს საქმეს?

პანკისის ხეობასა და მიმდებარე რეგიონში ბოლოდროინდელი მოვლენების შემდეგ შსს ხელმძღვანელობამ ბოლოს და ბოლოს, მოქმედების ტაქტიკის შეცვლა გადაწყვიტა — გზებზე განლაგებულ საგუშაგოებს დაემატება მობილური საპატრულო ჯგუფები, რომლებიც ბილიკებსაც გააკონტროლებენ.

მკითხველს ალბათ ემახსოვრება, რომ „კვირის პალიტრა“ ბოლო თვეების განმავლობაში სისტემატურად მიუთითებდა იმ არაეფექტიან შედეგზე, რაც პანკისის ხეობაში შემავალი მხოლოდ სამანქანო გზების კონტროლს, ან მათ აფეთქებას მოჰყვებოდა.

ექსპერტები დაგვეთანხმებიან, რომ სასურველ შედეგს ვერც მარტო შინაგანი ჯარების საგუშაგოების რიცხვის გაზრდა მოიტანს.

პანკისის ხეობაში უნდა გატარდეს კომპლექსური ოპერატიულ-სამძიებო ოპერაციები, რომლებიც საუკეთესო სადაზვერვო ინფორმაციით იქნება უზრუნველყოფილი და აუცილებლად სისხლის დაუღვრელად უნდა დასრულდეს.

მარტო შინაგან ჯარს, რა თქმა უნდა, არც ამის ძალა აქვს და არც შესაბამისი ცოდნა გააჩნია.

ამიტომაც აქ თავისი სიტყვა უნდა თქვან უშიშროების სამინისტრომ, საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა, დაზვერვის დეპარტამენტმა და შსს ოპერატიულმა სამსახურებმა.

მოქმედების ტაქტიკა იდეალურს მაშინ მიუახლოვდება, როდესაც შსს და უშიშროების სამინისტრო (განსაკუთრებით კი მისი ანტიტერორისტული ცენტრი), თავის აგენტურულ მონაცემებზე დაყრდნობით, აგროვებს სისტემატურ ინფორმაციას პანკისის ხეობაში არსებულ ყოველდღიურ ცხოვრებასა და იქ „გაბატონებული“ ავტორიტეტების კავშირზე გარე სამყაროსთან, მათ შორის საქართველოს დანარჩენ კუთხეებთან.

დაზვერვის დეპარტამენტი აძლიერებს მუშაობას პანკისის ხეობის ჩეჩნეთთან და დაღესტანთან დამაკავშირებელი ყველა ხაზის გამოსავლინებლად, აგრეთვე უცხო ქვეყნების იმ სპეცსამსახურებზე, რომლებიც თავიანთ „ხალხს“ აქტიურად ნერგავენ ხეობაში (ამ ქვეყნებიდან უპირველესად, ალბათ უფრო ახლო აღმოსავლეთისა უნდა გამოიყოს, ვიდრე რუსეთისა).

საზღვრის დაცვის დეპარტამენტი განაგრძობს საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის ჩეჩნეთის, დაღესტნისა და ინგუშეთის მონაკვეთების გაძლიერებას. ამისათვის მათ საუკეთესო საშუალება ეძლევათ, რადგან გასულ კვირას აშშ-ის ადმინისტრაციამ თანხმობა განაცხადა, 2001 წლის პროგრამის დასაფინანსებლად ქართველ მესაზღვრეებს 12 მილიონი დოლარი გამოუყოს, რაც ძირითადად საკონტროლო-გამტარი პუნქტების ტექნიკური მოწყობის სისტემა „იორის“ დანერგვას მოხმარდება. თანამედროვე რადიოელექტრონული საკონტროლო და სათვალთვალო სისტემის (მოძრაობის სენსორული დეტექტორები, ღამის ხედვის მოწყობილობები, რადიოლოკაციური სადგურები და სხვ.) განთავსება ჩეჩნეთისა და დაღესტნისკენ მიმავალ საცალფეხო გადასასვლელებზე, მესაზღვრეებს საშუალებას მისცემს, დროულად დააფიქსირონ თითოეული გადამსვლელიც და დააკავონ.

შსს-ს ოპერატიულმა ჯგუფებმა უნდა გადაკეტონ ნარკოტიკების ხეობიდან გადინების ან შედინების გზები, ხოლო ამ სამინისტროს შინაგანმა ჯარმა შესაბამისად დაიცვას ხეობის გარეთა პერიმეტრი.



რა ადვილი ყოფილა გაზეთის ფურცლებზე იმ დიდი პრობლემის გადაჭრა, რასაც დღევანდელი საქართველოსთვის პანკისის ხეობა წარმოადგენსო, იფიქრებთ. სინამდვილეში ეს ყველაფერი ძალზე ძნელი განსახორციელებელია და ალბათ, შეუძლებელიც.

შეუძლებელია იმიტომ, რომ დღევანდელი ძალოვანი სტრუქტურები ისევე, როგორც ხელისუფლების გარკვეული ნაწილი, თავად სხედან იმ ფულით დახუნძლულ ტოტზე, რომლის მოჭრასაც მარცხენა ხელი მარჯვენას არ დაანებებს.

არსებობს ყველა წინაპირობა იმისა, რომ ქვეყანაში კანონმა არ იკანონოს, რაც არა მარტო კორუფციის გაძლიერებითაა გამოწვეული, არამედ გარკვეულწილად, არაპროფესიონალიზმითაც.

ამ დროს კი ბევრი პროფესიონალი იძულებულია, სხვა სამსახური ეძებოს, ან უმუშევრად დარჩენილ დამნაშავეებთან თანამშრომლობაც იკისროს.

თუ დროთა განმავლობაში არ „ჩაცხრა“ პანკისის ხეობა, მას ნელ-ნელა სხვა რაიონებიც შეუერთდება, სადაც ერთიანი საქართველოს სახელმწიფო ინტერესები მთლიანად უგულებელყოფილი იქნება და დასაშოშმინებლად კი არა, მათკენ მიმავალი ცენტრალური გზის გასაკონტროლებლად ხელისუფლებას აღარც შინაგანი ჯარი ეყოფა და არც თავდაცვის სამინისტრო.

# ერთი სურათის ისტორია, ანუ თურქეთის დაზვერვას კოპიტნარიდან აკვირდებიან

1993 წელი. აფხაზეთის ომი ზენიტშია. ქართული საბრძოლო დანაყოფების საჰაერო მხარდაჭერას Су-25 მოიერიშე თვითმფრინავები ქუთაისის მახლობლად განთავსებული აეროდრომიდან ახდენდნენ.

ტაქტიკური თვალსაზრისით, რა თქმა უნდა (საფრენი მანძილის და შესაბამისად საწვავის ხარჯვის შემცირების მიზნით), სჯობდა, რომ ქართული საბრძოლო ავიაცია სოხუმთან, ბაბუშერის აეროპორტში ან თუნდაც სენაკში, სამხედრო აეროდრომზე ყოფილიყო დისლოცირებული, მაგრამ ბაბუშერის ფრონტის ხაზთან შედარებითი სიახლოვის და აეროპორტის არასათანადო ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის, ხოლო სენაკში ექსპრეზიდენტის მომხრეების დიდი გავლენის გამო, ბოლოს და ბოლოს, კოპიტნარის აეროდრომი შეირჩა.





Рис. 91. Аэроснимок Мс I:3000 /летний, плановый/. Позиционный район огневой батареи дивизиона УРС "КАПРАЛ". Установка двух снарядов "КАПРАЛ" на стартовые столы.

კოპიტნარიდან რუსმა სამხედროებმა თითქმის ერთ დღეში გააფრინეს ყველა მათი საკუთარი (30-მდე) საფრონტო ბომბდამშენი Су-24 და გაიტანეს საჭირო აღჭურვილობა, თუმცა აეროდრომის საცავებში არც ისე ცოტა საავიაციო ბომბი დარჩა.

სხვა არასასურველი აღჭურვილობის დიდი ნაწილი ქართულმა მხარეს განადგურებული გადაეცა (სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ რასაც რუსმა სამხედროებმა ხელი დააკლეს, ქართველებმა, მათ შორის ადგილობრივმა მოსახლეობამ, საბოლოოდ გამოუყვანა წირვა), ხოლო საიდუმლო საბუთები და რუკები ცეცხლს მისცეს.

ამ სტრიქონების ავტორმა ამ ნაცეცხლარში შემთხვევით იპოვა ერთი ალბომი, რომელიც ძალზე საინტერესო ფოტოსურათებით იყო სავსე.

სპეციალისტი ერთი შეხედვითაც მიხვდებოდა, რომ ეს გახლდათ სადაზვერვო თვითმფრინავების მიერ მეზობელი თურქეთის ტერიტორიაზე განთავსებული სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების სურათები.

მათზე გამოსახული იყო თურქეთის ძირითადი სარკინიგზო სადგურები და კვანძები (უმეტესად საქართველოს საზღვრის სიახლოვეს განლაგებული), სადაც იმ მომენტში სამხედრო ტექნიკის გადმოტვირთვა მიმდინარეობდა.

ალბომში სჭარბობდა მართვადი და უმართავი, ტაქტიკურ-ოპერატიული დანიშნულების „კაპრალისა“ და „ონესტ-ჯონის“ ტიპის სარაკეტო დანადგარების ტყეებში შენიღბული სასტარტო პოზიციების ფოტოები.

ეს ამერიკული წარმოების რაკეტები, როგორც წესი, ბირთვული ქობინებით იყო აღჭურვილი და მათი ფრენის სიშორიდან გამომდინარე, ალბათ ძირითადად სამხრეთ საქართველოსა და სომხეთის ნაწილზე იყო დამიზნებული; ძირითადად კი — ბათუმში, ქუთაისში, ახალციხეში, ახალქალაქსა და ლენინაკანში დისლოცირებული მსხვილი საბჭოთა სამხედრო შენაერთების ტერიტორიებზე.

ის, რომ ასეთი სადაზვერვო ფოტოსურათები სწორედ კოპიტნარში აღმოჩნდა, შემთხვევითი სრულიადაც არ ყოფილა, რადგან აქ განთავსებული საბჭოთა Су-24 საფრონტო ბომბდამშენების საბრძოლო მოქმედების რადიუსში ხვდებოდა თურქეთში შეყვანილი ამერიკული, ტაქტიკური და ტაქტიკურ-ოპერატიული დანიშნულების ბირთვულქობინიანი რაკეტების სასტარტო პოზიციების უმეტესი ნაწილი.

ასეთ საჰაერო სადაზვერვო სურათებს ძირითადად Як-28 (ისინი თავის დროზე კოპიტნარში ბაზირებდნენ), Миг-25Р და Су-24МР ტიპის სადაზვერვო თვითმფრინავები იღებდნენ. ისინი ზებგერითი სიჩქარით იჭრებოდნენ (განსაკუთრებით კი Миг-25Р-ები) სხვა ქვეყნის საზღვრისპირა ნაწილში და მაღალი ხარისხის დეტალურ ფოტოსურათებს იღებდნენ (დღეისათვის დაახლოებით ამგვარი მეთოდით მუშაობს რუსეთის საჰაერო დაზვერვა და დროგამოშვებით მოსკოვს პანკისის ხეობის სურათებს აწვდის).



ამ სადაზვერვო ფოტოსურათების გამოყენებით საბჭოთა პერიოდში აქტიურად ვარჯიშობდნენ ბომბდამშენების ეკიპაჟები, რათა ომის დაწყების შემთხვევაში შეუმცდარად დაებომბათ საჭირო ადგილები. ვინ იცის, იქნებ ამ წუთშიც რუსეთის მე-4 საავიაციო არმიის მფრინავებიც (ისინი, ვინც საბრძოლო დარტყმებს აყენებენ ჩეჩნეთის მთებში შეხიზნულ მებრძოლებს) საგულდაგულოდ ჩაჰკირკიტებენ საქართველოს საზღვრისპირა რაიონებს, რომელთა საჰაერო-სადაზვერვო ფოტოსურათები მათ უკვე ბლომად მოეპოვებათ.

***გვერდი მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***





Рис. 36. Аэроснимок Мс I:3500 /летний, плановый/. Дивизион УРС "КАПРАЛ" на марше: I - полуприцепов для перевозки снарядов "КАПРАЛ" - 4 ; 2 - монтажных кранов - 2; 3 - спецавтомашин - 45; 5 - зенитных орудий на мехтяге - 9; 6 - автоцистерна - I; 7 - легковых автомашин - 4.



# გიორგი სანაია მოკლეს!

გასულ კვირას, საკუთარ სახლში, დაახლოებით დილის 5-6 საათზე ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს ტელეკომპანია „რუსთავი-2"-ის ტელენამყვანი გიორგი სანაია

გიორგის მკვლელობა ელვის სისწრაფით მოედო მთელ ქალაქს. ღრმაღელის მეტროსთან მდებარე კორპუსთან უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. თავიდან რამდენიმე ბინძური ჭორი და ვერსიაც გავრცელდა. ერთ-ერთი ვერსიით, გიორგი სანაია თითქოს ნარკოტიკების მიღების შედეგად დაიღუპა. მეორე ვერსიით, თითქოს მან თავი მოიკლა. თუმცა შემთხვევის ადგილიდან გამოსულმა შს მინისტრმა კახა თარგამაძემ იმთავითვე დაადასტურა, რომ ჟურნალისტი მოკლულია. გიორგი სანაიას მეგობრების აზრით, შესაძლოა მკვლელი ახლობელიც ყოფილიყო, რომელსაც გიორგი ენდობოდა და გამთენიისას კარი თავად გაუღო. ხალხის ტალღა აღშფოთებული მოითხოვდა მკვლელის პოვნას. „მკვლელს იპოვიან?! მკვლელი უნდა იპოვონ აუცილებლად! მთელი საქართველო ფეხზე დავდგებით!" — უყვიროდა გამწარებული ხალხი შემთხვევის ადგილიდან ეზოში ჩამოსულ სამართალდამცავებს.

გიორგი სანაია დილით სამსახურში უნდა გამოცხადებულიყო, მაგრამ იმ დღეს, ყველასთვის მოულოდნელად, „რუსთავი-2-ში" არ გამოჩენილა. მის მობილურს არავინ პასუხობდა. დღის მეორე ნახევარში თანამშრომლები იძულებულნი გახდნენ, მისთვის სახლში მიეკითხათ. მისულებს გიორგი სანაიას მანქანა ეზოში დახვდათ, ბინის კარს კი არავინ აღებდა. „რუსთავი-2"-ის საინფორმაციო სამსახურის უფროსმა ნიკა ტაბატაძემ პოლიციის პრესცენტრის ხელმძღვანელს ნინო კვაჭანტირაძეს დაურეკა.

## უკომენტაროდ...









***ნიკა ტაბატაძე:*** „თავიდან გიორგი რომ არ გამოჩნდა, ცუდი არ მიფიქრია, მხოლოდ მას შემდეგ დავეჭვდი, როცა თანამშრომლებმა გიორგის სახლთან მისი მანქანა ნახეს. ამის შემდეგ გადავწყვიტე, რომ პოლიციის პრესცენტრისთვის დამერეკა... რა უნდა ვთქვა, ძალიან მიჭირს საუბარი, მოხდა საზარელი ფაქტი. ძალიან დიდი ემოციური შოკის ქვეშ ვართ. ჩვენ ჯერჯერობით არაფერი გვაქვს გადაწყვეტილი... იცით, ძალიან მიმძიმს ამ თემაზე საუბარი. ეს არის ჩემი კომენტარი..."

***ნინო კვაჭანტირაძე:*** „დახლოებით 6-7 სთ იქნებოდა, ნიკა ტაბატაძემ დამირეკა და მითხრა: გიორგი არ ჩანს და რაიმე საგზაო შემთხვევა ხომ არ არისო. ვუპასუხე: ასეთი რამ რომ იყოს, ან თვითონ დამიკავშირდებოდა ან პოლიციის თანამშრომლები თავად იტყოდნენ-მეთქი. სადმე ხომ არ

ლად არ ავტეხოთ ხმაური-მეთქი. ნიკამ ერთ საათში ისევ დამირეკა და მითხრა, გიორგის მანქანა სახლთან დგას, კარს კი არავინ გვიღებს, იქნებ სახანძრო კიბით ან სხვა რაიმეთი ბინაში შევიდეთო...

მაშინვე დავუკავშირდი უშანგი მგელაძეს, რომელმაც შემთხვევის ადგილზე გააგზავნა გლდანი-ნაძალადევის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლები. პოლიციელი თოკების საშუალებით გადავიდა აივანზე, საიდანაც გვამი დაინახა კიდეც...

გიორგი ოთახში მდგარ კომოდთან გულაღმა იყო დავარდნილი. იგი საცვლების ამარა იყო. ხელში პირსახოცი ეჭირა. თავზე გამჭვირვალე მინის სათვალე ეკეთა. ცეცხლსასროლი იარაღით ჭრილობა მას თავის არეში ჰქონდა მიყენებული. სავარაუდოა, რომ იმ მომენტში გიორგი აბაზანაში შედიოდა და მკვლელმა ზურგიდან ესროლა. მკვლელობის შემდეგ ერთოთახიანი ბინის კარი თავდამსხმელმა აუღელვებლად გასაღებით დაკეტა და გაუჩინარდა.

***მაია ნიკოლეიშვილი*** *(იუსტიციის სამინისტროს ექსპერტი):* „თავზე აღენიშნება ერთი ცეცხლსასროლი გამჭოლი დაზიანება შესავალი ხვრელით კეფის მიდამოში, მარცხნივ, უკანა მხარეს. გამოსავალი ხვრელი თხემის მიდამოშია მარჯვნივ, ჭრილობის მიმართულებაა ქვევიდან ზევით. თავდაცვის, ბრძოლის რაიმე უხეში დაზიანება არ აღინიშნება. აქვს ნახევარსანტიმეტრიანი ნაჭდევი მუხლის მიდამოში, რომელიც თავისუფლად შეიძლება დაცემის მომენტში გაჩენილიყო. ამას ძალადობის ნიშანს ვერ დავარქმევთ. ხელზე არის დაზიანება (დამწვრობა), რომელსაც შესაძლოა მკვლელობასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდეს. მეტი დაზიანება არ ჰქონია. ვიზუალურად მკვლელობა მიბჯენით არ არის მომხდარი, თუმცა მიმდინარეობს დიფუზურ-კონტაქტური მეთოდით კვლევა, რომლის პასუხს ჯანდაცვის სამინისტრო ამ კვირაში გამოაცხადებს".

სისხლის სამართლის საქმე იმავე დღეს მკვლელობის ფაქტზე აღიძრა. პრეზიდენტმა გამოძიება შსს და უშიშროების სამინისტროსთან ერთად გენერალურ პროკურატურას დაავალა. ამ კვირიდან გამოძიებაში ჩაერთვებიან ანკარიდან და ვაშინგტონიდან ჩამოსული ძფბ-ს თანამშრომლები.

მეორე დღეს შემთხვევის ადგილზე მისულმა გამომძიებელმა სერგო ძაგნიძემ განგვიცხადა, რომ მათ უკვე აქვთ ხელჩასაჭიდი ფაქტები, რათა გამოძიება სწორი გზით წარმართონ.

აღსანიშნავია, რომ შემთხვევის ადგილიდან, კერძოდ, კედლიდან ამოღებულია ლუგერის ტიპის ტყვია, თუმცა სამართალდამცავებმა იარაღიდან გასროლილ მასრას ვერსად მიაგნეს. ჩანს, მასრა მკვლელმა იარაღთან ერთად თან წაიღო... მეზობლებიდან გიორგის ბინაში საეჭვოდ შესული პიროვნება არავის უნახავს.

მათ არც სროლის ხმა გაუგონიათ. როგორც ჩანს, მკვლელს იარაღზე მაყუჩი (ხმის ჩამხშობი) ჰქონდა გაკეთებული. მხოლოდ ერთ-ერთმა მეზობელმა, ერთი სართულით ქვევით მცხოვრებმა, გაიგო იატაკზე მძიმე საგნის დავარდნის ხმა. სავარაუდოა, რომ გიორგი სწორედ ამ მომენტში მოკლეს და იგი იატაკზე დაეცა.

***ეთერი*** *(გიორგის კარის მეზობელი):* „არაფერი გამიგია, იატაკზე დაცემის ხმა მარტო ქვედა სართულს გაუგია. არც საეჭვო არავინ მინახავს, ასეთი მშვიდი და წყნარი ადამიანის მოკვლა ვის რად უნდოდა, არ ვიცი".

***მეორე მეზობელი*** *(სახელი და გვარი არ დაასახელა):* „— არც ყვირილი, არც გასროლის ხმა არ გამიგია. ძალიან მშვიდი ოჯახი ჰქონდა. არასოდეს შემინიშნავს რაიმე კონფლიქტი ან ვინმე მოსულიყოს ჩხუბით. გიორგის სადარბაზოში თუ შევხვდებოდი შემთხვევით. დღისით, 2-3 საათზე [illegible] კიბეზე. ღამე ძალიან გვიან ბრუნდებოდა. მეზობლებს უკვე გვეძინა. ხანდახან მოვიკითხავდი ხოლმე: „როგორ ხარ გიორგი-მეთქი". „დაღლილი ვარ, ძალიან დაღლილი ვარო", სულ ასე მპასუხობდა".



გიორგის ოჯახი

„რუსთავი-2"-ის თანამშრომლები და გიორგის ოჯახის წევრები აღნიშნავენ, რომ წინა დღეებში მუქარის ზარები ან სხვა რაიმე მინიშნება, კონფლიქტი არ ყოფილა. თუმცა, როგორც გიორგი სანაიას მეუღლემ განაცხადა, ერთი კვირის წინ, ბაკურიანში დასასვენებლად წასვლამდე შეამჩნია, რომ კარის საკეტი ნაწვალები იყო. ისიც კი უთქვამს ახლობლისთვის, ვის რაში სჭირდება ჩვენი გაქურდვაო. სხვათა შორის, თვითონ გიორგის სახლის გასაღები დაუკარგავს იმ საბედისწერო დღეს. დაახლოებით ღამის 3-4 საათზე იქვე ახლოს მცხოვრები სიმამრის ბინაში ასულა და მეორე გასაღები უთხოვია. ამის შემდეგ გიორგი სახლში დაბრუნებულა...

მიუხედავად იმისა, რომ პოლიციას ადგილზე უკვე დაფიქსირებული ჰქონდა გვამი, კარი გიორგი სანაიას სიდედრმა და სიმამრმა შეამტვრიეს. ამის გამო პოლიციამ კინოლოგიის სამსახური ველარ გამოიყენა და კვალიც დაიკარგა. გაუგებარია, რატომ მისცეს ამის უფლება ჩვენმა სამართალდამცავებმა ჭირისუფლებს, როცა თავიდანვე იცოდნენ, რომ ვინმეს შესვლის შემთხვევაში კვალს ველარ აიღებდნენ?!

***ქრი ლელა*** *(გიორგი სანაიას სიდედრი):* „როდესაც ეს ამბავი შევიტყვეთ, კარის შემტვრევა გადავწყვიტეთ. მიუხედავად იმისა, რომ პოლიცია წინააღმდეგი იყო, ჩვენ არ დავუჯერეთ, რადგან დარწმუნებული არ ვიყავი, გიო მკვდარი იყო თუ დაჭრილი. რატომ უნდა მეცადა, იქნებ იმ მომენტში დახმარება შემძლებოდა... შიგნით შესულებს ვიღაც პოლიციელი დაგვხვდა. მეზობლის აივნიდან თოკებით გადასულა... თავიდან ქვემო სართულის მეზობელმა დაგვირეკა: წყალი ჩამოდის გიორგის ბინიდან, გასაღები ხომ არ გაქვთო. გასაღები ნამდვილად არ გვქონდა იმიტომ, რომ გიორგის გავატანე ზუსტად იმ ღამეს. თავისი დაკარგული ჰქონდა. მერე მეზობელმა მითხრა: შენი მეუღლის ტელეფონის ნომერი მომეციო.. ვუთხარი: თუ წყალი ჩამოდის, ჩემი მეუღლე რა შუაშია-მეთქი. ასე უხეშად რომ ვუპასუხე, მერე გაძომიტყდა: გიო სამსახურში არ გამოცხადებულა, თანამშრომლები არიან მოსულები და ეძებენო. მაშინვე მანქანით გავედით. რომ მივედით და ჯგუფ-ჯგუფად ხალხი დავინახე, მივხვდი, რომ ცუდი ამბავი ტრიალებდა. მაშინვე ავვარდით მერვე სართულზე და კარი შევამტვრიეთ: ვერ დავიცდიდი, იქნებ შველა შეიძლებოდა, მერე კი უკვე მართლა აღარაფერი მახსოვს".

***ხათუნა ჩხაიძე*** *(გიორგი სანაიას მეუღლე):* „სახლში არანაირი რეკვები და მუქარა არ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, მე არაფერი ვიცი. თუმცა რომც ყოფილიყო, გიორგი არ მეტყოდა. მე დასასვენებლად ვიყავი ბავშვთან ერთად ბაკურიანში. ყოველდღე ვუკავშირდებოდით ტელეფონით ერთმანეთს. იმ საღამოს ველაპარაკე, ღამე კი ეს ამბავი მოხდა. შებინდებული არ იყო, რომ ჩემს ტელეფონზე ჩემს მეგობარს მეუღლემ დაურეკა. მის რეაქციაზე მივხვდი, რომ რაღაც უბედურება მოხდა. თავიდან არავინ არაფერს მეუბნებოდა. მერე ნინომ მითხრა, გიოს რაღაც პრობლემა აქვსო. დავიწყე რეკვა ეკა ბერიძესთან, მათე კირვალიძესთან. ტელეფონზე არ მპასუხობდნენ და მივხვდი, რომ არ შეეძლოთ ჩემთან საუბარი. ლოგიკურად მივხვდი, რომ ეს საშინელი ფაქტი რეალური იყო"...

გიორგი სანაია დაიბადა 1975 წლის 24 თებერვალს თბილისში. იგი წარმოშობით სოხუმელი იყო. 1991 წელს სკოლის დამთავრების შემდეგ ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. 1992 წლიდან მუშაობდა გაზეთ „7 დღის" კორესპონდენტად. იყო ამავე გაზეთის სპეცკორესპონდენტი აფხაზეთის ომში. 1995-1996 წლებში მუშაობდა გაზეთ „ჯორჯიან თაიმსში". 1996-1998 წლებში გაზეთ „რეზონანსის" კორესპონდენტია. 1998 წელს მუშაობდა სტუდია „აუდიენციაში", შემდეგ ტელეკომპანია „იბერიაში", შემდეგ კი „რუსთავი-2"-ში. ხუმრობით მას მოხეტიალე ჟურნალისტსაც ეძახდნენ. „რუსთავი-2"-ის თანამშრომლები მის მიერ გაშუქებულ ბოლო თემებს მკვლელობას ვერ უკავშირებენ, თუმცა, აქვე შეიძლება ითქვას, რომ გიორგი სანაიას მიერ პანკისის თემა საკმაოდ მწვავედ იქნა გაშუქებული.

გიორგი სანაია მკვლელობის ღამეს რესტორან „არაგვში" ლელა წურწუმიას კონცერტზე ნახეს. ამას თავად მომღერალიც ადასტურებს. სხვათა შორის, გიორგის მისი ერთ-ერთი ახალი სიმღერა იმდენად მოეწონა, რომ დამშვიდობებისას უთქვამს: „იცოდე, ექსკლუზივი ჩემია"... ლელა წურწუმიას თქმით, სიმღერა მეტად სევდიანია, რომელიც ასე მთავრდება: „მოვა საღამო უშენოდ გარინდული"...

გიორგი სანაიას მკვლელობის მეორე დღესვე ჟურნალისტებმა პარლამენტის წინ აქცია გამართეს. აქ უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. მათ შორის დღეს მოქმედმა და უმოქმედო ქართველმა პოლიტიკოსებმაც, რომლებმაც ქულების ჩაწერის მიზნით ჟურნალისტებთან მიტმასნა მოინდომეს. მასმედიის წარმომადგენლებმა სიტუაციას ალღო აუღეს და აქცია დაშალეს. ხალხმაც სოლიდარობა ამ უკანასკნელთ გამოუცხადა. ამის შემდეგ სისტემატურად (დღეში ორჯერ) ხდებოდა მასმედიის გამომცემლებისა და რედაქტორების შეკრება. საუბარი იყო სულ ერთსა და იმავე საკითხზე — როგორ და რა საშუალებებით იბრძოლონ იმ მოდებული ქაოსის წინააღმდეგ, რასაც რბილად რომ ვთქვათ, გაწუკითხაობა, აღვირახსნილობა და ამ ბოლო დროს, ტერორიც ჰქვია.

ჩვენი გაზეთის მოკრძალებული წვლილი, იდეა გახლავთ შემდეგში: სანაიას დაკრძალვის დღეს, სამშაბათს, 15 საათზე, ქალაქში (სრულიად საქართველოში) წუთიერად შეწყდეს ყოველგვარი მოძრაობა, ხოლო ავტომანქანების მფლობელებმა კი ავტომანქანის საყვირით გამოხატონ თავიანთი აღშფოთება და პროტესტი ჩვენს ქვეყანაში გამეფებული ძალადობის წინააღმდეგ! ამ იდეას უყოყმანოდ შეუერთდა „თავისუფლების ინსტიტუტიც", რომელსაც დამოუკიდებლად ჰქონია იგივე მოსაზრება და ყველასთვის ერთობლივი და ყველასთვის მისაღები ეს ტექსტიც განწყობის ადეკვატური გახლავთ.

შეიძლება ითქვას, გიორგი სანაიას მკვლელებს იმედი გაუცრუვდათ. ჟურნალისტების გაერთიანებამ და ბობოქარმა პროტესტმა ყველას აჩვენა: არა, ბატონებო! — თავისუფალ მასმედიას ტყვიით ვერ დაამარცხებენ!

P.S. ბოლო, გავრცელებული ვერსიით, შსს-ში ამჟამად დაკავებულია მკვლელობაში ეჭვმიტანილი ოთხი პიროვნება, რომელთა დაკითხვას თავად კახა თარგამაძე აწარმოებს. „კვირის პალიტრა" დაუკავშირდა შს მინისტრს კახა თარგამაძეს, რომელმაც ეს ინფორმაცია არ დაადასტურა.

სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, არსებობს ვერსია, რომ შსს-მ მკვლელი ამ კვირაშივე ამხილოს. რამდენად გავლენ შემკვეთზე, ეს ჯერჯერობით გაურკვეველია, მაგრამ აუცილებელი. ბოლოს და ბოლოს, სავალდებულოა, პასუხი გაეცეს უკვე ბანალურ კითხვას: „ვინ!.. რატომ!"

**მარინა მამისაშვილი**



მასმედიის შეკრება გოლფ-კლუბში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცხოვრებისეული კურიოზები

## – კაცო, გამეიხედე შენ აქეთ, მიტუშა ხარ თუ სირნუშა...



ზესტაფონში ცხოვრობს ენაკვიმატი სევასტი რობაქიძე.

სევასტის ძალიან უყვარს ქაბაბი, ხარჩო და მწვადი. ერთი „ზაბეგალოვკა“ ჰქონდა ამორჩებული, სადაც მართლა გემრიელ კერძებს ამზადებდნენ. მაგრამ რა! მებუფეტე მიტუშა უმოწყალოდ იტყუებოდა.

ერთხელ რომ 50 თეთრი ზედმეტი უანგარიშა, სევასტის ყურადღება არ მიუქცევია. გათამამებულმა „ბუფეტჩიკმა“ აუწია და აუწია... ერთხელაც 2 ლარი რომ ზედმეტი უანგარიშა, კლიენტმა ველარ მოითმინა:

— კაცო, გამეიხედე შენ აქეთ, მიტუშა ხარ თუ სირნუშა. თუ ცხონებულ მამაჩემს შენგან ფული აქ ბიძია ნასესხები და მე მახთევიებ, ქე გაამხილე შე უპატრონო... და თუ მასეა, მე ძმაც მყავს, ტყიბულშია ჩასიძებული, შევუთვლი იმასაც, მარტო მე რატო უნდა ვიხადო მამაჩემის ვალები?

*მურმან მერკვილიშვილი, თბილისი*

## „ჩამორთმეული“ საათები...



როგორც ყველგან, პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში შტატებისა და საათების შემცირება იყო და კადრების განყოფილებაში მობოდიშებით აცნობეს ისტორიკოს კოტე ჩოლოყაშვილს (რომელსაც ჩვენი მკითხველი უკვე კარგად იცნობს): — ბატონო კოტე, ორი საათი ჩამოგერთვათო.

ძველმა თავადმა იხტიბარი არ გაიტეხა, პირიქით, — იქით ანუგეშა ამ ამბით შეშფოთებული ინსტიტუტის თანამშრომლები, — ნახევარი კახეთი ჩამომართვეს კომუნისტებმა, ის არ მიდარდია და ორ და ათშაურიანი ორი საათი ვიდარდოო?!

*ნოდარ ახალკაცი, თბილისი*

## ქალბატონო, ნუ ღელავთ, ამისთანა კიდევ მაქვს სამი...



მინდა ერთი ამბავი მოგიყვეთ... ბაბუაჩემს ძველი მეგობარი ჰყავს, რუსი პეტრე. პეტრე ადრე „ბოინში“ მუშაობდა და ცოდვა გამხელილი ჯობია, ხანდახან ხელს გამოაყოლებდა ხოლმე ხორცის რაღაც ნაჭრებს... ძალიან უყვარდა ჯიქანი...

ერთხელ თურმე (ამას თვითონ ჰყვებოდა და ჩალურჯებამდე იცინოდა) მოიხელთა ეს დელიკატესი, კონტროლიორს რომ არ შეემჩნია, რაღაც „ბულავკებით“ მიუმაგრებია წელზე და შარვლის უბეში ჩაუტენია... ზემოდან ქურთუკი ჩამოუფარებია და ასულა ავტობუსში...

ხალხი არცთუ მეჩხრად ყოფილა. ზოგი თვლემდა, ზოგი ფანჯარაში იყურებოდა. ცოტა ხნის შემდეგ პეტრემ შეამჩნია თურმე, რომ ერთი ქალი ხან თვალს არ აშორებს მის უბეს, ხან წამით აარიდებს, წითლდება და აქეთ-იქით უმწეოდ იხედება...

როცა მათი მზერა ერთმანეთს შეხვდა, ქალმა პეტრეს დიდი გაჭირვებით და ბორძიკით ჩაულაპარაკა:

— თქვენ, ბატონო... ისა... გიჩანთ... გაგეხსნათ... — და თვალებით გამომხატველად მიანიშნებს „იქ“. პეტრემ მაშინვე მექანიკურად მოისვა ხელი და შერჩა გარეთ გამოვარდნილი ძროხის ერთი ძუძუ... ავტობუსი შეჯაყჯაყდა და ის „მამაძაღლი“ კიდევ უფრო გამოხტა ღილანყვეტილი უბიდან... პეტრე ტენის უკან, მაგრამ გაგონილა!.. სულ წინ და წინ იწევა ძუძუ...

იფიქრა თურმე პეტრემ, იფიქრა და გაახსენდა, დანა რომ მუდმივად ჯიბეში ედო. ამოიღო და ერთი გასმით „წაისხიპა“ ის გამოჩრილი ტიტველი ხორცი... ეგონა, „ოპერაცია“ შეუმჩნეველი დარჩებოდა სხვებს, მაგრამ თურმე მთელ ამ მანიპულაციას თვალს არ აშორებდა ის თავზე მდგომი ქალი... რომელიც გაფითრდა, მერე ნელ-ნელა ჩაიმუხლა და პეტრე რომ არა, ალბათ ძირს გაიშხლართებოდა...

— ნუ ნერვიულობთ, ქალბატონო, ეგ სხვისი იყო, ჩემი ისევ ჩემთანაა... და საერთოდ, მასეთი კიდევ სამია იქ... — შეეცადა ქალის დამშვიდებას და მაშინ კი სულ გათიშულა ის საწყალი. ამ დროს ავტობუსიც გაჩერებულა. ქალი პაერზე ჩაუყვანიათ, მაგრამ ფეხიც ვერ გადაუდგამს, იქვე ტროტუარზე ჩამომჯდარა და, რომ იტყვიან, ლეწჩად დარჩენილა...

— ახია შენზე, — თვალი გააყოლა თურმე პეტრემ, — რას მომაშტერდი უადგილო ადგილას, უნდა იცოდე, რას უყურო!..

*კოტე, ბორჯომი*

## «ურუშაძე სად ზის?»



1984 წელია. საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობ და უბინაობის პრობლემის გადაჭრაში კომენდანტი ზურაბ გიგოლაევი დამპირდა დახმარებას. იმხანად გლდანულაში ინყებოდა მშენებლობა. მოვაგროვე სათანადო თანხა და მე და ზურაბი მაშინდელი ლენინის რაიონის აღმასკომში ნავედით „საქმის გასაჩარხად“.

აღმასკომის შენობაში, დერეფნის ბოლოში ველოდებით იმ თანამდებობის პირს, ვინც დახმარებას დაგვპირდა.

უეცრად დერეფნის დასაწყისში შუახნის ენერგიულმა კაცმა შემოაღო კარი და პირველივე კაბინეტში მთელი ხმით იკითხა, — ურუშაძე სად ზისო. პასუხი რომ ვერ გასცეს, მომდევნო კარი შეაღო და იგივე იკითხა, ისევ ხმამაღლა. იქიდანაც უარყოფითი პასუხით გამოისტუმრეს. ზურამ მუჯლუგუნი გამკრა და ეშმაკური ღიმილით მითხრა, ეს ჩვენამდეც მოაღწევსო. მართლაც, 7-8 კაბინეტის კარის გამოხსნის შემდეგ, უცნობმა ჩვენამდე მოაღწია და გაბრაზებული გვეკითხება, — ურუშაძე სად ზის?

ჩვენს უკან, კუთხეში, ტუალეტი იყო, რომელზეც შავით თეთრზე ორი ნული იყო გამოსახული. ზურამ თითით ანიშნა ტუალეტის კარისკენ და უპასუხა, ურუშაძე იქ ზისო.

უცნობს მაღლა არც აუხედავს და ტუალეტის კარი ლამის შეანგრია. ერთი კი მოგვესმა, ურუშაძე აქ ზისო... და უცნობი მაშინვე უკან გამოვარდა. გვერდზე რომ ჩაგვიქროლა, თქვენი კარგიცო, მოგვაძახა და თავის ქნევით გავარდა იმ კარში, საიდანაც ურუშაძის ნახვის იმედით შემოვარდა...

*ვაჟა თ., ახმეტა*

## „ჩვენ, ქართველები...“, ამჯერად „სა-ღლე-გრძელოდ!“



წარსულში, საქართველოს ერთ-ერთმა ძლევამოსილმა მეფემ ომი გადაიხადა და როგორც არაერთგზის, მტერს კუდით ქვა ასროლინა... დაჭრილ მეომრებს მკურნალობასა და ზრუნვას არ აკლებდნენ თვით მეფის მკურნალები. ერთ დღეს პირმშვენიერმა დედოფალმა ისურვა მამაცი რაინდების მონახულება და ექიმის თანხლებით სულ წვრილად გამოიკითხა თითოეული დაჭრილის მდგომარეობა, ყოველ მათგანს ანუგეშებდა და ასაჩუქრებდა.

ალმოჩნდა, რომ ერთი მებრძოლი უხერხულ ადგილას იყო დაჭრილი, ვერ უმხელდა დედოფალს, მაგრამ მისივე დაჟინებული მოთხოვნით, გამოუტყდა. დედოფალი კი თავის მხრივ კიდევ უფრო დაინტერესდა და ჩაეკითხა: ძვალი გაქვს გატეხილი თუ უბრალოდ, გაკაწრულიო...

დაჭრილმა გამბედაობა მოიკრიბა და დედოფალს კითხვითვე უპასუხა:

— რამდენი წლის ჯვარდაწერილი ბრძანდებით, დედოფალო?

— შვიდის! — იყო პასუხი.

— დიდება მეფეს! დიდება მეფეს! — წამოიძახა დაჭრილმა ალტაცებით, — შვიდი წლის განმავლობაში დედოფალს ვერ გაუგია, ასოს ძვალი აქვს თუ არაო!..

*თედო გველესიანი, ჭიათურა*

## მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



— ტოკლიკიშვილი, გამო, მოჰყე გაკვეთილი!

— ვიცი, რო?!

— დაეგდე მანდა!

— ავდექ, რო?!

— დატოვე კლასი!

— მიმაქ, რო?!

*ბაკურ ბაქრაძე, თბილისი*



— მიხო, თავი უნდა გადაიპარსო!

— რათა, კაცო?!

— მატყლი ჩაბარების გეგმაი ვერ შევასრულეთ და!..

— თქვენა იქნება კიტრი ჩაბარების გეგმაც ვერ შეასრულოთ!

*ჯიბო, ლელიანი*

ორი ნარკომანი მდინარის პირას ზის. ბაყაყები გაუჩერებლად ყიყინებენ. ერთ-ერთმა კენჭი ისროლა და „მომღერლებიც“ გაჩუმდნენ.

— ვაიმე, ჩემი... მგონი, დირიჟორს მოვარტყი! — შეწუხდა ერთი.

*გია ნაცვალაძე, ოზურგეთი*



— რაჟიკო, სად მიგყავს ცოლი? — ეკითხება რაჭველს მეზობელი.

— ექიმთან, რაცხა ფერი არ მომწონს ამისი!

— მერე ექიმთან კი არა, „მალიართან“ წაიყვანე, კაი ფერზე შეგიღებავს!

*თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი*



*ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.*

*მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.*

# აზერბაიჯანისა და ირანის ახალი დაპირისპირება




„ირანი წინააღმდეგია კავკასიაში საზღვრების შეცვლისა. თეირანი ამიერკავკასიის სამივე ქვეყანას განიხილავს, როგორც უახლოეს „ჩრდილოელ მეზობლებს" და დაინტერესებულია იქ მდგომარეობის სტაბილურობით", — განაცხადა ირანის [illegible] ამასთან დაკავშირე-




ბით, ბაქოელი ექსპერტების აზრით, რუსეთ-სომხეთ-ირანის დაახლოების მიზანია, რეგიონიდან დასავლეთის გაძევება. მოსკოვსა და თეირანში ამას არც მალავენ. უფრო მეტიც, მოსკოვი, თეირანი და ერევანი ცდილობენ, „ყარაბაღის რუკა" ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის პროექტის ბლოკირებისთვის გამოიყენონ, რაც მიესადაგება მათ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს.

•••

აზერბაიჯანის კასპიის სექტორში ახლახან მომხდარმა ინციდენტმა ბაქოსა და თეირანს შორის ურთიერთობა გაამწვავა: ირანის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავი ორი საათის განმავლობაში თავს დასტრიალებდა აზერბაიჯანის საკვლევ ხომალდს „გეოფიზიკ-3"-ს, რომელიც ზღვაში ალოვის ნავთობსაბადოების რაიონში მუშაობდა. საჩქაროდ აფრინდნენ აზერბაიჯანის გამანადგურებლები („მიგ-27") და ირანის მფრინავები აიძულეს, შინ დაბრუნებულიყვნენ. სამაგიეროდ, ირანის სამხედრო-საზღვაო ძალების წარ- [illegible] ადეს, რომ არ დაუშვებენ უცხოური კომპანიების მოღვაწეობას ამ რეგიონში და მათ მიერ ხელმოწერილ კონტრაქტებს ირანის მხარის თანხმობის გარეშე ძალა არ ექნება.

ირანი ადრეც გამოთქვამდა პრეტენზიებს კასპიის ზღვის სამხრეთ ნაწილში ნავთობისა და გაზის საბადოებზე, რომლებსაც აზერბაიჯანი თავის საკუთრებად მიიჩნევს. საქმე ის არის, კასპიისპირა ხუთმა სახელმწიფომ (რუსეთი, ირანი, აზერბაიჯანი, თურქმენეთი, ყაზახეთი) ვერ გაიყო კასპიის ზღვა. კომპანია „ბრითიშ ფეთროლეუმმა" განაცხადა, რომ კასპიის შელფში ალოვის ნავთობსაბადოების პერსპექტიულ სტრუქტურებზე მუშაობა შეწყვიტა და ასევე მოიქცევიან დასავლეთის სხვა კომპანიებიც. ჰეიდარ ალიევი სკეპტიკურად აფასებს კასპიისპირა ქვეყნების შეხვედრას, სადაც საბოლოოდ უნდა დადგინდეს კასპიის ზღვის სტატუსი. მისი აზრით, შეხვედრა იმ შემთხვევაში იქნება ნაყოფიერი, თუ მინერალური რესურსების გაყოფაში შეთანხმდებიან; შემდეგ კი უნდა გადაიჭრას სხვა საკითხებიც (მეთევზეობა, ნაოსნობა).

# კრემლი ჩრდილო ოსეთისთვის პატრონს ეძებს

ჩრდილო ოსეთს საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში ნამდვილად ესაჭიროება კრემლის დახმარება. რესპუბლიკის მოქმედ პრეზიდენტს ალექსანდრ ძასოხოვს უფლებამოსილება 2002 წლის იანვარში უთავდება, მაგრამ მან უკვე განაცხადა, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მივიღებო. მისი მთავარი ოპონენტი შესაძლოა, იყოს სამრეწველო საწარმოთა საბჭოს თავმჯდომარე სერგეი ხეთაგუროვი. ჩრდილო ოსეთში პრეზიდენტის არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით, ხელისუფლების პოლიტიკური მხარდაჭერის მიზნით, რეგიონში რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის და უშიშროების საბჭოს დელეგაცია ჩავიდა. ვლადიკავკაზის სამხრეთ ფედერალურ ოკრუგს ესტუმრა პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ვიქტორ კაზანცევიც.

ძასოხოვს დიდი ბრძოლა დასჭირდება პოსტის შესანარჩუნებლად. მით უმეტეს, მეზობელი ინგუშები გამუდმებით საყვედურობენ — 20 ათასი ინგუში ვერ უბრუნდება თავის კერას ჩრდილო ოსეთშიო. ძასოხოვი მაინც ცდილობს, დაარწმუნოს მოსკოველი სტუმრები, რომ მისი კანდიდატურა უფრო მიზანშეწონილია, ვიდრე ოპონენტისა.

ვლადიკავკაზის ყველა შეხვედრა დაკეტილ




კარს მიღმა მიმდინარეობდა. ჟურნალისტებს ძასოხოვმა საკმაოდ ძუნწად განუცხადა, რომ ჩრდილო ოსეთი დაღალა იმან, რომ რეგიონს კონფლიქტის წამომწყებად მიიჩნევენ.

*კომერსანტი №29*

# „უჰალსტუხოთა" შეხვედრა

დსთ-ის ქვეყნების (ბელორუსი, უკრაინა, მოლდოვა, სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი და უზბეკეთი) პრეზიდენტებმა უკვე მიიღეს რუსი კოლეგის ვლადიმირ პუტინის მიწვევა იალტაში, თანამეგობრობის ქვეყნების ლიდერთა არაფორმალურ შეხვედრაში მონაწილეობისთვის. როგორც რუსეთის ელჩი აზერბაიჯანში ნიკოლაი რიაბოვი აცხადებს, შეხვედრაზე დიდი ადგილი დაეთმობა თანამეგობრობის მრავალფორმატულ გაერთიანებას: ევრაზიის ეკონომიკური საზოგადოებრიობა, სუუამი, რუსეთისა და ბელორუსის კავშირი... აგრეთვე, განიხილავენ უშიშროების, სატრანსპორტო და ენერგეტიკულ პრობლემებს. აზებაიჯანის პრეზიდენტს ორმხრივი შეხვედრების მოწყობაც სურს; მათ შორის, ვლადიმირ პუტინთან და რობერტ ქოჩარიანთან. საქართველოს პრეზიდენტი, ეტყობა, არ მიიღებს მონაწილეობას „უჰალსტუხოთა" სამიტში. როგორც ე. შევარდნაძემ აღნიშნა, ამჟამად საქართველოში „ქვეყნის განვითარების გარდატეხის ეტაპია". პრეზიდენტს გადაუდებელ ამოცანად მიაჩნია კორუფციასთან ბრძოლის, პანკისის ხეობის პრობლემების და ფინანსური კრიზისის საკითხების მოგვარება.

*ნეზავისიმაია გაზეტა №133*

# ცნობები ჩეჩნეთიდან

## ჩეჩნეთი უნდა დაიყოს

••• ჩეჩნური კრიზისიდან გამოსვლის ახალი გეგმა თავად ჩეჩნეთმა წარადგინა. ამ საქმეში ფიგურირებს ხოჯა-აჰმედ ნუხაევი. მას მხარს უჭერს ჩეჩენ საველე მეთაურთა უმრავლესობა. ნუხაევი ასლან მასხადოვისა და იანდარბიევის დიდი ხნის მეგობარია.

ნუხაევის გეგმის თანახმად, ჩეჩნეთი ორ ნაწილად უნდა გაიყოს: მთის და ბარის ჩეჩნეთად. მთიანმა ჩეჩნეთმა უნდა შეწყვიტოს ბრძოლა და უარი თქვას დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის იდეაზე. ამასთანავე, შეინარჩუნებს „ეროვნულ თეოკრატიულ ავტონომიას". ბოლოს „მივიღებთ ჩრდილოეთის ბარის ჩეჩნეთს, რომელიც რუსეთის კულტურასა და ცივილიზაციაზე იქნება ორიენტირებული. მეორე იქნება — სამხრეთის მთიანი ჩეჩნეთი, სადაც შედარებით ნაკლებად დამახინჯებული სახით იქნება შენარჩუნებული ბარბაროსული „სისხლის პრინციპზე" დამყარებული საზოგადოებრივი ცხოვრება". მაშასადამე, მთიან რაიონებში იცხოვრებენ ყურანის, სუნას და მთის ტრადიციების თანახმად. რუსეთმა, თავის მხრივ, ამ საქმეში ხელი უნდა შეუწყოს მთიან ჩეჩნეთს, ხოლო ბარის ჩეჩნეთი გადავა ფედერალურ დაქვემდებარებაში.

ისმის კანონზომიერი კითხვა: — რა ვუყოთ ხატაბს, ბასაევს და სხვა მისნაირებს. ვაჰაბიტებს არაფერი საერთო არა აქვთ მტკიცე ტრადიციულ ისლამისტებთან.

ნუხაევის აზრით, ჭეშმარიტი „ისლამური სახელმწიფოს" შენება შეუთავსებელია სისხლით ნათესაურ და ტომობრივ-თემურ სტრუქტურებთან.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბ-ნმა ნუხაევმა თავისი გეგმა პროპრეზიდენტური მოძრაობის „ევრაზიის" კონფერენციაზე გამოაქვეყნა. ისიც საინტერესოა, რომ მოსკოვში იგი „პრეზიდენტ-ოტელში" ცხოვრობდა. გამოდის, რომ ნუხაევის მოსკოვში ჩასვლა და მისი სენსაციური განცხადებები უმაღლესმა ინსტანციებმა ფარულად უკვე მოიწონეს.

••• დაინიშნა გროზნოს ახალი მერი — ოლეგ ჟიდკოვი. იგი პირველი რუსი მერია ჩეჩნეთში. ჟიდკოვმა პირველსავე ინტერვიუში განაცხადა, რომ ადგილობრივ მოსახლეობასთან ბევრი საერთო აქვს, რადგანაც 27 წელიწადია, რაც აქ ცხოვრობს და კარგად იცნობს ჩეჩნების მენტალიტეტს.

••• სამშვიდობო მსვლელობა — გროზნო-მოსკოვი, დაიწყება 1 აგვისტოს. მასში 150 ჩეჩენი ლტოლვილი მიიღებს მონაწილეობას. ვარაუდობენ, რომ ეს მსვლელობა აიძულებს კრემლს, შეწყვიტოს ომი ჩეჩნეთში.

••• ჩეჩნეთის ომის ამჟამინდელი ეტაპის 7 ნიშანი:

1. გადასვლა პარტიზანულ — უმართავ ომში.
2. რუსეთში ანტირეფორმისტული, ანტიდასავლური, ანტიდემოკრატიული განწყობის ზრდა.
3. საზოგადოების მძაფრი პრიმიტივიზაცია — მკვლელთა რიცხვის ზრდა.
4. რუსი სამხედროების მიერ თავად რუსების განადგურება ნავთობის საბადოებზე კონტროლისთვის.
5. საშიშროება იმისა, რომ პარტიზანული მოქმედებები არ გადავიდეს საყოველთაო აჯანყებაში.
6. საფრთხე იმისა, რომ კონფლიქტი არ გადაიზარდოს სრულიად კავკასიურ დაპირისპირებაში.
7. ფედერალურ ხელისუფლებას სიტუაციიდან გამოსვლის არც ერთი ვარიანტი არ გააჩნია.

*რუსული პრესის მიხედვით*

# სტალინისეული საიდუმლო დარბევა

იელის უნივერსიტეტის პრესსამსახურმა, გამოსცა ჯოშ რუბენშტეინის და ვლადიმირ ნაუმოვის წიგნი „სტალინისეული საიდუმლო დარბევა". წიგნში მოთხრობილია ეპიზოდი რუსული ანტისემიტიზმის ისტორიიდან და ეხება იმ 15 ებრაელის დაპატიმრების, წამების და საიდუმლო სასამართლოს ამბავს, რომელთაგან უმეტესობა ცნობილი მწერლები, მეცნიერები და პოლიტიკური ფიგურები გახლდნენ. მათგან 13 სიკვდილით დასაჯეს, ერთი გაასახლეს, ერთი კი ციხეში მოკვდა. ეს 1948-1952 წლებში მოხდა. ყველა მსხვერპლი წევრი იყო „ებრაელთა ანტიფაშისტური კომიტეტისა", რომელიც სტალინის რჩევით შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის დროს, რათა საბჭოთა კავშირს, ომის საწარმოებლად, მდიდარი ამერიკელებისგან ფინანსური დახმარება მიეღო. მაგრამ 40-იანი წლების ბოლოს პოლიტიკური სიტუაციის შეცვლამ, სტალინი მტრულად განაწყო იმ კომიტეტის წინაშე, რომელიც მისმა რეჟიმმა შექმნა. ცივი ომის დაწყებისა და ისრაელის სახელმწიფოს დაარსების შემდეგ, სტალინმა ჩათვალა, რომ იმ ებრაელებს, როგორც ლოიალურ მოქალაქეებს, ვერ დაეყრდნობოდა და კომიტეტის წევრობა დანაშაულს გაუტოლდა. სახელმწიფოს მიერ სანქცირებული მოგზაურობა, რომელიც კომიტეტის წევრებმა 1943 წელს მოაწყვეს შეერთებულ შტატებში, შპიონაჟად მონათლა, ხოლო მოთხოვნა, რომ ჰოლოკოსტის მსხვერპლნი ყირიმში დაესახლებინათ — რეგიონის საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის მცდელობად შეფასდა. დაპატიმრებულთა შორის იყო სოლომონ ლოზოვსკი, რომლის შვილიშვილმა, ვლადიმირ შამბერგმა, 1940 წელს ცოლად შეირთო სტალინის თანამებრძოლის გიორგი მალენკოვის ქალიშვილი. ლოზოვსკის დაპატიმრებამდე რამდენიმე დღით ადრე, მალენკოვმა სიძე დაიბარა და ცოლთან გაყრა უბრძანა, — არ მსურს შინ ხალხის მტრის ნაშიერის ყოლაო.

ლოზოვსკი დახურული სასამართლოს გმირად იქცა. მას ვერც ერთი ბრალდება ვერ დაუმტკიცეს, მაგრამ აღმოჩნდა, ვერდიქტი თვეების წინ იყო გამოტანილი, ვიდრე მოსამართლენი სასამართლოს ზღურბლს გადააბიჯებდნენ.

*ნიუზუიქ*



# კალენდარი კოსმოსური რითმების მიხედვით

## (30 ივლისი — 19 აგვისტო)

**30-31/VII, მშვილდოსანი** — ბუჩქებისა და ხეების ამოძირკვა, ხეხილზე ზედმეტი ან გამხმარი ტოტების შეჭრა, მავნებლებთან ბრძოლა, ხილისა და ბოსტნეულის კრეფა. მიუღებელია ნიადაგის მარგვლა. აუცილებელია ოთახისა და ლოგინის განიავება, ბინის დალაგება. კარგ შედეგს იძლევა ორგანიზმის გამწმენდი და სუნთქვითი ვარჯიშები და მასაჟი. ყურადღება მიაქციეთ გულის მუშაობას. მოერიდეთ ალკოჰოლის მიღებას.

**1-2/VIII, თხის რქა** — ხეხილის მყნობა, სამკურნალო მცენარეების შეგროვება, მავნებლებთან ბრძოლა, ოთახის ყვავილების რწყვა და განოყიერება. ერიდეთ გაციებას, სიმძიმის აწევას. ნუ დაატანთ ძალას ქვედა კიდურებს და გულსისხლძარღვებს. ორგანიზმი კარგად ითვისებს სამკურნალო და კოსმეტიკურ საშუალებებს. ეცადეთ მიიღოთ ბოსტნეულის საკვები, ხილი და წვენები. ნუ წამოიწყებთ სერიოზულ საქმეს, განსაკუთრებით თანხებთან დაკავშირებულს. ნებისმიერი საქმიანობა ან მგზავრობა მოითხოვს სიფრთხილეს.

**3-4-5/VIII, მერწყული** — შეგიძლიათ ჩაატაროთ ნებისმიერი სამუშაო ნიადაგზე. ასევე კარგია განოყიერება, ოთახისა და დეკორატიული მცენარეების რწყვა, თიბვა და აუცილებლად ზვინის დადგმა. მიზანშეწონილია მწნილის ჩადება, დაკონსერვება, მურაბისა და ხილფაფის მომზადება. აუცილებელია ოთახისა და ლოგინის განიავება, ბინის დალაგება. მოერიდეთ მზის ზედმეტ დასხივებას. მიირთვით ხილი, მცირე რაოდენობით მიიღეთ სითხე, ერიდეთ ალკოჰოლს. განსაკუთრებული სიფრთხილე გმართებთ 5 რიცხვში.

**6-7/VIII, თევზები** — შეგიძლიათ ჩაატაროთ წინა დღეების სამუშაოები, გარდა დაკონსერვებისა. ეცადეთ არ გადატვირთოთ ფეხის ტერფები სიარულით. ძილის წინ აუცილებელია მასაჟი ტერფებზე. ეცადეთ მეტი დრო სუფთა ჰაერზე გაატაროთ. მიიღეთ ნებისმიერი საკვები, მაგრამ ერიდეთ ალკოჰოლს. ნუ წამოიწყებთ სერიოზულ საქმიანობას 7 რიცხვში და საერთოდ, ამ დღეს გმართებთ იმოქმედოთ დაკვირვებით.

**8-9-10/VIII, ვერძი** — ფუტკრის მკურნალობა მავნებლებზე. ხილის კრეფა, დაჩირვა, კარტოფილის ამოღება, ხილისა და ბოსტნეულის დაკონსერვება, წვენების მომზადება. თიბვა და ზვინის დადგმა 19 რიცხვამდე. ოთახისა და ლოგინის განიავება. ნუ გადაღლით თავის არეს, შეამცირეთ ფიზიკური დატვირთვა. ჩაიტარეთ ხერხემლის გამაჯანსაღებელი პროცედურები და მასაჟი. 10 რიცხვში გმართებთ სიფრთხილე, ნუ წამოიწყებთ ახალ საქმეს.

**11-12/VIII, კურო** — ზამთარში შესანახი ხილისა და ბოსტნეულის კრეფა, მურაბებისა და წვენების მომზადება, სამკურნალო მცენარეების შეგროვება. მოერიდეთ კისრის არესა და გრძნობის ორგანოების გადაღლას. კარგი პერიოდია ერთკვირიანი შიმშილის დასაწყებად. სასურველია მიიღოთ რძე, რძის პროდუქტები და ხილი.

**13-14-15/VIII, მარჩბივი** — ხორბლის, ხილის, კენკროვანი და ძირნაყოფების აღება. ხილისა და სოკოს დაჩირვა, სამკურნალო მცენარეების შეგროვება. მცენარეთა რწყვა არ შეიძლება. კარგია ოთახის განიავება, გამზეურება, დალაგება. ნუ მიიღებთ მზის დასხივებას. ნუ გადატვირთავთ მხრების არეს, ზედა კიდურებს და ფილტვებს. კარგია ფიზიკური ვარჯიშები, სექსუალური ენერგიის გარდაქმნა, დასვენება და მოგზაურობა სუფთა ჰაერზე.

**16-17/VIII, კირჩხიბი** — რწყვა სასარგებლოა ნებისმიერი მცენარისათვის. ბოსტნეულისა და ხილის კრეფა, ძირნაყოფების ამოღება, წვენების მომზადება, მაგრამ შენახვა და დაკონსერვება მიუღებელია. ნუ გადაღლით ზედა კიდურებს. კარგი პერიოდია სექსუალური ურთიერთობისათვის. საკვები შეიძლება მიირთვათ სურვილისამებრ. ჩაიტარეთ მასაჟი და ორგანიზმის გამწმენდი პროფილაქტიკური პროცედურები.

**18-19/VIII, ლომი** — სარეველების ამოძირკვა, ნიადაგის კულტივაცია, მარგვლა, ასევე ოთახის ყვავილებისა და დეკორატიული მცენარეების მოვლა. არ შეიძლება ნიადაგის განოყიერება. კარგია ბინის განიავება, გამზეურება, დალაგება. ყურადღება მიაქციეთ სახსრებს და გულის მუშაობას, ნუ გადაიღლებით ფიზიკური მუშაობით. ასევე მიუღებელია სექსუალური ურთიერთობა, ერიდეთ ალკოჰოლს. მიიღეთ მსუბუქი საკვები და წვენები.

**20-21/VIII, ქალწული** — ფუტკრის მკურნალობა ინფექციურ დაავადებებზე, დეკორატიულ მცენარეთა მოვლა, გადარგვა. კომპოსტის მომზადება, ნიადაგის განოყიერება, ბოძების დასობა. მიუღებელია ხილის კრეფა ზამთარში შესანახად, კონსერვის მომზადება. დღეიდან 28 რიცხვამდე აუცილებელია ხეხილის მუდმივი რწყვა — რომ გაისად მოგცეთ მოსავალი — აუცილებელია ვარჯიშის ციკლის დაწყება — რომ არ წარმოიშვას მარილები და კენჭები. ნუ გადაღლით საკვებმომნელებელ სისტემას, მიირთვით ძირითადად ხილი.

**22-23/VIII, სასწორი** — ნიადაგის განოყიერება, ბაღჩეული კულტურების კულტივაცია. მიუღებელია ხილის კრეფა შესანახად ან კონსერვების მომზადება — აუცილებელია ოთახისა და ლოგინის განიავება, დალაგება. კარგია თირკმლების და შარდის ბუშტის გამწმენდი პროდუქტები, ამისათვის კი აუცილებელია მიიღოთ საზამთრო 17-დან 19 საათამდე პერიოდში. მოერიდეთ მზით დასხივებას.

**24-25/VIII, ღრიანკალი** — აუცილებელია ნებისმიერი მცენარის რწყვა, განოყიერება. აუცილებელია მიიღოთ მეტი რაოდენობის ნახშირწყლები, ჩაიტაროთ ორგანიზმის გამწმენდი საშუალებები. ამ პერიოდში მიიღეთ მსუბუქი საკვები, ხილი და წვენები. მიუღებელია სექსუალური ურთიერთობა, ალკოჰოლის მიღება. აუცილებელია ჩაიტაროთ წელის ბრუნვითი ვარჯიშები, მოამზადოთ ნაყენები სამკურნალო მცენარეებისაგან.

**26-27/VIII, მშვილდოსანი** — ფუტკრის მკურნალობა ინფექციურ დაავადებაზე 30 რიცხვამდე. ხილის, ბოსტნეულისა და ძირნაყოფების კრეფა და აღება ზამთარში შესანახად. აუცილებელია ოთახისა და ლოგინის განიავება. ეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ სუფთა ჰაერზე, ჩაიტაროთ სუნთქვითი ვარჯიშები. ძირითადად იკვებოთ ხილით და ბოსტნეულით. გაუფრთხილდით გულს და სისხლძარღვებს.

*დურმიშხან ყიფიანი,*
*მთვარის ასტროლოგიური კალენდრის ავტორი*



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

## პატარები გენიოსობენ



***

**4 წლის იკა გელაძე** დედამ ქობულეთში წაიყვანა დასასვენებლად. ზღვაზე ბევრი რუსი დამსვენებელი იყო, იკა მათ ბავშვებთან გაერთო. საღამოს დედას უთხრა:

— იცი, დედიკო, ჩემხელა რუსმა ბალღებმა შენზე ბევრი რუსული იციანო.

***

გურიიდან თბილისში ჩამოსულმა ჩემმა ბიძაშვილმა, **4 წლის მარიამ დოლიძემ** რუსთაველის ძეგლი კაკო ბაბუას მიამსგავსა და გაკვირვებულმა თქვა:

— სად ასულა აი კაკო ბაბუა?

***

**3 წლის ნიკა სუხელიანმა** ენგურის აზვირთებული ტალღების დანახვაზე ბებიას უთხრა:

— ბებო, შეხედე, წყალი ტლინკებს ისვრის.

***

**2 წლის სიმონ ხურციძე** ეზოში, ბებოს კალთაში უზის. ბებომ ფეხზე დასკუპებული რწყილი მოკლა.

— რა მოკალი, ბებო? — ჰკითხა სიმონმა.

— რწყილი, შვილო, — უპასუხა ბებომ.

— ბებო, მერე რატომ მოკალი? ეგ რწყილი მეხასთან მიდიოდა. ახლა ჭიანჭველას რა ეშველება? — უსაყვედურა სიმონმა ბებოს.

***

**პატარა ნიკა** მატარებლიდან ხედავს, ალიონზე ნისლია ჩამოწოლილი.

— ბებო, რატომ არის ასე ჩამოხურული?

მერე თვითვე დაფიქრდება და უმატებს:

— იცი, რატომ? ჩვენ რომ ვიღვიძებთ, ხომ გვიჭირს გამოხედვა, თან თვალებს ვიფშვნეტთ, დილასაც ალბათ ასე ემართება...

***

**5 წლის ზუკა სულუხიას** ეკითხება მამიდაშვილი ელენე დანგაძე:

— ზუკა! რაჭაში რომ ბობიკა გყავს, კავკასიური ნაგაზია?

— არა, ჩემი ბობიკა ამბროლაურელი ნაგაზია!

***

მცხეთელ **4 წლის დათო გირდას** დედა უყვება ზღაპარს ხელმწიფეზე.

— დედიკო, რატომ ჰქვია ხელმწიფე, ხელები აქვს მწიფე? — თავის თავს თვითონვე პასუხობს გაოცებული დათო.

***

**5 წლის ირაკლი ხაჩირაშვილი** ბებიას ეუბნება:

— ბებო, რომ გავიღვიძე, ფეხი მქონდა დაბუჟებული, შენი წნევა ხომ არ გადამედო?




## იპოვეთ 13 განსხვავება



## კროსვორდი




**თარაზულად:** 1. თურქეთის დედაქალაქი; 5. რომელი შინაური ფრინველია სახელად „ტასიკო"? 7. რა არ მოიტანს ყოველთვის წყალს? 9. დონ-კიხოტის მეგობარი; 10. ის, რასაც ძილის წინ უყვებიან ხოლმე პატარებს; 12. „არა" ინგლისურად; 13. ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ....; 14. სოფიკო ჭიაურელის კინოროლი ფილმში „ნატვრის ხე"; 15. ვინ იყო იოანე ქრისტესთვის?

**შვეულად:** 1. მარაბდელი, ოძელაშვილი; 2. ავსტრალიის სიმბოლოა, მუდამ ყურებდაცქვეტილი, მას მუცელზე ჩანთაში ჰყავს პაწაწინა თავის შვილი; 3. სავსე ტომარას ახურავს კოხტად კახური ქუდი და ხეზე დაკიდებულა, იმავე ქუდის კუდით; 4. ერთ გამოცანას გეტყვით პატარებს, სადაც კი დადის, სახლს თან ატარებს; 5. ტბა, რომლის ფსკერზეც, ლეგენდის მიხედვით, ოქროს აკვანი დგას; 6. ტროლეიბუსის მეგობარი ტრანსპორტი; 8. ამერიკელი თოჯინა; 11. დათუნიას საყვარელი ტკბილეული.

### მოთხრობა-გამოცანა

ხუთ თანატოლ მეგობარ გოგონას — ანას, ნატოს, თამუნას, დიანას და ლალის, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, დაბადების დღეები ერთმანეთის მიყოლებით აქვთ. ანა იმდენივე დღით არის უფროსი თამუნაზე, რამდენითაც ნატო უმცროსია ლალიზე. დიანა კი ორი დღით უფროსია ლალიზე. ხოლო თამუნას დაბადების დღე იმ წელს ოთხშაბათს მოუწია.

გამოიცანით, კვირის რომელ დღეებში იზეიმა დანარჩენმა ოთხმა გოგონამ საკუთარი დაბადების დღე?

*(პასუხი გამოგვიგზავნეთ წერილობით).*

***წინა ნომერში შემოთავაზებული მოთხრობა-გამოცანის სწორი პასუხები გამოგვიგზავნეს:*** ნინო და გიორგი თავდგირიძეებმა, გიორგი დოლიძემ, მარიამ და ანი ჩიქოვანებმა, ლაშა ართილაყვამ, სალომე და ზინიკო ხუჭუებმა, თამუნა ხუბაშვილმა, გვანცა და მინდია პაპუნაშვილებმა, თორნიკე გაგნიძემ და მურმან ხოჯანაშვილმა.

***სწორი პასუხი კი ასეთი გახლავთ:*** 10 ნერგით მეტი დარგეს მე-6 კლასელებმა.



დაეხმარეთ პატარა თევზს მზემდე ისე მივიდეს, რომ არც ღორმუცელა თევზს ჩაუვარდეს ხახაში, არც ანკესზე წამოეგოს და ჩიტის ლუკმაც არ გახდეს.



დაადგინეთ, თითოეული რაკეტის სტარტის ადგილი

**გამოიცანი გამოტოვებული ასოები და წაიკითხე ისრის მიმართულებით**






V დაალაგეთ ეს სწორკუთხედები ისე, რომ გამოჩნდეს მხოლოდ 4 მსხალი ან 4 ვაშლი

III რებუსი













პასუხები იხილეთ 25-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

## სათნომყოფელნი უფლისა

### ციური დედოფალი შეეწია

მოგვითხრობს წმიდა ბერი *იოანე მთაწმინდელი:*

„ათონზე ჩემი შვილი — ყრმა ექვთიმე შეიპყრო მძაფრმა სენმა — სასიკვდილოდ დაავადდა — „სიკვდილს მიეახლა“, აღარც სიტყვის თქმა შეეძლო და აღარც ხმის ამოღება. შეშფოთებული ნაველი ღვთისმშობლის ტაძარში, დავვარდი წმიდა დედოფლის ხატის წინ და მხურვალე ცრემლით ვევედრებოდი უხრწნელ მარადის ქალწულ ღვთისმშობელს, რათა შეწეოდა და ეშველა. ვამცნე მღვდელს სწრაფად ამოსულიყო და ეზიარებინა. სწრაფადვე გავეშურე ექვთიმეს სახილველად თუ რა დაემართა, გავაღე სენაკის კარი, სადაც ის მწოლიარე დავტოვე და უცებ ვიყნოსე სუნი სურნელებისა საკვირველი, რამეთუ იქმნა მოხედვა წმიდა ღვთისმშობლისა და ვიხილე, ექვთიმე მისი მადლით აღდგომილიყო და იჯდა საწოლზე ყოველმხრივ ჯანმრთელი და უვნებელი: შეკრთა ჩემი გონება და ვკითხე მას — „რა არის ეს, შვილო?“ მიპასუხა: — „ახლახან წარმომიდგა ვინმე დიდებული დედოფალი და მითხრა ქართული ენით „— რა არის, რა გტკივა, ექვთიმე?“ — ხოლო მე ვუთხარ — „მოვკვდები დედოფალო“, და ეს რომ ვთქვი, მომიახლოვდა, მომკიდა ხელი და მითხრა — „აღარავითარი ვნება შენთან აღარ იქნება, ადექი, ნუ გეშინია და ქართულად უნაკლოდ ილაპარაკე!“ — და აჰა, როგორც მხედავ, სრულებით არაფერი მტკივა“. და ამბობდა ხოლმე ნეტარი იოანე, რომ ამ ჟამამდე დიდხანს უცხოობაში ნამყოფი ექვთიმე ძნელად საუბრობდა ქართულად და ფრიად მწუხარე ვიყავი ამის გამო, ხოლო მის შემდეგ შეუწყვეტლივ, როგორც წყარო, ამოდის მისი პირიდან ქართული სიტყვა, ყველა ქართველზე უფრო წმინდად“.

## იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები

### სჯობს ცეცხლში დასწვა, ვიდრე ძმისათვის დაინანო!..

იყო ერთი მთავარდიაკვანი, ღირსეული კაცი, ნარჩინებულ მშობელთა შვილი, ვისაც დიდი საფასე შემოეწირა მონასტრისათვის; მაგრამ, ამასთანავე, ერთი ნაკლიც ჰქონდა — არავის აძლევდა უფლებას რომ შესამოსელს გამოყენებოდა, რომელიც ეკლესიისთვის ჰქონდა შეწირული და რომლითაც მსახურებისას თავადაც იმოსებოდა.

ერთ დღესაც, როცა წმინდა ექვთიმე მთაწმინდელმა უსისხლო მსხვერპლის შეწირვა — საღმრთო ლიტურგიის აღსრულება ინება, მოუხმო სხვა მთავარდიაკვანს და უთხრა, სწორედ ეს შესამოსელი — პრანგი შეემოსა, მან კი მოუგო:

— სულიერო მამავ! ვითომ უწყინოს ჩვენს ძმას, მას ხომ არ ნებავს, რომ მისი კვართი ვინმემ შეიმოსოს ხოლმე?!

და მართლაც დაინახეს, რომ ხსენებული მთავარდიაკვანი შეწუხებული იყო წინამძღვრის ასეთი სურვილის გამო.

როცა საღმრთო ლიტურგია დასრულდა, წმინდა ექვთიმემ თავისთან მოუწოდა სამოსლის პატრონ მთავარდიაკვანს და ჰკითხა:

— მითხარი ნამდვილი, რა მიგიტოვებია შენ ქვეყნიურ ცხოვრებაში?

მანაც მიუგო:

— წმინდაო მამაო, შენ იცი, რომ მიმიტოვებია ჩემი მშობლები, მშენი და დიდი ქონება-სამკვიდრებელი, ხოლო თავი ჩემი ხელთ თუ რაოდენ საფასე მომიტანია, თავადვე კარგად უწყი!

მაშინ წმინდა ექვთიმემ უთხრა მას:

— მაშ, ნუთუ გსურს, რომ მაგ ყველაფრის მადლი დაკარგო ამ შენი ერთი კვართისათვის?!

თავზარდაცემულმა მთავარდიაკვანმა შეჰღაღადა:

— ნუ იყოფინ, მამაო!

წმინდა ექვთიმემ დაუყოვნებლივ ბრძანა ცეცხლი დაენთოთ და ხელით მიაწოდა მთავარდიაკვანის შესამოსელი ცეცხლში და დაწვა. ის კი ფერხთ შეუვარდა წმინდა მამას და შენდობას ევედრებოდა.

ამგვარადვე, თუკი ვისმე შესამოსელი თუ სხვა რამ საჭიროებიდ ნივთი ჰქონდეს და ენანებოდეს თავისი ძმისათვის სათხოვებლად, აიღეთ და ცეცხლში დაწვით, პატრონს კი ასე უთხარით:

— უფალმა თავის დადება, სულის განირვა გვიბრძანა ჩვენი ძმებისათვის, შენ კი არა გრცხვენია, რომ ამ გახრწნად ნივთებს უფრო მაღლად აყენებ, ვიდრე შენს ქრისტესმიერ ძმას?!.



### მოწყალების გაუცემლობა დამღუპველია

ერთ მდიდარსა და ნარჩინებულ ეპისკოპოსს ეშმაკი ჩააგონებდა მზაკვრობით, რომ მას თავისი დაგროვილი ქონებით ეკლესიები შეემკო და განემშვენებინა და მონასტრებში ალაპები გაემართა. ამ მიზეზით იგი ზოგავდა თავის სიმდიდრეს და ღარიბ-ღატაკთა მოწყალებისათვის ვერ იმეტებდა.

ეს ეპისკოპოსი წმინდა **გიორგი მთაწმინდელს** დაემონაფა და ყოველი გულისთქმა გაუმხილა.

— პოი, მეუფევ! იცოდე, რომ ეს — თქვენი ცხოვნების მტერი, ეშმაკი გებრძვის, რათა ეკლესიათა შემკობისა და ალაპის წიგნების დადების მიზეზით ნარგნჳმიდოს! რამეთუ განკითხვის საშინელ დღეს, როგორც წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს, ღმერთი იმას კი არ გვეტყვის, — ეკლესია-მონასტრები რატომ არ განამშვენეთო, არამედ მოწყალება რატომ არ გაეცითო, — „მშიოდა და არა მეცით მე ჭამადიო“.

## რას გვეტყვი, მამაო?

**— დღეისათვის თბილისში „ახალი ქართველი“ ბიზნესმენებისა და პარლამენტარების მიერ მრავალი ახალი ეკლესია შენდება. გთხოვთ, განგვიმარტოთ, შეიძლება თუ არა მათი კურთხევა, თუ ეკლესია აშენებულია არაპატიოსანი შემოსავლით (საქართველოს ტერიტორიაზე რამდენია მიწისძვრითა თუ ბოლშევიკური რეპრესიებით დანგრეული ეკლესია-მონასტრები. უფრო მართებული ხომ არ იქნებოდა, ისინი აღგვედგინა და შეგვეკეთებინა...)?**

— როდესაც ადამიანს უჩნდება ეკლესიის აშენების სურვილი, ეს უკვე საზეო საქმე გახლავთ — და თუ ის თვლის, რომ მას ხელეწიფება ასეთი საქმიანობის დაწყება და დამთავრება, გარეშე ძალა არ უნდა შეეწინააღმდეგოს.

რაც შეეხება არასწორი გზით ნაშოვნი შემოსავლის დაბანდებას ამ წმინდა საქმეში, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ ადამიანს შეეძლო აეშენებინა ვილები და კაზინოები მიწიერი საცდურებისთვის. სჯობს აშენოს ნაგებობა, რომელიც სხვა ადამიანებისთვის ნუგეშად იქცევა.

ოღონდ, აქ ერთი გარემოებაა გასათვალისწინებელი: ქტიტორებს, რომლებიც აშენებენ ტაძრებს, უჩნდებათ ამბიცია, რომ აშენებული ეკლესია მათი პირადი საკუთრებაა და იქ შეუძლიათ მოიქცნენ, როგორც მასპინძლები (მოახატვინონ თავიანთი შეხედულებისამებრ და მისთ.). სჯულის კანონი მკაცრად მიუთითებს, რომ მას შემდეგ, რაც ტაძარი იკურთხება, შემწირველს უკვე აღარ აქვს უფლება, მოეპყრას ტაძარს, როგორც საკუთრებას; ყველა საკითხი, რომელიც მის წინაშე წამოიჭრება, უნდა შეუთანხმოს იერარქს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ეს საქმიანობა არასათნო იქნება უფლისათვის. ისე კი, შემკითხველის წინადადებისამებრ, თუ ძველი ტაძრების განახლებასაც მოჰკიდებენ ხელს ქტიტორები, ურიგო საქმე არ იქნება, მაგრამ იძულების წესით ვერ ჩავერევით მათ ქმედებაში.

**— გთხოვთ, განგვიმარტოთ, ნუთუ დასაშვებია მიცვალებულის „სასახლის“ სახურავზე წმინდა ნინოს ჯვრის დაკვრა? ადამიანის სიკვდილის შემდეგ ხომ სხეულისა და სულის განშორება ხდება. ჩვენ კი მიცვალებულის სხეულთან ერთად, მიწას ვაყრით და ვმარხავთ ჯვარსაც, რაც გაუმართლებლად მიგვაჩნია.**

— ეს გახლავთ მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია — ოდესღაც მიცვალებულებს ჯვრით ხელში მარხავდნენ. მიცვალებულის ჭურჭელზე დამაგრებული ჯვარი — არ ნიშნავს ჯვრის უპატივცემულობას და არც იმის გამომხატველია, რომ ჯვარი დაკარგავს ძალას, თუ ის ჭურჭელთან ერთად მიწაში დაიმარხება. არც ჩვენი საკუთარი თავის მიმართ უნდა დავკარგოთ რწმენა, თითქოსდა ჩვენ დავკარგეთ სასოება და რწმენა ჯვრის მიმართ.

**— სიყვარულის გარეშე დავქორწინდი. ჩემს ქმარს არანაირი გრძნობა არ ჰქონდა ჩემს მიმართ. შვილების სიყვარულით ოჯახი არ დამინგრევია, მაგრამ დღემდე ჩავდივარ უმძიმეს ცოდვას — ხორციელი სიყვარულის დეფიციტს ხელცთუნებით ვანაზღაურებ. მეთვლება თუ არა ეს მრუშობის ცოდვაში?**

— ეს საქციელი აუცილებლად გეთვლებათ ცოდვაში — ის თანაბარფასოვანია მრუშობისა. წმინდა წერილში ხაზგასმით არის მითითებული, რომ ცათა სასუფეველში შეუძლებელია დაიმკვიდრონ: „...არცა მეძავთა, არცა კერპთმსახურთა, არც მემრუშეთა, არცა ჩუკენთა, არცა მამათმავალთა, არცა ანგაჰართა“ (I კორ. 6,9).

**— ითვლება თუ არა ტოტალიზატორის თამაში ცოდვად?**

— ტოტალიზატორის აზარტული თამაში მძიმე ცოდვაა. ამ თამაშების მეოხებით მრავალმა დაანგრია ოჯახი და ბევრი ადამიანისთვის ის უბედურების მაუწყებლად იქცა. აღარაფერს ვიტყვით კაზინოთა შესახებ — რომელთაც პიროვნება მიჰყავს სულიერ და ფიზიკურ დეგრადაციამდე.

## საერო მოღვაწეთა სასულიერო პოეზია



### 2 აგვისტო – ილიაობაა

საქართველოში საერო პოეტური ქმნილებების ავტორთა შემოქმედებაში ოდითგანვე გვხვდება სასულიერო ნიმუშებიც. ჩვენს ახალ რუბრიკაში, ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული, დიდი ილია მართლის (ჭავჭავაძის) სწორედ ამგვარი ხასიათის ნაწარმოებთ წარმოვუდგენთ მკითხველს, რომლებიც პოეტს სიჭაბუკის გარიჟრაჟზე, სულ 21 წლის ასაკში აქვს დაწერილი.

ამ ლოცვად თქმულ ლექსებში განგებიას ძალით თითქოსდა ამოცნობილია პოეტის საკუთარი მომავალი!

### ლოცვა

მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ
ცათა შინა!
მუხლმოდრეკილი, ლმობიერი
ვდგევარ შენ-წინა;
არცა სიმდიდრის, არცა დიდების
თხოვნა არ მინდა,
არ მინდა ამით შეურაცხ-ვჰყო მე
ლოცვა წმინდა...
არამედ მწყურს მე განმინათლდეს
ცით ჩემი სული,
შენგან ნამცნების სიყვარულით
აღმენთოს გული,
რომ მტერთათვისაც, რომელთ
თუნდა გულს ლახვარი მკრან,
გთხოვდე: „შეუნდე, — არ იციან,
ღმერთო, რას იქმნან!“

*17 ივლისი. 1858 წ.*

*ტიარლევო*

### ლოცვა

ოდეს დემონი ურწმუნოების,
უკუ-თქმისა და მაცდუროების
საწამლავით თვის სავსე თასს მაცდურს
წინ დაუდგამდეს ჩემს სულსა უძლურს, —

ნუ მანდობ, ღმერთო, ბედისა ტრიალს, —
ნუ დამაწაფებ დემონის ფიალს,
და უკეთუ არს შესაძლებელი,
მე განმარიდენ იგი სასმელი.

მაგრამ თუ, ღმერთო, შენ ღვთაებას სურს,
რათა გამოცდა მით ჰქონდეს ჩემს სულს,
გაჰქრენ შენ ხმასთან სურვილნი ჩემნი
და იყავნ ნება, უფალო, შენი!

*28 აგვისტო, 1858 წ.*

*ტიარლევო*

## უფლის სასწაულები ჩვენს დროში

### ღვთისმშობლის ხატის გამოსახულება — მინაზე

გასული წლის 30 დეკემბერს მღელვარებისა და ბედნიერების განცდამ ერთბაშად მოიცვა სიონის ტაძარი: ივერიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედ ხატს აცმევდნენ მისთვის მოოქრული ვერცხლით საგანგებოდ დამზადებულ პერანგს. ამ დროს უეცრად შენიშნეს, რომ იმ მინაზე, რომელიც ხატის პირვანდელ ჩარჩოში იყო ჩადგმული, ხატის გამოსახულება გადასულიყო!

სასწაულის მხილველთა შორის იყო პიროვნება, ვისი უშუალო ხელითაც მოხდა ხატის შემკობა და გამშვენება. ეს გახლდათ მხატვარი **გურამ მღებრიშვილი:**

— ასეთი დავალება მე უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს პატრიარქის, ილია მეორისაგან ჯერ კიდევ 1992 წელს მივიღე, — მოგვითხრობს ბატონი გურამი, — ამავე პერიოდს დაემთხვა კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა ჩემს ცხოვრებაში — ჩემ მიერ შექმნილი საწინამძღვრო ჯვარი პატრიარქმა სიონის კანკელის აღსავლის კარზე დატანების ღირსად ცნო — ეს ფაქტი ღვთაებრივ ნიშად მივიღე და მან დიდი შინაგანი ძალა მომანიჭა ახალი დავალების შესასრულებლად. მუშაობის პროცესში მუდმივად ვგრძნობდი დედა ღვთისმშობლის შეწევნას: როგორც გამოირკვა, ჩემამდე ბევრს უცდია ვერცხლის თხელი ფურცლებით ხატის შეჭედვა, მაგრამ ვერავინ შეძლო მათი გაგლინვა. შვიდი წელი ვიმუშავე ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატის პერანგზე და ამ მუშაობის პროცესმა სრულიად ახალ სულიერ საფეხურზე ამიყვანა. წარმოშობით მესხი ვარ და, როგორც ჩემი მრავალი იქაური თანამემამულე, მეც კათოლიკე გახლდით. არასრულფასოვნების კომპლექსი ამ კათოლიკობის გამო მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე მდევდა. როდესაც ჩემი მხარის ულამაზეს ტაძრებს — ზარზმას, საფარას, ჭულეს ვეწვეოდი ხოლმე, გაუცხოების გრძნობა მიპყრობდა: ამ სისხლხორცეულად ქართულ ტაძრებში მე შევდიოდი არა როგორც მასპინძელი, არამედ როგორც სტუმარი. სასწაულთმოქმედი ხატის ჭედვის პროცესში ვგრძნობდი, როგორ ვივსებოდი სულიწმინდის მადლით და მიმტკიცდებოდა რწმენა მართლისა სარწმუნოებისა. ჩემი სულიერი ზრდის შედეგი კი ის გახლავთ, რომ ხატის მოჭედვის დამთავრების დროისათვის მე უკვე კარგა ხნის მართლმადიდებელი ვიყავი — ჩემი სოფლის მღვდელმა, ტიმოთე ჩალაშვილმა მომნათლა მართლმადიდებლად!

რაც უფრო ახლოვდებოდა პერანგის გამოცვლის ჟამი, მით მეტად მეუფლებოდა ამ გადამწყვეტი მომენტის წინაშე შეუცნობელი შიშის განცდა, მაგრამ საკმარისი იყო, ხელით შევხებოდი ხატს, რომ შიში გამიქრა, თითქოს ხელები ამეხსნა და ძალდაუტანებლად დავიწყე მუშაობა, რაც იმ ენით აუწერელი ბედნიერების შეგრძნებით გასრულდა, რომელიც მინაზე გადასული ღვთისმშობლის გამოსახულების ხილვით განვიცადე. კიდევ უფრო სასწაულებრივია ის გარემოება, რომ მინაზე



გადასულია არა იმ ასლის იერსახე, რომელიც საქართველოში ჩამოაბრძანეს, არამედ უშუალოდ დედნისა, რომელიც დღემდე ათონის მთაზეა დაბრძანებული. ჭეშმარიტად, უსაზღვროა ძალა და დიდება უფლისა!

წლევანდელ სააღდგომო დღესასწაულის დღეებში, ქველმოქმედი პიროვნების კონსტანტინე როგავას მეოხებით, რომელმაც ჩემი მოკრძალებული შრომის საზღაურად, ათონის მთაზე სტუმრობის ბედნიერება მომანიჭა, საკუთარი თვალით ვიხილე თვით ათონის მთაზე მომხდარი კიდევ ერთი სასწაული: როგორც ცნობილია, თავის დროზე, X-XI საუკუნეების მიჯნაზე, წმინდა გაბრიელ ქართველმა ეს ხატი ზღვიდან გამოაბრძანა. იმ ადგილას, სადაც თავდაპირველად დაასვენა, წყარომ ამოხეთქა. როდესაც ეს ხატი (ასლი) საქართველოში წამოაბრძანეს, წყარო სანახევროდ დაშრა. ბერებმა ასე განგვიმარტეს ეს მოვლენა: ამ ხატს უდიდესი მადლი გამოჰყვაო თან საქართველოში. ღმერთმა ქნას, ამ მადლის ძალა არ მოკლებოდეს ჩვენს სამშობლოს!

## გულითადი განდობანი

### როგორ დამეხმარა მობილური ტელეფონი

ჩვეულებრივი სადენებიანი ტელეფონით საუბრისას, ადრე არასოდეს დავუფიქრებივარ იმ უბრალო ჭეშმარიტებას, თუ რა საოცარი მექანიზმებით ხდება, რომ ჩვენ ვლაპარაკობთ ყურმილში და სადღაც შორს, მავთულის მეორე მხარეს, ადამიანი გვეპასუხება.

მაგრამ მას შემდეგ, რაც მობილური ტელეფონი შემოვიდა ხმარებაში, მე არ მცილდება იმ სასწაულის განცდა, რომ დგას ადამიანი, ყურზე პლასტმასის პატარა კოლოფი აქვს მიბჯენილი და ცხრა მთას იქით მყოფ ადამიანს ესაუბრება.

გთხოვთ, ნუ დამიწყებთ ამ მოვლენის ფიზიკისა თუ ასტრონომიის კანონებით განმარტებას — ყოველი მეცნიერული ახსნა ხომ საბოლოოდ საღვთო განგებულობას ექვემდებარება! მე სულ სხვა რამის თქმა მსურს: თუ ერთი ადამიანის ხმა მეორე ადამიანს განუსაზღვრელ სიშორეზე ესმის, მაშ რაოდენ ყოფილა ეთერი ჩვენი ხმებით გაჯერებული! და თუ ჩვენი საუბრის თითოეული ფრაზა მიდის ჩვენი ახლობლის ყურამდე ამ პატარა პლასტმასის ყუთის საშუალებით, ჩვენს მიერ წარმოთქმული ყოველი სიტყვა ხომ სადღაც იკრიბება უცილობლად! ჩვენ კი ალბათ ძალიან ხშირად არც კი ვფიქრობთ, როგორ ვანაგვიანებთ ეთერს ჩვენი მრისხანებით, ლანძღვით, გინებით, წყევლით — და როგორ განვარისხებთ უფალს!

რაც ეს მოვლენა გავაცნობიერე, მას შემდეგ ვცდილობ ლოცვები არ ვიკითხო უხმოდ, თვალებით — თითქოს ახლა მივხვდი, თუ რატომ არის ლოცვების ხმამაღლა კითხვა აუცილებელი — იმისთვის, რათა ვასმინოთ იგი ჩვენს მფარველ ანგელოზს, რომელიც მარადის ჩვენი მეოხია დედა ღვთისმშობლის, წმინდანებისა და თვით უფლის წინაშე და გულიდან დაძრული გულწრფელი სიტყვების ღაღადისს აღავლენს თვით ზეცამდე!

*ნ.ბ.*

*(ქუთაისი)*

ჩვენი გაზეთის მკითხველს შეუძლია „საოჯახო-მართლმადიდებლური საკითხავი გვერდის“ ნებისმიერი რუბრიკისთვის შემოგვთავაზოს მასალები. ჩვენი საფოსტო ყუთების ადგილმდებარეობა იხ. გვ. 32

*გვერდი მოამზადა ზურაბ ქართველიშვილმა*

„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა წინაპართაგან — მამული, ენა, სარწმუნოება..." — ერის მამის მიერ ქართველთა ყველა თაობისთვის ანდერძად დაბარებული ეს ჭეშმარიტება, დღეს ირონიის საგნად უქცევიათ მავანთ. ცხადია, უბირთა ქილიკი ვერ შეცვლის ჭეშმარიტებას, მაგრამ ჭეშმარიტებას რომ დაცვა სჭირდება, ამასაც ილია გვიქადაგებდა. ამიტომ ერის ცხოვრების გზასა და გეზს, საერთო-ეროვნულ ფასეულობებს — სწორედ იმას, რასაც სახელმწიფოებრივი იდეოლოგია ჰქვია (ან უნდა ერქვას), ყოველ წუთს ხელახლა წარმოჩენა უნდა, თუნდაც იმ თითქმის ისტერიული „ზედემოკრატიული" კამპანიის ფონზე, რომლის „შემოქმედნიც" სწორედ ეროვნული იდეოლოგიის წინააღმდეგ იბრძვიან და მიამიტთა დასარწმუნებლად ყველაფერს „ხადა" და „გასაგებ" საფანელში ახვევენ: არ არის საუბარი ეროვნულ იდეოლოგიაზე, ჩვენ ზოგადად იდეოლოგიის — როგორც ადამიანის პიროვნული თავისუფლების შემზღუდველი ჩარჩოს წინააღმდეგნი ვართო!..

ამ მართლაც „საჭირბოროტო საკითხზე" „კვირის პალიტრამ" უკვე რამდენჯერმე გაამახვილა ყურადღება — ჩვენი რესპონდენტები საქვეყნოდ ცნობილი და დამსახურებულად პატივცემული მოღვაწეები იყვნენ და აღნიშნულმა პუბლიკაციებმა მკითხველთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია, რასაც მათი წერილები და სატელეფონო ზარები ადასტურებს.

ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ კვლავ დავუბრუნდეთ ამ თემას და, ალბათ, რესპონდენტის არჩევაშიც არ შევმცდარვართ — ბატონი ლევან ღვინჯილია დღეს საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარეა და უკვე სამსახურებრივად ევალება იმ სამთაგან ერთ-ერთი საუნჯის დაცვა, რასაც ადრე — საქართველოს ტელევიზიაში მოღვაწეობისას საკუთარი ინიციატივით აკეთებდა.

# ფიგურალურად თუ ვიტყვით: „მოქალაქეობა" მისამართია, „ეროვნება" – ვინაობა

## ამბობენ — გურიაში ამერიკული დემოკრატიის ასაკისა ხეჭეჭურის ხე დგასო...

**— ბატონო ლევან, არის თუ არა საჭირო ეროვნული იდეოლოგია, შეუძლია თუ არა სახელმწიფოს მის გარეშე ცხოვრება და განვითარება?**

— მე ამ კითხვას ჯერ კითხვასვე შევაგებებდი: რა ჰგონიათ იდეოლოგია?! თუ მხოლოდ „საბჭოთა იდეოლოგია", ან „კომუნისტური იდეოლოგია" მიაჩნიათ ასეთად, მაშინ ღრმად ცდებიან. ვინმე დაობს იმაზე, რომ საბჭოთა იდეოლოგია არ ვარგა? მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იდეოლოგია საერთოდ არ არის საჭირო! „იმპერიალიზმი ცუდია!" „საბჭოთა იმპერიალისტური სახელმწიფო არ უნდა არსებობდეს!" — თანახმა ვიყავით და ვართ, მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ არ უნდა არსებობდეს სახელმწიფო! ამიტომ მგონია, რომ ან უბრალოდ არ იციან რა არის იდეოლოგია, ან იციან და „ვითომ არ იციან"! ისინი ამბობენ, რომ იდეოლოგია არის „აკვიატებული აზრი" — პრინციპი, რომლითაც უნდა იმართებოდეს სახელმწიფო და ეს არ მოსწონთ, მაშინ მითხრან, — მაშ, როგორ უნდა იმართებოდეს?! ბოლოს და ბოლოს, სახელმწიფოს ერთ-ერთი განსაზღვრება ისიცაა, რომ ეს არის „დამსჯელი, დამთრგუნველი მექანიზმი" და ამიტომაც ამბობდნენ უტოპისტები, რომ მოვა იდეალური დრო, როდესაც არ იქნება საჭირო მთავრობა, სასამართლო, პოლიცია, თუნდაც საავადმყოფო და საბოლოო ჯამში — სახელმწიფოო!

მიამიტი უნდა იყოს ადამიანი, რომ დაიჯეროს, თითქოს ამერიკაში იდეოლოგია არ არის. არის და თანაც — სწორედ ეროვნული, ანუ პატრიოტული იდეოლოგია. მაგრამ ამერიკული პატრიოტობა, ქვეყნისადმი მისი სიყვარული, სხვა რამ არის და მას სასაცილოდ არ ჰყოფნის წინაპართა საფლავები, ფარნავაზი, აღმაშენებელი და ხალხური ცეკვა-სიმღერა.

ორიოდე დღის წინ საქართველოს ტელევიზიით გამოვიდა კევინ თუითი, ამერიკელი ეთნოლინგვისტი, რომელიც შეყვარებულია საქართველოზე. იგი აღფრთოვანებას ვერ მალავდა საქართველოს მთიანეთში მოგზაურობისას მიღებული შთაბეჭდილებების გამო და განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ქართული სუფრის ინსტიტუტს. გაოცებული და აღფრთოვანებული იყო იმით, რომ წინაპართა მოსახსენიებელი სადღეგრძელოები ისმება. ამ დროს, ერთ-ერთი ქართველი სოციოლოგი, სულ ახლახან დასტამბულ თავის წიგნში, მიწასთან ასწორებს ყველაფერ ქართულს და, პირველ რიგში, ქართული სუფრისა და თამადობის ტრადიციას: ყველა ქართველი მამაკაცი „ვერშემდგარი ქალია" და ქართული სუფრა კი, „მთვრალი ჰომოსექსუალისტების ლოშნაობაო"!

გაიხსენეთ — ერთმა მოსკოველმა ქართველმა თქვა, რაღაც პოლიტიკურ წრეში რამდენიმე „ცისფერი ბიჭიაო" და ამის გამო, მუშტი-კრივი მოაწყვეს და ლანძღვა-გინების კორიანტელი დააყენეს ქვეყნის მართვაში მონაწილე ადამიანებმა და ახლა კი, კაცი მთელ ქართველ საკაცეთს „პედერასტებს" გვეძახის და რეაქცია არა აქვს არავის.

ერთი სიტყვით, ფაქტია, რომ დღეს აქტიურად და მიზანდასახულად ხდება ყველაფრის გაქილიკება, აბუჩად აგდება, რაც ყოველთვის ფასეული იყო ჩვენთვის და როდესაც ვაკვირდები ამის დამადასტურებელ კონკრეტულ ფაქტებს, თითქმის ვრწმუნდები, რომ ეს რაღაც დიდი გეგმის ნაწილია.

იდეოლოგია იდეათა ერთობლიობაა და იდეაში ამ შემთხვევაში, ტრადიციებიც იგულისხმება. ამას ხდიან საქილიკოდ? გურიაში ამერიკული დემოკრატიის ასაკისა ხეჭეჭურის ხე დგასო, — ამბობენ.

კი ბატონო, მათზე უკეთ ვიცით, რომ ბევრი ტრადიცია თუ ჩვეულება დამახინჯებულია, თუნდაც დატირების ისეთი ცერემონიალი, როგორსაც დღეს ჩემს მშობლიურ კუთხეში ვხვდებით, მაგრამ ესეც ხომ იმის შედეგია, რომ ათწლეულების მანძილზე ტრადიციების დაცვას კი არა, მათ გადაგვარებას უწყობდნენ ხელს. საქართველოს ტელევიზიაში ვმუშაობდი მაშინ, როდესაც მოსკოვიდან პირდაპირ კრძალავდნენ თუნდაც ძილისპირულის ქართული გადაცემის მომზადებას, რათა ჩვენი ბავშვები იძულებული ყოფილიყვნენ, მათი გადაცემა ენახათ. დირექტივები მოდიოდა: Не надо показывать старину(!). აი, ეს იყო იდეოლოგია და ამან „იმუშავა" კიდეც!

**— თქვენ რაღაც დიდი გეგმა ახსენეთ. იქნებ დააკონკრეტოთ? გეგმას ხომ ჯერ შემდგენელი და შემდეგ შემსრულებელი სჭირდება? იქნებ უფრო კონკრეტულად გვითხრათ.**

— საბჭოთა ეპოქაზე ნუღა ვისაუბრებთ — იქ გეგმის ავტორიც ცნობილია და შემსრულებელიც.

დღევანდელობას რაც შეეხება — ზოგი ამას „დალესის გეგმას" უწოდებს, ზოგიც სხვა რამეს. თუმცა არც უამისობაა — როგორც იცით, „დალესის გეგმაში" პირდაპირ არის მითითებული იდეოლოგიურ-კულტურული ექსპანსიის შესახებ.

უფრო მტკივნეული ალბათ „შემსრულებელთა" თემაა: ეს ზოგს თავისი სისულელითა და გაუნათლებლობით მოსდის, ზოგიც, შესაძლოა (და ასეთებიც არ იქნებიან ცოტანი), სპეცდავალებას ასრულებს.

როდესაც ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკმაოდ ცნობილი კაცი გამოდის ტელევიზიით და ამბობს, ილია არ მიყვარსო — წაკითხული ხომ მაინც უნდა ჰქონდეს?! დღეს საქართველოს მწერლობა არ ჰყავსო — არ იცნობს მუხრან მაჭავარიანის, მურმან ლებანიძის, ჭაბუა ამირეჯიბის, გურამ დოჩანაშვილის, ოთარ ჭილაძის... შემოქმედებას და ჰგონია, რომ არ გვყავს მწერლობა. ამას წინათ, ერთმა თქვენმა კოლეგამ ინტერვიუ აიღო ჩემგან. საუბრის „არაოფიციალურ" ნაწილში რაღაც ვუთხარი და ვთხოვე, რომ ეს არ გამოექვეყნებინა. მაინც დაბეჭდა. როდესაც ვუსაყვედურე, მიპასუხა: ტყუილი ხომ არ დამიწერია, ხომ მართლა თქვითო. თვითონ წინა დღეს „რატომღაც" ქართულ მწერლობაზე დამისვა კითხვა და აღმოჩნდა, რომ საერთოდ არ გაეგონა რევაზ ინანიშვილი. კი მაგრამ, შენც თქვი ასეთი რამ და მოვდო ახლა ქვეყანას-მეთქი? მერე რა, ყველაფერი და ყველა მწერალი არც თქვენ იცითო, — მომახალა.

რისთვის ვახსენე, იცით, ეს ამბები — აი, ასეთი ხალხიც შეიძლება იმ გეგმის შემსრულებლად თუ არა, ხელშემწყობებად მაინც ჩაითვალოს და ეს მათ თავიანთი უწიგნურობით უფრო მოსდით.

მაგრამ სულ სხვაა და უფრო საშიში ის, რომ ხშირად სახელმწიფო მმართველობის დონეზე ხდება ქვეყნისთვის არც-თუ სასარგებლო გადაწყვეტილებების მიღება.

**— რას გულისხმობთ?**

— უამრავ რამეს. თუნდაც იმ ყბადაღებულ დისკუსიას რომ დავუბრუნდეთ, პირადობის დამადასტურებელ საბუთებში ეროვნების რეკვიზიტის დატოვება-არდატოვებას რომ მოჰყვა: დღემდე ვერავისგან მოვისმინე, რას აფუჭებს მისი აღნიშვნა პასპორტში და რა სიკეთეს მოგვიტანს მისი ამოშლა. ვერავინ დამარწმუნა იმაში, რომ ამის გამო, „არადემოკრატებად" მოგვნათლავენ და კრედიტებსა თუ გრანტების მოცემას შეგვიწყვეტენ. ევროპის მაგალითი მოჰყავთ? ტყუილია. საფრანგეთში ყველას „ფრანგი" უწერიაო! იმაზე კი არაფერს ამბობენ, რომ „ნაციონალიტე" ეთნიკური ტერმინია და პასუხიც — „ფრანგი", ეთნონიმი გახლავთ, რომელსაც ფრანგმა ერმა დამატებითი მნიშვნელობა მიანიჭა, მან გადაწყვიტა: ჩემი ყველა მოქალაქე უნდა იყოს ეროვნებით ფრანგი! და არა ჩვენსავით — სულ არ უნდა ჰქონდეს ეროვნებაო. ეს ყველგან ასეა: თურქეთის მოქალაქეს თურქი უწერია, გერმანიისას — გერმანელი და ა.შ. ჩვენთან — „საქართველოს მოქალაქე"(?!) რატომ?! თქვენ ხალხის დახარისხება გინდათო — ჩვენ კი არ გვინდა, ღმერთმა დაახარისხა. „შე სომეხო" — რომ დაუძახო სომეხს შეურაცხყოფააო. ერთი წუთით „გავცვალოთ როლები": ვთქვათ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სომხები ცხოვრობენ და ქართველები კი მხოლოდ ჯავახეთშიღა დავრჩით (ჯვარი გვწერია), რადგან ცოტანი ვიქნებით, ქართველი რომ დამიძახონ, უნდა მეწყინოს? ანდა პასპორტში რომ აღარ ჩავუწერო სომეხი, აღარ დაუძახებენ სომეხს?

სეპარატიზმის პრობლემა მოიხსნებაო — ეს „არგუმენტიც" უსუსურია: 12 მილიონი ქურთი ცხოვრობს თურქეთში და არავის უწერია პასპორტში „ქურთი", მაგრამ რაც ხდება, თავადაც იცით. ყველაზე კომიკური ის არის, რომ აღწერა იგეგმება (პრეზიდენტის ბრძანებითა და ხელმოწერით), რომლის შედეგადაც ყველაზე მიყრუებული სოფლის მცხოვრებელზეც კი შეივსება ანკეტა, სადაც მისი ეროვნებაც ჩაიწერება — ეს კიდევ ერთი ნონსენსი!

ალარაფერს ვამბობ იმ „გაუგებრობაზე" (სხვა რა უნდა ვუწოდოთ), რაც საბოლოო ვარიანტად შემოგვთავაზეს: „მოქალაქეობა-ეროვნულობა: ქართული"!!! ჯერ ერთი, „ქართული" და „ქართველი" სხვადასხვა ცნებებია, „ვინ" და „რა" ჯგუფის განსხვავება ათასწლეულების წინ დაადგინა ქართულმა ენამ. ამას გარდა, ფიგურალურად თუ ვიტყვით: „მოქალაქეობა" მისამართია, „ეროვნება" — ვინაობა და ამის პასუხად ერთი სიტყვის დადგენა არალოგიკურია.

მკითხავენ: რომ ეწეროს „ეროვნება — ქართველი", მერე რაო... მე მინდა, რომ ამით გაიხსნას გზა ისეთი ნაციონალური სახელმწიფოს მოდელისკენ, როგორიც არის საფრანგეთი. ანუ ერთ დღეს საქართველოს ყველა მოქალაქეს დაერქვას ქართველი: დღეს ჩვენში ქართველი ჰქვია ქართების, სვანების, ზანების — ანუ ქართველური ტომებისა და რამდენიმე არაქართველური ტომის, მათ შორის — ჩაჩნების (ქისტები) და წოვების შთამომავალთ. და ეს უკანასკნელნი არანაკლები ქართველები არიან, რადგან „ქართველი" არასოდეს ყოფილა მხოლოდ ჯიშის აღმნიშვნელი სიტყვა. ეს არის „სოციალურად გაქართველება" სახელმწიფოსი. მე თუ მკითხავთ, საქართველოს ნებისმიერ მკვიდრს არჩევანის უფლება უნდა ჰქონდეს: აირჩიოს სამიდან ერთ-ერთი ეროვნება — დედის, მამის ან იმ ქვეყნის, სადაც ცხოვრობს. ე.ი. თუ დედით სომეხი რუსი ცხოვრობს აქ, მას უნდა შეეძლოს არჩევანის გაკეთება „ქართველობას", „რუსობას" და „სომხობას" შორის და დარწმუნებული იყავით, რომ არავისზე ნაკლებად არ იქართველებს. მოკლედ, ასე უნდა იყოს: თუ „მე" (სახელმწიფოს) მინდა და ვიცი, რატომ მინდა — უნდა ეწეროს, არავინ არაფერს დაგვწამებს ამის გულისთვის და არც „დერეფან-გაზ-ნავთობსადენის" მშენებლობა შეფერხდება (ისე, ისიც საკითხავია, რა უფრო მნიშვნელოვანია?).

**— ამ ყველაფრის განხორციელება სჭირდება. ეროვნულ საქმეს ყოველთვის ერისკაცები აკეთებდნენ. დღეს კი ბევრი — პირველ რიგში კი, ქართველი მწერლები არ ჩანან.**

— მწერლობა ყოველთვის იყო ერის წინამძღოლი და დღესაც ასე უნდა იყოს, მაგრამ სამწუხაროდ თქვენს სიტყვებში სიმართლის დიდი ნაწილია... მუხრან მაჭავარიანი რას იტყვის და რას არა, ის მაინც ქართული ლიტერატურის კლასიკოსად რჩება; ისევე, როგორც მურმან ლებანიძის იმ ერთი მოუზომავი ლექსის გამო, უფლება არ გვაქვს, მის პოზიციაზე ამჩატებულად ვილაპარაკოთ. მაგრამ სად არის მუხრან მაჭავარიანი?! იგი არასოდეს ყოფილა მოქალაქეობრივად პასიური — მასზე დიდი აპოლოგეტი კომუნისტურ ეპოქაში არ ჰყოლია შევარდნაძეს. დღესაც მახსოვს 1982 წლის სექტემბრის „ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნებული ლექსი, სადაც ამ კაცის დანთებულ ცეცხლს და ამ კაცის გენიას გაუმარჯოსო — ამბობს. კი ბატონო — ხარკი იყო საჭიროო, ამბობენ და ყველა პოეტი იხდიდაო ამ ხარკს. ახლა?! ახლა რატომ დუმან?!.

ეს არის მთავარი — პიროვნებები, წინამძღოლები სჭირდება ერს და არათუ არ ჩანან დღეს ასეთები (ან საშუალება არ ეძლევათ, რომ გამოჩნდნენ), არამედ ილიას, ვაჟას, გერონტი ქიქოძის, ჟიული შარტავას, ბაქრაძისა თუ სხვათა ნააზრევის გაბიაბრუებაც კი ხდება. ცხადია, ერისკაცი მარტო მწერალი და ხელოვანი კი არა, პირველ რიგში, სახელმწიფო მოღვაწე — პოლიტიკოსი უნდა იყოს. რა უნდა ვთქვა მე დღეს ასლან აბაშიძეზე, რომელთან აუდიენციასაც ვერ მივაღწიე ექვსი თვის მანძილზე — „ცივი ომი" მაქვს აჭარის ხელმძღვანელობასთან და რაზე? — მხოლოდ და მხოლოდ იმაზე, რომ არ მაძლევენ საშუალებას ჩვენი სტრუქტურის ადგილობრივი ხელმძღვანელი დავნიშნო. მათ უნდათ ესეც იქ გადაწყდეს, ავტონომიურად — პრეცედენტის დაშვება არ გვინდა, რომ ვინმე ცენტრიდან დაინიშნოსო(?!). არადა, თუკი რამე უნდა იყოს ცენტრალიზებული, ეს ენობრივი პოლიტიკა უნდა იყოს და ვილაცის პიროვნულ ამბიციებს არ უნდა ეწირებოდეს იგი. საეკლესიო საქმეებშიც კი ჩაერია აჭარის ხელმძღვანელობა — განმიცხადეს, ბათუმ-შემოქმედის ეპარქიას ახლა „აჭარა-სხალთისა" ეწოდებაო. რა არის ეს?! — ერის სასიკეთოდ გაწეული ღვაწლი?! არა მგონია...

**— თქვენი სამსახური ახსენეთ და არ შეიძლება ამაზე საუბრის გარეშე დავასრულოთ ჩვენი ინტერვიუ. მით უმეტეს, რომ „ენა დედაა ერისა".**

— ენა არის სამყაროს აღქმის ფორმა, პრინციპი. ამიტომ იგი შემადგენელია სწორედ იმისა, რასაც იდეოლოგიას ვეძახით. ის რომ ჩემთვის „დეიდა, მამიდა და ბიცოლა" სხვადასხვა სიტყვებით გამოიხატება და ვილაცისთვის მხოლოდ Тётя-თი, მხოლოდ ქართული ენის სიმდიდრეზე და სხვის სიღარიბეზე არ მიუთითებს. მთავარი ის არის, რომ ენაში ერის თვისებებია გამოხატული და შენახული.

თუ ხმამაღალი ნათქვამი არ გამოვა, ვიტყვი: ერთადერთი კულტი, რაც უნდა ბატონობდეს საქართველოში, ენის კულტი უნდა იყოს! საქართველოზე 10-12-ჯერ დიდია საფრანგეთი და მათ ენის წარყვნის ამხელა საშიშროება არა აქვთ, მაგრამ უფრო ყურადღებით და მზრუნველად ეკიდებიან ფრანგულს: ახალ, თუნდაც თანამედროვე ტექნიკური ტერმინის აღმნიშვნელ ყოველ უცხოურ სიტყვაზე ჯერ დისკუსია იმართება, შემდეგ პარლამენტი და რამდენიმე სპეციალური სამსახური მსჯელობს, დაბოლოს, ოფიციალურად მის დამტკიცებას პრემიერ-მინისტრი(!) აწერს ხელს!

აი, ეს უნდა იყოს იდეოლოგიის ერთ-ერთი უმძლავრესი ბერკეტი — თუ გვინდა, რომ გადავრჩეთ, როგორც ადამიანთა მოდგმის ნაირსახეობა, როგორც ერი, მაშინ საქართველოში უნდა ბატონობდეს ქართული ენა. მაშინ აზროვნებაც ქართული იქნება და ე.ი. მოქმედებაც.

რაც შეეხება „დემოკრატ ანტიიდეოლოგისტებს", მხოლოდ ერთს დავამატებ: არ შეიძლება სახედარი და იადონი ერთ გუნდში მღეროდნენ. როდესაც ორი კაცი კამათობს — ჭკვიანი და რეგვენი, იმ კამათში ჭეშმარიტება არ იბადება, რადგან ჭკვიანი კი ხვდება, რისი თქმა უნდა რეგვენს, მაგრამ რეგვენი ვერასოდეს გაიგებს ჭკვიანის ნააზრევს.

ზვიად გურული



თუ ხმამაღალი ნათქვამი არ გამოვა, ვიტყვი: ერთადერთი კულტი, რაც უნდა ბატონობდეს საქართველოში, ენის კულტი უნდა იყოს!


# დამამშვიდებელი მცენარეული წვეთები „ფიტოსედი"




ორიგინალური კომბინირებული პრეპარატი, რომელიც დამზადებულია სამკურნალო მცენარეებისაგან. იგი არ შეიცავს საძილე და ნარკოტიკულ ნივთიერებებს, აქვს სასიამოვნო გემო, გამოიყენება პედიატრიულ პრაქტიკაშიც.

ფარმაკოლოგიური თვისებები განპირობებულია მასში შემავალი ბუნებრივი კომპონენტებით.

პრეპარატი ხასიათდება შეუდარებელი დამამშვიდებელი და სპაზმოლიტური მოქმედებით.

**გამოყენება:**

- როგორც დამამშვიდებელი საშუალება მომატებული აგზნებადობის, გადაღლის, უძილობის დროს;
- ეფექტურია კლიმაქტერიულ პერიოდში;
- კუჭ-ნაწლავის სპაზმების მოსახსნელად, სპაზმური კოლიტების და ენტეროკოლიტების დროს;
- აჩქარებული მაჯისცემის, ექსტრასისტოლიის, მომატებული არტერიული წნევის დროს, როგორც გულის კუნთის მატონიზირებელი და სისხლის მიმოქცევის მომწესრიგებელი საშუალება.

სამკურნალო მცენარეების უნიკალური შეხამებიდან გამომდინარე, „ფიტოსედი" სხვა ანალოგიური პრეპარატებისაგან გამოირჩევა მაღალი ეფექტურობით, უსაფრთხოებით (პრაქტიკულად არ გააჩნია გვერდითი მოვლენები), დასაშვებია მედიკამენტის გამოყენება სხვა სამკურნალო საშუალებებთან ერთად, კომპლექსური მკურნალობის დროს.

თბილისის ფარმაცევტული ქარხანა.
ტელ.: 39-78-95. 70-59-34.

# „ნანა ჯაფარიძე წარმოგიდგენთ“

## აქ კიბის ქვეშ მგელი გვყავდა დაბმული...



ტელეჟურნალისტ ნანა ჯაფარიძის არაჟურნალისტური ხელობის შესახებ მხოლოდ მისმა ახლობლებმა იციან. ქალბატონ ნანას საკუთარი სახლის ეზოში „ედემის ბაღი“ გაუშენებია და შადრევანისთვის აუზიც კი საკუთარი ხელით გაუკეთებია.

— ***ასეთი ნალკოტის პატრონს ცხოველებიც გეყვარებათ.***

— არა, რას ამბობთ, ვერ ვიტან, თუმცა, სანამ ჩემი ვაჟი ჩვენთან ერთად ცხოვრობდა, აქაურობა ზოოპარკს ჰგავდა. კიბის ქვეშ მგელიც კი გვყავდა დაბმული. ვაკუნას მისი მოთვინიერება უნდოდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. სანამ ბებია არ დაუკბინა, მანამ არ მოაშორა აქაურობას. მერე აიხირა, წითელ წიგნში შეტანილი ტრიტონები უნდა მოვამრავლოო და მართლაც პატარა ნაბანებით აავსო სახლი. ისე მეშინოდა, რომ ძილის წინ ლოგინს საგულდაგულოდ ვსინჯავდი და კარჩაკეტილში ვიძინებდი.

— ***თქვენ პირველი გამოჩნდით ეკრანზე მოკლე კაბით, რაც ალბათ „კონსერვატორი“ მაყურებლის ვნებათაღელვის მიზეზადაც იქცა.***

— არა მარტო მოკლე კაბით, არამედ შარვლითაც პირველი გამოვჩნდი ეკრანზე. როცა სტუდიაში შარვლით გამოვცხადდი, რეჟისორიც და ტელედეპარტამენტის ხელმძღვანელიც დარწმუნებული იყვნენ, რომ ჩემს „გამოხტომას“ ყველანი ერთად შევეწირებოდით, მაგრამ გადავრჩით. შარვალი ყველამ რომ ჩაიცვა, მე გავიხადე და მოკლე კაბით გამოვჩნდი ეკრანზე. მერე მართლა დაიწყო ვნებათაღელვა.

— ***ტელევიზიაში ბევრი გირეკავდათ და გლანძღავდათ?***

— ახლაც რეკავს ერთი ქალი, უკვე ფეხები აღარ მიჩანს, მაგრამ მაინც ილანძღება — რას გადმოუყრია ნანა ჯაფარიძეს ფეხებიო...

— ***ჭორად გავიგე, რომ „ლატარია ყველასათვის“ დამაარსებელი თქვენ ყოფილხართ.***

— ჭორი კი არა, სიმართლეა, მაგრამ დაბეგვრის გართულებული კანონის გამო, 7-8 თვეა დავხურეთ. ვიღაცას ამ ბიზნესში ქართველებისათვის ხელფეხის შეკვრა სურს, რომ მერე იოლად შემოიყვანოს უცხოელი და ლატარიის ბიზნესში გაკეთებული ფულის დიდი ნაწილი ჯიბეში ჩაიდოს და ნაწილიც უცხოეთში გაუშვას. მე მარტო კვირაში 8000 ლარი შემქონდა სახელმწიფოს ბიუჯეტში და გულსატკენია, რომ ქვეყანა ზარალდება ვიღაცების ინტერესების გამო.

— ***ცოტა მხიარული ამბებიც გავიხსენოთ. ის როგორ იყო, მამუკა არეშიძე რომ კატების დასამშვიდებლად გაუშვით?***

— მე და მამუკას პირდაპირ ეთერში სტუმრად გვყავდა ცხონებული ლაშა კიკალეიშვილი. კომკავშირის ბოლო ამოსუნთქვაზე ვსაუბრობდით. გადაცემის მსვლელობისას სტუდიაში კატების საშინელი ჩხავილი ისმოდა. უხერხულობისგან ვიბნეოდი. მამუკას ხმამაღლა ვთხოვე, იქნებ გახვიდე და კატები გააჩერო-მეთქი. ისიც ადგა და გავიდა. სიბნელეში რაღაცას გამოედო, წააქცია, თვითონ სადღაც ჩავარდა. მე და ლაშას რკინის გისოსები კინაღამ თავზე დაგვეცა, მაყურებელმა საოცრება იხილა ეკრანზე, კატები მაინც არ გაჩუმდნენ. მამუკა, როგორც იქნა, გამოძვრა საიდანღაც და მეც უხერხულობის გასაფანტავად ვთქვი — აი, ასე ინგრევა კომკავშირი-მეთქი. მერე რეჟისორმა მუსიკა გაუშვა ეთერში.

— ***ერთხელ მგონი, პირდაპირ ეთერში სიცილის ბაცილაც შეგეყარათ...***

— მე, მამუკა და გიორგი ლეონიძე ერთად ვიყავით ეთერში. სიუჟეტის მაგივრად, რეჟისორმა სიმღერა გაუშვა. ზანგი მღეროდა. რომ დამთავრდა, გიორგიმ ძალიან კომიკურად ხმამაღლა იკითხა: „ნეტა, ეს შავი კაცი ვინ იყოო“. აგვიტყდა ისტერიკული სიცილი. როგორც კი სულს მოვიბრუნებდით და ეთერში გავიდოდით, თავიდან ვიწყებდით ხარხარს... მოკლედ, რეჟისორიც დავტანჯეთ და მაყურებელიც.

— ***მინდა გავიხსენო თქვენი ერთ-ერთი სტუმარი თემურ ბაბლუანი, რომელიც ჟურნალისტთან და თანაც ეკრანზე ალაპარაკებული, პირველად ვნახე. როგორ მოახერხეთ?***

— ხუმრობთ? საათ-ნახევარი თემურ ბაბლუანის პასუხები შემოიფარგლებოდა დიახ ან არათი. გადაცემაში თავს ეულად ვგრძნობდი...

*ეკა ლომიძე*




**დასვენება ოჯახით შავ ზღვაზე**

რეალურ ფასად (ურეკი, ყოფილი მე-4 სამმართველო, ადგილები შეზღუდულია)

ტელ: 99-96-31, 93-50-94


ორშაბათი 31 ივლისი · სამშაბათი 1 აგვისტო · ოთხშაბათი 2 აგვისტო · ხუთშაბათი 3 აგვისტო · პარასკევი 4 აგვისტო · შაბათი 5 აგვისტო · კვირა 6 აგვისტო

## ფრთხილად!





# ირმა ნიორაძის დისშვილი — თვითნასწავლი ბალერინა

ბალეტის გარეშე არ შემიძლია...



# ნატალია გუნდარევა რეანიმაციაშია



*ეკა ლომიძე*

# თბილისის ქუჩებში გაგონილი სიტყვების კვალდაკვალ



სალამო ხანი იყო, შინისკენ ფეხით მივუყვებოდი გზას... უეცრად ქალის ხმა მომესმა: „შე დეგენერატო, ტვინის მაგივრად თივა გიდევს თავში? აზროვნების უნარი არ გაგაჩნია, რა გააფუჭო, აღარ იცი?! წმინდა წყლის კრეტინი ხარ, ჩემი ნერვების დასაწყვეტად გაჩენილი...“ უკან მივიხედე. სულ ცოტა, გონებაშეზღუდული და ფიზიკურად მართლა განუვითარებელი ბავშვის დანახვას ველოდი, მაგრამ სახტად დავრჩი, როცა ხელთ 8 წლის თვალხატულა, კოხტა ბიჭი შემრჩა. დედამისი კი არ ცხრებოდა და გაალმასებული ბობოქრობდა: „რაში გენაღვლება ჩემი შრომა, ფეხებზე გკიდია, ვწვალობ თუ არა, ამისთანა იდიოტი როდემდე უნდა იყო!“ ბავშვი ჩუმად, თავჩაქინდრული მიუყვებოდა ქუჩას, ცრემლით სავსე თვალების დამალვას ცდილობდა, ერთი სული ჰქონდა, ცნობისმოყვარე ხალხს მალე გარიდებოდა.

ვერ გავბედე განრისხებული დედის „დაშოშმინება“, მაგრამ ჩემ გვერდით მომავალმა ხნიერმა ქალმა ვერ მოითმინა:

— შვილო, რა დააშავა ამ პატარა ბიჭმა, ასე რომ ეჩხუბები?

— რა და, ამ სამი დღის წინ ნაყიდი შორტი ჯერ დათხუპნა, მერე კი რაღაცას გამოსდო და გამოგლიჯა. არ არის მოსაკლავი, ეს იდიოტი, ესა? — და გაკაპასებული ქალი კვლავ ქოჩორში წასწვდა შვილს.

— ამის გულისთვის ბავშვის დასჯა და გამოლანძღვა როგორ შეიძლება? — უსაყვედურა ხანში შესულმა ქალბატონმა.

ახალგაზრდა ქალი ჯერ შეცბა, მერე კი იფეთქა:

— ვითომ ჩემზე მეტად გიყვარს ჩემი შვილი? გამომივიდა გოგებაშვილი და მაკარენკო. გადი რა, ქალო, გზას ბარაქა დააყარე. ამას მე მივხედავ... წამოდი, შე კრეტინო, შენი გულისთვის ვიღაც დეგენერატმა რატომ უნდა მომცეს შენიშვნა?!

ნაბიჯს მოუჩქარეს და წავიდნენ. გული დამწყდა მეც და იმ ქალბატონსაც. „ეჰ, შვილო, კი არ გეწყინოს, მაგრამ დღევანდელი დედების უმრავლესობა ამ სიტყვებით ზრდის შვილებს... ჯანსაღი ფსიქიკის ახალგაზრდად როგორ ჩამოყალიბდება ეს პატარა ბიჭი, როცა დედისაგან ბავშვობიდანვე ასეა დათრგუნვილი. სამაგიეროდ, პროტესტის გრძნობა ჭაბუკობისას გაუძლიერდება, მერე აღარც დედის შეეშინდება და აღარც სხვებს შეეპუება. სულგაუხეშებულ ადამიანს კი იოლად შეუძლია ნებისმიერი სისაძაგლის ჩადენა,“ — მითხრა ქალბატონმა და გულდაწყვეტილი გამშორდა.

უნებურად გოგლა ლეონიძის დეიდა მაიკო გამახსენდა. მწერალს მთელი სიცოცხლე ახსოვდა ტკბილი დეიდის ალერსიანი სიტყვები, რომლითაც პატარებს თავს evelebოda: „ჩემო სიცოცხლის ცისკარო!... ჩემო გაშლილო იაო!... წამლად დაგედე!... ჩემო ბალის კუნწულავ!... დედის ოქროს შანდალო!.. ჩემო დამტირებელო, მშვენიერო თვალებო!.. იმ ადგილის ჭირიმე, სადაც შენ მომაგონდი“.

თვით გოგლა ჰკვიროდა: „რატომ აღარ ვალერსობთ ამ სიტყვებით, რად გავიძარცვენით, ხომ გვცივა უამსიტყვებოდ?! რატომ აღარ ესმით ეს ტკბილქართული ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს? რატომ დაჰკარგეს ჩვენმა ქალებმა ქართული საალერსო სიტყვები? ნუთუ, ისე გახევდა ჩვენი გული, რომ თბილი, მდედრული სიტყვები აღარ არიან ჩვენთვის საჭირო?!“

კიდევ კარგი, დღევანდელი მეტყველება არ ესმის სასიქადულო მწერალს, თორემ თავის ლამაზ და თბილ სიტყვებს გაასუსხიანებდა და წკეპლასავით გადაჰკრავდა ყველას.

მოვუაროთ ჩვენს შვილებს, მათ სულებს... მოვუაროთ საქართველოსაც! ქვეყნის პატრონობა ხომ ენის მოვლით იწყება?!

*მარინა ბაბუნაშვილი*

# არომატის დაბადება



გიფიქრიათ ოდესმე, როგორ იბადება ახალი სუნამო, ვინ და როგორ იგონებს მის სურნელს, არქმევს სახელს, განსაზღვრავს ხასიათს და ქმნის სახეს?

პიერ ბორდო ის ადამიანია, რომელიც თხზავს არომატს. ასეთ ადამიანებს „ცხვირებს“ უწოდებენ. პიერ ბორდო მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო „ცხვირია“. მან შექმნა ისეთი პოპულარული სუნამოები, როგორიცაა Feminite du bois (Shiseido), Dolce Vita (Christian dior) Cool Water Women და სხვ.

„რა არის საჭირო, რომ „ცხვირი“ გახდე?“ — წარამარა ეკითხებიან მას. „კარგი მახსოვრობა, — „ცხვირი“ ხომ თავში 500 სუნს ინახავს, მაგრამ ყველაზე მთავარი წარმოსახვის უნარია“.

თურმე „ცხვირი“ ახალ სურნელს ჯერ წარმოიდგენს, შემდეგ მის ფორმულას წერს. ლაბორატორიაში კი ამ ფორმულით სუნამოს საცდელ ვარიანტს ქმნიან. „ცხვირი“ ამ არომატს მის თავში „მცხოვრებ“ არომატს ადარებს და ათასჯერ ასწორებს, სანამ ფორმულა მისი ჩანაფიქრის სახეს არ მიიღებს.

მაგრამ ნუთუ ასეთი ეფემერული და რომანტიკული სუნამოები, მხოლოდ ფორმულათა ჯაჭვია? არა, ყველაფერი შთაგონებიდან იწყება, იმისათვის, რომ ახალი არომატი წარმოიდგინოთ, საჭიროა რაღაც ბიძგი.

ერთხელ პიერ ბორდო ესპანეთში ისვენებდა. ზაფხულის ცხელი საღამო იდგა. გახურებული ჰაერი ლეღვის ფოთლის სურნელით იყო გაჟღენთილი. ასე დაიბადა Good life for Men.



სწორედ ლეღვის ფოთლის სურნელმა განსაზღვრა მამაკაცის ამ სუნამოს ხასიათი. ქალის სუნამოსთვის კი თვით ლეღვის ნაყოფი გამოიყენეს. მის ერთ სახეობას დაემატა ბერგამოტის, მოცხარის, ინგ-ილანგის არომატები, მეორენაირს — ჟასმინის, შროშანის, ვარდის და მაგნოლიისა, ხოლო მესამენაირს — ზამბახის და ქლიავის არომატები.

ქალის სუნამო 18 თვე იბადებოდა და მამაკაცის არომატის „კვალდაკვალ“ შექმნილმა ისეთივე სახელწოდება მიიღო.

## სწორი კვება — ეს მარტო განწერწეტობა კი არა, — ლამაზი კანი, ნათელი გონება და მთელი ორგანიზმის ჯანმრთელობაა

**უნდა ჭამოთ ერთსა და იმავე დროს** — კუჭი „აეწყობა“ მისთვის გამოყოფილ საათებზე, ამ დროისთვის იგი შემზადებულია საკვების მისაღებად და გადასამუშავებლად.

**არ მიირთვათ ხმელად** — ეს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუშაობას არღვევს.

**არ იჩქაროთ ჭამისას** — დიდი ლუკმები არ ყლაპოთ, ცუდად დაღეჭილ საკვებს ორგანიზმი კარგად ვერ გადაამუშავებს და ვერ შეითვისებს.

**ხორცის შეწვისას** — მეტი არ მოგივიდეთ, თორემ ვიტამინები ნაწილობრივ დაიკარგება. ყოველდღიურ მენიუში უნდა იყოს ახალი ბოსტნეული და ხილი.

## ქალბატონებს ვურჩევთ



... არ გარეცხოთ მარგალიტი წყალში. მარგალიტის მძივი შეახვიეთ ნატის ნაჭერში და ფრთხილად გაწმინდეთ.

ლალი, საფირონი, ტურმალინი, ამეთვისტო და სხვა გამჭვირვალე ქვები ვერ უძლებენ ცხელ წყალს, შეიძლება დასკდეს, ამიტომ, უმჯობესია ეს ქვები გაწმინდოთ ოდეკოლონში დასველებული რბილი ჯაგრისით.



გახსოვდეთ: ოპალს, მარჯანს და ყველა სხვა გაუმჭვირვალე ქვას ძალიან ეშინია მარილისა და ბოსტნეულის მჟავეების. საერთოდ, სამშვენისების გასაწმენდად საპნიან ცივ წყალს დაუმატეთ რამდენიმე წვეთი ნიშადურის სპირტი, ჩააწყვეთ შიგ სამკაული, შემდეგ გაავლეთ სუფთა წყალში და გაამშრალეთ ფლანელით. თუ ჭუჭყი მაინც დარჩა, ასანთის ღერზე დაახვიეთ ბამბა, დაასველეთ გლიცერინში ან ოდეკოლონში და ფაქიზად გაწმინდეთ ქვები.

# მოღალატე ცოლები და ყველაფერზე თანახმა ქმრები!

...სოსო და თამრიკო თანაკლასელები იყვნენ და, თუმცა მათი ბავშვური გატაცებისა და სიყვარულის ბევრს არც სჯეროდა. სკოლის დამთავრებისთანავე დაქორწინდნენ, ორი ბავშვიც შეეძინათ და თავიდან მშობლების იმედად უფრო იყვნენ, ვიდრე დამოუკიდებლად. დრომ მათთვისაც ბევრი რამ შეცვალა.

სოსომ პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა და სპეციალობითაც იმუშავა ქარხანაში. ხელფასი თვიდან თვემდე პურის ფულადაც ძლივს სწვდებოდა ოჯახს, თამრიკო საბავშვო ბაღის სამზარეულოში მოეწყო და სანამ დაწესებულება სახელმწიფო დაფინანსებაზე იყო, არ მალავს, რომ პატარა აღსაზრდელებს წილ ლუკმას უყოფდა და მარტო თავის შვილებს კი არა, ოჯახის უფროს წევრებსაც არ მოჰკლებიათ კარაქისა და ხორცის „კუთვნილი ულუფა“...

მერე ბაღიც დაიხურა. ცოლ-ქმარი ქუჩაში დარჩა ორი მცირეწლოვანი ბავშვით და ავადმყოფი, მოხუცი მშობლებით. საკუთარი ორსართულიანი სახლი გაყიდეს და მეცხრე სართულზე შესახლდნენ გაურემონტებელ სამოთახიან ბინაში. დარჩენილი თანხაც არ გასწვდათ დიდხანს. მით უმეტეს, რომ სოსომ ერთ წელიწადში დაასაფლავა დედ-მამა.

...ირგვლივ ყველა ვაჭრობით ირჩენდა თავს, გადაწყვიტეს, რომ არც მათთვის იყო სხვა ხსნა და საშველი. თავიდან სოსო გავიდა ბაზარში. არაფერი გამოსდიოდა. ვალი დაედო.

ისევ თამრიკომ ივარგა:

„ჩემი მეგობარი ქალი ვაჭრობდა. ორ წელიწადში ისე ააწყო ვაჭრობის საქმე, ორი მაღაზია გახსნა და რადგან, მათ თავად ამარაგებდა საქონლით, რეალიზატორთა დაქირავება დასჭირდა და მეც ამიყვანა. თან ნება მომცა, ზედმეტად გამეყიდა საქონელი და მონაგები თავად დამეტოვებინა. თვის ბოლოს ხელფასსაც მაძლევდა. ორი წელიც არ დამჭირვებია ვალების გასასტუმრებლად. თან იმდენიც დავაგროვე, დამოუკიდებლად შევძელი თურქეთში წასვლა და საკუთარი ბიზნესის გამართვა!“

**სოსო ა-ძე:** „რომ შევხედე, ჩემმა ცოლმა გამოიჩინა ფხა ვაჭრობაში და ოჯახიც გაჭირვებიდან ამოვიდა, რა მქონდა ხმის ამოსაღები და სალაპარაკო. დავჯექი შინ ბავშვებთან. თამრიკომ დაიწყო სიარული საზღვარგარეთ. წელიწად-ნახევრის წინ კი განაცხადა, რომ სტამბოლში ხსნიდა მაღაზიას იქაური მეგობრების დახმარებით და თვეობით მოუწევდა თურქეთში დარჩენა. თავიდან უარზე ვიყავი, მაგრამ კატეგორიულად განაცხადა: შიმშილს და დამცირებას ველარ ავიტან, გავშორდეთო. ცოლის დაკარგვა ნამდვილად არ მინდოდა და დავუთმე. შარშან ჩემმა ვაჟმა დაამთავრა სკოლა და ისიც წაიყვანა — „მაღაზიაში მომეხმარებაო!“

**თამრიკო:** „თურქეთში პირველად ჩემს მეგობართან ერთად ჩავედი და იმან გამაცნო თავისი პარტნიორები, მათ შორის 68 წლის ალა მანსური. იგი ქვრივია. შვილები ცალკე ცხოვრობენ. პირველსავე ჩასვლაზე ვიგრძენი მისი განსაკუთრებული ყურადღება. მესამე თუ მეოთხე ჩასვლაზე მითხრა: ვიცი, რომ საქართველოში ოჯახი გაქვს. თუ ოჯახიდან წამოხვალ და ჩემთან დარჩები, ჩემი ქონების მემკვიდრედ დაგტოვებო. ბუნებრივია, ოჯახის დანგრევა არ მინდოდა, მაგრამ ალა მანსურის მილიონებზეც როგორ მეთქვა უარი?! ორი თვე ვიტანჯებოდი და ბოლოს, მაინც ვერ გავუძელი ცდუნებას, მოვატყუე ალა მანსური — ქმარს გავშორდი, ვაჟი წამოვიყვანე, გოგონამ კი მამასთან ყოფნა ირჩია-მეთქი.

— **შვილებს უთხარით სიმართლე?**

— გოგონას არა. ვაჟისთვის არ დამიმალავს, რაც ხდებოდა. — როგორც გინდა, ისე მოიქეცი. მე კი მამაჩემს ვერ მოვატყუებ და ალბათ აჯობებს, თუ საერთოდ არ შევხვდებიო!

— **თქვენმა მეუღლემ კი მაინც გაიგო?**

— ჰო, ბოროტ კაცს რა დალევს ქვეყანაზე. სოსოს ბიძაშვილი ჩამოვიდა თურქეთში. ჩემმა თურქმა ქმარმა „ნათესავი“ პატივით მიიღო, დაასაჩუქრა კიდეც... საქართველოში დაბრუნებულმა დალიმ ჩემი ქმარი გააგიჟა, ისიც უთხრა, რაც არასოდეს მიკადრებია — ვითომ სხეულით ვვაჭრობდი და ასე დავაგროვე ქონება!..

— „რომ გაიგო, რა სთქვა ქმარმა?!..“

— დამემუქრა: „დედობას ჩამოგართმევო, დავაჭერინებო შენს თავს!“ და მისთანები. მშვიდად „ავუხსენი“, რომ ვერაფერსაც ვერ დამაკლებდა, რადგან ქალი ჯერ არავის დაუჭერია მეორედ გათხოვებისათვის. რაც შეეხება შვილებს, ლაშას საქართველოსკენ გამოხედვაც არ უნდა, თურქეთში მან ის სითბო, სიმყუდროვე და ნორმალური ცხოვრების გარანტია მოიპოვა, რაც ნამდვილად არ გააჩნია სამშობლოში. ალა მანსურსაც ძალიან უყვარს ბიჭი. თავად სამი ქალიშვილის მამაა და უშვილოს ეძახდა თავს. ზოგჯერ მგონია, რომ ღვიძლ შვილებს ურჩევნია ჩემი ვაჟი. ლელამ კი კატეგორიულად განუცხადა მამას, არც მე დავრჩები შენთან, თუ დედას ცუდად მოექცევი და ოჯახს დაანგრევო. შემეცოდა ჩემი ქმარი, თანაც, მე იგი მართლა მიყვარს და ალა მანსური მის ნეკის ფრჩხილადაც არ მიღირს, მაგრამ სიყვარული სხვაა, ცხოვრებისეული სინამდვილე სულ სხვა რამ. ახლა მისთვისაც ასეა უკეთესი, ჩემთვისაც და ჩვენი შვილებისთვისაც, რომლებისთვისაც თურქი ალა ყველაზე ერთგულ ადამიანად იქცა. ვნახოთ, რას გადაწყვეტს სოსო. მით უმეტეს, იცის, ალა მანსური ავადმყოფი კაცია და ცას ხომ არ გამოეკერება? მერე სოსოც თურქეთში ჩამოვა და საქართველოში ხელად დაივიწყებენ ჩვენს ამბავს.



**საბოლოოდ დავეცით, თუ კიდევ გვაქვს დრო გამოფხიზლების?! სად დავკარგეთ ქართველებმა კაცობაც და ზნეობაც, თავმოყვარეობაც და სიამაყეც?! რაზე გავცვალეთ ყველაფერი, რასაც ჩვენი ინდივიდუალობა და კეთილშობილება ერქვა?!**

**„ვაი, საფიცარო ჩემო!“**

**სოსო:** თამრიკოს ეს ჩემთვის არ უნდა გაეკეთებინა. მე იგი ახლაც სიგიჟემდე მიყვარს, არც შვილების დაკარგვა მინდა! საქართველოს და მის მთავრობას დაედება ცოდვად ჩემი ოჯახის გზა-კვალის არევა, სახელმწიფოს, რომელმაც გაგვიმეტა და ცოცხლად დაგვმარხა!...

37 წლის სოსო ალბათ აპატიებს ცოლს ღალატს!

კიდევ რამდენი დამცირება უნდა აიტანოს ქართველმა კაცმა, რომელსაც ნამუსის ქუდიც მოჰხადეს და... თურქის ჰარამხანაშიც შეაგდეს?!.

*ინგა ჯაყელი*

## ტესტი... ქალბატონო, ცნობისმოყვარე ბრძანდებით?

**უპასუხეთ: „კი“ ან „არა“**

1. მოუთმენლად ელით საყვარელ სერიალში კვანძის გახსნას?
2. უცხო ადგილას სეირნობისას კარგად იმახსოვრებთ გზას?
3. გირჩევნიათ, წინასწარ იცოდეთ, რას გაჩუქებენ დაბადების დღეზე?
4. უყურებთ გადაცემებს ექსტრასენსებზე, ამოზე, პოლტერგეისტზე და სხვა უცნობ მოვლენებზე?
5. თქვენს ყურადღებას იპყრობს მაღაზიების გაჩახჩახებული ვიტრინები?
6. მიღებულ წერილს, რაც უნდა მოუცლელი იყოთ, მაშინვე კითხულობთ?
7. თუ შემთხვევით ტელეფონზე საუბრისას სხვის ლაპარაკში ჩაერთვებით, ცნობისმოყვარეობა წაგძლევთ და ბოლომდე მოისმენთ?
8. თუ რაიმე ნივთს უადგილო ადგილას ნახავთ, დაიწყებთ ანალიზს, როგორ მოხვდა იქ?
9. გაზეთის კითხვას ბოლო გვერდიდან იწყებთ?
10. განცხადებების დაფასთან ხშირად ჩერდებით?
11. თუ ფილმი საინტერესოა, რამდენიმეჯერ შეგიძლიათ უყუროთ?
12. თუ ვინმე უცნობი მოგესალმათ, ეკითხებით თქვენს თავს, — ნეტა სად მინახავსო?

**შეკრიბეთ ქულები:**

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კი | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 |
| არა | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 |

**0-4** ქულა. არა ხართ ცნობისმოყვარე. ზედმეტ კითხვებს არ იძლევით და არ უძვრებით სხვას სულში. შეიძლება ახლობლებმა ეს გულგრილობად მიიჩნიონ, მამაკაცმა ისარგებლოს ამით და დაგადანაშაულოთ — შენი გულგრილობის გამო დავშორდითო.

**5-7** ქულა. თქვენი ცნობისმოყვარეობა ზღვარს არ სცილდება, რადგან გესმით, რომ ხანდახან არ არის საჭირო ქმარს (საყვარელს) ჰკითხო: სად იყო, რატომ დაიგვიანა? ამით, ერთი მხრივ, მამაკაცი თავისუფლებას გრძნობს, მეორე მხრივ კი ფიქრობს, ეს რა ბრიყენი ცოლი შემხვდაო.

**8-9** ქულა. ყველაფერი გაინტერესებთ. თქვენი ცნობისმოყვარეობა გარშემომყოფთ აწუხებთ. თუ თავის შეკავებას ისწავლით, სხვებსაც მოასვენებთ და თქვენც ტაქტიანი ქალის სახელს მოიპოვებთ.

**10-12** ქულა. ყველგან „ცხვირს ყოფთ“. იცოდეთ, „ყველაფრის ცოდნის“ სურვილი გაგირთულებთ საყვარელ კაცთან ურთიერთობას. იშვიათად თუ გაუძლებს კაცი დიდხანს ასეთ ოჯახურ ხელბორკილს.



| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **1** ვინ შემოიღო საფრანგეთის უმაღლესი ჯილდო — საპატიო ლეგიონის ორდენი? ა) ლუდოვიკო XIV-მ ბ) ტალეირანმა გ) ნაპოლეონმა დ) დე გოლმა | **2** რომელ წელს დაარსდა საკავშირო პიონერული ორგანიზაცია? ა) 1916 ბ) 1922 გ) 1926 დ) 1930 | **3** რა ლითონისაგან იყო გაკეთებული ძველად აბაზი? ა) ვერცხლი ბ) ოქრო გ) ბრინჯაო დ) სპილენძი | **4** სადაურია პარდროკის ჯგუფი "NAZARETH"-ი? ა) ინგლისური ბ) ირლანდიური გ) უელსური დ) შოტლანდიური | **5** რა დაემართა ბეთჰოვენს? ა) დამუნჯდა ბ) დაბრმავდა გ) გაგიჟდა დ) დაყრუვდა |
| **6** რომელია გუსტავ ფლობერის რომანი? ა) „მადამ ბოვარი" ბ) „ფარაონი" გ) „კონსუელო" დ) „ფინანსისტი" | **7** რას ყოფს მაგელანის სრუტე? ა) კუბას ფლორიდისგან ბ) ცეცხლოვან მიწას სამხრ. ამერიკისაგან გ) ესპანეთს მაროკოსაგან დ) ინდოეთს შრი-ლანკასაგან | **8** რა აღმოაჩინა ბრიტანელმა ბაქტერიოლოგმა ფლემინგმა? ა) ქოლერის ბაცილა ბ) კოდეინი გ) პენიცილინი დ) სტრეპტომიცინი | **9** ბობ ბიმონის რა შედეგს უწოდეს 1968 წ. ოლიმპიადაზე „საუკუნის ნახტომი"? ა) 7მ 20სმ ბ) 8მ 90სმ გ) 9მ 10სმ დ) 8მ 57სმ | **10** ვისი სახელი იყო ნორმა ბეიკერი? ა) ავა გარდნერის ბ) ოდრი ჰეპბერნის გ) მერილინ მონროსი დ) გოლდი ჰოუნის |
| **11** სადაურია წარმოშობით ცნობილი ჩოგბურთელი პიტ სამპრასი? ა) ნორვეგიელი ბ) პორტუგალიელი გ) სომეხი დ) ბერძენი | **12** ვინ დააარსა კინომსახიობთა თეატრი? ა) მ. თუმანიშვილმა ბ) ვ. გუნიამ გ) ქ. დოლიძემ დ) ს. ახმეტელმა | **13** სად ჩატარდა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში? ა) ურუგვაიში ბ) ბრაზილიაში გ) იტალიაში დ) გერმანიაში | **14** რომელი დარგის მეცნიერს არ ენიჭება ნობელის პრემია? ა) ფიზიკოსს ბ) ქიმიკოსს გ) ბიოლოგს დ) მათემატიკოსს | **15** ვინ არის გამომგონებელი — პატერ ბრაუნის ლიტერატურული მამა? ა) სიმენონი ბ) კონან დოილი გ) ჩესტერტონი დ) პო |
| **16** რომელი მსახიობი იყო ვივიენ ლის მეუღლე? ა) ბერტ ლანკასტერი ბ) ლოურენს ოლივიე გ) კლარკ გეიბლი დ) უორენ ბიტი | **17** ჩამოთვლილთაგან, რომელი არ არის თუთიყუში? ა) არა ბ) კაკადუ გ) აგა დ) ჟაკო | **18** რომელია მომავალი ზაფხულის ოლიმპიური თამაშების დედაქალაქი? ა) პარიზი ბ) ათენი გ) ტოკიო დ) პეკინი | **19** ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის ციური სფეროს წერტილი? ა) აპისი ბ) აპექსი გ) ზენიტი დ) ნადირი | **20** რომელ ომში იბრძოდა ჟანა დ'არკი? ა) 7 წლიანში ბ) 30 წლიანში გ) 50 წლიანში დ) 100 წლიანში |
| **21** ვისი ნაწარმოების მიხედვითაა გადაღებული „ივანე ვასილის ძე იცვლის პროფესიას"? ა) ტოლსტოის ბ) კუპრინის გ) ზოშჩენკოს დ) ბულგაკოვის | **22** ვინ იყო საქართველოს მწერალთა კავშირის დამაარსებელი და პირველი თავმჯდომარე? ა) მაყაშვილი ბ) ზომლეთელი გ) ს. ჩიქოვანი დ) გრ. რობაქიძე | **23** რომელი მცენარისგან აყენებენ აბსენტს? ა) ღვია ბ) აბზინდა გ) ვანილი დ) რამდენიმე მცენარისგან | **24** სად დაიღუპა ჩე გევარა? ა) კუბაზე ბ) კოლუმბიაში გ) ბოლივიაში დ) ეკვადორზე | **25** რომელია ალბანური ხურდა ფული? ა) კინდარკი ბ) სანტიმი გ) ფილსა დ) ატამი |
| **26** ვის აქვს თავზე მეტი თმა? ა) ქღალთმიანს ბ) შავთმიანს გ) წაბლისფერთმიანს დ) ქერათმიანს | **27** რომელი არ არის ძვირფასი ქვების დაწახნაგების (დამუშავების) სახე? ა) კარე ბ) ბრიოლეტი გ) ნასაკი დ) კაბოშონი | **28** რიგით მერამდენე იყო თბილისის მეტროპოლიტენი ყოფილ სსრკ-ში? ა) მესამე ბ) მეოთხე გ) მეორე დ) მეხუთე | **29** ეპოსებიდან რომელია უძველესი? ა) „მაჰაბჰარატა", ბ) „ეპოსი გილგამეშზე" გ) „ილიადა" დ) „ოდისეა" | **30** რომელი რელიგიაა უძველესი? ა) ქრისტიანობა ბ) ბუდიზმი გ) იუდაიზმი დ) ისლამი |





შეადგინა რამაზ ალანიამ

„კვირის პალიტრის" №29-ში გამოქვეყნებული ტესტ-კროსვორდ „პალიტრის" პასუხები



1) ა; 2) გ; 3) ბ; 4) ა; 5) დ; 6) დ; 7) ბ; 8) ა; 9) გ; 10) ბ; 11) გ; 12) ა; 13) დ; 14) ბ; 15) გ; 16) ბ; 17) დ; 18) ა; 19) დ; 20) ბ; 21) ა; 22) ბ; 23) დ; 24) გ; 25) დ; 26) გ; 27) დ; 28) გ; 29) ა; 30) ბ.

## ტესტ-კროსვორდის ამოხსნის წესები:

კვადრატებში მოცემული კითხვების 4 შესაძლო ვარიანტიდან უნდა შეარჩიოთ, თქვენი აზრით, ერთადერთი სწორი პასუხი, მოძებნოთ კვადრატის ნომრის შესაბამისი ნომრით აღნიშნული სურათის ფრაგმენტი, ამოჭრათ და მოათავსოთ ზემოთ მოცემულ ბადეზე (შეგიძლიათ დააწებოთ) თქვენ მიერ არჩეული პასუხის შესაბამისი (სურათის ფრაგმენტზე არსებული) ასოთი ზემოთ. საბოლოოდ, უნდა მიიღოთ მშვენიერი ფერადი სურათი.

შესაძლოა, რომელიმე კითხვაზე სწორი პასუხი არ იცოდეთ, მაგრამ ამ კითხვის შესაბამისი ფრაგმენტის მეზობელ ფრაგმენტებთან შეთავსებით დაადგენთ სწორ პასუხს. ამდენად ეს გასართობი შემეცნებითიცაა.

ზოგიერთი გაზეთის (რომლებიც იდეების ნაკლებობას განიცდიან) რედაქტორებს „კვირის პალიტრა" ნებას რთავს მოწონების შემთხვევაში თავადაც დაბეჭდონ მსგავსი ტესტ-კროსვორდები. ჩვენი ერთადერთი თხოვნაა — ნუ შეუცვლით სახელს.

## საქართველოს საგარეო ვაჭრობა

### ქვეყნის უმთავრესი საექსპორტო პროდუქცია — ჯართი

რა შეიძლება დაერქვას ქვეყნის ისეთ ეკონომიკურ მდგომარეობას, როცა მთავარ საექსპორტო საქონელს ჯართი წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, არ არის გასაკვირი, რომ საქართველოს საგარეო ვაჭრობაში იმპორტ-ექსპორტის სალდო მუდმივად უარყოფითია (ანუ შემოტანა სჭარბობს გატანას). 2000 წლის მონაცემებით, უარყოფითმა სალდომ 370,3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბალანსში არსებული უარყოფითი სალდო კი იმის მაჩვენებელია, რომ ქვეყნიდან მუდმივად გაედინება ვალუტა და, რახან ვალუტა გაედინება, ლარის (რომელიც სასიცოცხლოდაა დოლარზე ჩამოკიდებული) გაუფასურების თავიდან ასაცილებლად აუცილებელი ხდება სავალუტო ფონდის კრედიტები. ეს კრედიტები კი საქართველოს საგარეო ვალს ემატება, რომელიც ხალხის გასასტუმრებელია. ასე იქნება ყოველთვის, ვიდრე ქართული მრეწველობა იმდენად მაინც არ დადგება ფეხზე, რომ ქვეყნის საექსპორტო პროდუქციის ნუსხის სათავეში ეროვნული პროდუქცია იდგეს და არა ჯართი, რომლის ხვედრითი წილი დღეისათვის მთლიან ექსპორტში შეადგენს 15,3%-ს. საერთოდ კი, ქვეყნის ათი მნიშვნელოვანი საექსპორტო პროდუქციის ნუსხა ასე გამოიყურება: ლიდერობს შავი ლითონების ჯართი — 11,5%, მეორე ადგილზეა ნატურალური ღვინო — 8,6%, მას მოჰყვება ახალი ან გამხმარი კაკალი — 6,8%. სხვათა შორის, ახალი ან გამხმარი კაკლის (განსაკუთრებით თხილის) ექსპორტი საქართველოს საგარეო ვაჭრობის ერთ-ერთ მზარდ მიმართულებად იქცა. თხილს მოსდევს აზოტის სასუქები — 4,7%, ძვირფასი ლითონების მადნები და კონცენტრატები — 4,5%, ფეროშენადნობები — 4,2%, ალუმინის ნარჩენები და ჯართი — 3,8%, მანგანუმის მადანი და კონცენტრატები — 3,6%, ნედლი ნავთობი — 3,5% და მეათე ადგილზე დგას სპილენძის მადანი და კონცენტრატები — 3,1%. დანარჩენი პროდუქცია კი მთლიან ექსპორტში 45,8%-ს შეადგენს.

მიუხედავად საექსპორტო პროდუქციის მრავალფეროვნებისა, მასში განმსაზღვრელი ადგილი ნედლეულსა და ბუნებრივ რესურსებს უკავია.

ქართული ნაწარმის უმეტესი ნაწილი კვლავ მეზობელ ქვეყნებში გადის, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ექსპორტიორებისთვის მნიშვნელოვანია ტერიტორიული სიახლოვე და სატრანსპორტო კავშირები. სავაჭრო ბრუნვის მიხედვით, საქართველოსთვის ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების პირველ ათეულში წამყვანი ადგილი თურქეთს უკავია, რომელზეც მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 17,7% მოდის. მეორე ადგილზე რუსეთია — 15,4%. ათეულს აგრძელებს გერმანია, შემდეგ აზერბაიჯანი, აშშ, უკრაინა, შვეიცარია, დიდი ბრიტანეთი, იტალია და სომხეთი. ცხადია, ამ მონაცემებზე ლაპარაკისას იგულისხმება აღრიცხული საქონელბრუნვა, ხოლო აღურიცხავი საქონელბრუნვის გათვალისწინებით (განსაკუთრებით ეს ეხება შემოდენილ კონტრაბანდას) სურათი მნიშვნელოვნად შეიცვლება და უარყოფითი სალდო ბევრად უფრო შთამბეჭდავ სახეს მიიღებს. ეს გარემოება არღვევს ეროვნულ ბაზარს და საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეკონომიკურ უშიშროებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ აღრიცხული იმპორტის ისედაც შემცირებული მოცულობის პირობებში, მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი უკავია დაუბეგრავი, ან შეღავათიანად დაბეგრილი საქონლის ღირებულებას. მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება ჰუმანიტარული დახმარების სახით შემოსული ტვირთიც. ბოლო პერიოდში იმპორტის მთლიან მოცულობაში გამოიკვეთა დაბეგვრისგან გათავისუფლებული შემოტანილი საქონლის ზრდის ტენდენცია. მისი მნიშვნელოვანი წილი (დაახლოებით 63%) საგადასახადო შეღავათებით შემოტანილი ტვირთის მოცულობის ხარჯზე მოდის. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის განცხადებით, დაუბეგრავი ან შეღავათიანი პირობებით დაბეგრილი იმპორტის მნიშვნელოვანი მოცულობა მიანიშნებს, რომ დაბეგვრისგან თავის ასარიდებლად ტვირთის გაფორმება ამ სახით ხდება. ასეთი ვითარება კი, რა თქმა უნდა, უარყოფითად აისახება ბიუჯეტის შემოსავლებზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს ჯამური საგარეო ვაჭრობის ბალანსით უარყოფითი სალდო აქვს, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, არსებობს ქვეყნები, რომლებთანაც ვაჭრობაში საქართველოს დადებითი სალდო გააჩნია. შემოგთავაზებთ ამ ქვეყნების სიას, დასკვნის გაკეთება თქვენთვის მომინდვია: ავღანეთი, ბანგლადეში, ბაჰამის კუნძულები, ბოსნია და ჰერცოგოვინა, ბოტსვანა, ბუტანი, გვინეა, გვინეა-ბისაუ, ესტონეთი, ერაყი, ვიეტნამი, იემენი, ინდოეთი, იორდანია, ირანი, კონგო, ლიტვა, მაკედონია, მონღოლეთი, პაკისტანი, პანამა, რუანდა, სირიის არაბთა რესპუბლიკა, ტაილანდი, ტანზანია, ტერკსისა და კაიკოსის კუნძულები, უგანდა, ქუვეითი, ცენტრალური აფრიკის ქვეყანა, ჰაიტი, ჰონდურასი.

ამ ქვეყნებთან საქართველოს სავაჭრო ბალანსის დადებითი სალდო, 2000 წლის მონაცემებით, მთლიანობაში 16,6 მლნ დოლარამდეა.

*მამუკა გიორგაძე*

## გინესის წიგნს ახალი პატრონი ჰყავს



პოპულარობის თვალსაზრისით მსოფლიოში მესამე წიგნი (ბიბლიისა და ყურანის შემდეგ) პატრონს იცვლის. მეპატრონეებმა სახელგანთქმული გინესის რეკორდების წიგნის გამოცემის უფლება ბრიტანულ კორპორაციას GULLANE ENTERTAINMENT მიჰყიდეს 45,5 მლნ გირვანქა სტერლინგად. წიგნის ყოფილი მფლობელის — კორპორაცია DIOGEO PLE ფინანსური დირექტორის, ნიკ როუზის განცხადებით, — წიგნი იმიტომ გაიყიდა, რომ მეტი ყურადღება დაგვეთმო ჩვენი ძირითადი ბიზნესის — სასმელების წარმოებისათვის. DIOGEO-ს ეკუთვნის ისეთი ცნობილი სავაჭრო მარკები, როგორიცაა ლუდი CUINNESS, ვისკი JOHNI WALKER, ჯინი CORDON'S, ლიქიორი BAILEYS და არაყი SMIRNOFF, ცხადია, რომ სპირტიანი სასმელების წარმოება გაცილებით მომგებიანი საქმეა, თუმცა წიგნმა ძველ მეპატრონეს მსოფლიო დიდების გარდა, გვარიანი შემოსავალიც მოუტანა. მისი საქონელბრუნვა 32 მლნ დოლარს შეადგენდა, წმინდა მოგება — 10 მილიონს.

1759 წელს ვინმე ართურ გინესმა დუბლინში ლუდის სახარში ქარხანა დააარსა. 1930 წლისათვის გინესების ოჯახი დიდ ბრიტანეთში ლუდის ორი ქარხნის მფლობელი იყო. კომპანიას თავისი ლუდხანები არ ჰქონდა, ამიტომაც კლიენტების მისაზიდად რეკლამას მიმართავდნენ, მაგრამ მათი გამოგონება თანდათან ძნელდებოდა. გამოსავალი შემთხვევით მოიძებნა. თანაც არა იქ, სადაც ეძებდნენ. 1951 წლის 10 ნოემბრის დილას კომპანიის მაშინდელი დირექტორ-განმკარგულებელი სერ ჰიუ ბივერი მეგობრებთან ერთად UEJSFORD-ის საგრაფოში ნადირობდა. ბევრი ვერაფერი მოინადირეს და ხელმოცარულმა მონადირეებმა იმაზე დაიწყეს კამათი, ევროპაში ყველაზე სწრაფად რომელი ფრინველი ფრენსო. ვერაფერზე შეთანხმდნენ. რამდენიმე წლის შემდეგ მონადირეები კვლავ წაკამათდნენ და სწორედ მაშინ მოუვიდა სერ ჰიუს თავში აზრი — ვინ იცის ინგლისისა და ირლანდიის ლუდხანებში რაზე აღარ კამათობენ და კარგი იქნებოდა, საცნობარო წიგნის „გინესის" გამოშვება, რომელიც ყველაფერზე პასუხს გასცემდა, ამასთან ლუდის ცნობილ მარკასთან იქნებოდა ასოცირებულიო.

წიგნის მომზადებას წელიწადი დასჭირდა, 1955 წლის 27 აგვისტოს დახლებზე გამოჩნდა 198 გვერდიანი პირველი „გინესი". მას წარმოუდგენელი წარმატება ხვდა — ჯერ კიდევ შობამდე „ლუდის ენციკლოპედიამ" დიდი ბრიტანეთის ბესტსელერების ნუსხაში პირველი ადგილი დაიჭირა.

1963 წლისათვის წიგნი მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე ითარგმნა.

*იტოგი №27*

## ხიდს მიკი მაუსი დაამშვენებს?



მიკი მაუსის სახელი შეიძლება ეწოდოს 10 კილომეტრიან ხიდს, რომელიც ჩინეთში, მდინარე ხუანხეზეა (ყვითელ მდინარეზე) აგებული. სახელის მინიჭების უფლება აუქციონზე გაიყიდება. მასში მონაწილეობდნენ ტრანსნაციონალური კომპანიები. გამარჯვებული არა მარტო სახელს დაარქმევს ხიდს, არამედ საკუთარი სიმბოლოებით და ქანდაკებებითაც დაამშვენებს. აუქციონის აქტიურ მონაწილეთა შორის ასახელებენ კომპანია WALT DIS-ს. ისე რომ, ხიდს დიდი შანსი აქვს, რომ მიკი მაუსის სახელი ეწოდოს. აუქციონში მონაწილეობას მიიღებენ კომპანიები „პეპსი-კოლა", „კოკა-კოლა" და „სამსუნგი", ასევე 50-ზე მეტი ჩინური და საერთაშორისო კორპორაცია.

ამერიკაში უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს კამპანია „იზრუნე საავტომობილო გზაზე". მის მონაწილეებს, ისევე როგორც ხიდისთვის სახელის მინიჭების მსურველებს, გზის შეკეთების, დასუფთავების საფასურად შეუძლიათ მასზე თავიანთი რეკლამები განათავსონ.

*ვლასტ №27*


შპს „გეოკორი" აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად

მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან), ოთ. 118

ტ: 33-26-75; 38-24-02


## მკითხველს ბევრი რამ აინტერესებს...



### ვინ აღადგენს სანერგე მეურნეობებს?!

— **გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია, არსებობს თუ არა დღეისთვის საქართველოში მევენახეობის სანერგე მეურნეობები.**

*თამაზ ახვლედიანი*

— 1992 წლამდე ქვეყანაში ფუნქციონირებდა 21 მევენახეობის სახელმწიფო სანერგე მეურნეობა, რომელთაგან 18 პრივატიზაციაში მოაყოლეს. დღეისათვის დარჩენილი 3 სანერგე მეურნეობიდან, სამწუხაროდ, არც ერთი არ ფუნქციონირებს. ვაზის ნამყენთა ნერგი არ იწარმოება და ცხადია, არც ახალ ზვრებს აშენებენ. სახელმწიფო სანერგე მეურნეობათა აღსადგენად მთავრობამ უნდა გამოძებნოს სათანადო სახსრები.

*მევენახეობისა და მეღვინეობის სახელმწიფო რეგულირების დეპარტამენტ „სამტრესტის" თავმჯდომარის მოადგილე ომარ ჩხატარაშვილი*

### პაციფიზმი ანტისაომარი მოძრაობაა

— **გთხოვთ მოგვაწოდოთ მცირე ინფორმაცია პაციფიზმის შესახებ.**

*თაზო, თბილისი*

— პაციფიზმი არის ანტისაომარი მოძრაობა, რომელიც ომების თავიდან აცილების მთავარ საშუალებად თვლის მათი ამორალური ხასიათის მხილებას. პაციფიზმი წინაალმდეგია ყოველგვარი, მათ შორის სამართლიანი ომებისაც, რითაც იწვევს რევოლუციური ბრძოლის დეზორგანიზაციას. პაციფიზმი წარმოიშვა დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში ნაპოლეონის ომების შემდეგ, განსაკუთრებით გავრცელდა XIX საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე. თანამედროვე პაციფისტები და ზოგიერთი მათი ორგანიზაცია მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის მონაწილეებს უერთდებიან.

### როცა ანდერძში მოწილეც არის...

— **დედამ ორ დას გვიანდერძა ძველი სახლი რაიონში. ამ სახლის შუა ორი ოთახი ანდერძით ეკუთვნის შვილიშვილებს, რომლებიც 27 წელია ცხოვრობენ საზღვარგარეთ და უკვე 17 წელია, არ ვიცით მათი კოორდინატები. გვინდა სახლის გაყიდვა, სანამ დაინგრევა. როგორ მოვიქცეთ?**

*გამყრელიძე-ჩიბურდანიძე*

— თქვენ შეგიძლიათ სასამართლოს წინაშე დააყენოთ საკითხი თქვენი ახლო ნათესავების უგზო-უკვლოდ დაკარგვის შესახებ. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მოიპოვებთ უფლებას მართოთ ქონება მინდობილი საკუთრების სახით. მათ შორის მიიღოთ მისგან სარგებელი.

### თქვენ უფლება გაქვთ მოითხოვოთ კუთვნილი თანხა

— **42 წელია ვმუშაობ მარტვილის სატყეო მეურნეობაში. წელს, თებერვალში გამათავისუფლეს საპენსიო ასაკის შესრულების გამო. მიუღებელი მაქვს 17 თვის ხელფასი. ვალდებულია თუ არა სატყეო მეურნეობა, მომცეს აღნიშნული თანხა და ორი თვის კომპენსაცია.**

*ვახტანგ ფაილოძე, მარტვილი*

— კანონის მიხედვით, თქვენ გეკუთვნით აღნიშნული თანხა. როგორც ჩანს, მისი გაუცემლობა დამოკიდებულია არსებულ ფინანსურ სიძნელეებზე. დროულად მიმართეთ სამსახურს განცხადებით. აგრეთვე, შეგიძლიათ შეიტანოთ სარჩელი სასამართლოში, თანხის ანაზღაურების მოთხოვნით.

### გარდაცვლილი მეუღლის პენსიას არ მაძლევენ...

— **ვარ 77 წლის პენსიონერი. 2001 წლის 2 მაისს გარდამეცვალა მეუღლე. აპრილის თვის პენსია არ მოგვცეს. მაინტერესებს მეკუთვნის თუ არა.**

*მკითხველი*

— მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ აღნიშნული პენსია მეუღლის გარდაცვალებიდან 6 თვის განმავლობაში.

*იურიდიული ფირმა „იმედი-M"-ის დირექტორი მედეა დემეტრაშვილი. ტ: 99-64-42*

### თუ პასპორტი დაკარგეთ...

— **დავკარგე საბჭოთა პასპორტი. მინდა პირადობის მოწმობის აღება. მეკუთვნის თუ არა რაიმე ჯარიმის გადახდა და რა ოდენობით?**

*ს. ყურაშვილი, თბილისი*

— დაკარგული პასპორტის მაგიერ ახალი პასპორტის (პირადობის მოწმობის) მისაღებად პირები დამატებით წარადგენენ 3 ლარის (ჯარიმის) გადახდის ქვითარს და ცნობას პოლიციიდან პასპორტის დაკარგვის შესახებ.

*მოსახლეობის საპასპორტო და სავიზო რეგისტრაციის ეროვნული ბიურო*

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 28 ივლისიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,0620 |
| გერმანული მარკა | 0,9242 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 2,9419 |
| ევრო | 1,8071 |
| რუსული რუბლი | 0,0704 |
| თურქული ლირა (10.000) | 0,0159 |


თბილისის საინჟინრო-ჰუმანიტარული ინსტიტუტი „მთიები"

აცხადებს მიღებას შემდეგ ფაკულტეტებზე:

1. იურიდიული; 2. უცხოური ენები; 3. პედაგოგიური;
4. ეკონომიკური; 5. ფილოლოგიის; 6. ჟურნალისტიკის.

ლტოლვილები და მრავალშვილიანები თავისუფლდებიან გადასახადისაგან 50%-ით. სწავლის პერიოდში ვაჟები თავისუფლდებიან სამხედრო სამსახურისაგან.

მის: დ. აღმაშენებლის გამზ. 178, მე-18 სკოლა

ტელ: 35-27-00; 38-00-83; 52-67-67; 62-05-07

თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტი და კოლეჯი

ქართული და რუსული სექტორების დღისა და დაუსწრებელი სწავლების შემდეგი ფაკულტეტები:

იურიდიული ფაკულტეტი — სამართალმცოდნეობა; საერთაშორისო სამართალი; ბიზნესის სამართალი

ეკონომიკური ფაკულტეტი — საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები; ფინანსები და კრედიტი; საგადასახადო-საბაჟო საქმე; საფინანსო საბანკო საქმე; ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი; წარმოების მენეჯერი; ეკონომიკური ინფორმატიკა; ტურიზმის მენეჯერი.

უცხო ენების ფაკულტეტი — ინგლისური, გერმანული, ფრანგული (მეორადი ენებით) — მთარგმნელი რეფერენტის კვალიფიკაციით

ჟურნალისტიკის ფაკულტეტი — ჟურნალისტ-ბიზნესმცოდნე; ჟურნალისტ-სამართალმცოდნე.

ჰუმანიტარული ფაკულტეტი — საერთაშორისო დიპლომატიური ურთიერთობები; სახელმწიფო მართვის მოხელე; საზოგადოებრივი ურთიერთობები; სკოლამდელი და დაწყებითი სკოლის პედაგოგიკა. უნივერსიტეტი იძლევა სახელმწიფო დიპლომს

ლექციებს კითხულობენ ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორიცაა: პროფ. გ. პაპავა, რ. გოცირიძე, მ. ჯიბუტი, ო. მაღლაფერიძე, ო. გოგოხია, გ. მიქანაძე, ა. ლემონჯავა, ნ. ბირკაია, ი. ხარაზი, ლ. ქობულაშვილი და სხვები.

მის: კოსტავას ქ. № 77, ტექნიკური უნივერსიტეტის IX კორპ, IV სართ. (ადმინისტრაციული კორპუსის უკან, სპორტული დარბაზის თავზე). ☎ 36 63 36; 36 60 59; 33 16 02 (დღისით); 33 53 92; 77 23 21 (საღამოს)

## გავიხსენოთ თალგამი

უძველეს დროში, კარტოფილის აღმოჩენამდე, თალგამს თითქმის მისი როლი ეკისრა. ის შეიძლება ჩაითვალოს ბოსტნეულის კულტურების წინაპრად. მას ძველად „მწვანე კვერს" ეძახდნენ და დიდ პატივსაც სცემდნენ. დღეს როგორღაც მივიწყებულია. არადა, თალგამს ძალიან ბევრი კარგი თვისება აქვს. სწორედ ის იცავდა გლეხის ბავშვებს რაქიტისა და ძვლების დაავადებისაგან და ა.შ. ეს იშვიათი ბოსტნეული თავისი შემადგენლობით — კალციუმის ტოლფასია, შეიცავს C, P, $P_1$ ვიტამინებს და A პროვიტამინს.

ხალხურ მედიცინაში თალგამის ნახარშს იყენებენ ხველებისა და ბრონქიტის დროს, მოხარშული თალგამის ფაფა სახსრების ტკივილს შველის. კარგია ნახარშის აბაზანები.

ახალი, უმი თალგამის წვენი — სურავანდის უებარი წამალია.

თალგამი შეიცავს 9%-მდე შაქარს, რის გამოც ის საუკეთესო დესერტია.

*ლიზა №29*



## ვინ როგორ გამოდის ნაბახუსევს...

ყოველ ქვეყანას ნაბახუსევთან საბრძოლველი საკუთარი მეთოდი აქვს. მაგალითად, ფრანგები წინა დღის ქეიფის შედეგს ხახვის



წვნიანით ებრძვიან და ძალიან კმაყოფილებიც არიან, ნორვეგიელები — ფინჯან ნაღებს მიირთმევენ, გერმანელები — მარილიან თევზს და ლუდს, შვედები — პიტნის ბრენდის, ამერიკელები — ვისკის.

ძალიან ორიგინალურად იქცევიან ავსტრალიელები — მიირთმევენ უზარმაზარ ნაჭერ მოხარშულ ხორცს და ზედ რძიან და შოკოლადიან კოქტეილს აყოლებენ. ექიმები ამტკიცებენ, რომ განსაკუთრებით ეფექტური მეთოდია უალკოჰოლო სასმელები, „B" ვიტამინი და ცხელი და ცხარე კერძი, რომელიც ოფლის გამოყოფას აძლიერებს. სერიოზული შემთხვევის დროს, უნდა მიიღოთ 2 აბი პარაცეტამოლი და ნახევარი ლიტრი ლიმონათი ან ქათმის ბულიონი. ამის შემდეგ — 15-20 წუთიანი კონტრასტული შხაპი და დაიძინოთ. კიდევ ერთი საშუალებაა პოპულარული — მსუბუქი ალკოჰოლის დამატებითი დოზა — მაგალითად, ლუდი. თუმცა, ექიმები არ გვირჩევენ ლუდის უზომოდ მირთმევას — ერთი კათხა ძილს მოგანდომებთ, ორი კათხა კი, გაახანგრძლივებს ნაბახუსევის შეგრძნებას.

— საერთოდ შეიძლება ნაბახუსევის თავიდან აცილება, რისთვისაც უნდა დავიცვათ შემდეგი წესები. პირველ რიგში, ალკოჰოლის მიღებამდე, საჭიროა კარგად დანაყრება. მეორე — პირველსა და მეორე ჭიქას შორის საჭიროა ერთი ჭიქა წყლის დალევა. გარდა ამისა, გახსოვდეთ, რომ რაც უფრო მაღალხარისხიანია სასმელი, მით უკეთ იქნებით მეორე დილით. საინტერესოა კიდევ ერთი რამ, ორგანიზმს შეუძლია აითვისოს დიდი რაოდენობით ალკოჰოლი, თუ სპირტიანს შევურევთ ციტრუსის წვენს. შამპანურისა და ლუდის ნაბახუსევი უფრო მძიმე გადასატანია, ვიდრე ვისკის და კონიაკის...

*პოსლედნიე ნოვოსტი №29*

## პლანეტაზე მხოლოდ ქალები იქნებიან?



ყველა დროში ყველა მშობელს აინტერესებდა, ქალი შეეძინებოდა თუ ვაჟი. დღეს, მეცნიერების განვითარების წყალობით, ეს უკვე აღარ არის პრობლემა. ჭკვიანი ულტრახმოვანი აპარატი იძლევა ზუსტ პასუხს, თუმცა შედეგის გამოსწორება უკვე შეუძლებელია. დღეს კი, ამერიკელი მეცნიერების მეთოდი გვთავაზობს მომავალი პირმშოს სქესის წინასწარ არჩევას. მეთოდის არსი ასეთია: სპეციალისტები გამოყოფენ იმ სპერმას, რომელსაც მოჰყვება ქალის ემბრიონის ფორმირება. ასეთი რთული პროცედურა შესაძლებელია იმის წყალობით, რომ ქრომოსომა X (ქალის) გაცილებით დიდია, ვიდრე ქრომოსომაY (მამაკაცის) — მას 2,8%-ით მეტი დნმ აქვს.

შესაბამისი ექსპერიმენტის დროს, 10-დან 9 შემთხვევაში, მიიღეს დაგეგმილი შედეგი. თითქოს უნდა გვიხაროდეს, მაგრამ თუ მომავალს გავხედავთ, საკმარისი საფუძველი გვაქვს განგაშისთვის, ვინაიდან ოჯახების უმრავლესობას გოგონა მოუნდება... გამოდის, რომ გვარის გაგრძელების საკითხი მძიმე იქნება...

*ნოვიე იზვესტია №125*

## ჯადოსნური-ექიმის რჩევები

**თირკმლების ტკივილის დროს**: 1. შეურიეთ ერთმანეთს 15-15 გ ფშანის ეკლის ფესვები და არყის ხის ფოთოლი, 20 გ სელის თესლი. 1 ს/კ ნარევს დაასხით 1 ჩ/ჭ ცივი წყალი და 6 საათი გააჩერეთ. მიიღეთ მთელი დღის განმავლობაში.

2. შეურიეთ ერთმანეთს 40-40 გ დათვის კენკრის ფოთოლი და კრაზანა, 30-30 გ არყის ხის კვირტი და შვიტა, 20-20 გ ქაფუნას ბალახი, სიმინდის თმა, თავშავას ყვავილები და ანწლის ფესვები, 15 გ გვირილის ყვავილი. 4 ს/კ ნარევს დაასხით 1 ლ ცივი წყალი, გააჩერეთ მთელი ღამე, დილით ადუღეთ 10 წუთი და გაწურეთ. მიიღეთ დილით 1 ჩ/ჭ უზმოზე, დანარჩენი 4 მიღებაზე, ჭამიდან 1 საათის შემდეგ.

**მწვავე და ქრონიკული ნეფრიტისა და ცისტიტის დროს:** შეურიეთ ერთმანეთს 5 გ ოხრახუში და 50 გ შვიტა, 20-20 გ ასკილის ნაყოფი, ჭინჭარი და მრავალძარღვა, 30-30 გ მარწყვის ფოთოლი და სატაცურის ფესვები. 1 ს/კ ნარევს დაასხით 2 ჩ/ჭ მდუღარე და 30 წუთი გააჩერეთ წყლის ორთქლზე. გაწურეთ და მიიღეთ დღის განმავლობაში ჭამამდე 10 წუთით ადრე.

**ნეფრიტის, შარდის ბუშტის ანთების, ან თირკმლებში კენჭების დროს:** 1 ს/კ დაქუცმაცებულ მანანას დაასხით 0,5 ლ მდუღარე წყალი და მთელი ღამე გააჩერეთ თავდახურულ ჭურჭელში. დილით გაწურეთ და მიიღეთ 100 გ 3-ჯერ დღეში, ჭამამდე. მკურნალობის კურსი შეუზღუდავია.

**ძირმაგარების დროს**: 1) 1 კვერცხის გულს დაამატეთ 1 ჩ/კ შაქრის ფხვნილი და 1 ჩ/კ პურის ფქვილი, კარგად აურიეთ. ნაუსვით ქსოვილზე და დაადეთ ძირმაგარაზე. საფენი გამოიცვალეთ ყოველ 5-10 წუთში ერთხელ.

2. შეწვით საშუალო ზომის ხახვი, ცხელივე შუაზე გაჭერით, დაიდეთ ძირმაგარაზე (ჩირქგროვაზე) და შეიხვიეთ. ხახვი გამოცვალეთ ყოველ 4 საათში ერთხელ.

**ნერვებს ამშვიდებს:** აიღეთ 3 წილი შავბალახა, 1 წილი გვირილა, 3-3 წილი ბერბულა და კუნელის ყვავილი. 1 ს/კ ნარევს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 8 საათი და შემდეგ გაწურეთ. მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ ნაყენი 3-ჯერ დღეში, ჭამიდან 1 საათის შემდეგ.

**უძილობას შველის:** აიღეთ თანაბარი რაოდენობის ბარამბოს, კატაბალახას ფესვები. 1 ს/კ ნარევს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე და გააციევეთ. მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ საღამოს.

თანაბარი რაოდენობის, დაქუცმაცებული პიტნის, თავშავასა და კრაზანას 1ჩ/კ ნარევს დაასხით 250 მლ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 15 წუთი. სვით შაქრით, მურაბით ან თაფლით.

**ყელის ტკივილის დროს:** 1 ს/კ ცაცხვის ყვავილს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე და გააჩერეთ 40 წუთი. შემდეგ გაწურეთ ორმაგ მარლაში. ნაყენი გამოივლეთ ყელში 3-4 ჯერ დღეში. გარდა ამისა, მიიღეთ წყალში გაზავებული 1/2 ჩ/ჭ 3-4-ჯერ დღეში.

**კოჟრებს შველის:** 2 კვირის განმავლობაში ჩააწყვეთ ხახვის ფურცლები ძმარში. ღამით კოჟრზე დაიდეთ და შეიკარით.

პროცედურა გაიმეორეთ რამდენჯერმე.

## გაინტერესებთ, როგორ წარმოიშვა შიდსი?

ამერიკელმა მეცნიერებმა მხოლოდ 20 წლის წინ აღმოაჩინეს ადამიანის ორგანიზმში სხვადასხვა პათოლოგია, რომელიც უცნობმა და საიდუმლო დაავადებამ გამოიწვია. მას შემდგომში შიდსი უწოდეს. XX საუკუნის „შავმა ჭირმა" თვალის დახამხამებაში 21 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და კიდევ 30 მილიონი ინფიცირებულია. მეცნიერები დღემდე კამათობენ შიდსის ბუნების შესახებ, რომელმაც პირველად იჩინა თავი 1981 წლის ივნისში ნიუ-იორკსა და ლოს-ანჯელესში.

რამდენიმე წლის შემდეგ დაადგინეს, რომ შიდსის ფესვები აფრიკაშია, სადაც მაიმუნები არიან დაავადებულები. უნდა აღინიშნოს, რომ აფრიკის ბევრი ტომი მაიმუნებს საკვებად იყენებდა. შიდსის მსგავსი დაავადებით, იქ უხსოვარი დროიდან ავადმყოფობდნენ, მაგრამ სენმა უცბად იფეთქა გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს, როცა ევროპელმა მეცნიერებმა დაიწყეს მაიმუნების ღვიძლის უჯრედების გამოყენება ჰეპატიტის წინააღმდეგ ვაქცინის დასამზადებლად. ექიმებმა ჰეპატიტი კი დაამარცხეს, მაგრამ იფეთქა შიდსის ეპიდემიამ, რომელსაც თავიდან ყურადღება არ მიაქციეს. ავადმყოფები აგრძელებდნენ კონტაქტს ჯანმრთელებთან და უცხოელებთან.

შიდსის წარმოშობის სხვა ვერსიებიც არსებობს — დიდი წვლილი მიუძღვით სამხედრო სპეციალისტებს, რომლებიც ბიოლოგიურ იარაღზე მუშაობდნენ; უცხოპლანეტელებმა გაავრცელეს ეს დაავადება კაცობრიობის გასანადგურებლად. მორწმუნენი კი, თვლიან, რომ შიდსი არის ღმერთის სასჯელი ურწმუნოებისა და გარყვნილებისთვის.

ვინაიდან, მეცნიერებისათვის უცნობია შიდსის ბუნება, ამიტომ ვერც პოულობენ მის წინააღმდეგ ვაქცინას.

ბოლო წლებში შიდსით სიკვდილიანობის პრობლემით გაეროც დაინტერესდა. გამოიანგარიშეს, რომ შიდსით სიკვდილიანობის შესამცირებლად აუცილებელია მომდევნო 5 წლის მანძილზე ყოველდღიურად 9,2 მლრდ დოლარის დახარჯვა დაავადების პროფილაქტიკაზე, ავადმყოფობის მოსავლელად და შიდსის წინააღმდეგ ვაქცინის და სხვა წამლების მისაგნებად. დღესდღეობით ამ მიზნით იხარჯება 1,8 მლრდ დოლარი, რაც არ არის საკმარისი „შავი ჭირის" მოსასპობად.

ექიმები ვარაუდობენ, რომ უახლოეს მომავალში, შიდსის ეპიდემია მოიცავს აზიის ბევრ ქვეყანას, ამიტომ, გაეროს აზრით, მასთან საბრძოლველად თანხები უნდა გამოყონ არა მარტო ევროპისა და ამერიკის ქვეყნებმა, არამედ აღმოსავლეთის სახელმწიფოებმაც.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მანამ ექიმები სპონსორებს ეძებენ, ყოველდღიურად 15 000 ადამიანი შიდსით ინფიცირდება...

*უცხოური პრესის მიხედვით*



## შავი მოცხარი — პოლივიტამინების წყარო

შავი მოცხარის სამკურნალო თვისებები საყოველთაოდაა ცნობილი. იგი შეიცავს 16%-მდე შაქარს, ორგანულ მჟავებს (ვაშლის, ლიმონის, ქარვის, ღვინის ქვის, სალიცილის), მთრიმლავ და პექტინურ ნივთიერებებს: ანთოციანებს, გლუკოზიდებს, ეთეროვან ზეთებს, რკინის მარილს, კალიუმს და სხვ. და რაც მთავარია, უხვად C ვიტამინს.

შავი მოცხარი მდიდარია აგრეთვე P, $P_1$, $B_2$ ვიტამინებით და A პროვიტამინით. მედიცინაში გამოიყენება მისი როგორც ნაყოფი, ისევე ფოთოლი.

შავი მოცხარის 15-20 გ ახალი ნაყოფი მთლიანად უზრუნველყოფს ადამიანს C ვიტამინის დღიური ნორმით. დიეტის შემთხვევაში, სასურველია მიიღოთ მისგან მომზადებული კისელი, ხოლო კუჭის დაქვეითებული სეკრეციისა და ხველების დროს მისი წვენი ან ანადუღარი.

C და P ვიტამინების შემცველობის გამო, ის შეუცვლელი სამკურნალო საშუალებაა ათეროსკლეროზის, ჰიპერტონიის, გულ-სისხლძარღვთა დაავადებისას. შავი მოცხარი, არა მარტო ძლიერი შარდმდენი საშუალებაა, არამედ, ძალიან კარგ ეფექტს იძლევა რევმატიზმის, წითელი ქარისა და შარდკენჭოვანი დაავადებების დროს. გარდა ამისა, ის ამაღლებს ორგანიზმის იმუნიტეტს, რაც ხელს უშლის ალერგიის განვითარებას და ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლას. გთავაზობთ შავი მოცხარის ფოთლის ნაყენის დამზადების რეცეპტს: 25 გ ფოთოლს დაასხით 1/2 ლ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 4-6 საათი. მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ 4-5-ჯერ დღეში.

*ლიზა №28*

## სანწაყლი — არომათერაპია



მუშაობის პროცესში თუ დაღლილობას გრძნობთ, საჭიროა ზომები მიიღოთ: თავდაპირველად, ზუსტად უნდა დაგეგმოთ დღე: მუშაობის დროს შეისვენეთ, ივარჯიშეთ, შეეცადეთ, ნაკლები მოსწიოთ და სვათ ყავა. გარდა ამისა, შრომის უნარის ამაღლებაში დიდად დაგეხმარებათ ბერგამონტის, რეჰანის, სალბის ეთეროვანი ზეთები, რომლებიც ამაღლებს გონებრივ აქტივობას და აუმჯობესებს განწყობილებას: ცხვირსახოცზე დააწვეთეთ ცოტა ზეთი, დაიდეთ გვერდით, ან გამოიყენეთ არომალამპები და ძალიან სწრაფად გაგივლით დაღლილობა, ნევროზი, დაგიბრუნდებათ ძალა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს: არ შეიძლება სისტემატურად ოთახის არომატიზირება, რადგან ეთეროვანი ზეთების დიდი დოზით გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს მოწამვლის სიმპტომები — თავის ტკივილი და გულისრევის შეგრძნება.

*ოტდოხნი №19*

## დროა, მეხსიერებასაც მივხედოთ



ხშირად გღალატობთ მეხსიერება? უფრო და უფრო გიძნელდებათ უმარტივეს შეკითხვებზე პასუხის გაცემა? ნუ ნერვიულობთ. მარაზმი არ გემუქრებათ. უბრალოდ ტვინი ბოლო დროს თავის ნებაზე მიუშვით. ეს კი, იმას ნიშნავს, რომ სასწრაფოდ უნდა დაიწყოთ ტვინის დამუხტვა. გთავაზობთ რამდენიმე სავარჯიშოს ტვინისთვის:

1) შეიცვალეთ ცხოვრების წესი. ერთი და იგივე, რაც ყოველდღე მეორდება, აშტერებს ადამიანს. დასაწყისისთვის ცადეთ შეიცვალოთ მარშრუტი, რომლითაც სამსახურში მიდიხართ. საყვარელი რადიოტალღა სხვით შეცვალეთ, სადილი მეორე კერძით დაიწყეთ და არა წვნიანით, როგორც ჩვეულებრივად ხდებოდა.

2) როგორც ცნობილია, ტვინის მარცხენა ნახევარსფერო, ლოგიკურ გადაწყვეტილებებზეა პასუხისმგებელი და აკონტროლებს სხეულის მარჯვენა ნახევარს. მარჯვენა კი, შესაბამისად აკონტროლებს მარცხენას — პასუხისმგებელია ჩვენს ფანტაზიაზე, ინტუიციაზე და შემოქმედებით ჩავარდნაზე. თუ აიძულებთ თითოეულ მათგანს შეასრულოს ის დავალება, რომელიც მას არ ეხება, თქვენ უზრუნველყოფთ მას შესანიშნავი ვარჯიშით, თანაც გაერთობით. თუ ჩვეულებრივად, საქმეს მარჯვენა ხელით აკეთებთ — სცადეთ, მაგალითად დაწეროთ, კბილები გამოიხეხოთ და ფეხსაცმელი ჩაიცვათ მარცხენა ხელით.

3) ეფექტური მუშაობისთვის ტვინის ორივე ნახევარსფერო ერთმანეთში სრულ შეთანხმებას უნდა გრძნობდეს. ამიტომ, სასარგებლოა მოძრაობის კოორდინაციის ნებისმიერი ვარჯიში.

4) რაც მეტი წელი ემატება ადამიანს, ის უფრო და უფრო მეტად ენდობა მხედველობას, ივიწყებს გრძნობის სხვა ორგანოებს, რასაც მოჰყვება ალცჰეიმერისა და სკლეროზის მსგავსი დაავადებები. ეცადეთ საკუთარ სახლში ან ბინაში თვალდახუჭულმა გაიაროთ — და თქვენ მაშინვე იგრძნობთ როგორ ამუშავდება გრძნობის სხვა ორგანოები.

5) როცა ვინმეს გაიცნობთ, ეცადეთ დაიმახსოვროთ არა მარტო მისი სახელი და გვარი, არამედ ხმის ტემბრი, სუნი, გარეგნობა — დეტალურად.

6) ყოველდღე გადაშალეთ ლექსიკონი და დაიმახსოვრეთ ახალი სიტყვა, თუნდაც ერთი. მდიდარი ლექსიკური მარაგი დაგეხმარებათ არა მარტო საინტერესო საუბარში, არამედ ფიქრშიც.

7) თუ ურთულესი ტექსტი გაქვთ ზეპირად სასწავლი — სწავლის პროცესში ხშირ-ხშირად შეისუნთქეთ რაიმე სასიამოვნო არომატი.

8) ნუ დატოვებთ საქმეს დაუმთავრებელს — ეს თქვენზე უარყოფითად მოქმედებს. გონებით, ხშირ-ხშირად უბრუნდებით მას, ნერვები გეშლებათ, რომ ბოლომდე არ მიიყვანეთ, ეს კი, უარყოფითად მოქმედებს თქვენს ტვინზე...

*დეილი მეილი*

# როგორ მოვუაროთ ფეხებს ზაფხულში



თურმე, ონორე დე ბალზაკი წერის დროს ფეხებს ანყობდა ცივ წყალში და ამტკიცებდა, ასე უკეთ ვაზროვნებო. ცივი წყლის აბაზანები ძველთაგანვე ითვლებოდა სხეულის გასაჯანსაღებელ-გამახალისებელ საშუალებად, მაგრამ თუ მას დავუმატებთ პიტნის ფოთლებსა და ბარამბოს ზეთის რამდენიმე წვეთს, შედეგიც უკეთესი იქნება.

ზაფხულში ქალების უმეტესობა ღია ფეხსაცმლით დადის. სიცხისას კანი და მათ შორის ტერფებიც, ბევრ სითხეს კარგავს, რის გამოც ის უხეშდება, ზოგჯერ ქუსლები სკდება კიდეც. ამ შემთხვევაში გირჩევთ:

1. ფეხები ჩაანყოთ როზმარინის ფოთლებიან აბაზანაში. როზმარინი შეიცავს ეთეროვან ზეთებს, რაც აღადგენს დამსკდარ კანს და ხდის გლუვს;

2. საღამოს, აბაზანის შემდეგ, ფეხებზე სქლად წაისვით მშრალი სახის კანისათვის განკუთვნილი კრემი, ჩაიცვით ბამბის წინდა. დილას კი დაიბანეთ;

3. თუ ფეხები დაგელალათ, წყალს დაუმატეთ ლიმონის რამდენიმე ნაჭერი ან წვენი და ფეხები ჩაანყეთ. რამდენიმე წამში დაღლილობა გაივლის და ქუსლებიც ნაზი და გლუვი გახდება;

4. ასეთი აბაზანის შემდეგ კარგია მასაჟი. დაიზილეთ ფეხები თითებიდან ქუსლების მიმართულებით, დაღლილობა საერთოდ დაგავიწყდებათ.

*ლიზა №28*

# მოამზადეთ კენკრის ძმარი



თურმე, ღვინისა და ვაშლის ძმარზე არანაკლებ სასარგებლო ყოფილა ნებისმიერი კენკრის ძმარი. მაგალითად, მინერალურ წყალში გახსნილი ჟოლოს ძმარი ხელს უშლის გაცივებას, შავი მოცხარის ძმარი დაბლა სწევს არტერიულ წნევას, ალუბლისა — ამშვიდებს ნერვულ სისტემას. ქლიავის კი აუმჯობესებს კუჭის ტრაქტის მოქმედებას. მკურნალობის პროცესში საუკეთესო შედეგს იძლევა ვაშლისა და კენკრის ძმრის ნარევი.

ძმარი ძალზე იოლად მზადდება: ნებისმიერი გარეცხილი კენკრა გახეხეთ და დაასხით შაქრიანი წყალი (150-200 გ შაქარი — 1 ლ წყალზე). წყალმა კენკრა კარგად უნდა დაფაროს. გააჩერეთ თბილ და ჩრდილიან ადგილას (და არა ბნელ ადგილას) დროდადრო ურიეთ. 10-15 დღის შემდეგ გაწურეთ, ჩაასხით ქილებში, დააფარეთ მარლა და დადუღებამდე ისევ გააჩერეთ 2 კვირა.

დადუღების შემდეგ გაწურეთ, ჩაასხით ბოთლებში, დახუფეთ და შეინახეთ ბნელ და გრილ ადგილას.

*ვოგ ტაკ №26*

# კაიგი აღნაგობის საიდუმლო

რატომ ვსუქდებით? პასუხი მარტივია — ჩვენს ყოველდღიურ საკვებში ბევრი ნახშირწყალია, რომელიც დიდი ენერგიის წყაროა და ვერ ეხარჯავთ. მაგალითად, შოკოლადის მირთმევის შემდეგ 300 მ მაინც უნდა გავირბინოთ, რომ ენერგია დავხარჯოთ, მაგრამ, ჩვენ ხომ ასე არ ვიქცევით? ნახშირწყლები კი, რომელიც ვერ დავხარჯეთ, მაშინვე ცხიმად იქცევა. ეს რომ ასე არ მოხდეს, უნდა მივიღოთ ორგანული მჟავებით მდიდარი ბოსტნეული და ხილი, რომელიც ხელს უშლის ნახშირწყლების ცხიმებად გარდაქმნას. ორგანული მჟავებით კი განსაკუთრებით მდიდარია: კომბოსტო, ვაშლი, კიტრი, კომში. გარდა ამისა, ეს ხილი და ბოსტნეული მცირეკალორიულია.

*ოტდოხნი №16*


საქართველოს ანგიოლოგიისა და სისხლძარღვთა ქირურგიის ცენტრი

- სისხლძარღვთა დაავადებები, დიაგნოსტიკა, მკურნალობა;
- ყველა სახის აღდგენითი ოპერაციები სისხლძარღვებზე მხოლოდ ჩვენთან;
- ერთდღიანი ქირურგია;
- კონსერვატიული მკურნალობა დღის სტაციონარში.



მის: ლუბლიანას ქ. №5
☎ 52 83 98; 94 05 25

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ეხოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან). 10-14 სთ.

SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS - მაღალკვალიფიციური ექიმ-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS - აბსოლუტური ანონიმურობა

ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!

ექიმ-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის" პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლენკომბინატი"), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე


# ფებრილური გულყრა ბავშვებში

**გთხოვთ, განგვიმარტოთ, რა არის ფებრილური გულყრა ბავშვებში და როგორ ვუმკურნალოთ მას.**

*ლ. ასანიძე*

ინფექციური პროცესის დროს მომატებული ტემპერატურა ბავშვის ორგანიზმისთვის სასარგებლოა. სიცხე გავლენას ახდენს ნივთიერებათა ცვლაზე, ააქტიურებს მას, ხელს უწყობს დამცავი ძალების მობილიზაციას და ამით ინფექციას „წვავს". სიცოცხლის პირველ წლებში პატარას ძალზე მგრძნობიარე ნერვული სისტემა აქვს და შესაძლოა, მაღალ ტემპერატურაზე ე.წ. ფებრილური გულყრა (კრუნჩხვები) დაემართოს.

ადრეულ ასაკში ფებრილური გულყრა ბავშვთა 3-7%-ს უვითარდება და, როგორც წესი, ტემპერატურის მატებაც ახლავს. თუმცა, შესაძლოა, სხვა წარმოშობის გულყრაც ტემპერატურული რეაქციით იყოს გამოწვეული. თავად ფებრილური გულყრა ყველაზე კეთილთვისებიანი მიმდინარეობით ხასიათდება. მისი განვითარების მთავარი ნიშანი გრადუსების სწრაფი მატებაა (39°C-მდე ან უფრო მეტი). ტემპერატურის თანდათანობითი ზრდა მსგავს შეტევას იშვიათად იძლევა.

მეცნიერთა მოსაზრებით, ყველაფრის მიზეზი თავის ტვინის ჰიპოქსია — ჟანგბადის ნაკლებობაა. რაც მაღალია სიცხე, მით უფრო მატულობს ნერვულ უჯრედებში ნივთიერებათა ცვლის პროცესები და აქედან გამომდინარე, ჟანგბადის მოთხოვნილებაც მკვეთრად იზრდება. ავადმყოფობისას კი, ორგანიზმი ზედმეტად დაძაბულია, რადგან ცხელების უხშირესი მიზეზი გრიპი ან მწვავე რესპირატორული ინფექციაა, რომელიც საგრძნობლად აქვეითებს სასუნთქი სისტემისა და ფილტვის ვენტილაციას. ანთებითი პროცესები ჟანგბადის სისხლში მიწოდებას თრგუნავს და რადგან თავის ტვინისთვის „შიმშილობა" წარმოუდგენელია, შედეგად ფებრილური გულყრა ვითარდება.

როგორც აღმოჩნდა, მშობიარობის შემდეგ, ერთ თვის მანძილზე, ჩვილის ნერვულ სისტემას ჰიპოქსიის მიმართ მომატებული გამძლეობა აქვს.

ასაკობრივი რისკი ყველაზე მეტად ერთი-ორი თვიდან — სამ წლამდეა. ზოგჯერ მისდამი მიდრეკილება სკოლამდელ ასაკშიც რჩება, მაგრამ ექვსი წლის შემდეგ განვითარებული შეტევისას სერიოზული დაფიქრება გმართებთ.

გულყრის სურათი, როგორც წესი, ტიპურია. ამ დროს ბავშვი გონებას კარგავს, თვალები დახუჭული აქვს, კიდური — შეკრული და მთელი სხეული (ზოგჯერ ნახევარი ან ცალკეული ნაკვთი) დაძაბული. შემდეგ კი კრუნჩხვას იწყებს. სუნთქვა მძიმე და ხმაურიანი ხდება, ტუჩების კუთხეებში ქაფი ჩნდება. შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს უნებლიე შარდვასა და დეფეკაციას (ნაწლავების მოქმედება).

შეტევა 5-10 წუთი გრძელდება. ამ პერიოდში პათოლოგიური აქტივობა ნერვული სისტემის რეზერვებს ფიტავს, სხეული ყუჩდება, კუნთები დუნდება და პატარას ეძინება.

გულყრის დროს პატარას სასწრაფოდ უნდა გახადოთ შემოჭერილი ტანსაცმელი, არ მიიკრათ გულზე. ამან შესაძლოა, სუნთქვის გაძნელებას შეუწყოს ხელი. სასწრაფოდ გამოაღეთ ფანჯარა და ბავშვი რბილსა და ფართო საწოლზე გვერდზე დააწვინეთ, ან უკიდურეს შემთხვევაში, თავი გვერდზე გადაუწიეთ.

გულყრისას არანაირი აბის მიცემა არ შეიძლება. უშუალოდ გულყრისას მიზანშეწონილია ანალგინისა და დიმედროლის (დოზების დაზუსტება აუცილებელია პედიატრთან) ნემსის გაკეთება კუნთებში ან ვენაში. საპროფილაქტიკოდ შესაძლოა დიაზეპამის (რელანიუმის, სედუქსენის) ხმარებაც, ზუსტი დოზირების პედიატრთან შეთანხმებით.



როგორც გაირკვა, გულყრის ერთხელ გადატანის შემთხვევაში შეტევის განმეორება სულაც არ არის აუცილებელი, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა და თუკი თქვენს პატარას მსგავსი რამ ერთხელ უკვე დაემართა, გირჩევთ, გაცივებისას, როდესაც ტემპერატურა მატულობს, ბავშვი არ ჩაფუთნოთ, პირიქით, სიცხის დასაწევად სველ ზეწარშიც გაახვიეთ. ამასთან, რეკომენდებულია ძმრიანი წინდებისა და კომბოსტოს ფოთლების გამოყენება. ყველანაირი საშუალებით ებრძოლეთ ტემპერატურის 37,5-38,0-ზე ზემოთ აწევას.

დაიცავით პატარა კაშკაშა მზის სხივებისა და ორგანიზმის გადახურებისაგან, ის ხომ იდეალური ფონია შეტევის გასავითარებლად.

ასეთ ბავშვებს ეკრძალებათ ტელევიზორის ყურება და კომპიუტერზე თამაში, რადგან ტელეკადრებისა და სინათლის ციმციმი ტვინის იმპულსირების სინქრონიზაციას (შერწყმას) და კრუნჩხვების პროვოცირებას უწყობს ხელს.

*მაია მუხიგული*

# ლაჟვარდოვანი ღიღილო – უებარი მკურნალი



ჯერ კიდევ უძველეს დროში ღიღილოსაგან ამზადებდნენ ლურჯ და ცისფერ საღებავებს, ძმარს და სამკურნალოდაც ხმარობდნენ. ღიღილოს წყალს იყენებდნენ თვალების ანთებისას, ცრემლდენისას... სვამდნენ ცისტიტის, ხველების, ნერვული და კუჭ-ნაწლავის დაავადებების დროს, საშვილოსნოდან სისხლის დენისა და გულის ცემის აჩქარებისას, ღვიძლის ტკივილისას.

თანამედროვე მეცნიერებამ აღმოაჩინა, რომ ეს ლამაზი ყვავილი შეიცავს: ფლავონიდ გლუკოზიდებს, ანთოციანინებს, ეთეროვან ზეთებს, სიმწარეს, მთრიმლავ ნივთიერებას, საპონინებსა და მინერალებს. დღეს ლურჯი ღიღილო გამოიყენება, როგორც შარდმდენი საშუალება — შარდმდენი სისტემის, თირკმლებისა და შარდის ბუშტის დაავადებისას. გთავაზობთ ღიღილოს ნაყენის დამზადების რეცეპტს: 1 ს/კ ღიღილოს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 1 საათი, გაწურეთ და მიიღეთ 1 ს/კ 4-ჯერ დღეში.

*ლიზა №28*


„ჰერბალ ვი" — „ვიაგრის" მცენარეული ალტერნატივა



სექსუალური აქტივობის გაუმჯობესების 100%-ით უსაფრთხო, მაღალეფექტური მცენარეული საშუალება
**HERBAL V Y — მამაკაცებისათვის.** – აბსოლუტურად უსაფრთხო მათთვისაც კი, ვინც დაავადებულია მაღალი წნევით, გულის ან სხვა დაავადებით; – აუმჯობესებს ლიბიდოს, ასტიმულირებს ნევრო-სექსუალურ ფუნქციას, როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ ასპექტში; – წარმატებით ხსნის სექსუალური დარღვევებით გამოწვეულ ტკივილებს წელისა და მუცლის არეში, მატებს ენერგიას და სიცოცხლის ხალისს; – რთული, ორგანული მიზეზებით განვითარებული იმპოტენციის დროს, აუცილებელი სერიოზული მედიკამენტოზური სამკურნალო კურსის განსაზღვრულ ეტაპზე „ჰერბალ ვი" ქმნის შესანიშნავ ფონს და ახანგრძლივებს მათ ეფექტს; – „ჰერბალ ვი"-ს უკომპლექსოდ იყენებენ აბსოლუტურად ჯანმრთელი მამაკაცებიც, რომლებსაც ნერვული დაძაბულობისა და გადაღლილობის გამო დროდადრო დაქვეითებული აქვთ სექსუალური აქტიურობა, აგრეთვე სპორტსმენები, საუკეთესო შედეგების მისაღწევად!
**HERBAL VY** – მამაკაცებისთვის – „ვიაგრას" უაღრესად პოპულარული უსაფრთხო მცენარეული ალტერნატივა მსოფლიოს ელიტურ საზოგადოებაში! ინგლისურ-შვეიცარული კომპანია „სვისჰელსის" ნაწარმი.
აიღეთ ცხოვრებისგან საუკეთესო!
მოიკითხეთ სააფთიაქო ბაზებსა და აფთიაქებში.
„სვისჰელსის" ექსკლუზიური დისტრიბუტორი კომპანია „ფლორევი" ტ: 99-87-37

MEDI მედი



პერმანენტული მაკიაჟი
თვალებზე, ტუჩებზე, წარბებზე
ტუჩების, მკერდის, ყურების ფორმის კორექცია
უკონტაქტო ეპილაცია ალექსანდრიტის ლაზერით
ჭარბთმიანობისაგან განკურნების ყველაზე ეფექტური საშუალება
ტრადიციული საზაფხულო ფასდაკლება
ი. ჭავჭავაძის გამზ. №70 25-02-02 22-42-73

# სიცოცხლის საგალობელი



ალექსანდრე დადეშქელიანი

როცა ალექსანდრე დადეშქელიანზე ფიქრობ, სიმწუხარე და პატივისცემას გრძნობ. ის სიცოცხლის საგალობელივით იყო; მიუხედავად იმისა, რომ ხელების გარეშე დაიბადა, არც ერთი წუთით არ დაუშვია, ცხოვრების რიტმს განდგომოდა. პირიქით, ბავშვიც, მოზრდილიც, ზრდასრულიც, თითქოს თვითონ მართავდა გარშემომყოფთ, თითქოს ყველაფერი მის ძლიერ გულისცემას ემორჩილებოდა... ის საოცრად საინტერესო ადამიანი გახლდათ: ფიქრობ მასზე და საკუთარი თავის გრცხვენია იმ პესიმიზმის გამო, რომელიც თუნდაც ოდესმე დაგეუფლებია, იმის დავიწყების გამო, რომ ადამიანად მოსვლა უკვე ბედნიერებაა.

ალექსანდრე (შურკა) დადეშქელიანს ყველა დიდი ხალისითა და სიყვარულით იხსენებს. ქალბატონი **ნანა თევზაძე** მისი დისშვილია. პირველ რიგში ოჯახზე ვისაუბრეთ, სადაც ეს მართლაც ფენომენური ადამიანი აღიზარდა.

— პაპაჩემი, ესე იგი, შურა დადეშქელიანის მამა, გახლდათ ალექსანდრე ბექირბის ძე დადეშქელიანი, ბებია — ეკატერინე ნიკოლოზის ასული ორლოვსკაია, დედით ქართველი (მიქელაძე) იყო, მამით — პოლონელი. ძალიან ლამაზი ქალი ყოფილა. ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებელში სწავლობდა. იქ უნახავს პაპას და სიგიჟემდე შეჰყვარებია. ალბათ, სვანურმა სისხლმაც თავისი ქნა და მოუტაცია ეს მშვენიერი გოგონა. ბებია იხსენებდა: სვანეთში, ბეჩოში წამიყვანაო. მათ ხუთი შვილი შეეძინათ, სამი ქალიშვილი და ორი ვაჟი. შურა ნაბოლარა იყო. ის რომ დაიბადა, 1914 წლის 17 მაისს, პაპა ექიმებს გაუყვანიათ ცალკე და უთქვამთ: ბავშვი უხელებოდ დაიბადა, ალბათ, ჯობია, დატოვოთო... შემდეგ ამბობდა თურმე: ერთი დღე ვფიქრობდი, რა მექნა. მერე გადავწყვიტე — ჩემი შვილი ჩემთან გაზრდილიყოო. ბებიაჩემმა არაფერი იცოდა, ბავშვს თუ რაიმე სჭირდა. სახლში პატარას ძიძა უვლიდა, შეხვეული მიჰყავდა ბავშვი დედასთან. ის აჭმევდა, მერე გამოჰყავდა და ისევ ძიძა უცვლიდა საფენებს.

ასე რომ, დედამ კარგა ხანს არაფერი იცოდა. ერთხელაც, ძიძამ მძინარე ბავშვი დატოვა და გავიდა. ბიჭმა ტირილი მორთო. ეკატერინეს უფიქრია, მე გამოვუცვლი საფენებსო. ბავშვი გაუხსნია და... უხელებო შვილი დაუნახავს. ისეთი ძლიერი სულიერი ტრავმა მიიღო, კარგა ხანს ვერ გამოვიდა მდგომარეობიდან თურმე... ამ ოჯახმა, საერთოდ, ბევრი ტკივილი გადაიტანა ომის წლებში. პაპას უთქვამს ერთ მეგობართან, — ამ კომუნისტებს იქნებ, გერმანელებმა მაინც მოუხერხონ რამეო. დაიჭირეს, დაკითხვისას აგდებულად ელაპარაკებოდნენ თურმე. ვერ აიტანა და სამელნე ჩაარტყა გამომძიებელს... ციხეში ამოხადეს სული... ომის წლებშივე შურას უფროსი ძმა, ნიკოლოზ დადეშქელიანი, სასწაულით გადაურჩა სიკვდილს ქერჩში... კარგად იცოდა გერმანული, ტყვედ ჩავარდა და საბოლოოდ გერმანიაში დარჩა. ამის გამო აქ მისი დების ოჯახები აანიოკეს, ჩვენ გადაგვასახლეს... კიდევ ერთი მძიმე ტრაგედია მოხდა ჩვენს ოჯახში. დედიდაჩემი, უმშვენიერესი ბელა დადეშქელიანი 18 წლისა გარდაიცვალა. ბრმა ნაწლავის ოპერაცია გაუკეთეს (სხვათა შორის, ბებიას ძმამ გაუკეთა) და 9 დღეში გარდაიცვალა...

— **თვითონ შურა როგორ იზრდებოდა?**

— საავადმყოფოს ექიმმა ზაგუევსკიმ ურჩია მშობლებს: არ შეახვიოთ ბავშვი, თავისუფლად იყოს, თამაშს რომ დაიწყებს, სათამაშო ფეხებში მიეცითო... ასეც იქცეოდნენ... ცოტა რომ წამოიზარდა, თურმე სულ აპროტესტებდა: ჩემით უნდა ვჭამო, თქვენ ნუ მაჭმევთო... პატარა ხარო, ეუბნებოდნენ... ის კი დიდხანს წვალობდა და ფეხით კოვზის დაჭერას სწავლობდა — ჩემი ძმა როგორც ჭამს, მეც ისე უნდა ვჭამოო. მისი დები და ძმა კარგად ხატავდნენ, თვითონაც ფანქარი დაიჭირა ფეხით. დედაჩემი იხსენებდა, შემოეუსხდებოდით მრგვალ მაგიდას, მაგიდის შუაში შურკას დავსვამდით და ასე ვხატავდით. ბოლოს, ისე გაიწაფა, ყველაზე უკეთ ხატავდა. გეცოდინებათ, სამხატვრო აკადემიაშიც კი სწავლობდა რამდენიმე წელი.

— **ამბობენ, „შურკა-ბეზრუკის" ეძახდნენო.**

— მართალია...

— **ნეტავ, არ ბრაზობდა?**

— არა, რას ბრძანებთ... ეს თითქოს მისთვის არაფერი იყო... გერმანულ სკოლაში მიიყვანეს და საგანგებოდ დაბალი მერხი გაუკეთეს, რომ ფეხით კარგად ეწერა. არაფერი არ დაყდა იმ მერხზე. ჩვეულებრივი ბავშვივით მაღალ მერხთან მოისურვა ჯდომა. ეს, უბრალოდ, იცოდა ყველამ, რომ ხელები არ ჰქონდა, თორემ ის „უხელო" არასოდეს ყოფილა. ყველაფერს აკეთებდა ფეხით: პირს იბანდა, იპარსავდა, როიალზე და გიტარაზე უკრავდა, ხატავდა, გაფრენილ ჩიტს თოფს ესროდა და კლავდა, გრავიური ტექნიკით მუშაობდა. სხვათა შორის, პლეხანოვზე ცხოვრობდნენ; კინოთეატრის ეზოში. იმ კინოთეატრის სახურავზე ადიოდა და ჭერზე ხატავდა... დიდხანს იყო მისი ნახატები იქ. საოცრად განათლებულიც იყო. სულ კითხულობდა, ქართულის გარდა, შესანიშნავად იცოდა რუსული, გერმანული, თურქული, აზერბაიჯანული, სომხური, ბერძნული და მათი დიალექტები...

— **ამას გარდა, ამბობენ, ავტორიტეტული კაცი იყო „შავებთანაც" და „თეთრებთანაცო".**

— ეგეც მართალია... სულ ხუმრობდა. პლეხანოვს გამწვანება ჩემი წყალობით აქვსო. მაშინ ეს ქუჩა ახალი ნარგავებით დაუმშვენებიათ. ხულიგანი ბიჭები კი ხან მოჭრიდნენ, ხან მოთხრიდნენ. მოკლედ, არ ახარებდნენ ნარგავებს. მილიციას ვერაფერი გაუწყვია. ბოლოს, მოუფიქრებიათ, მოდი, შურკას ვთხოვოთ, იმან უპატრონოს ამ ხეებსო. უთხოვიათ. ის იყო და ის... ჭადრებისთვის ხელი აღარავის უხლია. ძლიერი ფეხი ჰქონდა. თუ ვინმეს დაარტყამდა, გონებას აკარგვინებდა. ერთხელ, ერთ ოჯახში ყაჩაღები შეჭრილან. საშველად დაუძახიათ. მივიდა თურმე და ფეხით კინაღამ დაგლიჯა მოძალადეები... თვითონაც იჯდა ერთხელ ციხეში... ხშირად აკითხავდნენ მეგობრები. მაშინდელ ბევრ ძველ ბიჭს შურკას გაკეთებული სვირინგი ჰქონდა... თვითონაც მოსვირინგებული ჰქონდა ფეხები.

— **ცირკში როგორ მოხვდა?**

— ერთი მსახიობი შეხვდა კაფეში. იმან გადაიბირა. შენი მონაწილეობით პირველი მსახიობი გახდებიო. მართლაც, წითელი ასოებით ეწერა მისი სახელი აფიშებზე: და-დეში. ჯერ რუსეთის ცირკში იყო... ომის დროს იქ მოხვდა. თვითონ ჰყვებოდა — როცა გერმანელებმა ქალაქი დაბომბეს, თურმე ცირკის მსახიობები, ცხოველები, ფრინველები მიმოიფანტნენ... ყველა გარბოდა, გარბოდა შურაც. ფეხსაცმელი უშლიდა, გაიხადა... ხედავს, გზად ახალგაზრდა ქალი გდია მკვდარი. გვერდით — ჩვილი, პირქვე დამხობილი. ვერ აუარა გვერდი. აყვანით ვერ აუყვანია... არ გაიგუდოს მაინცო, ფეხით გადმოუბრუნებია ბავშვი — ვინმე გამოივლის და აიყვანსო. ერთი ნაბიჯი გადადგა. შეჩერდა. მიბრუნდა. რომ არავინ გამოიაროსო — გაუელვა თურმე. სახვევში ჩაავლო კბილები და ასე პირში ბავშვით, სირბილით გასულა თავშესაფარში...

კეთილშობილი, საოცრად სამართლიანი კაცი იყო, არავის გაწირავდა.

— **მანდილოსნები მისი სიყვარულით გონს კარგავდნენო.**

— უყვარდათ... სამი ცოლი ჰყავდა. სამი შვილი დარჩა. ერთ მეუღლესთან — ქალ-ვაჟი, მეორესთან — გოგონა. სამივე რუსეთშია... მისი მეუღლე, ვისთანაც ბოლოს იყო, საქართველოში ცხოვრობს... მათ არ ჰყავდათ შვილი. შურა ხუმრობდა: რუსეთში ერთმა ქალმა თავიც კი მოიკლა ჩემი სიყვარულითო. თვითონ არასოდეს ეჭვიანობდა, ქალები კი ეჭვიანობდნენ მასზე... ზოია დადეშქელიანმა, მისმა მეუღლემ, სადიპლომო შრომა მსახიობ და-დეშზე დაწერა. ძალიან საინტერესო შრომაა. იქ წერს: „Он слесарь, столяр, ювелир, артист, художник, пианист... И не было на свете непосильного для него занятия, совершенно независимо мог обтачать сопоги... вырить колодец, подстрелять птицу и повести автомобиль... И все это без рук". სულაც არ მიკვირს... სვანეთში, ძმასთან ერთად, ენგურს გადაცურავდა და გადმოცურავდა ხოლმე.

— **არასოდეს გინახავთ დარდიანი, ან თავისი ხვედრით შეწუხებული?**

— არასოდეს. მსგავსი სიცოცხლით სავსე, მხიარული ადამიანი არ მინახავს. ერთხელ არ დასცდენია საყვედური. ამაყი იყო. თითქოს იმითაც კი მოსწონდა თავი, ხელები რომ არ ჰქონდა. ომის დროს ჰოსპიტალში დაჰყავდათ, რომ დასახიჩრებული მეომრებისთვის, როგორც მაგალითი, ეჩვენებინათ. ერთი 19 წლის ბიჭი ყოფილა, ორივე ხელი დაუკარგავს ომში. თავს იკლავდა თურმე. ბიძაჩემს უთქვამს: არა გრცხვენია, შე კაცო, მე დაბადებიდან არ მაქვს ხელები, მაგრამ სიცოცხლე მაინც მშვენიერია, აბა შემომხედეო... ჩვენთან რომ მოვიდოდა სტუმრად, სუფრასთან დაჯდებოდა, ფეხებით დაიწყებდა ჭამას... მე კი ჩემს მეზობლებს, ბავშვებს დავუძახებდი და ვუჩვენებდი. იცინოდა: მოიყვანე შენი ბატალიონიო?! არანაირი უხერხულობა, დეპრესია, ან სასოწარკვეთა არ განუცდია... რუსეთში გარდაიცვალა 1977 წელს ცეროზით. ზოიამ ჩამოასვენა, დედამისის გვერდით საბურთალოს სასაფლაოზე დავკრძალეთ... ახლა ცოტანი დარჩნენ მისი მეგობრები. ადრე საფლავზე რომ მივიდოდით, უამრავი ყვავილი გვხვდებოდა... მისი პატივისცემით, ტაქსის მიჩერებდნენ, უფასოდ მივყავდი ხოლმე, სადაც მჭირდებოდა — შენ ხომ შურკას დისშვილი ხარო! დიდი სიყვარული დატოვა...

ბატონმა **ნუგზარ ბაგრატიონმა** გვიამბო, თურმე, შურა დადეშქელიანი და მამამისი — პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკი ბავშვობის მეგობრები იყვნენ.

— მამა ამბობდა, ჩვენ ერთი პედაგოგი გვყავდა, ვმეგობრობდითო. შურკა მაკრატლით ჭრიდა ფიგურებს, ძერწავდაო. მაშინ პლეხანოვზე, კინოთეატრ „დარბაზთან" (ახლანდელი „ელისო") იყო „ბირჟა"... და იმ ბიჭებს, ვინც იქ იკრიბებოდა, „Арбатские ребята"-ს ეძახდნენ. მათი მეთაური გახლდათ შურკა. ერთად დადიოდნენ საცურაოდ აუზში. თურმე, უბადლოდ ცურავდა... მამა ჰყვებოდა, — გავიდა წლები. შურკა სადღაც დაიკარგა. მერე აფიშებზე გამოჩნდა „და-დეში", მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდიო... ერთხელ, ქართული ცირკის საიუბილეოდ მამას შესთავაზეს სცენარის დაწერა. მივიდა ცირკში, დირექტორთან. შემოვიდა სიმპათიური კაცი. ყურადღება მივაქციე, მაგრამ ვერ ვიცანი... ხელების ფერი კი თვალში მომხვდა: უცნაური, მუქი, უძრავი ხელები ჰქონდა. უცებ მომიბრუნდა ეს „უცნობი" და მეუბნება: „Петька, мерзавец, ты не узнаешь меня?" გამიკვირდა: რა მიმართვაა ეს — Мерзавец.. შევხედე, შურკა არ არის?! გადავეხვიეთ ერთმანეთსო...

**ზოია დადეშქელიანი**, მეუღლე: მე და შურა ერთმანეთს 1956 წელს შევხვდით, ჩემს მშობლიურ ვორონეჟში, სადაც ის საგასტროლოდ იყო ჩამოსული. ორივე იმწამსვე მივხვდით, რომ ეს ბედი იყო... ერთად გავვლეთ თექვსმეტი, ბედნიერებით აღსავსე, საინტერესო და დაუვიწყარი წელი...

**ედუარდ ფარსადანიშვილი** — „შიკე", მოჯირითე, საქართველოს სახალხო არტისტი. წლების განმავლობაში და-დეშთან ერთად მუშაობდა ცირკში. ვკითხე, როგორი ახსოვდა შურა დადეშქელიანი:

— ამაყი იყო, არც კი იმჩნევდა, რომ ხელები არ ჰქონდა. ფეხზე ეკეთა საათი, ბრილიანტისთვლიანი ოქროს ბეჭედი... ყველაფერს ფეხით აკეთებდა. ხშირად ვთამაშობდით დომინოს, ნარდს... ქორწილი რომ მქონდა, გრძელი ნარდი მაჩუქა: ამაზე უკეთ ვითამაშებთო. ერთხელ, კამათელი დაგვეკარგა. ვეხვეწეთ ბავშვებს: გვითხარით, თქვენ ხომ არ აიღეთო? ვერ ვათქმევინეთ. შურკამ მითხრა, მოიცადეო... ჩემ თვალწინ გამოთალა პატარა კამათელი, გაუკეთა წერტილები... იმითი გავაგრძელეთ თამაში...

ჩვენი ცირკი ბაქოში იყო გასტროლებზე. ვხედავთ, ვიღაც კაცმა აწყენინა ქალს... აზერბაიჯანელები იყვნენ. გამოექომაგა და-დეში, თავხედ კაცს ისე გაარტყა ფეხი, გონება დააკარგვინა... მილიციაც მოვიდა და წაგვიყვანეს. ჰკითხეს „დაზარალებულს" — რა მოხდაო. მან თქვა: ამ კაცმა სახეში მუშტი გამარტყაო და ხელი შურას დაადო... თანაც აჩვენა კიდეც: აი, ასე გამომიქანა ხელი, ასე დამარტყა, მერე არაფერი მახსოვსო. დადეშქელიანმა გაიღიმა, მოწყვეტილი ხელები — პროტეზები აიქნია და მაგიდაზე დააწყო... გაოცებულები უყურებდნენ... მილიციამ კიდევ ის დაზარალებული მკაცრად გააფრთხილა ტყუილისათვის...



ცირკის არენაზე

— **როგორი იყო და-დეში ცირკში, არენაზე გასვლამდე?**

— ომახიანად დაიძახებდა კულისებში: Светлейщий князь Сванетии Дадешкелиани... მერე გადიოდა არენაზე. რამდენჯერ შემიხედავს მასთან საგრიმიოროში, სულ კითხულობდა. ძალიან განათლებული იყო. დიდი იუმორის გრძნობა ჰქონდა. ერთხელ, უქმე დღე იყო, მოვიდა და-დეში... მითხრა: მოდი, რაღაც მოვიფიქროთ... თუნდაც კლოუნის ქათამი დავკლათო. შევთანხმდით. დავკალით ეს „მსახიობი" ქათამი და დავურეკეთ მის პატრონს, კლოუნს — ალექსანდრე თედიაშვილს. ბატონო შურა, მოხარშული ქათამი გვაქვს, თქვენ გარეშე ხელს არ ვახლებთ, გელოდებითო... გაეხარდა: თქვენ გენაცვალეთ, ბიჭებოო... მოვიდა, ღვინო მოიტანა: საუზმეც მოაყოლა... დავსვით თამადად და კარგად მოვილხინეთ. მეორე დღეს ვართ „შაპიტოში". დარბის ჩვენი კლოუნი წინ და უკან... ეკითხება და-დეში: — რაო, რას დადიხარ აქეთ-იქით... რა მოგივიდაო? — კაცო, რეპეტიცია მაქვს და ქათამი არ არის, ვერსად ვიპოვეო... დადეშმა კიდევ სერიოზულად „გაიკვირვა" — გუშინ რომ ახრამუნებდი, ის ქათამი არ იყოო?..

ეჰ, მაშინ ჩვენნაირი ძლიერი დასი მთელ სსრკში არ იყო. „მეხანძრეებს" გვეძახდნენ... სადაც პროგრამა ჩაუვარდებოდათ და ხალხი აღარ დადიოდა ცირკში, იქ გადაგვისროდნენ გასტროლებზე... საზღვარგარეთ დავდიოდით. დადეშქელიანს არ უშვებდნენ, რომ ჩვენთან ერთად წამოსულიყო უცხოეთში. აქ რჩებოდა ხოლმე... არასოდეს მისგან ჩივილი არ გამიგონია, არაფრის გამო... არც იმის გამო, რომ გასტროლებზე საზღვარგარეთ წასვლის საშუალებას არ აძლევდნენ, არც იმის გამო, რომ ხელები არ ჰქონდა.

— **ხალხს განსაკუთრებით უყვარდაო.**

— მისი გამოსვლისას ინგრეოდა დარბაზი ტაშით. ძალიან უყვარდათ „ძველ ბიჭებს", მანქანებით აკითხავდნენ. დიდ პატივს სცემდნენ... სულ რესტორნებში ეპატიჟებოდნენ. დამიძახებდა, ჩამსვამდა მანქანაში და ერთად მივდიოდით. ძალიან ძლიერი და ამტანი იყო, გაბრაზებულიც კი არ მინახავს. ისეთი კაცი იყო, არ შეიძლებოდა, არ გყვარებოდა, პატივი არ გეცა...

რა ჭორი არ დადიოდა ქალაქში, რაღას არ ჰყვებოდნენ მასზე. შურკა დადეშქელიანი ტროლეიბუსში მილიციელმა შენიშნა, რაღაცას აშავებდა ფეხით... მოჰკიდა ხელი და პირდაპირ ცირკში წაიყვანა, ორგანოს ნაცვლადო...

იცოდნენ, ძალიან დიდი წარმატება ექნებოდა როგორც მსახიობს და ხელები სპეციალურად დააჭრესო...

შურკა თბილისის ყველა კრიმინალს იცნობდა, ყველას ეხმარებოდაო...

ვიცი, ამ ჭორებიდან ზოგი ტყუილი იყო, ზოგიც მართალი, მაგრამ თვითონ ალექსანდრე დადეშქელიანი ყველაფერ ამას ზემოდან უყურებდა... ეღიმებოდა...

თითქოს ეს-ეს არის, ტრამვაიმ ჩაიარა. მოხდენილი ყმაწვილი აედევნა და შეახტა... ეს „შურკა-ბეზრუკია". თითქმის ყოველთვის ასე იქცეოდა. წავიდა და დაგვიტოვა განცვიფრების დაუძლეველი შეგრძნება და მისეული საკვირველი სულის მხნეობა.

*ლელა ჯიყაშვილი*

საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის
წმიდა ილია მართლის სახელობის

თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი

გიწვევთ სასწავლებლად სპეციალობებზე:

1. სამართალმცოდნეობა.
2. ჟურნალისტიკა.
3. ქართული ენა-ლიტერატურა.
4. უცხოური ენები – ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული, ებრაული, თურქული.
5. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები.
6. ფინანსები და საბანკო საქმე.
7. ფილოსოფია და პოლიტოლოგია.
8. ფსიქოლოგია და სოციოლოგია.
9. ისტორია და რელიგიის ისტორია.
10. ხელოვნებათმცოდნეობა და სახვითი ხელოვნება.
11. ფიზიკა და მათემატიკა.
12. ქიმია და ბიოლოგია.
13. სკოლამდელი აღზრდა.
14. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა, მეთოდიკა და ფსიქოლოგია.

უნივერსიტეტს აქვს დასწრებული და დაუსწრებელი განყოფილებები. 9 კლასდამთავრებულთათვის ჰუმანიტარული, უცხოური ენების, ხელოვნების, ეკონომიკური და საბუნებისმეტყველო პროფილის სკოლა-ლიცეუმი.

თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი

პრესტიჟი, ცოდნა, პერსპექტივა
იგი თქვენი წარმატებების გარანტიაა!

საბუთები მიიღება 20 აგვისტომდე პ. მელიქიშვილის ქ. №2
(ვერაზე, დიდი საკონცერტო დარბაზის წინ, 51-ე სკოლა)
☎ 92-30-36; 92-30-37; 37-31-32.

## ნუთუ სამოთხემდე ჯერ არავის მიუღწევია?

ფრანგი ასტროფიზიკოსის ანტუან ლეტერერის გამოანგარიშებით, გზას დედამიწიდან ზეცამდე სულ ცოტა, 3 მლრდ სინათლის წელი სჭირდება. სულმა სინათლის სიჩქარითაც რომ იფრინოს, წარმოუდგენლად დიდი დრო დასჭირდება სამოთხემდე მისაღწევად. მეცნიერებმა, რომლებიც მუშაობენ მსოფლიოში უმძლავრეს ტელესკოპ „ჰაბლზე", დაინახეს ის სამოთხე, რომელზედაც თითოეული ჩვენგანი ოცნებობს... საიდუმლო სეიფებში ინახება მოკიაფე ქალაქის ფოტოები. ზუსტად იმ ქალაქისკენ მიემართება დერეფანი, რომლის ბოლოში შუქი ანთია. ასეთი გვირაბი არაერთხელ აღწერეს კლინიკურ სიკვდილგამოვლილებმა.



თუმცა, როგორც პროფესორი ლეტერერი ამტკიცებს, სამოთხის ჭიშკრამდე არ მიუღწევია პირველი ადამიანის სულსაც კი — ის ჯერ მხოლოდ უახლოვდება მიზანს. მაგალითად, ბერძენი ფილოსოფოსი სოკრატე, რომელიც ჩვ.წ.აღ-მდე 399 წელს გარდაიცვალა, ჯერ კიდევ გზაშია. სულს სინათლეზე ათასჯერ სწრაფად რომ შეეძლოს მოძრაობა, მაინც სამოთხისკენ მიმავალ გზას დიდი დრო დასჭირდებოდა. ის, ვინც შარშან გარდაიცვალა, სამოთხეს მიაღწევს 2. 998. 003 წელს.

*პარი მატჩი №27/29*

## ბუშტის მაგიური ძალა

ერთი შეხედვით, ბუშტები იქით მიფრინავენ, საითაც ქარი დაუბერავს. საერთოდ, ყველა მაგიური სიტუაცია ოთხ სტიქიაზეა დაფუძნებული (წყალი, მიწა, ცეცხლი და ჰაერი). ზევით აფრენისას ბუშტი ჰაერის სტიქიაში ხვდება და ამ დროს ვლინდება ადამიანის ბედ-იღბალი. მაგრამ პირველ რიგში უნდა აირჩეს ბუშტის ფერი.

**თეთრი** — სიყვარულსა და ბიზნესში წარმატების მომასწავებელია;

**შავი** — აშორებს სევდას, უფროსებთან პრობლემებს აგვარებს;

**ცისფერი** — საოჯახო საკითხებს აწესრიგებს;

**ვარდისფერი** — ჯანმრთელობის, შერიგების, მეგობრობის ფერია;

**წითელი** — ნაყოფიერების, ვნებისა და გადარჩენის ფერია;

**ნარინჯისფერი** — პირად ბედნიერებასა და საქმიან პარტნიორობას აგვარებს შინ და სამსახურში;

**ყვითელი** — ხელს უწყობს კარიერასა და მოგზაურობას;

**მწვანე** — სიყვარულის, გათხოვების და ოჯახის შექმნის ფერია;

**ლურჯი** — სწავლისა და გამოცდების მომწესრიგებელი ფერია;

**ვერცხლისფერი** — ოცნებებისა და დიდი ცვლილებების მომტანია;

**ოქროსფერი** — გეგმების განხორციელებასა და ცხოვრების შეცვლას მოასწავებს.

ბუშტი გაუშვით და იფიქრეთ სანუკვარ თემაზე:

თქვენი ბუშტი **მარცხნივ** თუ გაფრინდა — ახალი სირთულეები გელით, **მარჯვნივ** თუ აიღო გეზი, მიენდეთ ინსტინქტს და იმოქმედეთ;

ბუშტი **ზევით და პირდაპირ** თუ მიფრინავს, თქვენც ალმაფრენა გელით;

**ჰორიზონტალურად** თუ გაფრინდა — თქვენ გადაწყვეტილებებს შეიცვლით;

**მიმართულების უცაბედი შეცვლა** — უფრთხილდით იდუმალ ძალებს;

ბუშტი თუ **გაგისკდათ**, გადახედეთ თქვენს მიზნებს;

თუ **ხის ტოტებში გაეჩხირა** — დაბრკოლებები არ აგცდებათ;

თავიდანვე, რაც უფრო **მაღლა აფრინდება** ბუშტი — დიდ წარმატებას ელოდეთ.

გაურკვეველ სიტუაციაში გაუშვით ერთდროულად „ჰო" და „არა" სახელწოდების ბუშტები (სახელწოდებებს თავად არქმევთ). ის ბუშტი, რომელიც უფრო მაღლა აფრინდება, პასუხს გაგცემთ — როგორი გადაწყვეტილება მიიღოთ.

წარმატებებს გისურვებთ!

*ტაინაია ვლასტ №12*

## იუმორში ჰქვია ამას?

1862 წელს ერთ-ერთმა ინგლისურმა იუმორისტულმა ჟურნალმა გამოაქვეყნა სახუმარო პროგნოზი იმის შესახებ, თუ როგორ იცხოვრებდა კაცობრიობა 100 წლის შემდეგ. ავტორი სწორედ თავისი უაზრო წინასწარმეტყველებით ცდილობდა, რაც შეიძლება მეტად გაეცინებინა პატივცემული საზოგადოება. ამ ჩანაწერებმა როგორი შთაბეჭდილება მოახდინა იმდროინდელ საზოგადოებაზე, ჩვენთვის უცნობია. იმის განსჯა კი, თუ რამდენად უტყუარი იყო წინასწარმეტყველება, ჩვენი თანამედროვეებისათვის მიგვინდვია:

— *1982 წელს ადამიანები მთვარეზე გაფრინდებიან;*
— *ტვირთსა და ფოსტას ევროპიდან აზიაში საჰაერო გზით გადაიტანენ;*
— *ციმბირში თავისუფალი მშრომელების შრომით მოიყვანენ ბამბას;*
— *ადამიანების საყვარელი გასართობი სანახაობა იქნება მოძრავი ფოტო;*
— *ქალები სახის ნაკვთებსა და იერს შეიცვლიან სილამაზის სალონებში და შარვლებით ივლიან;*
— *კაცობრიობა შექმნის ისეთ საშინელ რამეს, რომელიც მოსპობით დაემუქრება სიცოცხლეს მთელ პლანეტაზე.*

### „საზალდო-სალაღო" გვერდის პასუხები

I. **კროსვორდი**

**თარაზულად:** 1. ანკარა; 5. ბატი; 7. კოკა; 9. სანჩო; 10. ზღაპარი; 12. ნოუ; 13. ვარსკვლავები; 14. ფუფალა; 15. ნათლია.

**შვეულად:** 1. არსენა; 2. კენგური; 3. რკო; 4. ლოკოკინა; 5. ბაზალეთი; 6. ტრამვაი; 8. ბარბი; 11. თაფლი.

II. ფანტაზია

III. **რებუსი**

კატას ხუმრობაში თაგვი გაექცაო.

IV. შვიდი

V. 

VI. „მაგ"

## სამი იგავი ბედნიერებაზე

ყველა ჩვენგანს აქვს დარდი და საწუხარი. ზოგჯერ გვეჩვენება, რომ ცხოვრება მხოლოდ ამისგან შედგება... ჯარასავით ტრიალებს ადამიანი შინ თუ გარეთ — ფულს შოულობს, შინაურ პრობლემებს აგვარებს, ნაცნობმეგობრებს გულშემატკივრობს... ბედნიერება კი არსად ჩანს, ასე ნანატრი და სასურველი. თუმცა, არსებობს კი იგი?

პასუხი ძალზე უბრალოა — ბედნიერება ჩვენ გარეთ კი არა, შიგნითაა... რაც უნდა მოხდეს, რაც მომხდარა ან ხდება, ვერაფრით წაგვართმევს ბედნიერების უფლებას.



### იგავი ცხენზე

*გლეხს ცხენი გაექცა. როგორ ვხნა, როგორ დავთესო? — ატირდა იგი. რის ვაი-ვაგლახით დახნა, დათესა მინდორი. გავიდა ხანი. დაბრუნდა ცხენი და თან კვიცი მოიყვანა. კვიცი მალე ფეხმარდ ბედაურად იქცა. ერთ მშვენიერ დღეს გლეხის ვაჟი მოევლო ზურგზე, გააჭენა, მაგრამ გადმოვარდა და ფეხი მოიტეხა. „რა უბედური ვარ, — ატირდა ისევ გლეხი, — ჩემმა ვაჟმა ფეხი მოიტეხა"... დილით გლეხის ოჯახი კარზე კაკუნმა გამოაღვიძა — მეფის ჯარში ახალგაზრდებს იწვევდნენ, გლეხის ვაჟს ხელი არ ახლეს — ფეხმოტეხილი ომში რას ივარგებდა? გაუხარდა გლეხს და თქვა: რა ბედნიერებაა, ჩემმა ვაჟმა ფეხი რომ მოიტეხაო.*

ეს იგავი გვასწავლის, რომ რაც მოხდა, იმას ვერაფრით შევცვლით. სამაგიეროდ, სულ სხვა თვალით უნდა შევხედოთ. არც ერთ პრობლემას არ ძალუძს ჩვენი გაუბედურება — ჩვენ ვირჩევთ, როგორი რეაქცია გვექნება ამა თუ იმ სიტუაციაზე. ამასთან, არასოდეს ვიცით, რისთვის გვეძლევა გამოცდა — ნებისმიერი პრობლემა და გამოცდა გამოწვევაა. თითოეულ მათგანში ჩასახულია ის წარმატება და ბედნიერება, რომელზეც ვოცნებობთ. გადის დრო და ის, რაც დღეს საშინელებად გვეჩვენება, მოვლენათა ისეთ ჯაჭვად ჩამოყალიბდება, რომელიც ჩვენს ჭეშმარიტ მოწოდებასა და ნამდვილ სიყვარულთან მიგვიყვანს. ძალზე მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ ადამიანები ბედნიერები არიან არა ***იმიტომ***, არამედ ***მიუხედავად*** იმისა... რაღაცით შეწუხებული ადამიანი სიტუაციას ძალზე მუქი ფერით აღიქვამს და საკუთარი განწყობით წინასწარ აპროგრამებს ცუდ მომავალს. ბედნიერი ადამიანი თავისი შინაგანი განწყობით იზიდავს თავისკენ სასურველ სიტუაციებს და მაშინ ხდება ყველაზე მნიშვნელოვანი: თანდათანობით მისი ცხოვრებიდან ქრება პრობლემები. აქედან გამომდინარე, რა უნდა პრობლემას იქ, სადაც ვერავის ავნებს? ეს პარადოქსის დიადი კანონის ერთ-ერთი ილუსტრაციაა.

### იგავი სახლზე

*ააშენა კაცმა სახლი, გაზარდა სამი ვაჟი. ერთხელ ქალაქში წავიდა. საღამოს რომ დაბრუნდა, რას ხედავს — სახლი იწვის. დაეცა მიწაზე, აბლავლდა. მიუახლოვდა უფროსი ვაჟი და უთხრა: „ნუ ტირი, მამა. სახლი ჩვენს მეზობელს მივყიდე ორმაგ ფასად". ადგა კაცი, ცრემლები შეიწმინდა. ახლა შუათანა ვაჟი ეუბნება: „მეზობელმა მხოლოდ ბე მოგვცა, მთლიანი საფასური ჯერ არ მოუტანია". ისევ ატირდა კაცი. მაშინ მიუახლოვდა უმცროსი ვაჟი და უთხრა: „მამა, მეზობელს მოველაპარაკე. მითხრა, სიტყვის კაცი ვარ და სულერთია, სახლი დაიწვა თუ არა, ფულს მაინც გადავიხდიო". გაიხარა კაცმა და შეიშრო ცრემლები.*

ამ ინდურ იგავში იმაზე მიგვანიშნებენ, რაზეც პირველში: რაიმე ფაქტის გამო კი არ ვართ უბედურები, არამედ ჩვენი დამოკიდებულების გამო ამ ფაქტის მიმართ. ეს იგავი კიდევ რაიმეს ამოჩემებაზე, აკვიატებაზეა. კაცს წარმატებული კარიერა სურს, ტყავიდან ძვრება, მაგრამ არაფერი გამოსდის. ამის გამო კი უბედურია. ქალიშვილს გათხოვება სურს, სურვილი იმდენად ძლიერია, რომ საქმროები გაურბიან. ქალიშვილი იტანჯება, უბედურია. ის, რაც გვინდა, რომ იყოს ასე და არა სხვანაირად — ესეც ამოჩემებაა, აკვიატება, რაღაც სურვილზე „მიბმაა".

აჯობებს მოვდუნდეთ, ერთი ღრმად ამოვისუნთქოთ და ირგვლივ მიმოვიხედოთ. ნუ შეშინდებით — ყველაფერი ის, რაც თქვენ გჭირდებათ სინამდვილეში, თქვენთან დარჩება, გაქრება მხოლოდ ილუზიები.

### იგავი ბედნიერ ჰანსზე

*ჰანსმა თავისი ბატონისაგან კარგი სამსახურისთვის ოქროს ზოდი მიიღო. წავიდა შინ. გზად მძიმე ოქროს ზოდი ცხენზე გადაცვალა და ძალიანაც ბედნიერი იყო. როცა ცხენმა გადმოაგდო, მაშინ იგი ძროხაზე გადაცვალა, მერე ბატზე. ბატი სალეს ქვაზე, რომელიც ჭაში ჩაუვარდა, როცა ჰანსი წყალს სვამდა. კმაყოფილი და ხელცარიელი დაბრუნდა ბედნიერი ჰანსი თავის სოფელში...*

ჰანსი იმ კაცის განსახიერებაა, რომელიც თავისუფალია და დამოუკიდებელი ყოველი გარემოებისაგან. იგი მუდამ იმ სიტუაციას ირჩევს, რომელიც უკეთესი ეჩვენება. ამიტომ ყოველთვის ბედნიერია. ცხოვრებისგან ირჩევს იმას, რაც გააბედნიერებს...

*ორაკული №8*

## ქალს ძუძუში კბილი ასცვივდა

რამდენიმე წლის წინ 47 წლის ნატალია პასიმოვას ძუძუს არეში ტკივილები დაეწყო და ჩელიაბინსკის ონკოლოგიურ კლინიკაში გამოსაკვლევად მივიდა. ექიმებს ეჭვი შეეპარათ სარძევე ჯირკვლის კიბოზე და ოპერირება გადაწყვიტეს.

ჩვეულებრივი ოპერაცია სენსაციად იქცა: ქირურგებმა სარძევე ჯირკვლის ქსოვილიდან ამოიღეს... ორი კბილი და თმის ბღუჯა. როგორც ჩანს, საქმე ეხება ბუნების უნიკალურ შეცდომას, რომლის ძირი უნდა ვეძიოთ განვითარების ემბრიონულ საწყისში. შესაძლოა იყო სისხლის ცუდი მიმოქცევა. ამის შედეგად თმისა და კბილების ქსოვილები ემბრიონს არატიპურ ადგილას გაუჩნდა.

ამოღებული კბილები დამპალი აღმოჩნდა, ხოლო თმა საშინლად ყარდა. პაციენტს, რა თქმა უნდა, კიბო არ აღმოაჩნდა და ოპერაციის შემდეგ თავს შესანიშნავად გრძნობდა.

*ექსპრეს-გაზეთა №28*


## „მედი" — ჭარბთმიანობის კომპლექსური მკურნალობა

ჭარბთმიანობის პრობლემაზე მსოფლიოში მრავალი ცნობილი კოსმეტოლოგიური და სამედიცინო ტექნოლოგიის ფირმა მუშაობს.

ყველასათვის ცნობილია, რომ არასასურველი თმის ტრადიციული გზებით მოშორება გამოსავალი არ არის, ხოლო ყოველი ჩარევის შემდეგ კი უფრო გაუხეშებული თმა იზრდება.

გარდა ამისა, საკმაოდ ხშირია სხვადასხვა სახის გართულება, რასაც კანის ხარისხის გაფუჭება მოსდევს. ელექტროეპილაციის და პრიმიტიული ლაზერული აპარატებით ჩატარებული ეპილაციის დროს კანის საფარის დაზიანების გამო, დიდია შიდსითა და ჰეპატიტით ინფიცირების შესაძლებლობა. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს, როდესაც მსოფლიო შიდსის პანდემიის საშიშროების წინაშე დგას.

მსოფლიოს კოსმეტოლოგთა ოცნება, ეპილაციის ჩატარება უკონტაქტოდ, ჩხვლეტისა და კანის დაზიანების გარეშე, — რეალობა გახდა მას შემდეგ, რაც 1999 წელს ამერიკელებმა შექმნეს ალექსანდრიტის დერმატოლოგიური ლაზერი. მის მიერ გამოსხივებული სხივი სავსებით უვნებელია ორგანიზმისათვის და დიდი ხანია გამოიყენება მედიცინაში გულის, სისხლძარღვებისა და თვალის სამკურნალოდ.

სხვა, ნებისმიერ ლაზერულ და სინათლის სპექტრზე (ფოტოეპილაცია) მომუშავე აპარატებთან შედარებით, ალექსანდრიტის ლაზერი უზრუნველყოფს ყველაზე სწრაფ და მაღალეფექტურ ეპილაციას კანის დაზიანებისა და მასზე პიგმენტური ლაქების განვითარების გარეშე.

რამდენადაც არ ზიანდება კანის საფარი, შიდსით ან ჰეპატიტით დაავადება ამ აპარატით ჩატარებული ეპილაციის დროს გამორიცხულია.

ეპილაციის დროს თმის ძირი ისე ნადგურდება, რომ არ ზიანდება ირგვლივ მყოფი ქსოვილები. ეპილაციას ალექსანდრიტის ლაზერით უმეტესად რამდენიმე წუთი სჭირდება. საბოლოო განკურნებისათვის საჭიროა რამდენიმე პროცედურის ჩატარება, რაც დამოკიდებულია საეპილაციო თმის ხარისხზე, პაციენტის ორგანიზმის ზოგად მდგომარეობაზე და ჰორმონალურ ფონზე.

მას შემდეგ, რაც ამერიკელი პარტნიორების მეშვეობით, სამედიცინო ცენტრში „მედი", დამონტაჟებულ იქნა ალექსანდრიტის ლაზერის 2000 წლის მოდელი, იგი საქართველოს მოსახლეობისათვისაც გახდა ხელმისაწვდომი. მთელ კავკასიაში ეს აპარატი ერთადერთია, ხოლო ყოფილ საბჭოთა კავშირის სივრცეში სულ რამდენიმე ცალია.

სამედიცინო ცენტრი „მედი", ალექსანდრიტის ლაზერით ეპილაციის გარდა, გთავაზობთ სიახლეს — ჭარბთმიანობის მიზეზების გამოკვლევას. საჭიროების შემთხვევაში წარმოებს გინეკოლოგის კონსულტაცია.

უნდა აღინიშნოს, რომ ჭარბთმიანობის მედიკამენტოზური მკურნალობის კომბინაცია შესაძლებელია მხოლოდ ალექსანდრიტის ლაზერით ეპილაციასთან, რაც საუკეთესო და სწრაფ ეფექტს იძლევა.

**სასიამოვნო სიურპრიზი!**

„მედი" გთავაზობთ ტრადიციულ საზაფხულო ფასდაკლებას.

ფირმა „მედი" და მისი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ყოველთვის მზად არიან იზრუნონ თქვენს სილამაზეზე.

**სამედიცინო ცენტრი „მედი"**

25-02-02 22-42-73

ი. ჭავჭავაძის გამზ. №70

# ძიების ფედერალური ბიუროს მიუტევებელი შეცდომა

ძიების ფედერალური ბიურო მორიგ სკანდალში გაეხვია. მიზეზი კვლავ მისი თანამშრომლების არაკომპეტენტურობა და [illegible] თავდაჯერებულობაა. მართლაც, გასაოცარია მათი ამჟამინდელი შეცდომის სისულელე და მასშტაბები. ბიურომ უცებ აღმოაჩინა, რომ თურმე, დაიკარგა კომპიუტერები და ასობით იარაღი, თანაც ყველას გასაკვირად, ამ ყოვლისშემძლე ორგანიზაციამ ისიც კი არ იცის, როდის მოხდა ეს, ან ზუსტად რა რაოდენობით კომპიუტერი თუ იარაღია დაკარგული.

ბიუროს ხელმძღვანელობა ვერც იმას ამბობს, რა ინფორმაცია ინახებოდა კომპიუტერებში, [illegible] რომ ეს იყო საიდუმლო მასალები. იმასაც ამბობენ, 13 კომპიუტერი ნამდვილად მოპარულია, რამდენიმე კი „სადღაც უნდა იყოს დაკარგულიო". ინვენტარიზაციის შედეგების შესახებ მოხსენებაში ნათქვამია, რომ 184 საბრძოლო ერთეული მოპარულია, ხოლო „არსად ჩანს" 265 პისტოლეტი, თოფი, ტყვიამფრქვევი და ავტომატი. დაკარგულ იარაღს შორის რამდენიმე სასწავლო იყო, მაგრამ ეს ვერ ამსუბუქებს საქმეს, მით უმეტეს ცნობილი გახდა, რომ ერთ-ერთი საბრძოლო პისტოლეტით ადამიანი მოკლეს.

ამ ამბავმა ვაშინგტონი შეაშფოთა. [illegible]



თავისი წინამორბედის შეცდომების გამოსწორება ბიუროს ახალ დირექტორს რობერტ მიულერს მოუწევს

[illegible]

ნოვიე იზვესტია №131

# მაკედონიამ დასავლეთს ზურგი უჩვენა

მაკედონიაში ულტიმატუმი წაუყენეს ალბანელ ექსტრემისტებს. [illegible]

იტოგი №29

# კონდოლიზა რაისი უკრაინას დაჰპირდა „სიგნალებს" არ მოგაკლებთო



ეროვნული უშიშროების დარგში ამერიკის პრეზიდენტის თანაშემწე კონდოლიზა რაისი მოულოდნელად ეწვია კიევს. ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე ქალბატონმა რაისმა თქვა, — დღეს უკრაინას ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების ჩატარებაზე უფრო მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც მას კანონის უზენაესობას, სიტყვის თავისუფლების და არჩევნების გამჭვირვალობის განხორციელების საშუალებას მისცემდაო. ქალბატონმა რაისმა ხაზგასმით აღნიშნა, — ვიდრე გამჭვირვალე არ გახდება ჟურნალისტების — გიორგი ღონღაძისა და იგორ ალექსანდროვის მკვლელობების ძიების საქმე, მსოფლიოს გაუჭირდება უკრაინასთან ურთიერთობაო. ჟურნალისტის შეკითხვაზე, ამერიკის ადმინისტრაციას სჯერა თუ არა უკრაინის მთავრობის განცხადებებისა, რომ ქვეყანა რეფორმების გზას ადგას, კონდოლიზა რაისმა უპასუხა, — „ჩვენი მოტყუება ადვილი არ არის, ვიცით, როდის არის არჩევნები ჭეშმარიტად თავისუფალი, ძიება კი გამჭვირვალე. ინვესტიციები კი იქით მიდის, სადაც სტაბილურობაა და პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლება".

უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ქალბატონ კონდოლიზას გადაკრულ ნათქვამს კარგად მიუხვდნენ და პრეზიდენტმა კუჩმამ პირადად დაარწმუნა ამერიკელი სტუმარი — აუცილებლად გავაგრძელებთ ეკონომიკურ და დემოკრატიულ რეფორმებსო და მაშინვე სიტყვიდან საქმეზე გადავიდა — სრულად ვიზიარებთ ვაშინგტონის აზრს, რომ მაკედონიის კონფლიქტი მხოლოდ პოლიტიკური გზით უნდა გადაიჭრას, ამიტომაც დაუყოვნებლივ შევწყვეტთ ამ ქვეყნისთვის იარაღის გაგზავნასო.

კონდოლიზა რაისი კუჩმას დაჰპირდა, მომავალშიც „გამოგიგზავნით სიგნალებს" და ჩვენი ურთიერთობის ხასიათი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ მოიქცევა კიევიო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უკრაინას უარის თქმა მოუწევს ბევრ ამბიციურ პროექტზე — პირველ რიგში, უნდა გაყინოს ურთიერთობა ერაყთან, ირანთან და ლიბანთან. მოგვიანებით კი, მოუწევს უარის თქმა რუსეთთან ერთობლივად იარაღის წარმოებაზე.

კომსომოლსკაია პრავდა №133

# „ანტიგლობალისტური რევოლუციის" ბარიკადებზე

ელიტურ კლუბში შემავალ ქვეყნებს შორის წარმოქმნილ სერიოზულ უთანხმოებებს, იქნება ეს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა, ვალების ჩამოწერა თუ ბუნების დაბინძურება, გენუის ფორუმის მსგავსი თავყრილობა არ წყვეტს. აქედან გამომდინარე, არც რაიმე მოულოდნელობაა მოსალოდნელი, რადგან ყველა დოკუმენტი წინასწარ არის შეთანხმებული. გენუის სამიტის დაწყებამდე ნათელი გახდა, რომ შარშან, იაპონიაში ჩატარებული მსგავსი შეკრებისგან განსხვავებით, აქ მოსაწყენად ვერავინ მოიცლიდა. რვიანის შეხვედრაზე გაიმართა მსოფლიო კაპიტალიზმის მტრის — მსოფლიო ანტიგლობალისტური მოძრაობის ოფიციალური პოლიტიკური პრემიერა. ასე რომ, გენუის შეხვედრის მთავარი გმირი გახდა არა რვა სოლიდური მამაკაცი, არამედ ის ხალხი, რომელიც მზად იყო მსოფლიო „ანტიგლობალისტური რევოლუციის" ბარიკადებზე ასასვლელად და არც პოლიციელების ხელკეტებისა შეშინებიათ (პოლიციელებმა ერთი დემონსტრანტი მოკლეს, 16-ზე მეტი დაჭრეს, 50 ადამიანი დააპატიმრეს). ანტიგლობალისტები, ევროპის ქვეყნების ასობით საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და მოძრაობის წარმომადგენლები, გამკაცრებული საპასპორტო რეჟიმისა და უსაფრთხოების ზომების მიუხედავად, მაინც ჩავიდნენ იტალიაში. გენუის შეხვედრამდე მათ სერიოზულ ძალად არ მიიჩნევდნენ. გენუის შეხვედრის დროს კი ამა ქვეყნის ძლიერთა განაცხადეს, რომ მზად არიან, „მსოფლიო კაპიტალიზმის მტრებთან" დიალოგის გასამართად. სამიტის მუშაობაში და საზეიმო ბანკეტში მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს ბანგლადეშის პრემიერ-მინისტრი შეიხი ჰასინა, ნიგერიის პრეზიდენტი ოლუსეგუნ ობასანჯო, სალვადორის პრეზიდენტი ფრანსისკო ფლორესი და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტი ტაბო მბეკი. ანტიგლობალისტთა აზრით, მსოფლიო ბოროტების განსახიერებაა „მსოფლიო სავალუტო ფონდი", „მაკდონალდსი" და „მაიკროსოფტი".

ვლასტ №29

# ვიდრე ინდონეზიის ძველ პრეზიდენტს ეძინა, იგი ახალმა შეცვალა

ინდონეზიის სახალხო საკონსულტაციო კონგრესმა რამდენიმე დღის წინ ხმა მისცა პრეზიდენტ აბდურაჰმან ვაჰიდის იმპიჩმენტის პროცედურის დაუყოვნებლივ დაწყებას. უკანასკნელი ფორმალობა ისღა რჩებოდა, რომ ბატონ ვაჰიდს კონგრესისათვის უნდა მოეხსენებინა პრეზიდენტის პოსტზე გაწეული მუშაობის შესახებ. მაგრამ მან უარი თქვა და ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა შემოიღო — ფაქტობრივად, დაითხოვა საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოები. ინდონეზიის უზენაესმა სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია ამგვარი გადაწყვეტილება და გააუქმა. პრეზიდენტმა ვეღარ შეძლო რუსეთის გამოცდილების გამოყენება და ოპოზიცია ტანკებით ვეღარ დააცხრილინა, რადგან ძალოვანმა მინისტრებმა კონგრესს დაუჭირეს მხარი. ვაჰიდს არც სხვა ქვეყნები დაუდგნენ გვერდში.



ამის მერე დეპუტატებმა ხმა მისცეს ბატონ ვაჰიდის გადაყენებას და მის ადგილზე ვიცე-პრეზიდენტი მეგავატი სუკარნოპუტრი დანიშნეს. იგი ქვეყნის დემოკრატიულ პარტიას უდგას სათავეში, რომელიც პარლამენტს აკონტროლებს. ახალმა პრეზიდენტმა დამტკიცებისთანავე მოუწოდა — ყველა წინააღმდეგობა გადავლახოთ დიდი ერის შესაქმნელადო.

ექსპრეზიდენტის ერთ-ერთი თანაშემწის თქმით, კონგრესის მიერ ისტორიული გადაწყვეტილების მიღებისას აბდურაჰმან ვაჰიდს ეძინა. გამოღვიძებულმა არაფრით არ დაიჯერა, რომ გადააყენეს და სასახლის დატოვებაზეც უარი თქვა. თითქმის ყველა თანამოაზრისგან მიტოვებული უსინათლო პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ თვითონ არის ქვეყანაში სტაბილურობის ერთადერთი გარანტი. შეიძლება ითქვას, რომ ინდონეზიაში დღეს ორხელისუფლებიანობაა, რომელმაც შეიძლება გააძლიეროს სეპარატისტული ტენდენციები.

კომერსანტი №129

# პალესტინელები უკვე თავისიანებს ურტყამენ

უთანხმოება პალესტინის დაჯგუფებებს შორის აშკარა შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა. ისლამისტი რადიკალები თავს დაესხნენ პალესტინის ავტონომიის დაზვერვის თავკაცის სახლს ღაზაში. მათ არ მოეწონათ ავტონომიის ხელისუფალთა მოთხოვნა, შეეწყვიტათ ისრაელის წინააღმდეგ გამოსვლები. შეიარაღებულ შეჯახებას წინ უძღოდა ინციდენტი ღაზას სექტორის ერთ-ერთ ბლოკპოსტზე.

„ჰამასისა" და „სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობას" წარმომადგენლების მტკიცებით, მათი ერთ-ერთი ჯგუფი ბრუნდებოდა ოპერაციიდან, რომლის დროსაც დარტყმა მიაყენეს ისრაელის ჯარის პოზიციებს. პალესტინის პოლიციის ბლოკპოსტზე რაზმს გაუფრთხილებლად დაუშინეს ტყვიები, სამი კაცი დაჭრილია.

პალესტინის ხელისუფლებას სხვა ვერსია აქვს. მათი თქმით, ბლოკპოსტს სამი ავტომობილი მიუახლოვდა. როცა პოლიციელებმა შეჩერება სთხოვეს, მანქანებში მსხდომებმა პოლიციელებს ტყვია დაუშინეს, რა თქმა უნდა, ბლოკპოსტიდანაც გახსნეს ცეცხლი.

მეორე დღეს პალესტინის უსაფრთხოების უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება „სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის" რადიკალურად განწყობილი წარმომადგენლების დაპატიმრების შესახებ. იმავე დღეს დააპატიმრეს ამ ორგანიზაციის 5 წევრი.

პალესტინის ადმინისტრაციის მცდელობა — შეამციროს ბოევიკების აქტიურობა, რომლებიც სისტემატურად თავს ესხმიან ისრაელის ობიექტებს, გამოწვეულია მსოფლიო საზოგადოებრიობის ზეწოლით. ისრაელელებთან მორიგი შეხვედრის დროს პალესტინის მხარეს სურს, გადასცეს იმ პირთა სია, რომლებსაც ბრალი ედებათ ავტონომიის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში.

კომერსანტი №130

# ისრაელი დამკვირვებლებად ამერიკელებს იწვევს

პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის ზონაში საერთაშორისო დამკვირვებლების მიწვევის წინადადებით რამდენიმე თვის წინ პალესტინელები გამოვიდნენ, მაგრამ მაშინ საერთაშორისო საზოგადოებრიობამ მხარი არ დაუჭირა, მით უმეტეს, რომ ისრაელს კატეგორიულად არ სურდა თავის ტერიტორიაზე უცხოელთა ყოფნა. გაეროს დებულება კი მშვიდობისმყოფელთა შეყვანაზე, კონფლიქტის ორივე მხარის თანხმობას ითხოვს. საინტერესოა, რომ ისრაელელთა პოზიცია დღემდე არ შეცვლილა. „დამკვირვებელთა მოწვევა კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციას შეუწყობდა ხელს, ჩვენ კი ამას არ დავუშვებთ", — განაცხადა ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა შიმონ პერესმა. ამავე დროს, ამერიკის წარმომადგენლებს ისრაელში კარგა ხანია, თავისიანებად მიიჩნევენ. „ამერიკელები ყველგან არიან, მათ პალესტინელებიც იწვევენ და ჩვენც", — თითქოს თავს იმართლებსო, დაურთო ნათქვამს ბატონმა პერესმა.

ამჯერად ისრაელელები მზად არიან, ცენტრალური საძიებო სამმართველოს 10-ზე მეტ თანამშრომელს გაუღონ კარი. ამერიკის დაზვერვის აგენტების არჩევას დამკვირვებლები იმით ხსნიან, რომ ეს ორგანიზაცია, ფაქტობრივად, მაინც ადევნებს თვალს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების რეალიზაციასო. 13 ივნისს დადებული ეს შეთანხმება ცსს-ის დირექტორის ჯორჯ ტენეტის მონადინების შედეგია. მართალია, მას არ იცავენ, მაგრამ ცსს-ის წარმომადგენლების შუაკაცობით ისრაელისა და პალესტინის წარმომადგენლები ყოველ კვირა ხვდებიან ერთმანეთს უსაფრთხოების საკითხების განსახილველად. მომავალი დამკვირვებლების უფლება-მოვალეობის ნუსხას შიმონ პერესის თქმით, ისრაელი და აშშ ერთად შეიმუშავებს.

ჯერჯერობით, ცნობილი არ არის პალესტინაც ჩაერთვება თუ არა ამაში.

აშშ-ის ხელისუფლებას ოფიციალურად ჯერ არაფერი უთქვამს ისრაელის განცხადების თაობაზე.

იზვესტია №130

# ლატვიის შემდეგი ოკუპაცია კანონიერი იქნება

რესპუბლიკის პარლამენტმა ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს ინიციატივით უნდა მიიღოს კანონპროექტი „ლატვიის რესპუბლიკაში უცხოეთის შეიარაღებულ ძალთა სტატუსის შეცვლის შესახებ". როგორც მასობრივ ინფორმაციათა საშუალებები იუწყებიან, ეს კანონპროექტი (თუ გავიდა პარლამენტში) ბალტიისპირა პატარა ქვეყანას კანონიერი ოკუპაციის პლაცდარმად აქცევს. მაგალითად, ლატვიაში ჩასასვლელად უცხოელ სამხედრო პირებს პასპორტიც კი არ დასჭირდებათ, პირადობის დამადასტურებელი მოწმობაც საკმარისი იქნება. ისინი თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან, იარაღის ტარებისა და, რაც მთავარია, ამ ქვეყანაში ყოფნის უფლება აქვთ არა მარტო საერთაშორისო სამხედრო სწავლების (როგორც ეს მოქმედი კანონით არის დაშვებული), არამედ ნებისმიერ დროს. ეს კანონპროექტი მიზნად ისახავს ჩრდილოეთ-ატლანტიკურ ალიანსში უახლოეს მომავალში ლატვიის შესვლას, თუმცა თავად კანონპროექტში ნატო მოხსენიებული არ არის. ამიტომ თეორიულად საზღვრის გადაკვეთის უფლება პასპორტისა და ვიზის გარეშე, არა მარტო აშშ-ის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ან ბრიტანეთის სამხედრო პირებს აქვთ, არამედ ჩინეთის, უგანდის, ან დავუშვათ, რუსეთის შეიარაღებულ ძალთა ჯარისკაცებსაც.



ვლასტ №28

# მოკლედ

**ბარენცის ზღვის** ფსკერიდან ატომური წყალქვეშა ნავის „კურსკის" ამოღება ეკოლოგიურად უსაფრთხოა, ტროსების გაწყვეტის და ნავის გადაბრუნების შემთხვევაშიც კი, ატომური რეაქტორის აფეთქების საფრთხე არ არსებობს", — განაცხადა კურჩატოვის ინსტიტუტის დირექტორმა ნ. პონომარიოვ-სტეპნოიმ.

**უკრაინის** საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ კიევი უარს არ ამბობს უკრაინა-რუსეთის საზღვრის დემარკაციაზე და საერთოდ მომხრეა იმისა, რომ მეზობელ სახელმწიფოებთან, მათ შორის რუსეთთანაც, შესაბამისად და სრულად გააფორმოს საზღვარი.

**რუსეთის** დედაქალაქში 7 ადამიანი დაიღუპა და 50 დაიჭრა გრიგალის შედეგად, რომელიც მოსკოვს დაატყდა თავს. სინოპტიკოსების თქმით, შესაძლოა კვლავ გამეორდეს ქარიშხალი და კოკისპირული წვიმები. სტიქიამ მოსკოვს დიდი ზარალი მიაყენა, 14 ათასზე მეტი ხე ძირფესვიანად ამოთხარა, სახლებს სახურავები მოგლიჯა, დააზიანა ელექტროგადამცემები.

# სახელმწიფოთა ლიდერების ვნებანი

**– მაგ თქვენს პროტოკოლში მინიკაბიანი გოგოები შეიყვანეთ...**

ლათინურ ამერიკაში, რომელიც „მაჩოს" კულტით არის ცნობილი, ამომრჩევლები თავიანთი პოლიტიკოსების სასიყვარულო ინტრიგებს მშვიდად ხვდებიან, მაგრამ პერუს ყოფილი პრეზიდენტის **ალბერტო ფუხიმორის** ცოლს კი მოთმინების ფიალა აევსო. მან ქმრის გაუთავებელ რომანებს ვერ გაუძლო და განქორწინება მოითხოვა, რაზეც მექალთანე მეუღლემ უარი უთხრა. ფუხიმორის კათოლიკურმა ეკლესიამაც მხარი დაუჭირა. „მოღალატემ" ნესიერი და უკმაყოფილო ცოლი უსირცხვილოდ შინიდან გააგდო.

რამდენიმე წელი პრეზიდენტი ბერბიჭასავით ცხოვრობდა და ძალიან კმაყოფილიც იყო.

ერთხელ, როცა საგარეო საქმეთა სამინისტროს პროტოკოლის შეფი, ღმერთმა უწყის, მერამდენედ უხსნიდა, თუ როგორ უნდა ჩატარებულიყო მორიგი დიპლომატიური მიღება, ფუხიმორმა მას ტირადა შეაწყვეტინა და განუცხადა: კარგი იქნება, თუ ფურშეტზე რაც შეიძლება მეტი მინიკაბიანი გოგო იქნება, თქვენი სულელური პროტოკოლი კი ამას მხოლოდ ხელს უშლისო!

თუმცა, პროტოკოლის ზოგი პუნქტის შესრულება მას მაინც მოუწია. საძულველი ცოლის ნაცვლად პირველ ლედად დანიშნა თავისი 25 წლის ქალიშვილი კეიკო-სოფია. გოგონა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს წარმატებით ასრულებდა. სამაგიეროდ, უარყოფილი ცოლი ყველანაირად ცდილობდა ყოფილი ქმრისათვის კვანტის დადებას: ქალმა მორიგ საპრეზიდენტო არჩევნებზე თავისი კანდიდატურის წარდგენა სცადა, მაგრამ ფუხიმორიმ აქაც მოუჭრა გზა – პარლამენტს მიაღებინა კანონი, რომელიც პრეზიდენტის უახლოეს ნათესავებს არჩევნებში პრეზიდენტის პოსტზე წარდგენას უკრძალავს.

### საკუთარი ქალიშვილი მამაზე უარს ამბობს

არგენტინის 70 წლის ყოფილი პრეზ-



იდენტი **კარლოს მენემი** ყოჩაღად გრძნობს თავს – ახლახან ცოლად შეირთო 34 წლის ჩილელი ტელედიქტორი, 1987 წლის მის მსოფლიო სესილია ბოლოკო. არგენტინის პრესა სესილიას თოჯინა ბარბის უწოდებს. ამ ბოლო დროს „ბარბის" ამბიციები მიეძალა – ეტყობა, არგენტინის პირველი ლედი უნდა გახდეს. მისი ქმარი ენერგიის ისეთ მოზღვავებას გრძნობს, რომ განაცხადა, 2003 წლის არჩევნებში პრეზიდენტობისთვის ბრძოლას ვაპირებო. ამიტომ ამბობენ, ბებერი მგლისთვის ქერათმიანი მზეთუნახავი კოზირია მომავალ პოლიტიკურ თამაშებშიო.

მაგრამ კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო! პამპასების ჰორიზონტზე ღრუბელი შეიყარა – მენემს ქალიშვილმა საქვეყნოდ თავი მოსჭრა – შენისთანა მამა არ მჭირდებაო.

კარლოს მენემს სხვა მხრიდანაც ელის საფრთხე – მას იარაღით არალეგალურ ვაჭრობას აბრალებენ.

ასე რომ, ტანგოს ქვეყანაში მაღალ წრეებში ბნელ ტანგოს ცეკვავენ.

### გერმა უჩივლა და რეპუტაციის აღდგენა გაუჭირდება

ნიკარაგუას პრეზიდენტობის კანდიდატი **დანიელ ორტეგა** თავის დროზე საბჭოთა ახალგაზრდობის კერპად იყო გამოცხადებული. იგი ქალებს ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა. მოსკოვში სტუმრად ჩასულს საღამოობით ნომერში გოგოებს უგზავნიდნენ, რაღა თქმა უნდა, სანდოთ და შემოწმებულებს. სანდინისტების ლიდერი ჯერ კიდევ არ კარგავს ქვეყნის სათავეში მოქცევის იმედს, თუმცა სამი წლის წინ მისმა გერმა ორტეგა ძალადობაში დაადანაშაულა. გოგონამ განაცხადა, 11 წლისა ვიყავი, მამინაცვალმა რომ გამაუპატიურა და ამას შემდეგაც აგრძელებდაო.

ამის დამტკიცება ვერ მოხერხდა, მაგრამ ორტეგას შელახული რეპუტაციის აღდგენა უკვე შეუძლებელია.

*უცხოური პრესის მიხედვით*

# კოლუმბმა საიდუმლო დავალებით აღმოაჩინა ამერიკა

როგორც ცნობილია, კოლუმბი ამერიკის აღმოსაჩენად არ წასულა – მას ინდოეთისკენ სავალი ახალი გზის პოვნა სურდა და როცა უცნობ კონტინენტს მიუახლოვდა, დიდ ზღვაოსანს სჯეროდა, რომ ინდოეთში მოხვდა.

ბოლო დრომდე ცნობილი იყო, რომ ახალი კონტინენტის სანაპიროს კოლუმბი 1492 წელს მიადგა. მიუხედავად ამისა, ცნობილმა იტალიელმა ისტორიკოსმა რუჯერო მარინომ განაცხადა, რომ სინამდვილეში ამერიკა კოლუმბმა 7 წლით ადრე – 1485 წელს აღმოაჩინა.

მარინოს ხელთ ჩაუვარდა XVI საუკუნის ოტომანთა იმპერიის ძველი რუკა, რომელზეც 890 წელს აღმოჩენილ ნაპირებზე გაკეთებულია წარწერა: „აღმოაჩინა ურწმუნო გენუელმა". არაბული წელთაღრიცხვა სათავეს წინასწარმეტყველ მუჰამედის მიწიერი ცხოვრებიდან იღებს, ე.ი. არაბული კალენდრის 890 წელი დაახლოებით 1485-1486 წლებია ქრისტიანული კალენდრით. მაშინ პაპის ტახტზე ინოკენტი VIII იჯდა. სხვათა შორის, მისი საფლავის ქვაზე ამოტვიფრულია, რომ პაპის პონტიფიკატობის დროს აღმოჩენილ იქნა ახალი მიწა. პაპი 1492 წელს გარდაიცვალა, კოლუმბის ზღვაში გასვლამდე ცოტა ხნით ადრე.



ტრადიციულად, არსებობს აზრი, რომ 1492 წლის ექსპედიცია ესპანელმა მმართველებმა ფერდინანდმა და იზაბელმა დააფინანსეს. რუჯერ მარინო კი დარწმუნებულია, რომ ექსპედიციისთვის ფული პაპმა და მედიჩების ოჯახმა გაიღეს, გეოგრაფიის განვითარებისათვის კი არა, მათ ოქროსა და ახალი მიწების აღმოჩენა სურდათ. ასე რომ, პაპმა კარგად იცოდა, სად მიდიოდა 1492 წელს კოლუმბი, სწორედ მან დააფინანსა ექსპედიცია, მეტიც, კოლუმბს საიდუმლო დავალება მისცა.

პაპი კოლუმბის დაბრუნებამდე გარდაიცვალა და ველარავინ გაიგო საიდუმლო მოლაპარაკების დეტალები. ესპანელებმა თავის სასარგებლოდ გამოიყენეს ექსპედიცია. როგორც მარინო ვარაუდობს, ესპანელმა მონარქებმა გაასაიდუმლოეს იგი და შედეგად, ჩვენამდე ამერიკის აღმოჩენის შესახებ დამახინჯებულმა ინფორმაციამ მოაღწია.

*ვოკ ტაკ №25*

# იცით, ვინ შემოიღო მართვის უფლების მოწმობა?

**– ვინ და, ლუი ლეპინმა – ფრანგული პოლიციის პირველმა პრეფექტმა. მადლიერი ფრანგები არ ივიწყებენ გამომგონებელს და აი, უკვე რა ხანია, პარიზში ტარდება „ლუი ლეპინის კონკურსი". ამ ყოველწლიურ თავყრილობაზე პირველად იქნა წარმოდგენილი საკონტაქტო ლინზები, ბურთულიანი კალმისტარი და ორთქლის უთო.**

2001 წლის კონკურსი ისტორიაში შევა იმით, რომ მთავარი პრიზი ხვდა ქალბატონ ფლორანს ფლორის. 33 წლის ინჟინერ-ელექტრიკოსმა წარმოადგინა დისტანციური მართვის პულტი, რომლის საშუალებით შესაძლებელია ყველაფრის ჩართვა და გამორთვა 1000 მეტრის მანძილზე. მაგალითად, თუ ბაღში შეზლონგზე ისვენებთ და არ გახსოვთ, გამორთეთ თუ არა უთო, ან გსურთ გააცხელოთ კერძი, შეგიძლიათ ეს პულტი გამოიყენოთ. „მართალი გითხრათ, არ მეგონა, რომ ეს საგანი ასეთ ინტერესს გამოიწვევდა", – ამბობს ქ-ნი ფლორანსი.

კონკურსის გრან-პრი ცნობილ მოდელიერს ოლივიე ლაპიდუსს ერგო. მან „კომუნიკაციური ქურთუკი" გამოიგონა, რომლის სახელოში მობილური ტელეფონია ჩაკერებული. სარჩულის ქვეშ, საყელოსკენ მიმართულია მავთულები, რომელიც მიკროფონით და საყურისით ბოლოვდება.

თუ დღეს პარიზში მობილურების ქურდობას ეტანებიან, ახალი გამოგონება დანაშაულს 30%-ით შეამცირებს.

საპატიო დიპლომების მფლობელებს შორის გამოიყო გამომგონებელთა ჯგუფი, რომელმაც გამოიგონა სწრაფმავალი (წამში 6-8 მეტრი) ლიფტი. იგი ცათამბჯენებიდან ხანძრის დროს ხალხის სასწრაფოდ გამოსაყვანად გამოიყენება.

მათ, ვინც ვერა და ვერ ისწავლა ჰალსტუხის შეკვრა, შემდეგ მოდელს სთავაზობენ – ცალკე ჰალსტუხი და ცალკე (რასაკვირველია, იმავე ნაჭრის) კვანძი. საჭიროა მხოლოდ ჰალსტუხის კვანძში გატარება და სიგრძის რეგულირება. რაც მთავარია, „ლეპინის კონკურსზე" გამომგონებლები და ინვესტორები ერთმანეთს ეცნობიან.

*კომსომოლსკაია პრავდა №99*

# თოჯინები, რომლებიც ძალზე ჰგვანან ადამიანებს



**ჩვიდმეტი წლის წინ ინგლისური ტელეარხ TV-ის მაყურებელმა პირველად იხილა ეს შოუ, თავად პროგრამის სიუჟეტი ჩვეულებრივი გახლდათ. იმ საღამოს პრემიერ-მინისტრი მარგარეტ ტეთჩერი დედა-დედოფალთან იყო მიღებაზე. მაგრამ... ტელემაყურებელმა გაოცებისგან პირი დააღო – ორივე ქალბატონი თოჯინა გახლდათ!**

**ეს იყო შოუ Spitting Image-ის პრემიერა, რომელმაც შემდგომში მსოფლიო დაიპყრო.**

**რუსეთში ამ სანახაობას „თოჯინები" ჰქვია, საქართველოში – „დიდების ზღაპარი".**

### მათაც საკუთარი ბიოგრაფია აქვთ

ინგლისური „თოჯინების" ავტორები პიტერ ფლაკი და როჯერ ლოუ ცნობილი კარიკატურისტები არიან, მათი სატირული შარჟები იბეჭდებოდა მსოფლიოს პოპულარულ ჟურნალებში.

1981 წელს ტელეარხ London Weekend television-ის დიზაინერმა მარტინ ლამბი-ნაირნმა მათ შესთავაზა იდეა, შეექმნათ ანიმაციური სატირული შოუ, რომლის მთავარი გმირები მსოფლიოს პოლიტიკოსები და სხვა გავლენიანი პირები იქნებოდნენ, მაგრამ მხატვრებმა სხვა ხერხს მიმართეს და ნახატების მაგივრად ამა ქვეყნის ძლიერნი რეზინის თოჯინებად აქციეს.



ამ საქმეს სამი წელიწადი მოანდომეს, მთელი ინგლისიდან მოიწვიეს საუკეთესო მეთოჯინეები.

ცნობილ პიროვნებათა გარეგნულ მსგავსებასთან ერთად თოჯინებს ადამიანური მიმიკაც უნდა ჰქონოდათ. ამისათვის კი საჭირო იყო ძვირად ღირებული ელექტრონული მექანიზმები. მაგალითად, თოჯინების თვალების ამოძრავება იმ დროისათვის სარეკორდო თანხა – 150 000 გირვანქა სტერლინგი დაუჯდათ.

მაგრამ „ჩიტი ბდღვნად ღირდა" – შოუ პირველსავე თვეს ყველაზე პოპულარულ რეიტინგულ ათეულში მოხვდა, ხოლო 1986 წელს „პრემიაც" დაიმსახურა.

თანდათან თოჯინა-პოლიტიკოსების ამქარს პოპულარული მსახიობების, სპორტსმენების და ტელეწამყვანების რეზინის ასლები მიემატა. დღეისათვის, უკვე აწყობილ წარმოებაში, თითო თოჯინა სამი-ხუთი ათასი დოლარი ჯდება.

ამ შოუმ არსებობის მანძილზე გამოიყენა რვაასი ფიგურა.

1988 წლიდან Spitting Image-მა მსოფლიოში მოგზაურობა დაიწყო. „თოჯინების" იდეა პირველმა საფრანგეთმა აიტაცა. მეორე – რუსეთი გახლდათ.

### ზეპურთა ოჯახი აუქციონზე გაიყიდა

სოთბის ცნობილ აუქციონზე ორასზე მეტი თოჯინა გამოიტანეს. ბევრ ცნობილ პიროვნებას სურდა თავისი ორეულის შესყიდვა. თოჯინის საწყისი ფასი ორასი გირვანქა იყო, მაქსიმალურმა კი ორმოცდაათი ათასს მიაღწია. ვაჭრობაში, რომელიც ინტერნეტით მიმდინარეობდა, მონაწილეობა მიიღეს ამერიკის ექსპრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა და ბილ კლინტონმა, მარგარეტ ტეთჩერმა და ტონი ბლერმა, არნოლდ შვარცენეგერმა და მაიკლ ჯექსონმა. ამ უკანასკნელმა ინკოგნიტოდ მოინდომა „თავისი" თოჯინის შეძენა. თურმე ჯექსონს სჯერა ვუდის. მისი აზრით, ადამიანის თოჯინური გამო-



სახულება შეიძლება ვინმემ ორიგინალის საზიანოდ გამოიყენოს... ვინ შეიძინა თოჯინა-ჯექსონი, საიდუმლოდ დარჩა. ჯექსონის გარდა, ყველა მოქმედი პირი თოჯინა-ორეულის გამოჩენას იუმორით აღიქვამს.

### თოჯინებსაც მოვლა უნდა...

პროგრამის ავტორებს დიდი ყურადღება მართებთ იმისათვის, რომ არ გამოეპაროთ რეალური პროტოტიპის გარეგნული ცვლილებები – ხომ შეიძლება ვილაცამ თმა შეიღებოს, ან გახდეს, გასუქდეს – მაშინ თოჯინამაც უნდა განიცადოს მსგავსი მეტამორფოზა.

საფრანგეთში თოჯინების იმიჯზე ნამდვილი სტილისტები ზრუნავენ. სხვათა შორის, შოუს ყველაზე ცნობილი პერსონაჟები განთქმულ კუტიურეებთან იმოსებიან. მაგალითად, „მადამ შირაკი" მხოლოდ შანელის კოსტიუმებს იცვამს, ხოლო „ინგლისის დედოფლისთვის" ბროლის დიადემა სვაროვსკის ცნობილ ფაბრიკაში გააკეთებინეს.

ახლო მომავალში დაგეგმილია კონკურსის ჩატარება – სად, რომელ ქვეყანაში უფრო ჰგავს თოჯინა ადამიანს?

*ტვ პარკი №24*


# ნუ დათმობთ ადვილად სექსუალურ პოტენციას

პრობლემა, რომელსაც სექსუალური პოტენციის დაქვეითება ჰქვია, ადრე თუ გვიან ყოველი მამაკაცისათვის აქტუალური ხდება.

გახსოვთ ცნობილი სიუჟეტი? "მივდიოდი, წავიქეცი, გონზე მოვედი თაბაშირით ხელზე!"

ძნელი დასაჯერებელია, რომ ჯერ კიდევ გუშინ ჯანმრთელი და ძლიერი მამაკაცი საუკეთესო წლებში, დილით ნაწილობრივ ან სრულ იმპოტენტად იღვიძებს. პროცესი, რომელმაც შეიძლება ამგვარი მძიმე შედეგი გამოიწვიოს, ლაწყებით ეტაპზე უფრო ხშირად ხანგრძლივი და ნაკლებად შესამჩნევია. ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს. სიმპტომი მეორადი მოვლენაა. ყოველგვარი სექსუალური დარღვევა, უროგენიტალური ან სხვა პათოლოგია უცაბედად არ დაგატყდებათ თავზე.

მსოფლიოში ასეულობით მილიონ მამაკაცს აქვს პრობლემები სექსუალურ სფეროში. სექსუალური დარღვევების და იმპოტენციის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, ხშირად, სქესობრივი გზით გადამდები არანამკურნალევი ან არასწორად ნამკურნალევი ინფექციებია. ამგვარ დაავადებათა შედეგები მეტად მძიმეა: უშვილობა, იმუნიტეტის დაქვეითება, სხვადასხვა ორგანოთა დაავადების გამოწვევა და სხვა.

ერექციის დარღვევით და სექსუალური აქტივობის დაქვეითებით გამოწვეული დეპრესია და გახანგრძლივებული ფსიქიკური ტრავმა, ხშირად ოჯახის დანგრევის მიზეზიც ხდება.

სქესობრივი გზით გავრცელებადი ინფექციები „წრეში მოგზაურობენ". ისინი გადადიან ერთი ორგანიზმიდან მეორეში და დროული ჩარევის გარეშე, წრე ოდესმე იკვრება.

როგორც გამოკვლევებმა ცხადყოს, სადღეისოდ, საქართველოში, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების გავრცელების მხრივ საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობაა.

საკმაოდ გავრცელებულია ქლამიდიებით, გონოკოკებით, ტრიქომონით გამოწვეული დაავადებები.

როდესაც არსებობს პრობლემა, ლოგიკურია, მოიძებნება მისი გადაწყვეტის გზები, მთავარია არჩეული გზა ყველაზე ოპტიმალური და ეფექტური იყოს.

სწორედ ეს არის სამედიცინო ცენტრი „ექიმი გილი"-ს დევიზი.

თქვენი პრობლემების მოსაგვარებლად აქ შემოგთავაზებენ მსოფლიოს უკანასკნელ მიღწევათა ბაზაზე დაფუძნებულ, მკურნალობის თანამედროვე მეთოდებს.

დიაგნოსტიკას, მკურნალობას და კონსულტაციებს ატარებენ უმაღლესი კატეგორიის სპეციალისტები, მათ შორის უცხოეთის წამყვანი კლინიკებიდან მოწვეული ექიმები.

„ექიმი გილი" წარმატებით წყვეტს პრობლემებს შემდეგი მიმართულებით:

- ◆მწვავე და ქრონიკული პროსტატიტი;
- ◆წინამდებარე ჯირკვლის ადენომის ადრეული სტადიების ადრეული დიაგნოსტიკა;
- ◆პოტენციის დაქვეითება, ერექციის არქონა და სხვა სახის სექსუალური დარღვევები;
- ◆ნაადრევი ეაკულაცია;
- ◆სექსუალური შესაძლებლობების და სქესობრივი ფუნქციის ხარისხის გაუმჯობესება.

სამედიცინო ცენტრი „ექიმი გილი" იცავს თავისი პაციენტების სრული კონფიდენციალობის მკაცრ წესს.

პრობლემა, რომელსაც დღეს აბეზარი ბუზივით ხელს აუქნევთ, ხვალ ბუმერანგივით, გაორმაგებული ძალით მოგაყენებთ დარტყმას და თქვენს და თქვენთვის ძვირფასი ადამიანების ჯანმრთელობას საფრთხეს შეუქმნის.

გააკეთეთ სწორი არჩევანი და თქვენი პრობლემები შორეულ წარსულში დარჩება.

სამედიცინო ცენტრი
„ექიმი გილი"
ზ. ფალიაშვილის ქ. №44
ტელ: 29-05-25; 25-27-09

# წითელი ბარათი ქართული სპორტის „მესვეურებს“

*— ყელში ამომივიდა ამდენი ტყუილი, მორჩა, აქ გამჩერებელი აღარ ვარ!*

ეს სიტყვები სიდნეის ოლიმპიადაზე პირველი ქართული მედლის მფლობელს, ძიუდოისტ **გიორგი ვაზაგაშვილს** ეკუთვნის. მორცხვი, მორიდებული ახალგაზრდა უცებ აბობოქრდა:



*— რამდენი ხანია მპირდებიან ხელფასის მომატებას. ამ ქვეყნისთვის ცოტა რამ მაინც ხომ გავიკეთებია? სპორტის დეპარტამენტი კი მპირდება, მაგრამ ფულს არ მაძლევს. როდემდე უნდა ვითმინო? მეც მინდა ცხოვრება. ფული კი გამარჯვებებით უნდა მოვიპოვო და როდესაც ამ გზასაც მიხშობენ, ბუნებრივია, უცხოეთში წასვლაზე ვიფიქრებ. ძიუდოს ფედერაციაში რამდენჯერმე დამიმალეს მიწვევა საბერძნეთიდან, სადაც დიდი ხანია მთავაზობენ გადასვლას. ვიცი, იქ მაინც დამიფასებენ წარმატებას. არ მინდოდა ამ ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ რა ვქნა, სხვა არჩევანი არ დამიტოვეს. ბოლოს და ბოლოს, დედაჩემი ბერძენია და საბერძნეთის მოქალაქეობის მიღება არ გამიჭირდება.*

ეს იყო პირველი სკანდალური განცხადება სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მისამართით, რასაც დიდი რეზონანსი და **ირაკლი მეძმარიაშვილის** აღშფოთება მოჰყვა:

*— ეს არის ქვეყნის ღალატი! სხვანაირად ვერ შევაფასებ მის ნათქვამს. ხელფასის დაყოვნებაზე ჩივის ეს დალოცვილი, როდესაც სწორედ მას ვუქმნიდით საუკეთესო პირობებს. თუ უცხოეთში წასვლა უნდა, ჩვენ რაღა დავუშავეთ, თქვას პირდაპირ.*

ძიუდოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი **შოთა ხაბარელი** გაოგნებულია:

*— ფული არაფერ შუაშია. მაგას უცხოეთში წასვლა უნდა და მწირ ხელფასს იმიზეზებს. გორში მაცხოვრებელი სახლი არც ერთ სპორტსმენს არა აქვს. რეზონანსი და მისს ნაკვეთის შესახებ ფული მისცეს, მთელი რაიონი ფეხზე დაუდგა. მართალია, დეპარტამენტმა თავიდან ხელფასი არ დაუნიშნა, მაგრამ 1 იანვრიდან სხვებზე მეტი — 300 ლარი აქვს. კი, ბატონო, დაუგვიანეს, მაგრამ ხომ არ დაეკარგება?! ქვეყანას გაჭირვების დროს სჭირდება კარგი სპორტსმენი. სხვათა შორის, ევროპის ჩემპიონატამდე ეს მოიჭრა; [illegible] მოიგო, შემდეგ კი ვერ მოუგებენა.*

სპორტსმენს ისეც კოლეგები გამოეხმაურნენ.

**გიორგი რევაზიშვილი** ოლიმპიურ პრიზიორის აზრით:

*— აქ დარჩენა არ ღირს. მსოფლიო ჩემპიონატზე მეორე ადგილი მოვიპოვე. ამა, გორიგანისარ სპორტსმენს 300 ლარს რომ დაუნიშნავ, როგორ გაჩერდები? ეს ქვეყანაა? მსოფლიო ჩემპიონობისთვის 5 ათას ლარს რომ გპირდება და ამასაც არ გისრულებს? მე ისრაელში მინდა გადასვლა და ეგრე ევროპიდან დამპატიჟეს. [illegible]*

მართლაც ძნელია, არ გაუგო სპორტსმენს, რომლებიც იცის, რომ საზღვრებს გარეთ ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლა თვითონ გიგიაშვილს მეტად აღელვებს საფასურად 8 ათას დოლარი მისცემს, ჩვენს პრიზიორებს კი სახელმწიფო მათთვის პრემიებსაც ვერ უხდის.

ვაზაგაშვილმა ყველაზე ადრე თქვა სხვებს საჭიროება, ხაბარელმა — ნაკრების, სპორტსმენმა კი — კოლეგის.

ფაქტია, რომ ვაზაგაშვილი არც პირველია და ალბათ, არც უკანასკნელი. სწორედ ასე ამერიკაში საბერძნეთში [illegible] და რუსეთი — დავით მუსულბესი (იგივე ბუთზით). ორივე სიდნეის ოლიმპიადის ოქროს მედალოსანი გახდა. როგორც ტენდენცია გვიჩვენებს, ათენის ოლიმპიადაზე ბევრი ილებით მეტ ქართველს აქვს უცხო ქვეყნის სახელით თავის გამოჩენის შანსი.

როგორც საფეხბურთო ევროპისთვის გახდა აფრიკა ნიჭიერი და იაფფასიანი ტალანტების მშვენიერი წყარო, ასევეა საქართველო სხვა (განსაკუთრებით ინდივიდუალურ) სახეობებში.

სპორტსმენსაც ვერ გაამტყუნებ. მათი კარიერა ხანმოკლე და სახიფათოა. როდესაც წარმატების შანსი აქვთ და უცხოეთში ეპატიჟებიან, ცდუნებას ბევრი ვერ უძლებს. ტკბილია ფიქრი მშვიდ ქვეყანაში უზრუნველყოფილ ცხოვრებაზე. ბედნიერებაა, როდესაც შენს ნიჭს სერიოზული ზურგიც ამაგრებს და ვერც ოლიმპიადაზე დაგჩაგრავს ვინმე, ხანმოკლე კარიერას კი ოჯახის კეთილდღეობისთვისაც გამოიყენებ. ცუდია, როცა სპორტის დეპარტამენტს, წარმატებების მიუხედავად, არ შეუძლია სოლიდური თანხით სპორტსმენისათვის ღირსეული მადლობის გადახდა.

სწორედ აქ იწყება დაწყევლილი წრე: უფულობით განაწყენებული სპორტსმენი დეპარტამენტს ლანძღავს, დეპარტამენტი ფინანსთა მინისტრს (ასათიანის დროს), ან კიდევ დიპლომატიურად (მეძმარიაშვილი) ცდილობს, ყვავს კაკალი გააგდებინოს. ფინანსთა სამინისტრო ხელს პარლამენტისკენ იშვერს, თქვენთვის მეტი არ გვაქვს დაგეგმილიო. პარლამენტი შემოსავლების სამინისტროს თხოვს ბიუჯეტის ხეირიანად შევსებას და ასე შემდეგ... არადა, არც ერთი მხარე არ არის მართალი.

ვისი ბრალია, რომ საქართველოდან უცხოეთში გადაიხვეწნენ სპორტსმენები, ხელოვნების მუშაკები, მეცნიერები? რატომ არ ეხმარება ქვეყნის პრეზიდენტი სპორტს? უფრო სწორად, რატომ არ ასრულებს დანაპირებს?

საინტერესო ფაქტს მოგახსენებთ: ლენოქს ლუისის საკრივო აკადემია ყოველწლიურად ახარჯავს ქართველ სპორტსმენს, გიორგი კანდელაკს იმ თანხას, რასაც ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტი — მთლიანად სპორტს(?!). ყოველ კვირაში იღებენ ამდენივეს ფიგუ და ზიდანი. ძნელი ასახსნელია, რამ შეუშალა ხელი პარლამენტს ოთხი წლის მანძილზე, რათა ლატარიების პროექტი დაემტკიცებინა და სპორტს დახმარებოდა? რამ შეუშალათ ხელი მმართველებს, ხუთი წლის მანძილზე ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა დაემტკიცებინათ? რა უშლით ხელს, აამოქმედონ კანონი სპონსორობაზე, ურომლისოდაც ინვესტორები სპორტში ერთი ცენტის დაბანდებასაც კი ერიდებიან?

უელსში ლატარიის გათამაშებით მიღებული შემოსავლებით მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი სტადიონი ააშენეს, უკრაინასა და თურქეთში სახელმწიფო პროგრამის წყალობით საფეხბურთო ინფრასტრუქტურა განავითარეს. იმავე თურქეთში სპონსორებისთვის ხელშემწყობი კანონმდებლობით უზარმაზარი კაპიტალი დააბანდეს. ამასაც თავი დავანებოთ — ქვეყნის მმართველები სპორტსმენებს ელემენტარულ ყურადღებასაც ამადლიან. ყველაზე ღირსეულთ (მორაგბეებს) ღირსების ორდენს რომ დაამადლი, რასაკვირველია, გაგექცევა სპორტსმენი იქ, სადაც ლატარიაც, სახელმწიფო პროგრამაცა და კანონმდებლობაც ქვეყნის შვილების ნიჭის გამოვლენას ემსახურება და არა ანგარებიან, უგუნურ და უგულისყურო მმართველებს.

ამიტომაც, ვფიქრობ, რომ ვაზაგაშვილმაც, მეძმარიაშვილმაც, ხაბარელმაც და სხვებმაც, არა ერთმანეთი, არამედ მათივე ამ დღეში ჩამგდები უნდა ამხილონ — ამიტომაც არ არიან ერთმანეთთან მართლები. სხვაგვარად, პრეტენზიები არასდროს დაელევათ და ათენის შემდგომ პეკინის ოლიმპიადაზე ოქროს მედალოსანი, არა საქართველოში გაზრდილი, არამედ უკვე უცხოეთში დაბადებული ქართველი გახდება.

*ლაშა დუმბაძე*

# „დრონი მეფობენ“...

## ტორპედო-კოპენჰაგენი 1:1

1977 წლის 2 ნოემბრის ცივი საღამო იყო. დანიური „კოპენჰაგენი“ „ექსკურსიაზე“ გახლდათ თბილისში. საღამოს იმდროინდელ „ლენინის“ სახელობის სტადიონზეც შეიარა, თბილისის „დინამოსთან“ ბურთის გასაგორებლად. „ექსკურსიას“ იმიტომ ვამბობთ, რომ მაშინ ეჭვიც არავის შეპპარვია ქართველთა ორი მატჩის ჯამში გამარჯვებაში, ან კი როგორ შეეპარებოდათ, როცა პირველი მატჩი დანიაში 4:1 გვქონდა მოგებული. მას შემდეგ თითქმის მეოთხედმა საუკუნემ განვლო, დღეს „კოპენჰაგენი“ ჩამოვიდა ფავორიტად საქართველოში და დანიელებს თუ დავეკითხებით ჭკუას, ორიოდ დღეში ჩვენს ჩემპიონს მოუწევს კოპენჰაგენში „ექსკურსიაზე“ გასეირნება.

ჩრდილოირლანდიური „ლინფილდის“ რის ვაი-ვაგლახით დამარცხების შემდეგ, ქუთაისს „კოპენჰაგენის“ სახით ბევრად მობილიზებული და თანამედროვე ფეხბურთის მოთამაშე გუნდი ეწვია. თამაში ალბათ ყველა გულშემატკივარმა ნახა და ფრედ 1:1 რომ დასრულდა, ისიც გეცოდინებათ. პირველ ტაიმში აფრიკელი სიბუსისო ზუმას გოლს მეორეში მიხო აშვეთიამ უპასუხა. სხვა მხრივ ეს მატჩი არაფრით გამორჩეული არ ყოფილა. ჩვენი არ იყოს, ვერც დანიური საკლუბო ფეხბურთი წყვეტს ციდან ვარსკვლავებს. ჰოდა, თამაშიც ისეთი იყო, საქართველოსა და დანიის გუნდებს რომ შეეფერებათ. რასაკვირველია, საპასუხო მატჩის წინ ფავორიტად „კოპენჰაგენი“ ითვლება, თუმცა ამ გუნდს სუსტი წერტილები საკმარისზე მეტად აქვს და თუ „ტორპედომ“ კოპენჰაგენში მათი გამოყენება შეძლო, ძოძუაშვილის გუნდი უეფას თასზე თამაშს გაინაღდებს (მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე დამარცხებული გუნდი ავტომატურად გადადის უეფას თასზე), მანამდე კი ქუთაისს მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდი — რომის „ლაციო“ ეწვევა.

## ჩემპიონთა ლიგა. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

| | | | |
|---|---|---|---|
| ტორპედო (საქართველო) | — | კოპენჰაგენი (დანია) | 1:1 |
| შახტარი (უკრაინა) | — | ლუგანო (შვეიცარია) | 3:0 |
| მოზირი (ბელარუსი) | — | ინტერი (სლოვაკეთი) | 0:1 |
| სკონტო (ლატვია) | — | ვისლა (პოლონეთი) | 1:2 |
| ომონია (კვიპროსი) | — | ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) | 1:1 |
| ლევსკი (ბულგარეთი) | — | ბრანი (ნორვეგია) | 0:0 |
| გალათასარაი (თურქეთი) | — | ვლაზნია (ალბანეთი) | 2:0 |
| ანდერლეხტი (ბელგია) | — | შერიფი (მოლდოვა) | 4:0 |
| სტიაუა (რუმინეთი) | — | სლოგა (მაკედონია) | 3:0 |
| ფერენცვაროში (უნგრეთი) | — | ჰაიდუკი (ხორვატია) | 0:0 |
| მარიბორი (სლოვენია) | — | რეინჯერსი (შოტლანდია) | 0:3 |
| ბოჰემიანსი (ირლანდია) | — | ჰალმშტადი (შვედეთი) | 1:2 |
| პორტუ (პორტუგალია) | — | ბარი თაუნი (უელსი) | 8:0 |

# რივალდო კიდევ უფრო დააფასეს



რამდენიმე დღის წინ „ბარსელონას“ ბრაზილიელმა ლიდერმა რივალდომ კლუბისაგან ხელფასის გაზრდა მოითხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში კატალონიის დატოვებით იმუქრებოდა. რივალდოს სათქმელი ხეირიანად არც დაესრულებინა, რომის „ლაციო“ და „იუვენტუსი“ რომ დაფაცურდნენ. სერჯიო კრანიოტი $70 მილიონის გადახდაზეც არ იხევდა უკან, თუმცა „ბარსელონას“ გულშემატკივრებისთვის ყველაფერი კარგად დასრულდა. კატალონიელთა ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, რივალდოს ნებას დაჰყოლოდა. ბრაზილიელის წლიური შემოსავალი $4,2 მილიონიდან $6,3 მილიონამდე გაიზარდა და რივალდომაც განაცხადა, რომ არსად წასვლას აღარ აპირებს.

„ბარსელონაში“ კიდევ რამდენიმე სიახლეა: კლუბის ჰოლანდიელმა ლეგიონერებმა — პატრიკ კლიუვერტმა და მიხაელ რაიციგერმა კატალონიელებთან კონტრაქტი გააგრძელეს. კლიუვერტი 2006 წლამდე დარჩება „ბარსელონაში“, რაიციგერის კონტრაქტს კი ერთი წლით ადრე გაუვა ვადა.

„ბარსას“ მიერ ორიოდე წლის წინ $12 მილიონად შეძენილი პორტუგალიელი სიმაო საბროსა, რომელსაც უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, სამშობლოში დაბრუნდა და ამიერიდან „ბენფიკას“ ღირსებას დაიცავს. მის სანაცვლოდ ხუან გასპარის გუნდმა $10,6 მილიონი და ანგოლელი თავდამსხმელის რობერტო მანტორასის შეძენის ექსკლუზიური უფლება მიიღო. დაბოლოს — ხოსეპ გვარდიოლას გუნდიდან წასვლის შემდეგ, „ბარსელონას“ კაპიტნის სამკლაურს ახალ სეზონში კლუბის კიდევ ერთი ვეტერანი სერხი ბარხუანი მოირგებს.

# ტრაპატონი ბაჯოს კორეა-იაპონიაში წაყვანას ჰპირდება

იტალიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ განაცხადა, რომ სავსებით შესაძლებელია, კორეა-იაპონიაში გასამართავ მსოფლიო ჩემპიონატზე „სკუადრა აძურას“ შემადგენლობაში რობერტო ბაჯო იახლოს. „ბაჯო დიდი ფეხბურთელია. მიუხედავად იმისა, რომ კორეა-იაპონიაში სრული 90 წუთის მანძილზე თამაში გაუჭირდება, მისი დონის ფეხბურთელებს შეცვლაზე გამოსულებსაც შეუძლიათ თამაშის ბედის გადაწყვეტა“ — ასეთია დონ ტრაპატონის აზრი. იტალიელთა თავკაცის ნათქვამს თავად ფეხბურთელიც გამოეხმაურა — „მსოფლიო ჩემპიონატზე თამაში ჩემი ოცნებაა, ამ სეზონში თავს არ დავზოგავ, რათა მწვრთნელმა ნაკრების შემადგენლობაში მიხმოს“. შეგახსენებთ, რომ 34 წლის ფეხბურთელმა შარშან ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა „ბრეშას“ შემადგენლობაში. თუ ბაჯო კორეა-იაპონიაში წაიყვანეს, ეს მსოფლიო ჩემპიონატი რიგით მეოთხე იქნება მის კარიერაში.

# ვინ შეცვლის ფერგიუსონს?



„მანჩესტერ იუნაიტედის“ აღმასრულებელმა დირექტორმა პიტერ კენიონმა განაცხადა, რომ უკვე შეგულებული ჰყავს რამდენიმე სპეციალისტი სერ ალექს ფერგიუსონის პოსტზე, თუმცა მათი დასახელებისგან თავი შეიკავა. მოგეხსენებათ, ლეგენდარული შოტლანდიელი მწვრთნელი, მომავალი სეზონის დასრულებისთანავე ტოვებს „იუნაიტედის“ თავკაცის პოსტს. მიუხედავად იმისა, რომ პიტერ კენიონს ფერგიუსონის შესაძლო შემცვლელთა კონკრეტული გვარები არ დაუსახელებია, „ყოვლისმცოდნე“ ბრიტანელმა ჟურნალისტებმა მაინც დაასახელეს რამდენიმე კანდიდატურა. ყველაზე ხშირად სახელდება გლაზგოს „სელტიკის“ ამჟამინდელი თავკაცის მარტინ ო'ნილის კანდიდატურა, ფერგიუსონის სავარაუდო შემცვლელად მოიაზრება „ბაიერნის“ ტრიუმფატორი მწვრთნელი ოტმარ ჰიტცფელდიც. თუმცა თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კენიონმა მომავალი მწვრთნელის სხვა სასურველ თვისებებთან ერთად, შემტევი ფეხბურთის მიმდევრობაც დაასახელა, „კატენაჩიოს გენერლად“ წოდებულ ჰიტცფელდს „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელობის ნაკლები შანსი უნდა ჰქონდეს.

საინტერესოა, რომ ინგლისური საბუკმეკერო კანტორებიც მარტინ ო'ნილს ასახელებენ ფავორიტად. ამ კაცმა „სელტიკს“ გასულ სეზონში შოტლანდიის თასი, ლიგის თასი და რაც მთავარია, ჩემპიონობა მოაპოვებინა.

# პეკინის ბრძოლა გადაიდო



ჯონ რუისი

„დიდ ბრძოლად“ მონათლული დაპირისპირება ევანდერ ჰოლიფილდსა და ჯონ რუისს შორის, რომელიც 5 აგვისტოს ჩინეთის დედაქალაქ პეკინში უნდა გამართულიყო, გადაიდო — ჯონ რუისს კისერი გაუშემდა და რინგზე გასვლას ვერ შეძლებს. ბრძოლის ორგანიზატორი დონ კინგი ირწმუნება, რომ ჩხუბი აუცილებლად გაიმართება, თანაც ჩინეთში, მხოლოდ ცოტა მოგვიანებით. შეგახსენებთ, რომ 5 აგვისტოს პეკინში ჯონ რუისს WBA-ს ჩემპიონის ტიტული უნდა დაეცვა ჰოლიფილდთან ბრძოლაში. ევანდერის გამარჯვების შემთხვევაში, იგი პირველი მოკრივე შეიქნებოდა მსოფლიოში, რომელსაც ხუთჯერ ექნებოდა მოგებული ჩემპიონის ტიტული.

ექიმების აზრით, რუისის გამოჯანმრთელებას დაახლოებით ორი თვე დასჭირდება. ამდენივე ხანს მოუწევთ ცდა ჩინელ კრივის მოყვარულებს, რათა სამშობლოში პირველად უცქირონ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მაძიებელთა ბრძოლას.

## საჭადრაკო კლუბი

„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.

შავების დამამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).

წინა ამოცანის ამოხსნა: 1. ლe8-a4!



თეთრები იწყებენ და აკეთებენ მატს სამ სვლაში.

# „ტოიოტა" და „ჰონდა" აშშ-ის ბაზარს დაიპყრობენ?

უდიდესი იაპონური ავტოფირმები ამერიკაში საკუთარი მოდელების უმწვავეს დეფიციტს განიცდიან. ახალი „ტოიოტას" და „ჰონდას" მსურველი ამერიკელები წინასწარ ეწერებიან რიგში და თანხასაც იხდიან, მიუხედავად იმისა, რომ მოცდა მინიმუმ, ხუთი თვე მაინც მოუწევთ.

„კვირის პალიტრის" მკითხველს დროდადრო ვამცნობთ ხოლმე ეკონომიური ავტომობილის შექმნაზე მუშაობის შედეგებს, რომელსაც ესა თუ ის ფირმა მიაღწევს. ორიოდე თვის წინ კი „ტოიოტას" ჰიბრიდულ მოდელზეც გვქონდა საუბარი, რომელსაც მაღალი ერგონომიური მაჩვენებლების გამო დიდი მომავალი ვუწინასწარმეტყველეთ. ასეც მოხდა. „ტოიოტამ" „ჰონდასთან" ერთად, შეძლო ისტორია გაემეორებინა — თავის დროზე, 60-იან წლებში, როდესაც ამერიკაში უზარმაზარი „ბიუიკებისა" და „შევროლეების" ბუმი იყო, იაპონელებმა ამერიკულ ავტობაზარზე პანწინა, მცირელიტრაჟიანი ავტომობილები „შეყარეს". შედეგი არნახული იყო — ამერიკულ ავტომრეწველობას ლამის ჩანოლის საფრთხე დაემუქრა. მაშინ სიტუაციის გამოსწორება მხოლოდ კანონმდებლობის შეცვლით გახდა შესაძლებელი — იაპონელები ადგილობრივ ავტომეწარმეებთან შედარებით, კაბალურ პირობებში ჩააყენეს, ერთი პერიოდი კი, მცირელიტრაჟიანი მანქანების იმპორტი ამ ქვეყნიდან სულაც აკრძალული იყო... ამჯერადაც ანალოგიური ვითარებაა — ამერიკაში ბოლო წლებში კვლავ მოიკიდა ფეხი გიგანტომანიამ. „ფორდისა" და „დოჯის" უზარმაზარი ჯიპები ას კილომეტრზე ათობით ლიტრ საწვავს მოიხმარებენ, რომელიც დღითი დღე ძვირდება. ახალი ჯიპის მომხმარებელი მაინც, ძირითადად ქალაქებში მცხოვრები და მომუშავე ამერიკელები არიან, რომელთაც ჯიპის არც სიძლიერე სჭირდებათ, არც 4X4-ზე გაწევა და არც მისი დიდი ტევადობა. როგორც აღმოჩნდა, თანამედროვე ამერიკელთა მოთხოვნებს ზუსტად პასუხობენ ჰიბრიდები, Honda Insight და Toyota Prius -ი. „კვირის პალიტრის" მკითხველი ორივე მოდელს იცნობს; შეგახსენებთ, მათი მოქმედების პრინციპი ბენზინისა და ელექტროძრავების კომპაქტურ შეთავსებაში მდგომარეობს. კომპიუტერული სისტემა საჭიროების მიხედვით თვითონ არჩევს ოპტიმალურ რეჟიმს. ეს კი ეკონომიურადაც და ეკოლოგიურადაც ბევრად უფრო მომგებიანია, ვიდრე სხვა დანარჩენი მოდელი. ჰიბრიდული მოდელები კარგი იმითაც არის, რომ ელექტრომობილისგან განსხვავებით, მის აკუმულატორებს სპეციალურად, ელექტროქსელიდან დამუხტვა არ სჭირდება. — როდესაც მანქანა ამუხრუჭებს, ან გადაცემათა კოლოფი განეიტრალებულია, ორ-წუთიანი ინტერვალითაც კი, იმ მომენტში მომუშავე ელექტრო ან ბენზინის ძრავა გენერატორის რეჟიმში გადაერთვება და აკუმულატორებს მუხტავს. ასეთი სისტემის წყალობით, Prius-ი 40 ლიტრიანი ბენზინით სავსე ავზით 1000 კმ მანძილის დაფარვას ახერხებს და 150 კმ/სთ სისწრაფის განვითარება შეუძლია.



იაპონური ავტომობილების პოპულარობას ხელს ამერიკელი ვარსკვლავებიც უწყობენ — მაგალითად, ლეონარდო დიკაპრიომ ორი „პრიუსი" შეიძინა (თუმცა, გაუგებარია, რაში სჭირდება ორი აბსოლუტურად ერთნაირი მანქანა...).

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ატეხილი აჟიოტაჟისა, იაპონელები ამერიკულ ბაზარზე დაყდნობას არ აპირებენ — წელს ისინი სულ 20 ათას მოდელს გაყიდიან, მაშინ, როცა საერთო ჯამში, აშშ-ში ყოველწლიურად 17 მილიონი ახალი მანქანა იყიდება.

არც General Motors, Ford და Daimler-Chrysler აპირებენ პოზიციების დათმობას — რაც არ უნდა სასაცილო იყოს, მათ უკვე განაცხადეს ჰიბრიდული სისტემის ჯიპებისა და პიკაპების შექმნის შესახებ.

# ფანტასტიკა — რეალობაში...

როგორც ჩანს, ფანტასტიკოს მწერალთა ნებისმიერ გამოგონებას ასრულება უწერია. როდესაც ჟიულ ვერნი წყალქვეშა ნავზე საუბრობდა, მის თანამედროვეებს ეს, რბილად რომ ვთქვათ, მიუღწევლად და შეუძლებლად ეჩვენებოდათ. ასევეა ჩვენს დროშიც — როდესაც ფანტასტიკური ჟანრის ფილმებს ვუყურებთ ხოლმე, ბევრი რამ კი მოგვწონს, მაგრამ, ალოგიკურად და შეუძლებლად გვეჩვენება. ერთ-ერთი ასეთი ალბათ ინდივიდუალური გადასაადგილებელი აპარატი გახლავთ, რომელიც წყალზეც და ხმელეთზეც ერთნაირი წარმატებით მოძრაობს, გადალახავს ნებისმიერი სიღრმის ან სიმაღლის დაბრკოლებებს. რაც მთავარია, არის სწრაფი და მანევრირებადი, ამასთან, იმდენად იოლი და უსაფრთხო სამართავი, რომ მართვის მოწმობაც კი არ არის საჭირო... ალბათ, მკითხველი ფიქრობს, რომ ასეთი აპარატი მართლაც კარგი იქნებოდა, ფანტასტიკური და არარეალური რომ არ იყოს... მაგრამ ავსტრალიელმა ქევინ ინკსტერმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ფანტასტიკა რეალობისგან არც ისე შორს დგას.

ჰაერის ბალიშებზე მოძრავი ტრანსპორტი ახალი გამოგონება არ არის. მაგრამ აქამდე მას მხოლოდ სამხედრო ან სპეცდანიშნულების მიზნით იყენებდნენ. Airboard-ი სწორედ მის პრინციპზეა აგებული, ოღონდ ამ შემთხვევაში კონსტრუქტორმა ძრავის, ტურბინებისა და სხვა სპეციალური მოწყობილობების რამდენიმე ასეულჯერ დაპატარავება შეძლო. თანაც ისე, რომ თითოეულს თავისი ფუნქცია ძველებურად შეესრულებინა. „ჯადოსნურ დაფას" თავის „დიდ თანამოძმეთაგან" განსხვავებით, კიდევ ერთი თავისებურებაც აქვს — მის ქვედა ნაწილში ბორბალია განთავსებული, რომელიც მიწასთან შეხებისას Airboard-ის მოძრაობას აჩქარებს. დანარჩენი საკმაოდ მარტივად არის:

— ბენზინის ძრავა
— ვენტილატორი
— კორპუსი
— რეზინის გარსი
— საჭე და მართვის სისტემა.

ბენზინის ძრავას მოქმედებაში მოჰყავს ვენტილატორი, რომელიც რეზინის გარსში მძლავრ საჰაერო ბალიშს ქმნის. ამის შემდეგ ჰაერის ნაკადი ერთი მიმართულებით გამოიდევნება და დაფაც მოძრაობაში მოდის. როგორც აღვნიშნავდით, Airboard-ის სამართავად არანაირი სპეციალური მომზადება საჭირო არ არის. კონსტრუქტორის, ქევინ ინკსტერის მიერ დაარსებული ფირმა Arbortech Pty Ltd, რომელიც „ჯადოსნურ დაფებს" აწარმოებს, გარანტიას იძლევა, რომ აპარატის ინსტრუქციის წაკითხვის შემდეგ მისი მართვა ნებისმიერ, 14 წელს გადაცილებულ ადამიანს შეუძლია. ეს კიდევ უფრო გაუადვილდებათ „სკეიტბორდის" მოყვარულებს, რადგან Airboard-იც ანალოგიური პრინციპით იმართება — მოძრაობისას, მოსახვევად საჭიროა მსუბუქად გადაიხაროთ მარჯვნივ ან მარცხნივ. გადაადგილება 300 მმ სიმაღლეზე ხდება, 5 ლიტრიანი, სავსე ბენზინის ავზი საკმარისია იმისთვის, რომ ერთი საათის განმავლობაში, 25 კმ/სთ „სიჩქარით იფრინოთ."



# სიახლე BMW-ს მე-7 სერიაში

სექტემბერში კორპორაცია BMW თავისი ახალი სერიული მოდელის პრეზენტაციას გამართავს. იგი წინამორბედზე „მოზრდილი" და ამავე დროს უფრო „ნაზიც" იქნება, როგორც ეს პირველად გამოქვეყნებული ოფიციალური ფოტოებიდან ჩანს. ახალი BMW-7 წინა პანელით თავის საჩვენებელი წინამორბედის, Z-9-ის დიზაინს იმეორებს. როგორც ჩანს, ბავარიელმა კონსტრუქტორებმა გადაწყვიტეს, წარმომადგენლობითი კლასის ავტომობილებიც კი პროგრესული მიღწევების ნიშნით ააგონ.





ალნიშნულ სერიაში დღემდე არსებული V8 ტიპის ძრავა ბევრად უფრო ეფექტური 3,6ლ 272 ცხ.ძ და 4ლ 333ცხ.ძ სიმძლავრის ძრავებით შეიცვლება. გარდა ამისა, კლიენტს შესაძლებლობა ექნება, ავტომობილისთვის დიზელის ძრავა შეარჩიოს. ასეთი სამნაირი იქნება: ჩვეულებრივი — 3ლ. მოცულობის, ტურბოგამაძლიერებლით და 3,9ლ.

რაც შეეხება გადაცემათა კოლოფს, ის ყველა მოდელისთვის ერთი იქნება: 6 საფეხურიანი(!), ავტომატური.

საინტერესოა ავტომობილის შიდა აღჭურვილობაც: ძარის სტაბილიზაციის კომპიუტერული კომპლექსი. ცენტრალიზებული მართვის სისტემა, ავტომატური ხელის მუხრუჭი, უსაფრთხოების ბალიშები ფეხებისთვის და ა.შ. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავი ცენტრალიზებული მართვის სისტემაა. IDrive-ის მეშვეობით მძღოლს შესაძლებლობა აქვს მისთვის საინტერესო ყველა ინფორმაციას ერთ მონიტორზე მოუყაროს თავი და სურვილისამებრ მოაწესრიგოს ნავიგაცია, აუდიოსისტემა, სალონის მიკროკლიმატი და ა.შ.

ახალი BMW-ს ფასი ჯერჯერობით უცნობია, თუმცა, მენეჯერთა განცხადებით, ის თავის წინამორბედზე ბევრად ძვირი არ იქნება.

# ორთვლიანი „კუპე"

ალბათ, ბევრი თქვენგანი მოტოციკლეტს არასაიმედო ტრანსპორტად მიიჩნევს — უსაფრთხოების თვალსაზრისით. შესაძლოა, ამაში ჭეშმარიტების მარცვალიც იდოს. თუმცა, ვინც BMW-ს მიერ გამოშვებულ ახალ მოტოციკლეტს, C1-ს იხილავს, ეს „მარცვალიც" გაუქრება... სრულყოფილი სახურავის, უსაფრთხოების ბალიშებისა და ღვედების გარდა, მას დამუხრუჭების ABS სისტემაც კი გააჩნია. მოტოციკლეტი ძრავების ფართო არჩევანით გამოდის. მისი ყიდვის მსურველთ კომპანია ჯერ უფასო სწავლებას უტარებს — მოტოციკლეტს სიმძიმის ცენტრი ჩვეულებრივზე ზემოთ აქვს, ესეც არ იყოს, მასში იმდენი კომფორტია გათვალისწინებული, რომ ადამიანს შესაძლოა თავი მანქანაში ეგონოს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ უსაფრთხოების ნორმებით თუ ვიმსჯელებთ, C1-ი მანქანას ნამდვილად არ ჩამოუვარდება. მისი ჩონჩხი ზემტკიცე ალუმინის ნაერთით არის დამზადებული, რომელსაც განსაზღვრულ ადგილებში დეფორმირების უნარი გააჩნია.





მიუხედავად დიდი ზომებისა, C1 სხვებთან შედარებით ბევრად ეკონომიურიც არის — მას 9,7 ლ მოცულობის ბენზინის ავზით 300 კმ მანძილის დაფარვა შეუძლია. სამწუხაროდ, მოტოციკლეტი მხოლოდ ერთი კაცისთვის არის გათვალისწინებული, თუმცა „ამ ერთ კაცს" მაქსიმალური კომფორტი ექნება, მუსიკალური ცენტრის, საჭის სახელურებისა და სავარძლის გათბობით, სპეციალური, საკმაოდ ტევადი საბარგულის ჩათვლით. თუ გავითვალისწინებთ, რომ ევროპის დიდ ქალაქებში დღის განმავლობაში ავტომობილით გადაადგილება დღითი დღე რთულდება, თანამედროვე მოტოციკლეტს (ამ შემთხვევაში სკუტერს) დიდი მომავალი უნდა ჰქონდეს.

# ავტოამბები

## კორუფცია თურქულად

როგორც ჩანს, უცნაურ გადაწყვეტილებებს ფულის გაკეთების მიზნით მხოლოდ საქართველოში არ იღებენ. ამას წინათ, თურქეთის ჯანდაცვის სამინისტროს განკარგულებამ ამ ქვეყნის ყველაზე მორჩილ მოქალაქეთა აღშფოთებაც კი გამოიწვია — განკარგულების თანახმად, ყველა თურქი მძღოლი ვალდებული იყო მანქანის საბარგულში სპეციალური, პოლიეთილენის ტომარა ჰქონოდა... გვამის შესანახად. ალბათ, ავტოკატასტროფის შემთხვევისთვის. თუ ეს ტომარა მძღოლს არ აღმოაჩნდებოდა, მისი ავტომობილი გაუმართავად ჩაითვლებოდა და თურქი სამართალდამცავები მხოლოდ ფულადი ჯარიმით არ დაკმაყოფილდებოდნენ: წესრიგის დამრღვევს 5 თვიდან ერთ წლამდე პატიმრობა ემუქრებოდა. რაც შეეხება ტომარას, მისი შეძენა ნებისმიერ აფთიაქში, „სულ რაღაც 10 დოლარად იქნება შესაძლებილი" — ირწმუნებოდა თურქეთის ჯანდაცვის მინისტრი, როდესაც მოსახლეობას ამ გადაწყვეტილებას აცნობდა. თუმცა, ორიოდე საათში თურქეთის დიდ ქალაქებში აღშფოთებული მძღოლების მანიფესტაცია გაიმართა და მინისტრმა საღამოს უკვე ბოდიში მოიხადა — „შეცდომისა და გაუგებრობისთვის".

## უანგარო დევგმირი

მძიმეწონოსან ათლეტს, ჟან მაკოვეცს ძალიან უყვარს ავტომობილები, კიდევ უფრო ძალიან — ავტობუსები. არა იმიტომ, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტით ხშირად უწევს მგზავრობა. უბრალოდ, საღამოობით მათ სქელი ტროსის საშუალებით „ბუქსირზე აიყვანს" ხოლმე და ქალაქის ცენტრში, აქეთ-იქით დაათრევს. რაც მთავარია, ამ დროს ავტობუსი ხალხით არის სავსე, ხოლო ტროსი კი კბილებით უჭირავს. საფრანგეთში მდებარე პატარა ქალაქის, ლენცეს მკვიდრთ დევგმირი თანამოქალაქე ძალიან უყვართ, მით უმეტეს, რომ მაკოვეცი ასეთი გასეირნებისთვის არანაირ ანაზღაურებას არ ითხოვს.

## მუსულმანური კანონების რადიკალიზმი

არაბეთის გაერთიანებული საემიროების საგზაო პოლიცია მთავრობას სთხოვს, მძღოლი ქალებისთვის ჩადრის ტარება აკრძალოს, რადგან ველარ იგებენ, დარღვევისთვის ვინ დააჯარიმონ. გარდა ამისა, ჩადრში მხედველობა ძალიან შეზღუდულია. საუდის არაბეთმა კი პრობლემა საკმაოდ ორიგინალურად გადაჭრა — მანქანის მართვა იქ ქალებს საერთოდ აუკრძალეს!

*გვერდი მოამზადა*
*დაჩი გრძელიშვილმა*

# ლომს გული წაუვიდა



ცირკის ლომი ნური რუსეთიდან გასტროლებზე წაიყვანეს და ბედი არ გინდა? 20 გრადუსიანი ტემპერატურიდან ადუღებულ, ორმოცგრადუსგადაცილებულ კაიროში ჩამოსვეს. როგორც იქნა, მიაღწია არენამდე და ის იყო, მომთვინიერებელმა წინ გადასახტომი სალტე დაუტრიალა, რომ საწყალ დასიცხულ ნურის თვალები ჯერ დაუელმდა, მერე საერთოდ აუტრიალდა და ეს ამხელა მასა გათიშული დაენარცხა ძირს...

მოცვივდნენ ექიმები — მზის დაკვრა — იყო დიაგნოზი....

ვედროებით ყინული, ოთხი მხრიდან წყლის ჭავლი და როგორლაც ჩაიბრუნა სული ნურიმ...

მიუჩვეველს ნუ მიაჩვევო, ამაზეა ნათქვამი.

*ობსერვატორი*

# ბიზნესმენი ძეგლი



მოსკოვის საბჭოური მონუმენტი, „მუშა და კოლმეურნე ქალი“ უცხოელ ბიზნესმენებს მოხვდათ თვალში. ერთმა მათგანმა მოსკოვის ხელისუფალთ შესთავაზა — ნამგალსა და უროს ვიყიდი, მათ მაგივრად კი ძეგლს მობილურ ტელეფონს დავაჭერინებ ხელშიო. მთავრობამ მისი იდეა უარყო.

ვინაიდან მოსკოველები თვლიან, რომ ეს ძეგლი დედაქალაქის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათია და მისი იერსახის შეცვლა არ შეიძლება.

„ახალი დროებასთან“ ერთად, ძეგლისადმი მიდგომაც იცვლება. 1998 წელს ერთ-ერთმა ტანსაცმლის მწარმოებელმა კომპანიამ ძეგლი თავისი პროდუქციის სარეკლამოდ გამოიყენა და ის ტანსაცმლით შემოსა.

მოსკოველები კი სარკასტულად ხუმრობენ, — ძეგლის სახელწოდება „მუშა და კოლმეურნე ქალი“ მოძველდა და მას „ვაჭარი და მისი მაღაზიის გამყიდველი ქალი“ უნდა დაარქვანო.

*ნიუზუიქი*

# 50 ჰოთ-დოგი — 12 წუთში

ნიუ-იორკში ახალი რეკორდი დამყარდა ჰოთ-დოგების ჩქაროსნულ ჭამაში: ვინმე ტაკერუ კობაიასიმ (59 კგ) 12 წუთში 50 ჰოთ-დოგი გადასანსლა. პირველ ექვს წუთში კონკურსანტმა 30 სოსისი შეჭამა, მეორე ნახევარში ჭამის ტემპი ოდნავ დაეცა. „ვფიქრობ, კიდევ 20 ჰოთ-დოგს შევჭამდი“, — განაცხადა ჩემპიონმა ფინალური ზარის შემდეგ.

თუკი იაპონელი რეკორდისთვის იკლავდა თავს, სახელგანთქმული მომღერალი ლუჩანო პავაროტი საკუთარი სიამოვნებისთვის მიირთმევს უამრავ ჰოთ-დოგს. ტენორმა ლონდონში კონცერტის ორგანიზატორები გააოგნა, როცა ერთი კაცისთვის საჭირო საჭმელზე თორმეტჯერ მეტი სხვადასხვა კერძი მოითხოვა: მომღერალმა, რომელიც წონით 158 კგ-ია, კონცერტის წინა დღეს თავის აპარტამენტებში პროდუქტების მთა დააყენა. მის მენიუში შედის ბრინჯი, ქათმის გულმკერდის ათი ულუფა, ქათმის წვნიანი უზარმაზარი ქვაბით, ბლომად ყველი, ასევე ცივი ხორცეულის სხვადასხვა საუზმეული და ხილით სავსე ვეებერთელა კალათა. ამ ნოყიერ სადილს მაესტრო 5 ლ მინერალურ წყალსა და ორ ყუთ „კოკა-კოლას“, 1 ლ ახალგამოწურულ ფორთოხლის წვენს და 4 ლ სხვა სასმელსაც აყოლებს. ამის შემდეგ გასაკვირი არ არის პავაროტის განცხადება, რომ კონცერტის დღეს, რომელიც ჰაიდ-პარკში ღია ცის ქვეშ გაიმართება, ათიოდ მეტრსაც ვერ გაივლიო.

*სობესედნიკი №27*

# სკანდალი დედოფლის წვეულებაზე



სამეფო მიღების დროს, რომელიც დედადედოფალმა მოაწყო, 2 ლორდი მოიწამლა. ერთ-ერთი მათგანი პირდაპირ დედოფალს ჩაუვარდა ფეხებში, მას მეორეც მიჰყვა. ინგლისის დაზვერვა ეჭვობს, რომ საწამლავი დედოფლისთვის იყო განკუთვნილი. ისინი ალბათ ფიქრობდნენ, დედადედოფალი პირველი გასინჯავს სასმელსო. მაგრამ სტუმრებმა იჩქარეს. ილბლიანი მოხუცი ის-ის იყო აპირებდა, შამპანურს დასწაფებოდა, რომ სტუმრები მოცელილივით დაცვივდნენ იატაკზე. 101 წლის დედადედოფალი ბეწვზე გადაურჩა სიკვდილს.

სიტუაციის შესაბამისად სქოთლენდ იარდი გამოიძახეს. მან სანუგეშო ვერაფერი უთხრა მეფის ოჯახს. სასახლეში მოწამლული სასმლის გარდა, პოლიციელებმა უცნობი ჯიშის ობობებიც იპოვეს. უსაფრთხოების სამსახურმა დაასკვნა, რომ ეს ობობები არის ახალი ბიოლოგიური იარაღი, რომელიც საგანგებოდ გამოიყვანეს მტრის ლაბორატორიაში...

*პოსლედნიე ნოვოსტი №27*

# მაკაკას ოინები

როგორც კი ჰაკერმა გახსნა პენტაგონის ერთ-ერთი ქვედანაყოფის კოდი, სამხედრო უწყების კომპიუტერული უშიშროების სამსახურმა უმალ დაადგინა მისი ადგილსამყოფელი და შინ დაადგა თავს. მაგრამ კომპიუტერთან უშიშროების აგენტებს მაკაკა დაუხვდათ. როგორც ცხოველის პატრონმა ახსნა, მაიმუნი კომპიუტერით თამაშობდა ბანქოს, წააგო, გაბრაზებულმა კლავიშებს დასცხო თათები და ეტყობა, საიდუმლო საიტში აღმოჩნდა.

*მირორი №29*

# სასტუმრო „ჰილტონი“

სულ მალე ნაცისტთა ოდინდელ დასასვენებელ სახლებში შეიძლება ტურისტებმა გოლფი ითამაშონ. გერმანიის ალპებში მდებარე, ადოლფ ჰიტლერის საყვარელ სასახლეს, „არწივის ბუდეს“ უკვე რამდენიმე თვეა არემონტებენ. აქ 138 კომფორტული ნომერი იქნება, რამდენიმე საუნითა და გოლფის მოედნით. ამიტომ სასტუმროს გახსნაზე უკვე თამამად ლაპარაკობენ. ადგილობრივი ებრაელები უკმაყოფილონი არიან, — უზნეობაა იქ დასვენება, სადაც ნაცისტთა ლიდერები იკრიბებოდნენ და „სუფთა ჰაერზე“ ებრაელთა განადგურების გეგმებს სახავდნენო. ამბობენ, აქ ხშირად ისვენებდნენ ჰიტლერი, გებელსი და მათი იტალიელი „კოლეგა“ ბენიტო მუსოლინი. ეს ადგილი იმითაც ყოფილა მნიშვნელოვანი, რომ ჰიტლერმა „მაინ კამპფის“ რამდენიმე თავი სწორედ „არწივის ბუდეში“ დაწერა.

*ნიუზუიქი*

# დამშვიდებულმა ტომ კრუზმა თავი გადაიპარსა

რამდენიმე დღის წინ სანტა-მონიკას ვილაში ტომ კრუზმა თავისი დაბადების 39-ე წელი აღნიშნა. არც ისე მრავალრიცხოვან სტუმრებს ტომი თავგადაპარსული გამოეცხადა. ყველა გაოცდა, ტომი კი ძალიან კმაყოფილი იყო და თავისი საქციელი ასე ახსნა: „შარშან, დაბადების დღეზე ისე დავთვერი, რომ თავზე თმის გელის ნაცვლად, რაღაც საშინელება წავისვი. მაშინ დავიფიცე, მსგავსი რამ არასდროს განმეორდებოდა. მაგრამ რადგან დღესაც ვაპირებ დათრობას, თავი მაინც დავიზღვიე და თმა გადავიპარსე“.

დაბადების დღემ მხიარულად ჩაიარა, მთელი საღამოს მანძილზე ტომი არ მოსცილებია მშვენიერ პენელოპა კრუზს და ამით დაამტკიცა ჭორები, რომ მათ შორის რომანტიკული ურთიერთობაა.

*ექსპრეს-გაზეტა №28*

# მოზაიკა

• • • ინგლისელმა ფერმერებმა უცნაური გასართობის დანერგვა განიზრახეს — მათ სურთ, ქათმებს კვლავ დააწყებინონ ფრენა. ეს უნარი მათ ევოლუციის პროცესში დაკარგეს. ყველაზე ნიჭიერი გამოდგა წინილა ჩაკი, რომელიც 10 მეტრის სიმაღლეზე აფრინდა. ჩაკის პატრონმა მას გამოჩეკისთანავე დაუწყო წვრთნა — უვარჯიშებდა ფეხის კუნთებსა და ფრთებს.

• • • კლუბ „მანჩესტერ სითის“ დიეტოლოგმა ფეხბურთელებს გამოუწერა სირაქლემის ხორცი, რაც ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო საკვებია, შეიცავს სხვა ხორცეულზე ორჯერ ნაკლებ ცხიმს. კვების ექსპერტმა ხუან კარლოს ოსორიომ გააფრთხილა კლუბის წევრები, რომ თუ არ დაიცავენ სირაქლემის ხორცის დიეტას, საფეხბურთო კლუბს გამოემშვიდობებიან. ექსპერტი გარანტიას იძლევა, რომ ამ საოცარი დიეტის შემდეგ კლუბი ჩემპიონი გახდება.



• • • ისრაელის პოლიციამ დააკავა უკრაინიდან წამოსული სამი მოქალაქე, რომლებიც ქვეყანაში მეტად უცნაური გზით ცდილობდნენ შეღწევას — არც მეტი, არც ნაკლები, მკვდარი ზღვის გადაცურვით უნდოდათ მიზნის მიღწევა. იორდანიაში უნგრეთის, ბულგარეთისა და თურქეთის გზით მოხვედრილმა ვაი-მოგზაურებმა მკვდარ ზღვაში შეცურეს და სამუშაოს საძებნელად ისრაელისკენ აიღეს გეზი. თეორიულად მათ შეეძლოთ მიეღწიათ სასურველ ნაპირამდე, რადგან მანძილი სულ 8 კილომეტრია, მაგრამ ის ვერ გაითვალისწინეს, რომ ზღვის წყალში გაჯერებული ჭარბი მარილი სავსებით ცვლის ცურვის პირობებს. მოცურავეებზე ძლიერ ზემოქმედებას ახდენს მზე, სხეული სითხეს კარგავს.

ზღვაში 16 საათის ყოფნის შემდეგ ისინი ისრაელის საავადმყოფოში მოხვდნენ. გამოჯანმრთელების შემდეგ კი სამშობლოში დააბრუნებენ.

• • • ვიეტნამელი მოსწავლეები ახლა სასკოლო დღიურებს ველარ დაკარგავენ — აზრი აღარ აქვს, რადგან მშობლები ტელეფონით შეიტყობენ მათ ნიშნებს. ვიეტნამის სკოლებში ამოქმედდა სპეციალური „ცხელი ხაზი“, რომლითაც მშობლებს მასწავლებლები სრულ წარმოდგენას შეუქმნიან შვილების აკადემიურ მოსწრებასა და ყოფაქცევაზე.

მშობლების უმრავლესობა, ბუნებრივია, სიახლით კმაყოფილია, ბავშვები კი შეფიქრიანებულნი არიან. არც იმის იმედმა გაუმართლათ — ყოველდღიურ ფაციფუცში გართულ დედ-მამას „ცხელი წერტილის“ ტელეფონის ნომერი დაავიწყდებაო. ამ პროექტის დამნერგავებმა ძალზე გააიოლეს იგი — სამი სამიანი და სამი ნული. ესაა და ეს.

• • • ჩინელები 2008 წლის ოლიმპიადის პეკინში ჩატარებაზე ოცნებობენ. მათ გადაწყვიტეს, 15 მლრდ დოლარი გაიღონ ჩინური კედლის გასამწვანებლად, რომლის გარშემოც (1500 მილი) უნდა გაშენდეს დაბურული ტყე. თავად პეკინს გარს შემოარტყამენ სამ მწვანე სარტყელს, რამაც უნდა შეაჩეროს ქვიშის ქარიშხალი. გარდა ამისა, ჰაერის გასაუმჯობესებლად ჩინელები ავტობუსებისა და ტაქსების ბუნებრივ გაზზე გადაყვანას აპირებენ.

*უცხოური პრესის მიხედვით*

# წყევლა – კორუფციის წინააღმდეგ...

ტაილანდის დედაქალაქის მერმა კორუფციის დასამარცხებლად მეტად მოულოდნელი მეთოდი შეარჩია — ხელქვეითებთან გაუთავებელი სადამრიგებლო გაკვეთილებისა და სადამსჯელო ღონისძიებებისგან არაქათგამოცლილმა და სასოწარკვეთილმა წყევლის ძალას მიმართა.

ქალაქისთავმა ყველა 50 მუნიციპალიტეტს თავისი ხელით დაწერილი ბარათი გაუგზავნა. მერი ხელქვეითებს გამომძალველობისა და მექრთამეობისთვის წყევლის და ემუქრება: პენსიაში გასვლამდე უგროშკაპიკოდ იქნებით, მომაკვდინებელი დაავადება შეგეყრებათ და მალე სულსაც გააცხებთო.

საზოგადოდ, მერი სამაკ სანდარავესი მეტად ექსცენტრიკული კაცია. ამას წინათ, არცთუ ხუმრობით შეაშინა ცნობილი ფინანსისტი ჯორჯ სოროსი. ბანგკოკის მეთაურმა მულტიმილიონერს ქვეყანაში რამდენიმე წლის წინანდელი კრიზისი დააბრალა და დაემუქრა, — ჩვენში ჩამოსული რომ გნახო, კაცი არ ვიყო, თუ თავი არ გაგიხეთქოო.

დაგეგმილ ვიზიტზე ფინანსისტმა, რა თქმა უნდა, უარი თქვა.

*ორაკული №8*

# ასოციაცია



***თარაზულად:*** 5. პიერ, ვერსაჩე; 6. ნიამეი, სამხრეთ აფრიკა; 10. „ვერის უბნის მელოდიები“, ს. ჭიაურელი; 11. სასმელი, მაგარი; 12. ჯეკ, ჰოფმანი; 17. იგავი, სიბრძნე; 18. „ბაიერნი“, კალაძე; 19. ბოსტნეული, სამკურნალო; 20. გერმანია, „კაპპა“; 21. უნარი, დაკარგვა; 25. იტალია, სანქტ-პეტერბურგი; 26. მათემატიკა, გეომეტრია; 27. კატა, ლეკვი; 31. ჯალათი, მკვლელი; 33. „პრიმა“, „ხიხანი“; 34. ისაკაძე, მონსერატ; 35. სპილენძი, თუთია; 36. საქართველო, პრომეთე.

***შვეულად:*** 1. შოტლანდია, „ლიდსი“; 2. სვანეთი, ქუთაისი; 3. ხვლიკი, გრძელკუდიანი; 4. დამასკო, ინდონეზია; 7. საქონელი, გაცვლა; 8. ავადმყოფობა, ციებ-ცხელება; 9. სატვირთო გემი, კაპიტანი; 13. საფლავი, განსასვენებელი; 14. საფრანგეთი, ფოთი; 15. ფიფა, შეფი; 16. „გამოცხადება“, გ. ხარაბაძე; 22. ნაგებობა, ლითონის ჩონჩხი; 23. ტარიელი, ვისი; 24. სილვესტერ, შვარცენეგერი; 28. სასწავლებელი, საშუალო; 29. კაზინო, მოსამსახურე; 30. „ივერია“, „ბერიკონი“; 32. ცხენისწყალი, ენგური.

***წინა ასოციაციის პასუხები:***

***თარაზულად:*** 5. ულიანოვი; 6. სტადიონი; 8. დეზდემონა; 11. კევრი; 14. კრინი; 15. ტურნირი; 16. ჩივაძე; 17. ეკრანი; 21. კლიპერი; 22. ბინტი; 23. მგელი; 26. რამშტექსი; 27. ბლოკნოტი; 28. მანეკენი.

***შვეულად:*** 1. კლაიპედა; 2. კორეა; 3. ვარნა; 4. ანაკონდა; 7. დეკანი; 9. ბრილიანტი; 10. ბრაუნინგი; 12. კუნძული; 13. ბროკერი; 18. ბრიუსელი; 19. სპირტი; 20. ბალატონი; 24. კანოე; 25. ქსანი.

## №30 (251) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 730 მკითხველი გამოეხმაურა. 4 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 275-მა ქალმა და 451-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელი სატელევიზიო რეკლამა მოგწონთ ყველაზე მეტად?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, მკითხველთა 63% მოხიბლულია „დარდუბალას“ გმირების რეკლამით. საშუალო ქულით **7,92** „8-07“ პირველ ადგილზეა. რესპონდენტთა 3%-მა დაუწერა მას მინიმალური — 1 ქულა.

შემდეგ ადგილზე „ნესკაფეს“ რეკლამაა. საშუალო ქულაა 5,65. მკითხველთა 10%-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 9 ქულით. როგორც ვხედავთ, „8-07“-სა და „ნესკაფეს“ საშუალო ქულებს შორის განსხვავება საკმაოდ დიდია და ეს ქართული რეკლამის აშკარა უპირატესობის მაჩვენებელია.

მესამე ადგილზე „ბარფია“ საშუალო ქულით 5,28. თუმცა, მაქსიმალური ქულათა რაოდენობის მიხედვით, მას (7,85%) „მონო“ (8,40%) უსწრებს.

როგორც ჩანს, რესპონდენტებს შედარებით ნაკლებად მოსწონთ ღვინო „ელიბოს“, ლუდი „არგოსა“ და არაყი „დიონისეს“ რეკლამები. ერთი სიტყვით, ჩვენი მკითხველების აზრით, ქართველებს ალკოჰოლური სასმელების რეკლამები მაინცდამაინც ვერ გამოსდით.

და კიდევ, ჩვენი შედეგებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ: საუკეთესო რეკლამას უზრუნველყოფს — საუკეთესო მუსიკა, საყვარელი ანიმაციური გმირები და ბავშვები.

30 წლამდე ასაკის მკითხველებთან პირველი სამეული ასეთია: 1. „8-07“; 2. „ნესკაფე“; 3. „მონო“. მათთან ბოლო ადგილზე „ძველი თბილისია“.

50 წელს გადაცილებული მკითხველები კი ჩამოთვლილთაგან უპირატესობას ანიჭებენ „8-07“-ს, „ნესკაფესა“ და „ძველ თბილისს“.

ქალებისა და მამაკაცების პასუხებს შორის განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ქალებს „დიონისეს“ რეკლამა უფრო მოსწონთ, ვიდრე მფრინავი ფრაზა — „არგო ჩემი არჩევანია!“; ხოლო მამაკაცებს კი სწორედ ეს ფრაზა ურჩევნიათ ღვინო „ელიბოს“ რეკლამას.




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორები კი არიან თბილისელები — 44 წლის **თენგიზ აბრამია** და ასევე, 44 წლის **ზინა პავლიაშვილი** („მონოსა“ და „ძველ თბილისს“ ადგილები აქვთ გაცვლილი).

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში **ოთხშაბათს, 1 აგვისტოს, 17 საათზე.**

## №31 (252) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ უპასუხოთ დამატებით კითხვას.

№31 (252) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 1 აგვისტოს 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 2 აგვისტოს 13 საათამდე.

© თბილისი, 1997

თემა №31 (252) — ზაფხული

**ყველაზე მეტად რომელი ნივთის გარეშე ვერ წარმოგიდგენიათ ცხოვრება ზაფხულში** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას 9 ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

№31(252) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

| № | ნივთი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | კონდიციონერი | |
| 2 | მაცივარი | |
| 3 | საცურაო კოსტიუმი | |
| 4 | ავტომობილი | |
| 5 | თერმოსი | |
| 6 | მზის სათვალე | |
| 7 | მარაო | |
| 8 | ვენტილატორი | |
| 9 | მზის ქუდი | |

**დამატებითი კითხვა**

მატერიალური მდგომარეობის მიხედვით მოსახლეობის რომელ ფენას მიაკუთვნებთ თქვენს თავს?

| შეძლებული | საშუალო შეძლების | ღარიბი | მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|---|
| | | | |

(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი

ტელეფონი

**„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს**

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

### საყვარელი მომღერალი

| | | |
|---|---|---|
| 1. | ლუჩანო პავაროტი | 22% |
| 2. | ჰამლეტ გონაშვილი | 10% |
| 3. | ნანი ბრეგვაძე | 5% |
| 4. | ალა პუგაჩოვა | 4% |
| 5. | ვახტანგ კიკაბიძე | 3% |
| 6-10. | გოგი დოლიძე | 2% |
| 6-10. | ფრედი მერკური | 2% |
| 6-10. | უიტნი ჰიუსტონი | 2% |
| 6-10. | ბრიტნი სპირსი | 2% |
| 6-10. | ჯენიფერ ლოპესი | 2% |



მკითხველის რეიტინგში 633-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა. მხოლოდ 1%-ს გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა; დასახელდა სულ 101 ქართველი და უცხოელი მომღერალი.

## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

### გვჯერა, არ გაგვინაწყენდებით!

ალბათ არ გაგიკვირდებათ, გაზეთის ამ ნომერში თქვენთვის საყვარელი „ფოტოპალიტრის“ ასეთი უჩვეულო სახე...

დედაქალაქში დატრიალებულმა, ჯერ ამოუხსნელმა საზარელმა მკვლელობამ, ალბათ თქვენშიც გამოიწვია ის დიდი პროტესტი, რამაც ხელი დაგვრია ყველას. ამიტომ თქვენეული ლაღი იუმორი, თქვენეული კბილგამკრავი სატირა შემდეგისთვის შემოვინახეთ... ვირწმუნოთ, რომ დროებით ჩაგვიკლეს სილაღე – დაველოდოთ უკეთეს დღეებს.

## ფოტო განწყობისათვის



— ეროსი გვიყვარლოლოთ!..




## წინა სკანვორდის პასუხები





## ქართულ წამალ „სალხინოს" გამოაქვს ჩირქი ნებისმიერი რბილი ქსოვილიდან

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო" და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

„კვირის პალიტრის" უფასო განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" დამატებაში — გაზეთში „სიტყვა და საქმე" (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე" არანაკლებ ეფექტიანია).

„კვირის პალიტრაში" კი, ქვეყნდება მხოლოდ ფასიანი განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები. ქვითრები იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

„უფასო განცხადების ქვითარი" ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთებში. ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან. მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ავტოვაგზალთან; მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიღმის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:იოანე პეტრიწის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ჩიქობავას (საბჭოს) მოედანზე; ზაარბრიუკენის (ვორონცოვის) მოედანზე; ნაძალადევში კ-თ „საქართველოსთან", წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან, „თელასთან" და სტადიონთან; დიდუბეში, „სამთო ქიმიის" გაჩერებასთან; დიღომში - მეგობრობის გამზ. პოლიციასთან, უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46 და უნივერსიტეტის I კ.-თან; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ვ.ფშაველას დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან".

ქალაქებში და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი, აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ბორჯომი, ახალციხე – არსებული „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან. ახმეტაში ყუთები დაიცლება ყოველი თვის I კვირის ხუთშაბათს 10 სთ.-დან. დედოფლისწყაროში თვის II კვირის ხუთშაბათს. ბოლნისში თვის III კვირის ოთხშაბათს 12 სთ-დან. ჟინვალსა და დუშეთში კი თვის IV კვირის ხუთშაბათს.

**ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

**(31) უფასო განცხადების ქვითარი**

განცხადების ტექსტი ____________________

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა – 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№31 ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 3 აგვისტო (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

## ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტი

(სტუ სპეცფაკულტეტი)

აცხადებს მიღებას 2001/2002 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. სამართალმცოდნეობა
2. ეკონომიკური:
   ა) საერთაშორისო ეკ. ურთიერთობები;
   ბ) საბანკო საქმე;
   გ) საბაჟო-საგადასახადო საქმე (წარმოების და მომსახურების კონტროლი და ზედამხედველობა).
3. მთარგმნელობითი საქმიანობა:
   ა) ინგლისური ენა;
   ბ) გერმანული ენა;
   გ) ფრანგული ენა.
4. ჟურნალისტიკა:
   ა) ჟურნალისტიკა;
   ბ) ტელე-რადიო ჟურნალისტიკა;
   გ) ინტერნეტ-ჟურნალისტიკა.

სწავლა ფასიანია. ვაჟმა აბიტურიენტებმა სამხედრო სწავლებისათვის უნდა წარმოადგინონ მიწერის მოწმობა.

საბუთების მიღება 1 ივლისიდან

ჩვენი მისამართია: თბილისი, მერაბ კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის VIII სასწავლო კორპუსი, II სართ. ☎ 36-60-78

## ფირმა „ბერმუხა"



ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

[R] ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი.

სარედაქციო კოლეგია.

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ რედაქცია: 33-39-54
რეკლამა: 98-74-44

palitra@access.sanet.ge
www.opentex\kvirispalitra

სარეგისტრაციო ნომერი ©518

„კვირის პალიტრა"

გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".